

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

6 ივლისი 2007

№ 14 (40)



პარიზის სევდა

მარკესის ნოველა

პატრიარქის ზაფხული

როცა ასეთი სიყვარულია

სოსო მეშველიანის მწვანე მთვარე

ამირან შალიკაშვილის დუმილის პოეზია

შირვანისი

ალბორინგები ალბორინგები	2	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკარაცოდ
უსოფლის თვალით	7	ჯონ დოს პასოსი ყველა ქვეყანაში
ექსპრეს-ინტერვიუ	9	ნინო ციმაკურიძე ანტა ვისდეის ცეგები და მცირულება
დატექტივი	12	ლაშა იმედაშვილი პატრიარქის ზაფხული
კორის	25	სოსო მეშვეობის მნიანი მთვარე და სავა ლექსიძი
პოვის ერთი ლექსი	27	ნინო დარბაისელი მაი სცენისი
უსოფლის სერვაციები	28	პიტლერის მოწოდომებიდან
მოგონებათა სეივი	31	ივანე სუხიშვილი ჩემი თავგადასავალი
ასლებაზრდებო, ან კი თქვენ	36	ქეთევან მეგრელიშვილი ეპი თარსული... მომავალთან ერთად
	37	მზია ჭიჭიაშვილი ბინა როგორიანის 31-ში
თეატრალური სიახლეები	39	ლელა ოჩიაური მაფისტოზები უკვე პარტიონში ეძღვს
		მორიგ მსხვერალს
დიალოგი	40	დუშილის პონტი
		(შორენა ცივქარაშვილს ესაუბრება ამირან შალიკაშვილი)
დაუვიცხარი სახელები	43	ეკა ბუჯიაშვილი ფრესკები
როგო კვლევ კატარს გავხდეთ	47	სიყვარულის საიდუმლო
რევორტაჟი	48	ტრადიციის უცყვეტობა (გივი ალხაზიშვილის პოეტური კრებული)
კრიტიკა	52	პაატა ჩხეიძე „მოტლანდიური პოეზია“ (ციკლიდან „შეხვედრა“)
კლასიკური გეგენარებები	56	შარლ ბოდლერი პარიზის სივდა (ლექსები პროზად)
უსოფარი წოველა	59	გაბრიელ გარსია მარკესი წრი ჩავესის გამოცანა (პირველ პირში)
მოზარება	63	პროგნოზი – ზუსტი და უტყუარი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 77) 48-12-24
გავრცელება – (995 99) 93-18-52
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობუანიძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია
კორექტორი – ნინო დეკანოძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე
გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: კამილ პისარო, „აყვავებული ბალი პონტუაზში“
ლაშა იმედაშვილი, მირან კილაძის ფოტოეტიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 20 ივლისს



როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ

თარგად – პიტა აჩაშიძის აღსარება

– ილიას შესახებ კამათი ამჯერად დროებით შეწყდაო, – სერგო გერსამია ირნმუნება მემუარულ ჩანაწერში XX საუკუნის 10-იანი წლების ზოგადი სურათის აღდგენისას.

რას შეიძლება შეეწყვიტა ეს კამათი, თუნდაც დროებით?

ჯერ მარტო ვაჟა-ფშაველას პოლიტიკური ესეიდან „ყვავ-ყურნები აჩრდილის გარშემო“ შეგვეტყო, თუ როგორ არ ჩამცხრალიყო გააფთორებული ჭიდილი ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და ლვიზლის გარშემო წინამურის შემდეგაც. იქ დაღვრილ სისხლს თან ვერ გადაეყორდებინა ილიას ხსოვნა და სოციალ-დემოკრატია არა ზოგავდა თავს მისი სახელის საბოლოო ამოსაშლელად ქართველი საზოგადოების ცნობიერებიდან.

მაგრამ ქვეყნდება კიტა აბაშიძის „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“, მძაფრი პოლიტიკური პამფლეტი თუ თავსებური საზოგადოებრივი აღსარება, ქუთაისის გაზეთ „ერის“ რამდენიმე ნომერში და... სოციალ-დემოკრატები ერთხანს გაყიდებას ამჯობინებენ.

სერგო გერსამიას ცნობა უტყუარია – „ერს“ იგი რედაქტორობდა და მაშინდელი განწყობილებინიც ჩინებულად მოეხსენება. ისიც, რაოდენ ღრმა შთაპეჭდილება დატოვა ამ თხზულებამ მონინააღმდეგებებზეც; ისიც, რედაქტირაში მკითხველების წერილი წერილზე რომ მოდიოდა და ითხოვდნენ გაზეთის იმ ნომრებს, სადაც „ერთი პილატეთაგანის“ ხელმოწერით გაგრძელებით იბეჭდებოდა ის პოლიტიკური პამფლეტი...

ინტერესი ისე გაცხოველდებოდა, რომ რედაქტორი იმავე 1913 წელს ცალკე წიგნებად გამოსცემდა კიტა აბაშიძის პუბლიცისტურ ქმნილებას და, სამ კვირაში ერთი ცალიც რომ აღარ შერჩებოდა მაღაზიებს, ძალიანაც ინანებდა, რატომ ვერ მოვიფიქრე, გაცილებით მეტი ტირა-შით გამომექვენებინაო.

კიტა აბაშიძე სოციალ-დემოკრატთა საგვემად გაიმეტებდა თავს, თუმც თვითონევე ისეთი სიმკაცრით მოეცყობოდა თავის განვლილ გზას, ისე დაირქმევდა პილატეს და ისეთი აღსარებით წარდგებოდა ღმერთისა და ქვეყნის წინაშე, რომ სოციალ-დემოკრატთა დაუნდობელ თავდასხებს თამამად დაუხვდებოდა.

იმ წამს კი გააჩიმა, მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა, შერჩენით არ შეარჩენდნენ!..

იმ პოლიტიკურ პამფლეტთან ახდილ დავა-კამათს მოერიდებოდნენ, მაგრამ იმ წაცად გზას გამოიყენებდნენ, რომ მეტშევიკური ფრთა რამდენიმე წლით, ბოლშევიკური კი შვიდი ათეული წლით გააქრობდა მის სახსენებელს.

სამუდამო დასამარება კი ვერაფრისდიდებით ვერ მოუხერხდებოდათ და ადრე თუ გვიან ხელახლა გადაეშლებოდა მეითხველს თვალნინ ილია ჭავჭავაძის სამოქალაქო მკვლელობის უტყუარი და შემაძრნუნებელი სურათები, ის გზა, რაც გამოვლო სოციალ-დემოკრატიამ ილიას წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის დაწყებიდან აგვისტოს იმ ავბედით დღემდე.

ასე დაიდებოდა მამხილებელი დოკუმენტი, მორალური განაჩენი, რომელიც – თავისითავადი პუბლიცისტურ-მეცნიერული ღირებულების გარდა – განზოგადდება ქართველი ერის ზეობრიობის უმაღლეს გამოხატულებად, ამგვარ წიმუშთა წყებაში ძალდაუტანებლად რომ იკავებს თავის ადგილს.


უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მოვლენა შეიქნებოდა ამ წიგნაკის განმეორება საქართველოს ახალი დამოუკიდებლობის უამს – განმეორება ვრცელი კომენტარების დართვით, ასე მოხდენილად რომ აგსებდა კიტა აბაშიძის წიგნაკის ქვეტექსტებსა თუ მინიშნებებსა და ზედაპირზე ამოპქინდა ის ისტორიული რეალობა და განწყობილებანი, ფონად რომ გასდევდა ამ პოლიტიკური პამფლეტის პუბლიკაციასა თუ წინარე ხანას.

გიორგი აბაშიძე ითავებდა ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს – ისევე, როგორც მოგვიანებით კიტა აბაშიძის ისტორიული ნარკვევის, „პოლიტიკური რომანტიზმი“ ხელახალ შემოტანას

ჩვენს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცნობიერებაში – და ხორცს შეასხამდა იმ ხელოვნებით, როდესაც კომენტარები თვითმარ ფასეულობადაც იქცევა და დამოუკიდებელ საკითხავადაც მიმზიდველია.

არადა, ჩინებულად შეერწყა ერთმანეთს სულიერი და ხორციელი წინაპრისა და შთამომავლის ინტერესებიც და ტექსტებიც, უკვე ერთ მთლიან ქმნილებად გამოკვეთილი მკითხველის შეგნებაში.

ეს კომენტარები შეიქნებოდა განმსაზღვრელი გიორგი აბაშიძის მონოგრაფიისა „ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და ღვანწლი)“ (2005 წელი), რომლის უმთავრესი წანილიც ილიას სამოქალაქო მკვლელობისა და წინამურის ირგვლივ ტრიალებს და დიდალი დოკუმენტური მასალის მოხმობითა და დეტალური, ფაქტიზი, სანიმუშო ანალიზის წყალობით შთამბეჭდავ, გულისშემძვრელ სურათად გადაგვიმლის XX საუკუნის დამდეგის უმნვავეს საზოგადო-



ებრივ-პოლიტიკურ მოვლენებსაც და იმ ისტორიულ პერსონაჟთა ხასიათებსაც, რომელთაც განსაზღვრეს საქართველოს ტრაგიკული ბედისწერა.

კიტა აბაშიძის ნიგნაკის თარგზეა ამოზრდილი ეს მონოგრაფია. მკვლევარს სრულებითაც არ უქნას ახალი კომპოზიციური ქარგა და შეგნებულად მოარგო თავისი მეცნიერული ძიებანი იმ ზნეობრივი თხზულების სტრუქტურას – საკმაოდ გაშალა კომენტარები, დაუმატა ახალი მასალაც და ის დაკარგვებანიც, რაც მოთხოვა ილიას მკვლელობის გარშემო დაგროვებულ გამოკვლევათა თუ პუბლიცისტიკის გათვალისწინებამ და პირნათელმა გახედა თავის ნინაპარს – მისი ძევირფასი თხზულებისათვის ღირსეული ნიგნის ამოყენებით გვერდში.

როგორც თავის დროზე კიტა აბაშიძის „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგვ“ აღმოჩნდებოდა დასაყრდენი იმ უმწვავეს მოვლენათა დაფარულ არსში შესაღწევად, ისე „ილია ჭავჭავაძე“ იქცევა გზამკვლევად – და თავისებურ ენციკლოპედიადაც – მკვლევართა ახალი თაობებისათვის, რათა ისტორიული ფონიც რაც შეიძლება დეტალურად ნარმოისახოს და პერსონაჟთა ის გალერეაც კიდევ უფრო რელიეფურად გამოიკვეთოს, საქართველოს მაშინდელ სინამდვილეს ვინც ურევდნენ თუ ვინც ამშვიდებდნენ, ვინც მორალურად აჩანაგებდნენ და ვინც სულიერად აღამაღლებდნენ...

გიორგი აბაშიძის მსჯელობისა თუ სხვა მკვლევარებთან პაერობის ინტონაცია ჯენტლმენურია, ეს ის მანერაა, ვთქვათ, პავლე ინგორიშვას სტილისტიკისათვისაც რომ იყო ნიშანდობლივი, ოღონდ გადამეტება, ეტყობა, ყველგან და ყოველთვის მოსარიდებელი და არც ამჯერად ლირდა გურამ ყორანაშვილის ფუჟე, გამოკვლევად გასაღებული ნიგნის („ნინამურის ტრაგედიის საიდუმლო“) ისეთი თავშეკავებითა და მორიდებით მიჩნევა „სამეცნიერო ფანტასტიკად“, თითქოს ფსევდონამრომზე კი არა, საყურადღებო თხზულების ნაკლოვანება-ხარვეზებზე ამახვილებდეს ბ-ნი გიორგი მკითხველის ურადღებას.

... შერჩენით არ შეარჩენდნენ კიტა აბაშიძეს ამ პოლიტიკური პამფლეტის შექმნასო...
არც შეურჩენიათ.

სოციალ-დემოკრატები ხელზე დაიხვევდნენ რუსეთის დროებითი მთავრობის დადგენილებით შექმნილი ამიერკავკასიის სამხარეო კომისარიატში მის მიწვევას კომისრად და ჩვეულ კამპანიასაც გააჩაღებდნენ მის ნინაღმდევ – შეზავებულს ლანდღვითა და ცილისნამებებით. გული ისედაც ანუხებდა კიტა აბაშიძეს და ეს სნეულება რომ გაუძლიერდებოდა, ლოგინად ჩააგდებდა და ხანგრძლივი ავადობის შემდევ აჩრდილთა დასს შეუერთებდა, საზოგადოებრივი აზრი ასე განსაზღვრავდა – იმ დაუნდობელმა ბრძოლამ გაუმტვავა სენი და კიდეც იმსხვერვლამ.

უშუალოდ იმ პოლიტიკური პამფლეტის ირგვლივ რომ გაშლილიყო ის ანტიურნალისტური, ანტიპუმანური და-ვა, ბარემ ერჩივნა და უფრო მედგრადაც დაუხევდებოდა, მაგრამ სულ სხვა მხრიდან დაევლოთ და განზრახულის-თვისაც ამიტომ მიეღწიათ.

სინანულით ნამითაც არ ინახებდა იმ პოლიტიკური ხლართების გაშიშვლებასა და საზოგადოებრივ აღსარებად გაცხადებას.

ხომ ისედაც იცოდა, რაც მოელოდა!..

გვარდი-გვარდ ეს როი სახელი

ლიტერატურული გამოკითხვის იმ შედეგმა, ინგლისელ მკითხველთა შორის ასი ყველაზე პოპულარული ნიგნი რომ უნდა ნარმოებინა, ძალაუნებურად გამოიწვია ჩვენი შურნალის ინტერესი და გამოხმაურება.

ზოგიერთი დაკარგვების გაზიარებასთან ერთად აუცილებლობად დაინახა რედაქციამ, რომ ზოგადად მაინც მოხაზულიყო ყველაზე პოპულარულ მწერლად აღიარებული ჯეინ ოსტინის ლიტერატურული პროფილი. მითუმეტეს, ბრიტანელი მკითხველის თვალში ასერიგად დაფასებული შემოქმედი სრულიად უცნობია ჩვენში.

გამოხმაურება უმთავრესად აიგო ვირჯინია უულფის ესეიზე, იმ ერთადერთ მხატვრულ-ესტეტიკურ ნიმუშზე, რომელიც ხელმისაწვდომია ქართველი მკითხველისთვისაც და ჯეინ ოსტინის ეძღვნება.

ცხადია, ესი, რაოდენ დიდებულიც უნდა იყოს, ვერ შეავსებს იმ ხარვეზს, რაც ოსტინის რომანების უთარგმნელობითაც გაჩენილა ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში, მაგრამ მაინც კარგია, რომ ის მაინც არსებობს და, როდესაც ადრე თუ ვიან, რომანებიც მოჰყვება, თავისებურ გზამკვლევადაც გამოდგება.

მთავარი ისაა, რომ გამოხმაურებაში გადაეჯაჭვა ჯეინ ოსტინისა და ვირჯინია უულფის სახელები.

ბოლოსდაბოლოს, უულფიც თვალსაჩინო შემოქმედია და მათი გვერდი-გვერდ ხსნება ისედაც ბუნებრივია.

სია – „ასი ყველაზე პოპულარული ნიგნი“ – გამოქვეყნდა „ჩვენი მწერლობის“ მე-7 ნომერში.

გამოხმაურება – „ბრიტანული გემოვნება და ჯეინ ოსტინი“ – მე-9 ნომერში.

მათ შორის კი დაიბეჭდა ნათათა ვანაძის ინტერვიუ თანამედროვე ირანელ მწერალ ქალთან ზოთა ფირზადთან – საგანგებოდ ჩვენი უურნალისათვის მომზადებული.

ფირზადის ბელეტრისტიკის ნიმუშიც გამოჩნდა უკვე ქართულ სამწერლო სივრცეში და ნარმატებულ დასაწყისს გზაეთილი უნდა ელოდეს, ოღონდ ამჯერად ინტერვიუს ერთი პასაჟია საგულისხმო, მისი დამამთავრებელი აკორდი.

ქართველი ლიტერატორის შეკითხვაზე: ვინ არის თქვენი საყვარელი ირანელი ბელეტრისტი ან პოეტიო, – ზოთა ფირზადი თავის არიდებას ამჯობინებს, სამაგიეროდ, უცხოელ შემოქმედთან გამოარჩევს ორ სახელს: ჯეინ ოსტინი და ვირჯინია უულფი.

მოდი და ნუ ირწმუნებ იმას, რომ ლიტერატურულ ცხოველაში იდუმალი კანონები ხან საკმაოდ ხელშესახებიც ხდება.

გვარი და მზე

იქნება ამ ფრაზამაც იმოქმედა და განსაკუთრებული სიმპათითაც მან განმანყო ამ ფრანგი მწერლისა და რომანის მიმართ:

– მზის შეკითხვის ვართ...

ჩემთვისაც ასერიგად მახლობელმა.

ეგანა, აქ მზის შვილობა ერთი საგვარეულოს – სკორტების – მეტაფორაა, ჩემს ნარმოსახვაში კი ქართულ

მოდგმას გადაწვდება, მის უშორეს ფესვებს.

მზის სიმბოლიკა და უჩვეულო მხურვალება ისედაც გამოსდევს მთელ რომანს და ის პასაჟი, ეს გამოთქმა სადაც ჩაერთვის, ამ მნათობის დითირამბად ამოიფრქვევა.

ბიძა უხსნის ელიას, თუ რატომ გადაიფიქრა ყმანვილმა თავისთვისაც მოულოდნებლად მონტეპუჩიოდან წასვლა: რაც მზემ დააჭირა, ვიცოდი გამგზავრებაზე უარს იტყვოდიო.

კი არა ვარაუდობს, დარწმუნებულია, რაკიდა:

— მზე როცა ცაში ისე გაბატონდება, რომ ქვებსაც ტკაცა-ტკუცი გაუდით, ველარაფერს გახდები. ეს მინა მეტისმეტად გვიყვარს. ბევრს ვერაფერს გვთავაზობს, მაგრამ როცა მზე აცხუნებს, არც ერთ ჩვენგანს მისი მიტოვების ძალა არა აქვს... მისი სიცხე გვაქვს ძვალ-რბილში გამჯდარი. რაც თავი გვახსოვს, სულ ჩვენთან იყო, ჩვილობისას კანს გვითბობდა, ზრდასრულებს — გულს. მზეს განუწყვეტლივ მივირთმევთ, ვლრღნით მთელი ძალ-ღონით. ხილი, თევზი, ზეთისხილი, ფორთოხალი — ყველაფერი მზის სურნელითაა გაუდენითილი. ზეითუნთან ერთად, მზეც გვიტკარუნებს პირს, მზე ჩვენშია. მზის მჭამელები ვართ.

მზის შვილობა, მზის შესრუტვა სისხლითა და ხორცით განაცდევინებს პერსონაჟს ამ მნათობის სულიერებასაც და თავისი საგვარეულოს წილადარობასაც მასთან, საგვარეულოსი, რომელსაც არც ყაჩაღები აკლია და არც ხასიათთა მრავალფეროვანი და უცნაური გამოვლინებანი.


მაინც რისთვის ბრუნდება ასე აქარად და თამამად მშობლიურ სოფელში ღუჩანო მასკალზონე, როდესაც დარწმუნებულია, ჩაუქოლავს არ გამომიშვებენო?

ანდა რისთვის დაუშინებია ირგვლივ ყველა როკო სკორტას და, არამცთუ მონტეპუჩიოლები, შორეული სოფლებიდანაც ეზიდებიან მასთან ხარკს, თუკი უკანასკნელ გროშამდე იტყოდა უარს ქონებაზე, ცოლ-შვილს ცივ ქვაზე დატოვებდა, მთელ სარჩო-საბადებელს კი ეკლესიას უანდერებდა?

უჩვეულო ამბები მკითხველს ჯერაც წინ უძევს, ეგაა, თავიდაზე ისეთი დაძაბულია მხატვრული გარემოც და თხრობის რიტმიც, ცოტა არ იყოს შეფიქრიანდები, გაუძლებს კი შედარებით ახალგაზრდა მწერალი ასე მევერ-რად აღებულ კამერტონს და, თუ არ გაექცევა ხელიდან თხრობის სადავეები, მობოშვით მაინც ხომ არ მოებომებათ.

ამ მწერლური გაბედულებით ჩნდება ქართულ სინამდვილეში ლორან გოდე და ხელშესახებად გიდასტურებს, რომ „სკორტების მზეს“ ტყუილუბრალოდ არ მოუპოვებია განსაკუთრებული პოპულარობა — 34 ენაზე რომ ამეტყველებულა და ახლა ქართულიც მიმატებია ნინო ახვლედიანის მეობებით.

ეს უკვე მერამდენე წიგნია ჩვენს სინამდვილეში, რომლის გრიფიც იუნიყება, რომ ის გამოცემულია საფრანგე-



თის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით. და ამ წარწერას რომ მოპერაც თვალს, გაორებული გრძნობა გიჩნდება, რადგანაც გამოცემები ძალიან არათანაბარი.

მესვეურთათავის შეუძლებელი აღმოჩნდა, რომ გარკვეული მხატვრული რანგის შეანარჩუნება მოხერხდეს; და ამოტომაცაა, რომ შესანიშნავ, ქართული სამწერლო ცხოვრების მდინარებისათვასაც მრავალმხრივ ფასეულ ქმნილებათა გვერდით საქმაოდაა წიგნები, რომელთა მხატვრული მნიშვნელობაც განისაზღვრება ამ ან რაიმე ამგვარი ეპითეტით: უბადრუკი.

ვერაფულისდიდებით ვერ გაგირკვევია, ან რატომ დაიწერა ანდა რატომ ითარგმნა, ვთქვათ, მარი დარიესეკას „ტრუიზმები“.

და მათი გაცნობისას გაოგნებული რჩები — ნუთუ ასეთი კრიზისი უდგას ამჟამად ფრანგულ ლიტერატურას?

მაგრამ, საბედნიეროდ, ამელი ნოტომისა თუ მიშელ უელბეკის მხატვრული ქმნილებანი გაგიქარვებს ეჭვებს და კვლავაც უჩვეულო ინტერესით დაელოდები ამ გრიფით გზაგახსნილ ახალ-ახალ გამოცემებს.

და ლორან გოდესთან პირველი შეხვედრაც განგიმტკიცებს ამ რწმენას.

სამოქმედო არეალად იტალიური სინამდვილის გამოხმობა უცხო არ არის ფრანგული მწერლობისათვის, ჯერ მარტო სტენდალის „პარმის სავანე“ რომ გავიხსენოთ, მაგრამ გოდეს ლიტერატურული გავლენით არ უნდა გაეშალოს თხრობა იტალიურ სოფელში, ისევე, როგორც მზის მცხუნვარება და მისით აფორიაქებული გული და გონება ალბერ კამიუს „უცხოდან“ არა ჩანს ნასესხები.

მწერალს იტალიაც და მზეც შიგნიდან აქვს განცდილი, ეს მართლაც გულისგულია მისი წარმოსახვებისა და მხატვრული კონცეფციის და ამიტომაც ემადლიერება ავტორისეულ მინანერში ყველას, ვინც იტალიის სიყვარული გადასდო, განსაკუთრებით ზაფხულის დღეების სურნელში, და ასწავლა სიცოცხლე იმ სახით, როგორიც მხოლოდ ამ მინაზე იპოვნა და კვლავაც თავბრუს ჰევებს.

ეს „თავბრუ“ ყველაზე ზუსტად გახსაზღვრავს რომანის განწყობილებებსა და თხრობის სტილისტიკას, მეოთხელსაც რომ ითრევს მიმზიდველი სიუჟეტის მდინარებაში და ერთბაში განცდით გადაატარებს რამდენიმე თაობის ცხოვრებას, რომლის შუაგულშიც მოქცეულა დაუოკებელი სწრაფვანი და მონტეპუჩიოს მზის ანდამატი, შორეულ სივრცეთა ძალით და თამბაქოს სავაჭრო ფარდული, რომელიც არამარტო პერსონაჟთა თავშესაფარია, არამედ სიუჟეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლიც, მისი არსებობა სიყვარულს რომ უნდა შეეჯახოს უნებურად და დაიფერფლოს, ვიდრე კვლავ აღდგებიდეს, და ეს გარემოება მიგანიშნებს, რომ თამბაქოს ჯიზური თავისებურ სიმბოლოდა გააზრებული რომანში.

ეს ფარდული ისე გამოსდევს თხრობას, ძალაუნებუ-
რად მოტივტივებს მეხსიერებაში ეზრა პაუნდის ოცნება, ა-
ღმერთს რომ შესთხოვდა: მაღირსე თამბაქოს პატარა
ფარდულიო („კუნძული ტბაზე“).

რაც არ ეღირსა დრამატული ბიოგრაფიის ამერიკელ
პოეტს, ერუნათ ლორან გოდეს პერსონაჟებს, რომელ-
თაც თვისითავადი არსებობის გარდა, ის მოვალეობაც
დაჰკისრებით მწერლისაგან, რომ მძაფრად შეავრძნობი-
ნონ და შეამეცნებინონ მკითხველს ადამიანის მარადიუ-
ლობა.

მონტეპუჩიოს მზის ქვეშ გათამაშებული ადამიანური
ყოფიერებისა და მარადიულობის დრამა სისხლი სის-
ხლთაგნი და ხორცი ხორცთაგნია ყველა იმ დრამისა,
რაც ცისქევშეტში დარტრიალებულა და, ათასგარი ტკი-
ვილისა თუ მწუხარების მიუხედავად, არსებობის სილამა-
ზისა და სიდიადის რწმენითა აღვსილი; მაგრამ, ამასთან
სცენებსა თუ სურათებში ჩრდება ის მხატვრული ნიუანსე-
ბიც, რაც ამ რომანის შექმნის შინაგან აუცილებლობას
განსაზღვრავდა.

... მარადიულობის შეგრძნება აუცილებლად გულის-
ხმობს ყოფითობის დაფასებასაც, ცხოვრებისეულ
წვრილმანთა ხიბლის შეცნობასაც, და ამიტომაცა, რომ
თამბაქოს ჯიხურის ნინ მდგარი კორტები წმინდა ელიას
პროცესიას რომ ადევნებენ თვალს, სოფლის ამ ტრადიცი-
ულ დღესასწაულს, სიამაყეს განიცდიან, მაგრამ ამპარ-
ტავნულს კი არა, სწორედ ამ წამით არიან ამაყნი – მარა-
დიულისა და ყოფითის იდუმალი გადაკვეთის შეგრძნე-
ბით.

სივრცე, რომელიც არაფერს პარგავს

თემას თემაზე რომ ინიშნავდა უბის წიგნაკებში მიხე-
ილ ჯავახიშვილი, ზოგად მონახაზებთან ერთად საკმაოდ
გამოკვეთილ სიუჟეტებსაც ხშირად გადააწყდება მეოთ-
ხველი ამ ჩანაწერების თვალიერებისას და კიდევ ერთხელ
ირწმუნებს, როგორ ყოფილა შემოქმედებითად ანთებუ-
ლი მწერალი და რამდენი ჩანაფიქრი დარჩა ხორცშეუს-
ხმელი.

ისედაც ათასი დაბრკოლება ელობებათ ხელოვანთ,
თვითონაც რომ ვერ აუხსნიათ, რატომ უჭიანურდებათ
ყოველმხრივ გააზრებულ ჩანაფიქრთა ალსრულება, და
უკიდურესად გამკაცრებული პოლიტიკური რეჟიმი სუ-
ლაც საზარლობად მოვლენიდათ.

ამიტომ მხოლოდ დანანებით მიადევნებ თვალს თუნდ
მიხეილ ჯავახიშვილის სიუჟეტურ მონახაზებს.

და... აღარც კი განიცდი ისე ძალიან, ეს რამდენი რეა-
ლური განზრახვა ჩაფრთვლილა.

ისე ძალიან აღარ, რაკიდა იმას უფრო გაუოცებიხარ,
რაც მოასწრო უმძიმეს პირობებში და თავის განიად და
ანდერძად დაგვიტოვა.

ცალკეა შესასწავლი ეს სიუჟეტური მონახაზები.

თუმც თვითეულიც რაღაც საგულისხმოსა და განსა-
კუთრებულს იტევს ბედად გადარჩენილ სტრიქონებში და
გამორჩევაც ამიტომ შეიძლება მთლიანი ფონის მოუშე-
ლიებლად.

აი, თუნდაც:

– სანერ მანქანებით გავსილ საქართველოში ერთი
ვინმე კალიგრაფიას სწავლობს და წლითი წლობით სწერს,
ჰევეს და ისევ სწერს. ხელობა ისწავლა, მაგრამ მშიერი
დარჩა. დღე და ღამით მუზეუმებში ჩხრეკავდა ძველ ხელ-
ნაწერებს და ბოლოს ყველა ეპოქის სტილი შეისწავლა
(ანერილ იქნას ყველა სტილი – ხანმეტიდან მოყოლებული
დღევანდლამდე). საოცარი ნიჭი გამოიჩინა მიბაძვისა.

„ანერილ იქნას ყველა სტილიო“ – საკუთარ თავს
სთხოვდა მიხეილ ჯავახიშვილი, რათა უნებურად არ გაე-
იოლებინა ჩანაფიქრი და მხოლოდ ორიგინალური ხასია-
თის მიგნება-გამოკვეთა არ ეკმარა.

არ ეცმარა არც მარჯვე პოლიტიკური ქვეტექსტი, თა-
ვისებურ პროტესტად რომ გამოჩნდებოდა გაუსახურე-
ბის, გაერთიანეროვნების ნაკადში ქართული კალიგრაფიის
აღდგენისაკენ სწრაფვა, როგორც სიმბოლური მინიშნება
ეროვნულ ტრადიციათა შენარჩუნებისა.

ეს ყოველივე თავისთავად, მაგრამ ბარემ მწერლური
შთამბეჭდაბით წარმოსახულიყო ქართული კალიგრა-
ფიული ხელოვნება – თავისი მიღწევებითა და ათასფერა-
დი ნიუანსებით.

საამისოდ მიხეილ ჯავახიშვილი უნდა შენაცვლებოდა
თავის პერსონაჟს, მის მაგივრად მჯდარიყო დღე და ღამ მუ-
ზეუმებში, ეწერიკა ძველი ხელნაწერები და სრულყოფილად
გარკვეულიყო ყველა ეპოქის სტილურ თავისებურებებში.

და მთელი დაკვირვებანი და ცოდნა პერსონაჟისათვის
გადაელოცა.

იქნებ კიდეც ჩაჯდომოდა ამ მიზნით ძველ ხელნაწე-
რებს.

ერთი-ორი დღე-ღამეც შეენირა კალიგრაფიის თავი-
სებურებათა შესაცნობად.

უფრო მეტს ველარ განვდომოდა.

და 30-იანი წლების დამდეგის მდელვარე და აბურდულ
ფიქრთა ერთ ნასხლეტად ეს ჩანაწერილა დაეტოვებინა.

ჩაკარგულიყო ეს ფრაგმენტები და ნაფლეთები მდუ-
მარებაში – ალდგებოდა მიხეილ ჯავახიშვილის სახელი,
მაგრამ მისი საუბისწიგნაკო ჩანაწერების გამომზეურება
ჯერ ნაადრევი ეჩვენებოდათ – მხოლოდ შემთხვევით,
მხოლოდ აქა-იქ.

მდუმარებაში დანთქმულიყო კალიგრაფიით გატაცე-
ბული კაცის ამბავიც.

დაფარფატებდა მისი აჩრდილი, მიხეილ ჯავახიშვი-
ლის ხელიდან ვერ შემოედნია ლიტერატურულ მდინარე-
ბაში, მაგრამ ბედს არ უტყდებოდა და კვლავაც ახალ გზას
ეძიებდა.

ეძიებდა და... ოთარ ჩხეიძის კალამს ამოჰყვებოდა.

თითქოს მამიდაა ამ ნოველის – „საზაფხულო სალონი“
– მთავარი გმირი, ის არის შთამაგონებელი ამ ლიტერა-
ტურული სალონის შექმნისაც და თავისი მეუღლის პოე-
ტური მუზაც – ბატონი ვარლამის შემოქმედებითი გატა-
ცების ერთადერთი სიმბოლური სახება, მაგრამ ნოველუ-
რი ფინალი სწორედ ბატონი ვარლამის არაორდინარულმა
ხასიათმა და სულიერმა სწრაფვამ უნდა განსაზღვროს.
არა და არ ეშვება ლექსების წერას, თუმც ძალიან უწუნე-
ბენ ახალგაზრდები ყოველ მცდელობას – დაუცხრომობად
უგალობოს მუზას თვისის. პროფესიით ინჟინერია, თანაც
საუკეთესო ინჟინერი და თავის გამოიჩინა მუშაობს მთელს

წელიწადს. პოეზიით გატაცებას შვებულებისას თუ ინაზ-დაურებს და მაშინ ახვავებს ლექსს ლექსზე. მაგრამ თავი-სი წუთისოფელი უკვე მასაც ამოუთავებია, პენსიაზე აპი-რებს გასვლას და დარჩენილი სიცოცხლის შეწირვას პოე-ზისათვის.

მაგრამ სხვა რამ სტიმულიც რომ სჭირდება?

წიგნის გამოცემას ყველაზე შემაგულიანებელი მწერ-ლისათვის. ასე სმენია და ასეც შესთხოვს მეულლის ძმისწულს, მწერლობაში ფეხშედგმულ ახალგაზ-რდა კაც: შენ გიბედავ, ამ სტიმულსა გთხოვ, იზ-რუნე ჩემი წიგნისთვისაო.

იმას თავზარი დაე-ცემა, დარეტიანდება, ლამის წაიქცეს კიდეც.

მერე მეგობარს შესჩივლებს თავის გასა-ჭირს – უარი რომ ეძნე-ლება მისთვის საყვარე-ლი და ძვირფასი პიროვ-ნებისათვის, მაგრამ მკითხველის გემოვნება-საც ითვალისწინებს და არაფრისდიდებით არ უნდა ამ გულუბრყვილო-ბათა გამომზეურება. ეს სულიერი ჭიდილი მის მოქმედებაში ხელშესა-ხებად აირევლება – ანვალებს ვარლამის ლექსთა რვე-ულს, ფურცლავს, გრეხს, კეცავს, ამტვრევს, ისევ ფურ-ცლავს...

მეგობარი რვეულს ჩამოართმევს და: ბიჭოს! – ისეთი გაყვირვებით შესძებს, ის თვალებს დააცეცებს, ნეტა ისეთი რა იპოვნაო.

და თურმე:

– რა ხელწერა!.. „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერებშიც არ მეგულება ასეთი ხელი. ურჩიე, ჰა.. მიდი ურჩიე, გადა-წეროს „ვეფხისტყაოსაზი“...

დასაკარგი არა ყოფილა ვარლამის კალიგრაფია, და თუ ეს ხელწერა არ უნდა დაიკარგოს, „ვეფხისტყაოსაზმა“ უნდა შემოინახოს – გაჩნდეს რუსთველის ეპოსის XX საუ-კუნის ხელნაწერიც.

მეგობარი ამასაც დასძენს: „ვეფხისტყაოსნისა“ ერ-თბაშად თუ შეეშინდება, „ბედი ქართლისა“ შეაპარე თავ-დაპირველად, გალაკტიონი, ანა შეაპარე, მერე თვითონ იცისო.

ესეც ის ნოველური ფინალი.

სიუჟეტის გაგრძელება – იქ, სივრცეებში.

ჩაფერფლილი განზრახვის უნებური, ოღონდ კანონ-ზომიერი გამოძახილი.

ეგაა, თუ მიხეილ ჯავახიშვილი მუზეუმებში დღე-ლა-მის სწორებითა და ყველა ეპოქის ხელნაწერთა შესწავ-ლით ვარაუდობდა ეროვნული ტრადიციის სულისკვეთე-

ბის ექსპონტულ წარმო-სახვას, ოთარ ჩხეიძე ამ სურათებში მოაქცევს, ამ განწყობილებებში იმავე ტკივილს, მისი წი-ნამირბედი რასაც აე-ფორიაქებინა.

ერთიღა იცის ვარ-ლამბა, ჩაუჯდება თუ არა „ვეფხისტყაოსნის“:

„დაარბენინებდა დიდსა და პატარასა, აღმა-დაღმა დაარბენი-ნებდა, ტყესა თუ მთაში, ველმინდორზე დაარბე-ნინებდა, იალალებზე დაარბენინებდა, აძე-ბინებდა ყვავილებსა, უცნობ, უჩვეულო ვე-ლურ ყვავილებსა, აძე-ბინებდა და აზიდვინებ-და, არჩევდა, ირჩევდა, გამოიყენებდა მოსარ-

თავადა ხელნაწერისა, თავსართებისა, მთავრულისა, ფურცლის პირებისა, ირჩევდა და გამოიყენებდა, ინერდა და რთავდა, ესლა იცოდა, მეტი არაფერი, გადაავინებდა თავისი ლექსები, თავისი წიგნიც გადაავინებდა...“

მუზეუმი მთა-ბარსა და ველ-მინდვრებს შეუცვლია.

სხვადასხვა ეპოქის ხელნაწერები – ყვავილებს.

მაგრამ ძალდაუტანებლად ესადაგება და ეთანადება ეს ყოველივე ერთმანეთს – სივრცის იდუმალ კანონთა კვალიბაზე.

ეს კანონები გარწმუნებენ და გიდასტურებენ: არაფე-რი, არაფერი იკარგებაო.

და ყვავილები რომ შემოგასკდება ყოველ გაზაფხულ-ზე, წარმოსახვა უკვე იქაც მოგაძებნებს მათთვის ად-გილს, „ვეფხისტყაოსნის“ ახალ ხელნაწერში.

... სანერ მანქანებით გაესილ საქართველოში ერთი ვინმე კალიგრაფიას სწავლობს, – ამოესვეტებოდა ეს ხა-სიათიც თვალნის მიხეილ ჯავახიშვილს და გაბოცდებო-და: ეს რა ორიგინალურ პერსონაჟს მივაკვლიერ.

ეროვნისა

ჩვენი შურნალის მე-13 წლერში გამოქვეყნდა მაია სარიშ-ვილის რადიოპიესა „კატა ისევ წვიმაში“. მასზე დართულ მი-ნაწერში აღინიშნა, რომ მაია სარიშვილის პიესები წარმატე-ბით იდგმება საქართველოს რადიოში, და გამოითქვა აზრი, რომ ეს პიესაც ჩინებულად განხორციელდებოდა რადიოსპექ-ტაკლად.

ყოველთვის დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს ახალ რადი-ოდადგმებს, მაგრამ ამჯერად უნებურად გამოგვრჩა, რომ „კატა ისევ წვიმაში“ უკვე დადგა რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა. მონა-ნილეობენ მსახიობები: გიზო სიხარულიძე, ზაზა ლებაზიძე, ლი-ლი ხუროთი, სოფიო ჯაფარიძე და სანდრო ჯანგირაშვილი. ხმის ოპერატორია იპოლიტე (ბაკო) ხვიჩაია.

ჯონ დოს პასოსი

ყველა ქვეყანაში

THE VILLAINY YOU TAUGHT ME...

ვიდრე საქართველოს გზის (ავტორი გულისხმობს სამხედრო გზას. მთარგ.) ყველაზე მაღალ უდევტეხილს გადავივლიდით, ავტობუსი საუზმისათვის სამიკიტონს-თან გაჩერდა. სქელი წვეროსანი ჯენტლმენი, ტექნიკური სფეროს სპეციალისტი აღმოჩნდა, კერძოდ რომელი დარგისა, არ უთქვამს. იგი ცოტას ინგლისურად და ცოტას ფრანგულად, გაცილებით უკეთესად გერმანულად საუბრობდა. მთხოვა ერთ მაგიდასთან დავმსხდარიყავით და ჩემთვის კერძი შეუკვეთა. ბორშჩს შეეცემოდა და თანაც პენსნედან ყურადღებით მათვალიერებდა. „უდავოა, – მითხრა, – თქვენ შექმენით მსოფლიოში სამრეწველო ტექნიკა... ტექნიკორი, ფორდი, ფასტოუნი... ამგვარი რომ ისტორიას არ ახსოვს.“ მორიდებით დავუდასტურე, რომ ასეთი რამ აქამდე მართლაც არ მომხდარა. „მაგრამ თქვენს ხელში, – კოგზიანი ხელი ჩემსკენ გამოიშვირა, – ის მხოლოდ უბედურებას მოგვიტანს. ეს ისეთი თავზარდამცემი ხანა იქნება ადამიანთა მოდგმისათვის, ისტორიას ჯერ რომ არ ახსოვს. დავეთანხმე, რომ მართლაც თავზარდამცემ ხანში ვიყავით, თუმცა ისიც ვთქვი, მთლად ჩვენი ბრალიც რომ არ იყო. „ეს კაპიტალისტური სისტემის და ბიზნესმენთა მტაცებლური ბუნების გამოისობით მოხდა... – მაგრამ თქვენ, ამერიკულები ხართ დამნაშავენი... არა გაქვთ ფეოდალიზმი, ტრაბახობთ, რომ თავისუფლები ხართ, ჯერ კიდევ მარქსის სიცოცხლეშივე კონტროლს უნდა დაგექვემდებარებინათ თქვენი სისტემა... თუმცა ჩვენ ვსწავლობთ თქვენს სისტემას... ეს არითმეტიკასავითაა, რადგან უკვე გამოგონებულია, მისი სწავლა ყველას შეუძლია. რა თქვა თქვენმა შექსპირმა? „The villainy you taught me I shall execute!“ „მაში ყოფილა რაღაც ყურადსალება“, – სწრაფად მოვუჭრი, რათა პაქრობის ნიადაგი შექმერბილებინა, რაც ჩვენთან ასე პოპულარულია უურნალის რეაქტორებს შორის.

ცოტა ხნით ჩაუყრიდა. შევეცემოდით თხის ადგილობრივ მაგარ ყველს ბუტერბროდთან ერთად. ლუქმა გადაყლაპა და ყელი ჩაინიშნდა. „შექსპირი,“ – ნამოიყვირა, – „თქვენ შექსპირზე უფლება არ გაგაჩნიათ. ის ცივილიზებული მსოფლიოს კუთვნილებაა. ის ჩვენ გვეკუთვნის, რადგან მისი გვესმის და გვიყვარს.“ შევეცადე სიტყვა ჩამესვა ამერიკულ მნერლობასთან დაკავშირებით. ბოლოს-დაბოლოს მთელი ჩვენი კლასიკა ხომ შექსპირიდან არის აღმოცენებული, გავიხსენოთ ხელოვნება. პენსნე ცხვირზე უხტოდა. „არაფერიც, – თქვა, – მე ნავიკოთხე თქვენი ეპტონ სინკლერ ლუისი. უსულოა. ამერიკის სული სამრეწველო ტექნიკშია.“

* თქვენ რომ ბოროტება მასწავლეთ, მას აღვასრულებ.

ავტობუსის გასვლის დროც დადგა. ვიდრე გარეთ გავიდოდით, მდუღარე ჩაის დაღევას ვცდილობდით და ამიტომ საუბრის თავი არავის ჰქონდა. მან თავისი გაიტანა და ჩემი სადილის თანხაც გადაიხადა. როგორც კი ავტობუსში ჩვენს ადგილებზე მოვთავსდით, მრისხანედ მომიბრუნდა. „მითხარით მ-ი-ისტერ, რატომ ექცევით ასე ულმობლად ზანგებს?“ „ამის ახსნას დიდი დრო დასჭირდება“, – ვთქვი, – მაგრამ უდელტეხილის მიხვეულ-მოხვეულ გზებზე, დაბალი სიჩქარით მოძრავი ავტობუსი ისე გრუზუნებდა და თანაც ისეთ ხმებს გამოსცემდა, რაც უნდა მეთქვა, ჩემი ხმა ამ ხმაურში ჩაიკარგებოდა.

საქართველოს გზიდან მამისონის ულელტეხილისაკან

მეორე დღე ულრუბლო დადგა. ჩანთები დავაწყეთ პატარა ურესორო ორთვალაზე და მშივრები შეეცდექით მამისონის ულელტეხილს. გზის ბოლოს, მჟავე წყლის წყაროსთან ინგლისურად მოლაპარაკე მეურმეს შევხვდით. ეროვნებით თხი აღმოჩნდა. ძალიან მხარული კაცი გამოდგა. კანადაში ყოფილა იუკონის ოქროს ციებ-ცხელებისას და ახლა უკან ბრუნდებოდა. ხორბლით დატვირთული ურემი ულელტეხილზე გადაჰყავდა. ვლადიკავკაზში მიდიოდა. არავითარი ოქრო არ ჩამოუტანია, ეს ისევე სამართლიანი იყო, როგორც თვითონ რევოლუცია. ჩინებული კაცი იყო. კარგი იქნებოდა მასთან მეტი საუბრის დრო მქონდა, მაგრამ ჩვენ საპირისპირო მიმართულებით მივდიოდით.

ულელტეხილიდან ჩვენს თვალწინ გადაიშალა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცი საქართველოს ხეობები და, რაც მთავარია, სიურპრიზი გველოდა, მეურმებისათვის გახსნილი სამიკიტნოს მოხუცი მეპატრონის მიერ მომზადებული გემრიელი ცხვრის ხორცის წვნიანი. საღამოს კვლავ მშივრები ვიყავით და ვცდილობდით საბაზრო ქალაქ ონამდე მიგველნია. მაგრამ ერთ სოფელში დაგვალამდა, რომლის სახელი ვერ გავიგეთ და მშივრებმა ლამე ახალაშენებულ სახლში იატაკზე გავათიერთ (რადგან სანოლში, რომელიც მასპინძელმა, მართალია, კეთილგანწყობით დაგვითმო, დანოლა შეუძლებელი იყო). მეორე დიღლით, ალიონზე გზა გაგაგრძელეთ ურმით, რომელშიც მსუქნი ჰონი იყო შებმული და რახრახით დაუზუებით კიდევ ერთ პატარა ხეობას კედრებით საგაეტყიან მხარეში. ურემა მდინარის ნაპირზე ხის ფესვებსა და რიყის ქვებზე ხტოდა. ანკარა მჩქეფარე წყალში კალმახი ირეოდა. ნაშუადლევს ონში ჩავალნიერ, სადაც შედარებით სუფთა სასტუმრო და კარგი რესტორანი დაგხვდა. ონში ცხელოდა. იქ რამდენიმე დღე დაგრჩით. მდინარეში ვბანაობდით და მზეზე ვირუკებოდით. მივირთმევდით ფლავს, „შაშლიკს“ და ქართულ ღვინოს ვსვამდით. ქუთასში ავტობუსით ჩავედით. შებათქაშებული ქალაქი კვიპარისებითა და კრამიტიანი სახურავებით იტალიას წააგვდა. სასტუმრო „ოტელ დე ფრანს“ შესანიშნავი ბალი ჰქონდა და ოთახებსაც არა უშავდა, მაგრამ შუაგულში განთავსებული საპირფარეშოს სუნი გაუსაძლისს ხდიდა

იქ ყოფნას. ქუთაისი მხიარულობდა. პარკში ორკესტრი უკრავდა. თეატრალური წარმოდგენები მიმდინარეობდა და ყველაგან წითელი დროშები ფრიალებდა. ყველაფერი ქართულ ენაზე მოისმოდა და ჩემთვის ძნელი გასაგები იყო, ირგვლივ რა ხდებოდა.

იმ საღამოს, როგორც იქნა, პურმარილით სავსე კოპნია რესტორანში ტვინსატეხი ფიქრებით აფორიაქებული ეულად შემოვუჯერი მაგიდას. სიღარიბე და ნგრევა – ეს მომავალი შენობის ასაქნებლად მოსწორებული ნიადაგია, თუ მხოლოდ დრომოქმედული,

უგუნური, ცენტრალიზებული ჩაგვრის შედეგი?

ზოგადად ქართველები გამოუსწორებელი კერძო მესაკუთრენი არიან, თუ თითო-ოროლა სასტუმროს

მეპატროზეა ასეთი, რომელთაც დიდი ვაივაგლა- ბით გავესაუბრე? ოსები კომუნისტებს მხარს გონების კარნახით უჭერენ თუ სიღატაკის გამო? და საერთოდ, რა წარმოადგენენ ეს ხალხები, რომელთა

ენების სახელწოდებანიც კი არ ვიცი? ეს ჭუჭყან- ნინსაფრიანი ხელზე მიმ-

ტანი მეფის დროს უფრო

ბედნიერი იყო თუ ახლა? გახდა თუ არა იგი უკეთესი მიმტანი, მოქალაქე და სოციალურად აქტიური პიროვნება? ენების სწავლების უფრო მეტი შანსი აქვს თუ არა (ცდილობდა ფრანგულად დამტლაპარაკებოდა)? რჩება შეშის თამაშისა და ცოლთონ ალერსისათვის უფრო მეტი დრო? აქვს თუ არა თვალხატულა, ჯანმრთელი ბავშვების აღზრდისათვის უკეთესი პირობები? როგორ შეიძლება ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, როცა ჩიტებისა და მცენარეთა სახელები არ იცი, არ იცი მათი ენა, ანბანიც კი, როცა შენ დაკარგე ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც ჩაინიშნული გქონდა სოფლებისა და უდელტეხილთა სახელები?


რამდენიმე ჭიქა ღვინო დავლიერ მოყვითალო ფერის სახიან, ცალერთვალებან კაცთან, რომელსაც ვატყყობდი, ჩემი ვინაობა და სადაურობა აინტერესებდა. კარგა ხანს

ეს არის ნაწყვეტი ჯონ დოს პასოსის ესეების წიგნიდან „ყველა ქვეყანაში“

(1934), რომელშიც შესულია ამერიკელი მწერლის 1928 წელს საბჭოთა კავშირში მეორე მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ამჯერად რუსეთიდან მომავალი დოს პასოსი, სექტემბერში, აზერბაიჯანიდან შემოდის თბილისში (პირველად 1921 წლის აგვისტოში იგი თურქეთიდან გემით ჩამოვიდა ბათუმში), თბილისიდან კი ავტობუსით მიემგზავრება ისევ უკან ჩრდილოეთისაკენ, ვლადიკავკაზში, სადაც მას ელოდება ამერიკელი ექიმი, იგანე პავლოვის მონაფე, პორსლი განტი, და იქიდან ორივე მამისონის ულელტეხილის გავლით იწყებს ლაშქრობას საქართვე-

ვებრძოდით გაურკვევლობით გამოწვეულ უხერხულ ვითარებას. თუ მარტო ლობუნგებით შემოიფარგლები, ღვინოს დალევ და ისიამოვნები, შეგიძლია იძახო „ვამა“ და მხიარულიც იყო. მაგრამ, ვთქვათ, მიხვდი, რომ „ვამას“ ძახილის დრო გავიდა, გაინტერესებს გაიგო იარლიყის მიღმა ყუთში რა დევს. საიდან უნდა შეიტყო? სად უნდა მოიძიო ფაქტები? ან მათ რომ წაანყდები, როგორ უნდა გამოიცნო? მოვლენებში წვდომისათვის საჭიროა ქალაქის, გზის, უდელტეხილისა და ადამიანთა შესახებ ცნობები, რომელთაც ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა ესაჭიროებათ. ბედნიერებისათვის სიყვარულის უნარს უნდა ფლობდნენ. უყვარდეთ და თვითონ იყვნენ სიყვარულის საგანი. სირთულე უცხო ენის უცოდინარობა არ არის, ცხოვრების ენაა რთული. ჩემმა თანამოსაუბრემსატუმროს კარამდე ისე მიმაცილა, კითხვების დასმა არ შეუწყვეტია. ვფიქრობ, კამაყოფილი უნდა დარჩენილიყო.

პორსლი განტი და დოს პასოსი



შემანუხა. ესკიმოსის, ადამიანის კუნძულზე მცხოვრებისა თუ მილოვნერელი ბანკირისათვის, ფაქტია, სიმყრალე ერთიდაიგივეა. დანერე და უდეპეშე სახლში მისტერ ნიუზრაიტერი. მაგრამ მაინც ვისგან მოდის სიმყრალე? საბჭოელებისაგან თუ ადამის მოდგმას მოსდევს თან?

მეორე დღეს ღიად დარჩენილი კითხვებით „ამერიკან-სკი პისატელი“ მატარებლით ბაქოს გაემგზავრა. ბაქო ნავთობის ქალაქია. ახალი ქალაქი. იქნებ იქ ნაკლები სირთულეებია ჩემი სამშობლოსაგით?

სამშობლოზე ჩამოვარდა სიტყვა და მისტერ „პისატელ“, თვითონ რა იცით სამშობლოს შესახებ?

ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ აგალლოგელია

მთარგმნელისაგან

ლოში. რამდენიმე დღე რჩებიან ონში, შემდეგ ჩამოდიან ქუთაისში, საღაცლამეს ათევენ სასტუმრო „ოტელ დე ფრანსში“ (დღევანდელი სამხატვრო გალერეის შენობა). მეორე დღეს განტი მიემგზავრება ბათუმში, დოს პასოსი კი ერთი დღის შემდეგ – ბაქოში, საიდანაც მატარებლით ბრუნდება მოსკოვში, მეიერხოლდთან, პუდოვკინსა და ეიზენშტეინთან შესახვედრად.

ეს ორი ამერიკელი, მომავალში ცნობილი მწერალი და ასევე ცნობილი მეცნიერი (პორსლი განტი რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1929 წელს ჯონ პოპკინსის უნივერსიტეტში აარსებს პავლოვის ლაბორატო-

რიას. გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და რამდენიმე მონოგრაფია. ინგლისურად თარ-გმნა პავლოვის ნაშრომები) საქართველოში მოგზაურობის შემდეგ განუყრელ მეგობრებად დარჩენილან ცხოვრების ბოლომდე.

დოს პასოსის ქალიშვილმა, ქ-მა ლუსი დოს პასოს კო-გენმა, რომელიც შარშან, ოქტომბერში, კუნძულ მადეირა-

ზე ჩატარებულ ჯონ დოს პასოსის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე გავიცანი, გამომიგზავნა ფოტოსურათი, რომლის გამოქვეყნების ნებართვა ამ სურათის ფოტოგრაფს, ჰორსლი განტის ქალიშვილს, ქ-ნ ემილი განტ კაპინს გამოსთხოვა. ფოტოზე, რომელიც 1960 წელს განტის სახ-ლში, ჯორჯიის შტატშია გადალებული, ჰორსლი განტი და დოს პასოსია აღბეჭდილი.

ექსპრეს-ინტერვიუ

ნინო ციმაკურიძე

ანკა ვისლეის ნუგეში და მხიარულება

ინტერვიუ სთხოვო მწერალს ისე, რომ მისი არცერთი ნანარმოები წაკითხული არა გქონდეს, თავხედი თუ არა, ავანტურისტი მაინც უნდა იყო.

ეს ორი „ლირსება“ ჩემში რამდენიმე წლის წინათ აღ-მოვაჩინე, როდესაც თბილისში ალექსანდრე დიუმას სა-ხელობის ფრანგული კულტურის ცენტრი ისახებოდა. პრეზენტაციაზე თბილის ენვია და ლექციები წაკითხა ორმა ფრანგმა მწერალმა, კლოდ შოპმა და დომინიკ ფერ-ნადესმა. ეს უკანასკნელი არც ისე დიდი ხნის წინათ „უკ-ვდავის“ მანტიით შეიმოსა ანუ საფრანგეთის აკადემიის წევრი გახდა. ბატონი კლოდ შოპი კი დიუმას შემოქმედების მკვლევარი და დიდი ქომაგი გახლავთ და სწორედ ის გახდა ჩემი „მსხვერპლი“. შედეგად დაიბეჭდა სტატია „ახალ ქართულ გაზეთში“, რომელსაც, რასაკვირველია, ძალზე მოკრძალებული მიზანი ჰქონდა – მკითხველისათ-ვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა ფუნქცი-ბოდა ჩვენს დედაქალაქში და ერთი ქართველი ფრანგო-ფონის იმედიანი შთაბეჭდილებები მოეთხოვთ.

„დიუმაბ“ (შინაურულად ასე მოვისხენიებთ ფრანგული კულტურის (ცენტრს) მართლაც გამართლა ქართველი ფრანკოფონების იმედები (გულწრფელად ვისურვებ-დი, დიდ ქართულ იმედებსაც იგივე ბედი და ყაყოლოდეს...) და არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. ჩემთვის, როგორც „ქალისათვის, რომელსაც ლიტერატუ-რა ძლიერ უყვარს“, განსაკუთრებული ხიბლი ფრანგი და ფრანკოფონი მწერლების სტუმრობასა და ქართველ მკითხველთან შეხვედრებს მოსავს. „ავანტურიზმის“ მეო-რე შემოტევაც ასეთმა შეხვედრამ შემყარა.

მაისის თვეში „დიუმაბ“ და „თეატრმა ათონელზე“ არაჩვეულებრივ ქალბატონს უმასპინძლა. ანკა ვისდეი, ასე ჰქეია რუმინული წარმოშობის ფრანგოფონ მწერალს, რომლის შემოქმედებასაც აქამდე თითო-ოროლა „დიუმას ჭია“ თუ იცნობდა. მედიათეკაში მისი რამდენიმე წიგნი

მართლაც მოიპოვება, მაგრამ როგორც კი ხმა გავარდება, ესა თუ ის მწერალი თბილის სტუმრობსო, იმედი ნუ გექ-ნებათ, რომ შეხვედრამდე მის რომელიმე თხზულებას ხელში ჩაიგდებთ („ყველაფერი დასწრებაზეა ამ ქალაქ-ში!“)

ანკა ვისდეის წაკითხვის მსურველებს შეხვედრის მე-რეც გვინევს რიგში დგომა, ვინაიდან შეუძლებელი იქნე-ბოდა, ორი ფერიული დღის შემდეგ, რაც ამ ქალბატონმა გვაჩუქა, ჩვენი რიცხვი მნიშვნელოვნად არ გაზრდილიყო. ამ მიზეზის გამო დავაგვიანე კიდეც, სტატიად მექცია პა-ტარა ინტერვიუ, რომელიც 3 მაისს „ათონელის თეატრში“ ჩაივინერე. ზეპირი ურთიერთობების შთაბეჭდილებებს ორი წიგნის წაკითხვით მიღებულიც დავუმატე, მაგრამ არა მგონია, ამ შთაბეჭდილებების მცირე ანარეკლი მაინც მივიტანო ჩვენი უურნალის მკითხველამდე.

არაა სტატიის წერა და უურნალისტობა ჩემი საქმე. ჩე-მი საქმე თარგმნა და ვაპირებ კიდეც ანკა ვისდეის გად-მოქართულებას. თუ გადავწყვიტე თქვენი თარგმნა, შე-მეძლება თუ არა, მოგწეროთ და კითხვები დაგისვათ-მეთ-ქი, რომ ვუთხარი, მომხიბლავად გამიღმა (სულ ილიმება დალოცვილ) და არ მოგერიდოთ, მითხრა, მთარგმნე-ლები ძალან მიყვარს და ნებისმიერ კითხვაზე გიპასუ-ხებთო. „სავიზიტო ბარათებად“ თქვენს რომელ ნაწარმო-ებებს მიიჩნევთ-თქმ და ის ორი პიესაც დამისახელა, რომლის თარგმნასაც პირველ რიგში ისურვებდა. რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციის გასაიდუმლოებას არ ვაპირებ, „მუდამუამს ერთად“ და „კლასის ფოტო“ გახლავთ ანკას უსყვარლეს წიგნები.

ვისდეი იშვიათი გვარი ყოფილა რუმინეთში და როდე-საც ანკას მამა, არქიტექტორი გეორგელ ვისდეი, პოლი-ტიკერად არასაიმედო გახდა კომუნისტური რეემისათ-ვის, გამომცემლებმა ანკას გვარის შეცვლა მოსთხოვეს. გამომცემლებთან კი საქმე ძალზე ადრე დაუჭერია. 14 წლისამ დაწერა პირველი პიესა და 19 წლისას კიდეც დაუ-ბეჭდეს და კიდეც დაიდგა. ამ დროისათვის იგი ბუქარეს-ტის თეატრისა და კინემატოგრაფის ინსტიტუტში სწავ-ლობდა. გვარის შეცვლას ახალგაზრდა მწერალმა მამას-თან ერთად პოლიტიკურ ემიგრაციაში წასვლა არჩია და შევიცარიაშ დამკიდრდა. მიუხედავად იმისა, რომ ლი-ტერატურის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა, უფიქ-რია, ენობრივი გარემოს შეცვლის გამო მწერლობას უნდა გამოვეთხოვოთ. არადა, შემოქმედება მისთვის სრულიად ორგანული მოდუს ვივენდი გახლდათ.

„თანატოლებისაგან განსხვავებით ვუნდერკინდისა და მონაზონის ცხოვრებით ვცხოვრობდი, არც შეყვარებული

მყოლია, არც წარმატებისაგან თავბრუ დამშვევია (როგორ მოვითმენდი, ეს რომ არ მეყითხა! ნ.ც.), იმდენად ბუნებრივად ჩაინტერა ეს წარმატება ჩემი ცხოვრების წესში. 18 წლისამ ვიგრძენი, რომ მოზრდილი ვარ და არჩევანის გაკეთების აუცილებლობამაც არ დაახანა“. ანკას პირველი არჩევანი, როგორც მოგახსენეთ, პოლიტიკური გახლდათ.

ლოზანაშვილი სამართალსა და კრიმინალისტიკას სწავლობდა, მაგრამ ნიჭმა არ მოასვენა და დიდი გამოწვევაც გააძლინა. ხელთათმანი ფრანგულ ენას ესროლა. „როცა უცხო ენაზე წერ, უფლება არ გაგაჩნია, ეს ენა მის მატარებლებზე ცოტა უკეთ მაინც არ ისწავლო“, ამბობს ანკა და თუკი მის ერთ წიგნს მაინც წაიკითხავ, მხედვები, რომ ეს ტრაბახი არაა. არც მარტო ჩემი დასკვნა გახლავთ. ფრანგული ლიტერატურული კრიტიკა მის სამწერლობი ენას უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს. 30-მდე პიესის, საბავშვო მოთხრობების, სცენარების (კინოს, ტელევიზიისა და რადიოსათვის), ერთი რომანის („მარადი სატრფო“) ავტორს არაერთი საამაყო პრემიაც მიულია და რაც, ჩემი აზრით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მისი თხზულებები ლიცეუმებში ისწავლება და საბაკალავრო გამოცდების პროგრამებშიც რეგულარულად ხვდება.

სამართლისა და კრიმინალისტიკის შემდეგ დრამატული ხელოვნების შესწავლას უბრუნდება, ამჯერად პარიზში. მისი საქმიანობის არეალი კი იმდენად მრავალფეროვანია, შეუძლებელია, რაიმე არ გამოგრჩეს. უმუშავია ჟურნალისტად, კინო და თეატრალურ კრიტიკოსად ფრანგული და შვეიცარიული მედიისათვის („ფიგარო“, „კოსმოპოლიტენი“, „რადიო ფრანს ინტერნასიონალი“, „ჟურნალ დე ჟენევ“ და მრავალი სხვა), შვეიცარიული ჟურნალის „ფურნი“ პარიზული გამოცემის რედაქტორად, დრამატული ხელოვნებისა და სამართლის მასწავლებლად; ხელმძღვანელობს თეატრალურ სტუდიას, სახელოვნებო ფესტივალებს, მათ შორის მამამისის მიერ დაარსებულ ხელოვნებისა და არქიტექტურის ამსახველი ფილმების ფესტივალებს.

ჟურნალისტიკა ისეთ ადამიანებს შეახვედრა, როგორებიც არიან უანუი, გაბრიელ გარსია მარკესი, ფრიდრიხ დიურენმატი, ეჟენ იონესკო, ემილ სიორანი, მილან კუნდერა... ამ მწერლებს პირობითად ორ ჯგუფად ჰყოფს. „მარკესი და კუნდერა უნივერსალურ პრობლემებზე საკუთარ ფესტივზე დაყრდნობით, კონკრეტიკით გვესაუბრებიან, ხოლო ანუი, იონესკო, დიურენმატი და სიორანი იმავე უნივერსალურ პრობლემებს მეტაფორული ენით გვაწვდიან.“

განსაკუთრებით ძვირფასი ანკასათვის უან ანუისთან შეხვედრებია. თბილისში გამართულ პირველ სალამოზეც სწორედ მასზე ისაუბრა. „უან ანუი, უნუგეშო და მხიარული კაცი“, ასე ერქვა მის ლექციის და შესაძლოა, ასე და-ერქვას წიგნსაც, რომელსაც ახლა წერს ანუის შემოქმედებაზე. როგორც „დიუმას ცენტრის“ დირექტორმა ფრანსუა ლორანმა ბრძანა, იმდენად საინტერესოდ და ახლებურად დაგვანახა ეს თითქოს კარგად ნაცნობი ფრანგი დრამატურგი, რომ აუცილებლად გაგვიჩნდა მისი ხელახალი აღმოჩენის სურვილი.

ანკა ვისდეი საოცრად არტისტული ადამიანია, ისეთი ზემოური ატმოსფერო შექმნა პირველივე წუთებიდან, რომ კითხვების დასმის სურვილიც გაგვინელა. მე პირადად ამ ზეიმური ატმოსფეროს გაფუჭების შიში გამიჩნდა, ალბათ, სხვებსაც... მხოლოდ მეორე დღეს, სახელდახველო ინტერვიუს დროს ვკითხე, იზიარებდა თუ არა ანუის პესიმისტი კი არა, კაცობრიობისაგან იმედგაცრუებული ადამიანია. ერთგვარი ბრიტანული გამჭრიახობა და ხედვა აქვს. პესიმისტი სიორანია. ანუი კი ძალზე მხიარულია ისევე, რო-

გორც შეესპირი და ჩეხოვი. სერიოზულობა და იუმორი ამ დიდ დრამატურგებთან განუყრელად თანაარსებობს“, ამბობს ანკა.

ვკითხე: „დაგეხმარათ თუ არა ჟურნალისტური გამოცდილება სამწერლობო ენისა და სტილის შემუშავებაში, თუ პირიქით, ხელიც შეგიშალათ?“

„ჟურნალისტისა და მწერლის ენა პრინციპულად განსხვადება, რადგან განსხვავდება დამოკიდებულება სათქმელის მიმართ. ჟურნალისტის ამოცანა ინფორმატიულობა და მაქსიმალურად ობიექტური ანალიზია, სუბიექტური ხედვის, პრობლემის პირადული რაკურსით დანახვა და წარმოჩენა კი მნერლის საქმეა. როდესაც ვიგრძენი, რომ ჟურნალისტი ხელს მიშლიდა, კიდეც დავანებებ თავი, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმიანობამ გენიოსებთან შეხვედრების უნიკალური შესაძლებლობები მომცა.“

„თქვენ ბრძანეთ, რომ რუმინეთიდან წასვლით ახალი ცხოვრების, ახალი გამოცდილებისა და პორიზონტების პერსპექტივა გაგვიჩნდათ და ამის გამო ბედს ემადლიერებით. რა გენანებათ ყველაზე მეტად?“

ერთხანს გაჩუმდა და: ენაო, მიპასუხა. ჩემი შემდეგი შეკითხვა სწორედ ენას ეხებოდა (ანუას თქმით, გამოვიცანი!), მაინტერესებდა, რატომ არ მოინდომა, ბილინგვური მწერალი ყოფილიყო.



ანკა ვისდეი და ნინო ცომაკურიძე

„კუნძულობამ ფრანგულად წერა იმიტომ დაიწყო, რომ თარგმანები არ მოსწონდა. მე სხვა გზით მივედი ფრანგულ ენასთან. ბილინგვურ მწერლობას კი ვერ ვბედავ იმიტომ, რომ ცოცხალ რუმინულთან დიდ ხანია შემიწყდა კონტაქტი, 73 წლის წამოვედი იქიდან, ენა კი მოგეხსენებათ, სწრაფად ვითარდება...“

ძალზე არტისტულია ანკა ვისდეი-მეთქი, რომ მოგახსენეთ, ეს შთაბეჭდილება პირველსავე დღეს შეიქმნა, როცა იგი ანუსა და საკუთარი თავის შესახებ გვესაუბრა და ერთი პიესის – „მუდამშამს ერთად“ ნაწყვეტის ვიდეო-ვერსიაც გვაჩვენა. მეორე დღეს კი თეატრში მისამართის ტულობამ, იუმორმა და ხალისმა კიდევ მეტად დაგვატყვევა... ამ დღეს ხომ ანკა რეჟისორისა და მსახობის აბპლუშიც მოგვევლინა. ქართველ და თბილისში მცხოვრებ რამდენიმე ფრანგ მსახიობთან სულ რამდენიმე საათიანი რეპეტიცია ჩატარა, საკუთარი გამომცემელი, ბ-ნი პატრიკ დელალოც „გაამსახიობა“ და თავისი ორი პიესის („კლასის ფოტო“ და „ქალბატონი შექსპირი“) ნაწყვეტები ნარმოგვიდგინა.

„დღევანდელი ნარმოდგენით ორგვარად მინდა მოგვასალმოთ, – ამ სიტყვებით დაიწყო საღამო ანკა ვისდეომ, – ერთი პოლიტიკური სალამია, მეორე კი შემოქმედებითი“, მერე შავ როიალს წითელი ქსოვილი მოაძრო, კულისებისაკენ მოისროლა და სცენაზე მდგარ ინვალიდისა საგარდები ჩაჯდა. ეს ქმედება ასე ახსნა: „ დღევანდელ დღეს იყო დრამატურგი, ნიშნავს, იყო ინვალიდი“. რაც შეეხება წითელ ქსოვილს, სპექტაკლის შემდეგ, ჩვენი საუბრისას თქვა, რომ გააკვირვა ქართველი მაყურებლისაგან ამ მინიმების უგულებელყოფამ. „რუმინეთში ეს ეპიზოდი ყოველთვის სიცილს იწვევს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ქართველები ყოველ სიმბოლოს, ყოველ დეტალს არ უკირდებიან და პოლიტიკურ სარჩულსა და ქვეტექსტებს არ ეძიებენ, იმის მანიშნებელია, რომ ეს ძალზე თავისუფალი და ლალი ხალხია“.

კიდევ ერთი სცენური ქმედება დარჩა, ოლონდ წინა დღეს, ვიდეომასალის ყურებისას, ჩვენი ყურადღების მიღმა. პიესა „მარადუამს ერთად“ ორი რუმინელი დის შეხვედრას ასახავს, რომელთაგან ერთი პოლიტიკურ ემიგრაციაში წავიდა, მეორე კი სამშობლოში დარჩა. მათ თეატრის სიყვარული აერთიანებთ, დიქტატურა აშორებთ, მაგრამ ბრძოლისა და სიყვარულის 20 წლით აკავშირებთ. ესაა პიესა, რომელსაც, დრამატურგის თქმით, არცერთ ქვეყნაში ცრემლისა და სიცილის გარეშე არ უყურებენ. პიესაში არის ეპიზოდი, სადაც დები თავიანთ ნაწერებს ხევნენ და ნაგვის ურნებში ყრიან. ურნაში კი არა, ურნებში. რატომაა საჭირო, თქვენი აზრით, ორი ურნა, გვკითხა მწერალმა და რადგან ჩვენ, „ლაღმა ქართველმა მაყურებელმა“, ვერ გამოვიცანით, თვითონვე აგვიხსნა: „ეს ხრიკი დისიდენტმა მამამ მოიგონა. ერთ ურნაში ჩაყრილი ქალალის ნაკუნებით შესაძლებელია ტექსტის აღდგენა, სხვადასხვა ადგილას გაფანტვით კი მეტადა ხარ დაცული...“

ათონელის თეატრში წარმოდგენილი „კლასის ფოტო“ ისევეა აღბეჭდილი დრამატურგის პიოგრაფიით, როგორც „მარადუამს ერთად“. აქ სამშობლოდან გადახვენილი მთავარი გმირი ოცი წლის შემდეგ დას კი

არა, თანაკლასელებს ხვდება. შეხვედრა იმაზე მტკიცნეული აღმოჩნდება, ვიდრე ბიანკას შეეძლო ნარმოედგინა, დროის მსახვრალ ხელს პოლიტიკური მოვლენებიც წაეშველა და კიდევ უფრო გაამძაფრა და გაამნვავა სიყვარულიცა და სიძულვილიც. ამ პიესაში, თუ პრესას მოვიშველიებთ, „საუცხოოდ დახატული ადამიანური არსების სირთულე ავტორის ნიჭის წყალობით სიცილსა და ცრემლს შორის დაგვატარებს“ („ლე დოფინე“).

პრესის სახოტბო გამოხმაურებების ბევრი ამონარიდი შეიძლებოდა მოგვეტანა, მაგრამ ისედაც სიტყვა გაგვიგრძელდა. ქართველი მაყურებლისათვის წარმოდგენილი მეორე პიესა, „ქალბატონი შექსპირი“, კი არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს.

თანამედროვე ლიტერატურა გამუდმებით იხმობს წარსულიდან მითებსა და მითებად ქცეულ ისტორიული ტერატურულ ამბებსა და პერსონაჟებს. ანკა ვისდეიმ გენიალური შექსპირი გამოიხმო, უფრო სწორად, გენიალური შექსპირი, უილიამი და მისი მეულლე ანა. მათი კორესპონდენცია, ანკა ვისდეის ლიტერატურული მისტიფიკაცის ნაყოფი, იმდენად შთამბეჭდავი და დამაჯერებელია, ეპოქისა და შექსპირის შემოქმედების ისეთი ღრმა ცოდნითა შექმნილი, რომ ერთი კურიოზიც გამოუწვევია: წიგნის ინგლისური თარგმანის პრეზენტაციაზე ორი ინგლისური ფილოლოგი მისულა ანკასთან და უთხოვიათ, დანვრილებით ეამბა, თუ როგორ იპოვა ლონდონის გარეუბნის ერთ სხვენზე მიკარგული ეს უნიკალური ხელნაწერი. ამაზე უკეთესი შეფასება ხელოვნის ოსტატობისა (მთარგმნელისაც, რასაკვირველია) ძნელია წარმოიდგინო.

ჯერ მხოლოდ ორი წიგნი ჩავიგდე-მეთქი ხელთ, მოგახსენებდით და ერთი მათგანი სწორედ „ქალბატონი შექსპირია“, მეორე კი, „გულთამბყრობელის საზარელი ალსასრული,“ ისევ ლიტერატურული მითით საზრდოობს, ამჯერად დონ ჟუანის უბერებელი მითით. ოლონდ დონ ჟუანი დაგვებერებია და თვით ქცეულა მსხვერპლად. შინაარსის გადმოცემისაგან თავს შევიკავებ იმ იმედით, რომ ამ იუმორით უხვად გაჯერებულ პიესას ისევე, როგორც ანკა ვისდეის სხვა ქმნილებებს მალე ვიზოლავთ ქართულად ამეტყველებულებს, ლონდონ დონ ჟუანის სხენებისას არ შეიძლება ერთი საინტერესო ფაქტიც არ მოგანოდოთ. ანკას კალამს „დონა ჟუანაც“ შეუქმნია და სათაურის ორიგინალის დადასტურება და მასზე საავტორო უფლებების მოპოვება პარიზის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში დასჭირებია.

ისღა დაგვრჩენია, ვთქვათ, რომ ქალბატონი ვისდეისათვის საქართველოში სტუმრობის იდეა მის ყოფილ კოლეგას, ამჟამად თბილისში მცხოვრებ შვეიცარიილ უფრნალისტსა და კინოდოკუმენტალისტს კრისტიან ზენდერს მიუწოდებია, რასაც მოჰყვა „მედია, მეურნეობა და სათაურის ორიგინალის დადასტურება და მასზე საავტორო უფლებების მოპოვება პარიზის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში დასჭირებია.

მაღლობის მეტი რა გვეთქმის მათგანის ამ მრავალმხრივი, ხალისისა და ნუგეშის (ანუისაგან განსხვავებით) განმასახიერებელი შემოქმედის გაცნობისათვის.

ლაშა იმედაშვილი

პატრიარქის ზაფხული

თუკი ცენზურა არ არსებობს, გამოდის, რომ ყველა სიტყვა უცენზურო ყოფილა, საკუთარ თავს გამოიტყდა პირველი უბნის პროექტის თანაშემწერი, ლეო კიკაბიძე და მატარებლის ფანჯრიდან თბილისის შემოგარენის იმ მოსაწყენ სერებს გახედა, რომელიც მასინაც არაერთგზის ჰქონდა ნანახი, როდესაც რუსული ცენზურა დაუნდობლად მძინავარებდა.

მატარებელი დაიძრა და მოსაწყენი სერებიც აიყოლია.

უსამართლოდ გამოვა, რამდენიმე სიტყვა თავად ლეოზეც თუ არ ითქვა.

გრიგოლ საგანელიძეს ყველა იცნობს. ძნელი ნარმოსადგენია ადამიანი, რომელსაც პუშკინის ცხრა ნომერში არ შეევლო, სადაც განთავსებული გახლდათ კიდეც საგანელიძის საკონდიტრო, და მაღაზიაში ნარმოდგენილი მრავალრიცხვნაზი ტკბილეულობიდან ერთი – ერთი მაინც არ გაესინჯა.

ლეო კიკაბიძის გვარ – სახელი მშობლებისა, რამდენიმე მეგობრისა, პროექტურატურის თანამშრომლისა და ასევე რამდენიმე მეზობლის გარდა, ჯერჯერობით მაინც, არავის ეცნობა, მითუმეტეს გასაკვირი უნდა იყოს ერთი ამბავი: რომ არა გრიგოლ საგანელიძე, არც ლეო იქნებოდა ამქვეყნად.

იმას ნურავინ იფიქრებს, თითქოს ლეოს დედას, ქალბატონ ზინაიდა ზომლეთელს ეცულდუტოს რამე. მართალია, ქმარ დაკარგულ – დაქვრივებული გახლდათ, მაგრამ მაინც ერთგულად დარაჯობდა საკუთარ სხეულსა თუ სულს. ასე რომ, არც გვერდით გაუხედავს და არც დამით მიპარვია ვინმე, თუმცა სოფლის დედაკაცები მოსიყვარულე პლატონის გარდაცვალებას ზინაიდასა და სოფელ ნაფარეულში მისასვე დაარსებულ თეატრს აბრალებდნენ. პლატონს თურმე ძალიან არ მოსწონდა მეუღლის მსახიობობა, მეტიც, რცხვენოდა კიდეც, მაგრამ ქალს ვერაფერი შეასმინა. გამუდმებულმა კამათმა და სევდამ საბოლოოდ შეარყია პლატონის ისედაც სუსტი ჯანმრთელობა, რაც გამდარა კიდეც მისი გარდაცვალების მიზეზი. ზინაიდას სიჯიუტე უფრო მეტად რევოლუციური სიოთი თუ ახალი ცხოვრებით გახლდათ განპირობებული, ვიდრე ლვთისგან მომადლებული ნიჭით. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ალნიშნული სოფლის გლეხობა სპექტაკლებს არ ესწრებოდა. პირიქით, თეატრის განვითარებას ყოველმხრივ უშლიდა ხელს და ერთხმად იმეორებდა: ნარმოდგენა გარყვნილების ბუდეა! ზინაიდას ბრძოლაშ შედეგი მაინც გამოიღო, კომისარ შამშე ლეუავას დახმარებით თეატრს ძველი, ქვითკირის მარანი გადაეცა, რომელიც სოფლის ცენტრში იყო განთავსებული და ნარსულში სახალხო მამულს ეკუთვნოდა. დასის ნევრებმა ქვევრები ამოთხარეს, გაყიდეს და თეატრი გამართეს, როგორც მოსალოდნელი იყო, კლუბს

შამშე ლეუავას სახელი შეერქვა. ამის შემდეგ გაჩაღდა ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება. ნარმოდგენა ნარმოდგენაზე იმართებოდა, შემოსული თანხები თეატრსაც ხმარდებოდა, უმუშევრებსაც, ღარიბ ბავშვებსაც და მინისდერისგან დაზარალებულებსაც. ბოლო ნარმოდგენით, იგულისხმება არსენ საგანელიძის ნანარმოების მიხედვით დადგმული ლიტერატურული სალამო, მოგროვილი ცამეტი მანეთი გადაეცა კიდეც დაზარალებულებს, რა თქმა უნდა, ხელიდას ხელში. ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზინაიდა ზომლეთელს საგანელიძის გვარი გაგონილი ჰქონდა, თუმცა ეს ფაქტი მათ ნათესაურ კავშირს ნამდვილად არ ადასტურებდა.

დღევანდელ თოპასა არსენ საგანელიძისა და, მითუმეტეს, შამშე ლეუავას გვარ – სახელი თითქმის არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ თავის დროზე, იგულისხმება გასული საუკუნის ათიანი წლები, ბატონი არსენი მართლაც სახელგანთქმული მწერალი გახლდათ. თავიდან, როგორც მაშინ მიღებული იყო, ისიც ათასნაირ ფსევდონიმს ეფარგებოდა, თუმცა უურნალ-გაზეთების რედაქტორები მაინც არ ინდობდნენ და ხშირად უწერდნენ ამგვარ შეფასებას:

ორპირელს: „დედინაცვალმა ერთ დღეს გამინერა თავში მირტყამდა“ ...ამის შემდეგ ხომ არ დაგჩემდათ წერა?

აქილეს: უცნაურს ბრძანებთ: „გონიერი, ზღვის ტალღებში მძიმე საგნივით იძირება და უმეცარი, მჩატესავით ტივტივებსა.“ – აბა სცადეთ.

უჩინარს: მოთხოვბა კარგა გრძელიც არის, კარგი ხელითაცა ნანერი, ქალალდასაც არა უჭირს რა, მაგრამ შინაარსის მაგიერ ყველა ესენი როდი გამოიდგება.


კვინის: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. სახელი რა გაქვს, ნაშრომი რა გექნება.

ხომ მნარეა?

მნარეა, მაგრამ არც იმათ გაემტყუნებათ. წერა – კითხვის უცოდინარისა და ზარმაცის გარდა ყველას კალამი აეღო ხელში. თხზავდნენ და აგზავნიდნენ. საქმე იქამდე მისულა ერთ – ერთი უურნალის რედაქციას განცხადება დაუსტამბავს და ლიტერატურულ საქმიანობაზე ლამის ხელი აუღია.

ჩვენი ფოსტა:

ახალგაზრდა მწერლებო! მწერლებო, რომლებიც უკვე გამოსულხართ სამწერლო ასპარეზზედ და მწერლებო, რომლებიც გამოხვალთ ახლო მომავალში. ერთი თვე არ არის, რაც უურნალი „კლდე“ გამოდის და ერთ თვეზედ მეტია, რაც ჩვენს რედაქციას აუარებელი ბელეტრისტული და პოეტური ნანარმოები მოსდის. ჩვენ იმაშიც დარწმუნებული ერთ, რომ მრავალი მათგანი ჯერ კიდევ გზაში იმუშევება. ყველანი ჩვენ დიდის ყურადღებით გადავიკითხეთ და შემდეგი უცნაური მოვლენა აღმოვაჩინეთ. ისინი შეეხ-



ბიან მზესა და მოვარეს, ვარსკვლავსა და ელვას, იასა და ყაყაჩოს, ზღვასა და წყალსა, მრვვალ უსულო საგანს, არ-სად ადამიანის ხევნება არ არის! ამის გარდა, ეს უსულო საგნები მუდამ ლაპარაკში არიან, არშიყში, სიყვარულის გამოცხადებაში და ფილოსოფიურ საუბრებში. მზე ახვე-ლებს, მოვარე ნანას მღერის, ვარსკვლავი ლოგინში წვება, ზღვა კლდეს ზღაპარს ეუბნება და მდინარე იზმორება. რაც ძეგებება სიტყვა კლდეს, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, იმავ დროს, ჩვენი უურნალის სახელიც არის, იგი მოსვენებას არ გვაძლევს. ამ სათაურით ჩვენ მოგვივიდა ორმოც-დასამი ლექსი, ასთხუთმეტი მინიატურა, ასთვრამეტი სი-ლუეტი, სონეტი, ჩახრუხაული და მუხამბზი. ერთის სიტ-ყვით, ჩვენი მწერლების საყარელ სიტყვად გადაიქცა. ამის დანაშაულს უურნალი „კლდე“ თავის თავზედ იღებს და მწუხარებას აცხადებს. ამასთანავე უურნალის სარედაქ-ციონ კოლეგიამ ერთხმად დაადგინა მთავრობას თხოვნით მიმართოს, დაკეტოს ეს უურნალი, რადგან სახელის გა-მოცვლისაც გვეშინა. ქართველი პოეტისთვის ვერ გამოი-გონებ ისეთ სახელს ან სიტყვას, რომელმაც არ ააფრთვა-ნოს, მუზა არ გააღიზიანოს და ლექსი არ დაანერინოს.

ისეთი პირი უჩანს, არსენ საგანელიძე ნაწყენი დარჩეულა. ერთხანს არაფერი დაუბეჭდავს, თუმცა ეს ამბავი დღანს არ გაგრძელებულა და ერთ მშვენიერ დღეს არსე-ქართულ ლიტერატურაში სამუდამოდ დაბრუნებულა, რონდ ამჟერად ფსევდონიმის გარეშე. სწორედ ამ დროს ქმნილა მისი მოთხრობები: „ფირალი დავლიანიძე“, „ეფ-მას ოცნება“, „ხვედრი“, „თინათინი“, „რას მიქვაი?“. ამ ლონ ნაწარმოებმა მოუტანა მნერალს საქვეყნო აღიარე-დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ჯილდოები და თხველის სიყვარული.

მოთხრობაში ალექსანრიული ფორმით, რა თქმა უნდა, ნებადართულ ფარგლებში, ისე რომ არავის არაფერი სწყე-
ნოდა, ერთი ოჯახის თანაცხოვრების ფონზე, აღწერილი
იყო საქართველოში ახალი ცხოვრების დასაწყისი. მოთ-
ხრობის მთავარი გმირი, მიჩმანი ეროვენევი, რომელსაც,
სხვათაშორის, დედა ქართველი ჰყავდა, პოლიტიკური სი-
ძეცის გარდა იმით გამოიჩინდა, რომ ფილოსოფიურ გა-
მოთქმება თუ აფრიკიზმებს სთვაზობდა მოსაზღრეს და
მათი გასრულების შემდეგ ყველაზე ხმამაღლა თავადვე
იცინოდა. რომანში გაბნეულმა მარგალიტებმა ხალხში გა-
დაინაცვლა, სხვა მწერლების შემოქმედებაშიც პპოვა ასახ-
ვა და ერთი — ორი პლაგიატიც დაფიქსირდა. მონას მხო-
ლოდ ერთი ოცნება შეიძლება პქნონდეს, ბაზარი, სადაც
პატრონს თავად შეიძენს, ხმირად უმეორებდა მიჩმანი
ეროვენევი მეუღლე კლავდიას, როდესაც იგი, ქართველი გო-
ნებით, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების განჭვრეტას
ლამობდა. მოგვიანებით რომანის მიხედვით ფილმიც გადა-
იდეს, რომელიც იხილა კიდეც ქართველმა მაყურებელმა,
ოლონდ, როგორც კინემატოგრაფს სჩვევია, შეცვლილი სა-
ხელწოდებით.

მოღვაწე, არსებ საგანელიძე. მოგვიანებით, გარკვეული მიზეზების გამო, შესაძლებელია, მემორიალურ დაფას სა-დარბაზოში გადაენაცვლა, რითიც საყოველთაო გაცვირვე-ბას აუცილებლად გამოიწვევდა, რადგან თბილისელები მე-მორიალურ დაფას შენობის გარე კედელზე იყვნენ მიჩვეუ-ლები, ფასადს რომ ეძახიან, სწორედ იქ, მაგრამ ქართვე-ლების მომხვეჭელობას თუ გავითვალისწინებთ, რაც ყვე-ლაფრის მოპარვა – გაყიდვასა და უკეთეს შემთხვევაში, სახლში წალებით გამოიხატება, იქნებ ასეც კი სჯობდეს.

თანაგრძნობა მუქთი გახლავთ, შურს კი დამსახურება უნდა, ხმირად იმეორებდა მომლიმარი არსენ საგანელიძე მრავალრიცხოვან სუფრებასა თუ შინაურულ ლიტერატურულ საღამოებზე, რომელთა უცვლელი და ენაწყლიანი თამადა - წამყვანი თავადვე გახლდათ.

მოთხოვის ნარმატებამ მზერალს ბევრი მტერი შესძინა. ნარმატებისა თუ მტრობის მიზეზი ისუც გამხდარა, რომ საგანელიძის შემოქმედება იმთავითვე რევოლუციური იდეაბით ყოფილა გამსჭვალული და ძმობა – ერთობის წითელი დროშით შეფერადებული. ბოროტი ენები იმასაც ამტკიცებდნენ, ვითომდა მწერალს რამდენჯერმე საკუთარი ჰონორარი და ასევე საშაქარლამოს ნახვარი თვის შემოსავალი სოციალ – დემოკრატიული პარტიის თვის ნება-ყოფლობით გადაუცია, სადაც, ისევ ამ ენებს თუ დაკუჯერებთ, მეგობრებიც საკამაოდ ჰყოლია. მოუხედავად ამისა, გარკვეულ დრომდე არსენ საგანელიძის კეთილდღეობას თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ყველას თვის მოულოდნელად, ყველაფერი შეიცვალა.

როგორც ყველა მწერალი, არსენ საგანელიძეც კრიტიკოსმა მოკლა, რა თქმა უნდა, ენით და რა თქმა უნდა, გადატანითი მინშვერელობით. ერთმა გავლენიანმა კრიტიკოსმა, ერთ კერძო საუბარში, ერთ სუფრაზე, ერთ კოლეგასთან, საგანელიძე ერთი – ორი თბილი სიტყვით მოიხსენია და პირდაპირ ასე თქვა: ეს ჩევნი არსენი დიდი შემოქმედებითი იმპოტენციალის მქონე მწერალია. რადგან, კერძო საუბრის მიუხედავად, ასეთი რამ არ იმაღლება, საგანელიძეს-თვის რამდენიმე დღეში ყველაფერი ცნობილი გახდა. დანამდვილებით ვერავინ იტყვას, ამის ბრალი იყო, თუ სხვა რამს, მაგრამ ბატონმა არსენმა ამ ამბიდან ორიოდე კვირაში ზერა შეწყვიტა და მას ძემდევ სიტყვაც აღარ გადაუტანია სუფთა ქალალდზე. ხალხში ხმა გავარდა, და როგორც მოსალოდნელი იყო, ყოველივე იმ კრიტიკოსს დაბრალდა, რომლის გვარ – სახელსაც, საგანელიძების გარდა, დღეს უკვე ველარავინ იხსენებს.

თუმცა იყვნენ სხვებიც.

ამბობდნენ, თითქოს სახელგანთქმულ მწერალს უცნაური რამისთვის მიეკნი, რაც ადამიანის ჩარჩოებში მოქცეულ ცხოვრებას სრულიად უსარგებლოს ხდიდა და შემოქმედებითი მწვერვალების დასაპყრობად სრულიად ახალ, ჯერ არნახულ გზა – ბილიკებს უხსნიდა ხელოვანს. ამგვარ შეხედულებას ისიც ამყარებდა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ყოფილი მწერალი კეთილდღეობასა და დაფასებას სხვადასხვა ხელისუფლების დროს თანაბრად ინარჩუნებდა, რაც, თავისთავად, ჩვენს ქვეყანაში, მიღწევად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ გარკვეულ სტაბილურობაზე მაინც მეტყველებდა, ის კი საჯანელობის ელასტიური გონიერი გონიერის

დამადასტურებულ საბუთს ნამდვილად წარმოადგენდა. მოკლედ, ამ საუბრებიდან კარგად ჩანდა, რომ ყველაფერში რაღაც საიდუმლო იგულისხმებოდა, მაგრამ რაიმეს დამტკიცება, როგორც ყოველთვის, ჭირდა, ასე რომ, კრიტიკოსის მწარე ენით გულდაკონილი მწერლის ვერსია გაცილებით სარწმუნოდ გამოიყურებოდა.

რას წარმოიდგენდა ლეო კიკაბიძე, რომ საგანელიძეების გვარი ერთხელ და სამუდამოდ შეცვლიდა მის ცხოვრებას. უმცროსთან, კულინართან ნაცნობობა მის ბედს შეატრიალებდა, უფროსთან, მწერალთან საუბრები მის სულს ააფორიაქებდა. ასე რომ, გინდა-არ გინდა, არსენ საგანელიძე ლეოს მამა გამოიდიოდა, ოლონდაც არა ბიოლოგიური, არამედ სულიერი, მისაბად მაგალითს რომ ეძახიან, სწორედ ისეთი.

როდესაც რამეში გარკვევა ჭირს, ყველაფერი დროს ბრალდება.

დრო იყო მშფოთვარე.

დრო იყო მთვრალივით ბარბაცა და ფეხარეული.

დრო იყო ძველის დავინწყების და ახლის ათვისების.

ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს, რომ ყველა სამუშაოს ექცევდა. ლეო კიკაბიძეს ამ მხრივ გაუმართლა, ახლა მხოლოდ ისლა ანალვლებდა, რომ როგორმე ადგილი მოეპოვებინა და თავი დაემკიდრებინა ცხოვრებაში. არადა, გუმბინით გრძნობდა, სამუშაოს შოვნა სულ სხვა რამ იყო და ადგილის პოვნა კი სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო. თუმცა ერთი იმედი მაინც ჰქონდა გადანახული, დარწმუნებით შეეძლო ეთქვა, რომ ადგილს იქ მაინც ედირსებოდა, სადაც ადრე თუ გვინდ ყველაზო გაზრდავრებოდნენ.

ამ ფიქრით გაჰყვა მატარებელს ლეო კიკაბიძე სადგურ სუმბათოვისევნ, რაშიც გადაიხადა კიდეც ექვსი მანეთი და ექვსი კაპიკი, როგორც მესამე კლასის მგზავრმა. იგივე თანხა უნდა გადაეხადა, რასაკვირველია, უკანა გზაზეც, მაგრამ პირველი უბნის პროკურორის თანაშემნეს ეს ამბავი დიდად არ ანალვლებდა, რადგან სამსახური ნაშოვნი ჰქონდა და ორივე გზის მგზავრობის საფასურსაც ეს სამსახური ფარავდა.

გამოსარკვევე საქმეს დიდი სირთულე თავიდანვე არ ეტყობოდა, მაგრამ გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას მაინც ითვალისწინებდა.

ყველაფერი კი სპექტაკლით დაწყებულა.

თბილისში ახალი სეზონი გაიხსნა, წინანდელზე გაცილებით სრული და მადლიანი. ახალი რეპერტუარი, სათეატრო ეფექტები, დეკორაციები, დასის მუყანი მუშაობა იმის იმედს ულვიძებდა მაყურებელს, რომ პროგრესი ჩვენი ხელოვნების ჯერ არ შეჩერებულა. რამდენიმე ახალმა პიესამ დაამტკიცა, რომ ბევრ ნაკლთან ერთად, ჩვენი სცენის მუშაკებს თავისი საქმის დიდი სიყვარულიც აქვთ და შეძლებისგვარად იმის სურვილიც ამოძრავებთ, რომ დასძლიონ ძველი შური და კინკლაობა. შედეგმაც არ დააყოვნა, დაიდგა რამდენიმე ახალი წარმოდგენა, „მთის ზღაპარი“, „ევგრენ“ და „ანტიგონე“. ხალხი წარმოდგენის სანახავად ხალისით დაიარებოდა, მომზნებელიც ბევრი იყო და დამწუნებელიც, გრძნობების სიჭრელეს განსაკუთრებით „მთის ზღაპარი“ იწვევდა, რომელსაც თვალის ერთი გადავლებითაც ეტყობოდა სხვაზე მეტი დაუმთავრებლობა, როგორც სასცენო ეფექტების, ასევე შინაარსის მხრივაც.

დამსწრე საზოგადოებას განსაკუთრებით აღიზიანებდა გმირების, ლეოს შავი სურთუეკი და მელოს შანგებერის კაბა თუ ფეხსაცმლის ქუსლები, ამის გამო წარმოდგენის ზღაპრული შთაბეჭდილება სრულიად ფუჭდებოდა. იყო ბევრი სხვა რამ, რომელიც დარბაზში მისულ მაყურებელს თვალში ეჩირებოდა და მხიარულ გუნებაზე აყენებდა. კლდეები სახლისაგან ზეთნასმულებივით ბრწყინავდნენ, ბროლის ჩანჩქერეს ხავსი შეჰქენდა, ახლად მოკლულ არნივს ფრთხები და ფეხები გაფეშეა, ხოლო მოკლული შველი დამხრჩვალ კატასა ჰგავდა. შინაგანი ნაკლიც ბევრი ჰქონია, თუმცა ბილეთის შოვნა მაინც ჭირდა. ჩანს, წარმოდგენის წარმატების საიდუმლო სულ სხვა რამეში გახლდათ საძირებელი.

სიმართლე მაღლე დადგინდა.

რუსთაველის თეატრს იმ ხანად ყველაზე კარგი ბუფეტი ჰქონდა გამართული, აზიური და ევროპული სხვადასხვა მშრალი საუზმეულობით, ნამცხვერებით და ნაირ - ნაირი სასმელებით, რა თქმა უნდა, მისაწვდომ ფასებში. საგანელიძის საშაქარლამო ტკბილეულობით სწორედ ამ ბუფეტს ამარავებდა. ასე რომ, ამ ფაქტის გათვალისწინებით, საკამათო წარმოდგენაზე მაყურებლის დასწრება სრულად გასაგები ხდება.

ნათეავებთან სოფლიდან ჩამოსული მარგარიტა ხაჯიბეგოვა, საგარაულოდ, სწორედ ამის გამო გაემართა სპექტაკლის სანახავად და საგანელიძის დამზადებული ორი ცალი პონჩიკი იგება. შინ დაბრუნებული ხაჯიბეგოვაც ცუდად შეიქნა, თავი უბრუოდა და გული ეზიდებოდა. სახელმწიფო სამკურნალოს ექიმია ლუარსამიძემ, პაციონტის გასინჯვა - გამოითხვის შემდეგ, ყოველივე ბუფეტში მიოთმეულ პონჩიკს დააბრალა და გადაუდებელი ზომებიც მიიღო. კერძოდ, ავადმყოფს რომ ძილი არ მოკიდებოდა და ძილში არ გაპარულიყო, ხაჯიბეგოვა ძმრით დაზილა, ცივი ტილოც შეაშველა და გვარიანადაც შეანჯლრია. შემდეგ პირში თითები ჩაუტენა, ყელში ფრთა გამოუსვა და თბილი წყალი ასვა, რითაც პირის ლებინება გამოინვია და მარგარიტა ხაჯიბეგოვას შემდგომი გართულებები თავიდან ააცილა, მოკლედ გადაარჩინა. გონზე მოსულმა მარგარიტამ ყველაფერში საგანელიძე დაადანაშაულა. ეს ამბავი პოლიციის ყურადღები მიიღოდა და, როგორც მოსალოდნებლი იყო, საქმეც აღიძრა მოქალაქე ხაჯიბეგოვას პონჩიკით მოწამვლის გამო. მიუსედავად მფლობელის გააფთრებული წინააღმდეგობისა საშაქარლამო დაიღუქა, ხოლო პონჩიკი შესამოწმებლად გაიგზავნის ჯანსახურმის ლაბორატორიაში. საქმის ამგვარმა მოტრიალებამ საგანელიძე ძალზედ აზარალა. ხუმრიობა ხომ არ იყო, ფული ფულად იკარგებოდა, სახელი კიდევ სახელად, ამის გამო კონდიტრი საგანელიძე გამუდმებით სთხოვდა გამომძიებელ კიკაბიძეს მოკლევის დაჩქრებას და აჩქრებას. ყველა ეს საუბარი ლიმილითა და ქათინაურებით სრულდებოდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, თუ რა იგულისხმებოდა მხიარული გუნებაზე ადგილის უკანასკნელი და არამედ სანახავაში გამოიდინა, რამ კონდიტრის მაცდური ლიმილის უკან ბევრი რამის დანახვა შეეძლო კიკაბიძეს.

ქვეყანა ახალ ცხოვრებას აშენებდა.

ამ ახალში იურისპრუდენციაც იგულისხმებოდა, რა თქმა უნდა, ძიებითა და საქმეების ძიების შემდგომი განვითარებით, ანუ სასამართლოთი. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც გამოძიება უსაშველოდ იწელებოდა და საქმის საჯარო განხილვა სასამართლოში, რუსული ენის არმცოდნე ქართველებს ათასგვარ თავსატეხს უჩენდა, რაც საბოლოოდ ისევ მათ ბედ – იღბალზე აისახებოდა ხოლმე. წარსულს ჩაბარდა ათასგვარი, უსარკებლო სუდების დრო: პოსტრეფინისა, პრისუტსტვისა, სოფლისა, ობლისა, შემოდიოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მართალია, ჯერ მხოლოდ სამხედრო საქმეებზე, მაგრამ ისეთი პირი უჩანდა, სიახლე მალე სამიერალქო სასამართლოშიც გადაინაცვლებდა. შემცირდა ძიების ხანგრძლივობაც, ამასთანავე მოიმატა გამომძიებლის ნამუშავაც და ჩაგრულმა ხალხმა, დროებით მაინც, შვებით ამოისუნთქა.

თბილისი ლეო კიკაბიძეს სწორედ რომ ნამუშიან გამომძიებლად იცნობდა.

მატარებელმა რყევას უმატა, თუმცა არა ისე, რომ მგზავრს ახალგამოსული, სადგურში შექნილი „დემოკრატიული კალენდრის“ ფურცლებისთვის თვალის მიდევნება გასჭირებოდა.

ბევრი სასარგებლო რამ ეწერა ამ კალენდარში: ფოსტატელეგრაფი და მისი ხარჯი, რეინიგზის სადგურები და ბილეთის ფასი, ზომა, წონა, საწყაო, სამოსამართლო საქმეები, ვადები, ხარჯები, ღერბის ხარჯი, რომელი პირობა წერილობით უნდა დაიდოს და რომელი სიტყვიერად შეიკრას. იყო ბევრი სხვა საინტერესო მასალაც, რომელიც გზაზე შემდგარ მგზავრს არ მოაწყენდა და დროის მოკვლაში დაეხმარებოდა.

კითხვა – კითხვაში სუმბათოვიც გამოჩნდა.

გამომძიებლის ბედად ხაჯიბეგოვების კარ-მიდამო სადგურიდან ნახევარი საათის სავალზე გახლდათ და ადამიანს ფეხით მისვლა არ გაუჭირდებოდა, მეტიც, გავლა სასიამოვნოც კი აღმოჩნდა, რადგან კიკაბიძეს, ყველაფერთან ერთად, ამინდიც კარგი შეხვდა.

მასპინძლები გავრიანი გაკვირვებულები დარჩენენ გამომძიებლის გამოჩნით, მაგრამ სახელმწიფოს სამსახურში მდგარ მოხელეს ვეღარაფერი გაუბედეს და ჩეულ გოდებასა და ვიშვიშს მოჰყენენ, რა თქმა უნდა, თარჯიმინის დახმარებით. მათი სიტყვებით ისე გამოდიოდა, რომ ყველაფერში საგანელიდის პონჩიკი იყო დამნაშავე და კონდიტერს საკუთარ ენაზე წყევლა-კულვას უთვლიდნენ. მართალია, კიკაბიძეს ჯანსახომის დასკვნა ჯერ კიდევ ხელთ არ ჰქონდა, მაგრამ ეჭვის ჭია მაინც ღრღნიდა. მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ოციოდე შექმულ პონჩიკი მხოლოდ ერთი აღმოჩნდილიყო საზიანო. არადა, იმ საღამოს ზუსტად ამდენი პონჩიკი გაიყიდა, რაც დაადასტურა კიდეც რუსთაველის ბუფეტის საბუალტრო აღრიცხვის დავთარმა. კიკაბიძე ხერხი იხმარა, ჯანსახომის არარსებული დასკვნა მოიშველია და მასპინძლები პონჩიკის ვარგისიანობაში დაარჩმუნა. ხაჯიბეგოვები გატყდნენ და სიმართლე აღიარეს. მარიამ ხაჯიბეგოვას თავი უიმედო სიყვარულის გამო მოუწამდა, ხოლო ყოველივე საბრალო საგანელიდისთვის დაუბრალებია, რაშიც კონდიტერის პონჩიკიც ყოფილა გარეული.

ლეო კიკაბიძე თბილისში იმავე დღეს დაბრუნდა.

ჯანსახომიდან მოსულმა დასკვნამ საგანელიდის სიმართლე დოკუმენტურად დაადასტურა. გამომძიებელმა უფროსის სახელზე ბარათი შეადგინა: „გაცნობებთ რომ სისხლის სამართლის მილიციამ, პროკურატურასთან ერთად, ანარმო ამ საქმეზე ვრცელი გამოძიება. პონჩიკი საანალიზიდ გაიგზავნა ჯანსახომის ლაბორატორიაში. ანალიზით გამოირკვა, რომ პონჩიკი დამზადებულია გიგინური ნეტების დაცვით. საერთოდ გამოირკვა, რომ ხაჯიბეგოვის ქალი არ მონამლულა პონჩიკისგან, მას სულ სხვა ავადმყოფობა აღმოაჩინდა. პროკურორის განკარგულებით, სისხლის სამართლის დანაშაულობის უქონლობის გამო საქმე მოისპონ.“

ეს ამბავი საგანელიდის ყურამდეც მივიდა. ვისაც ამგვარი რამ საკუთარ თავზე გამოუცდია და დაჭერას გადარჩენილა, კონდიტერს უეტესად გაუგებს. საგანელიძემ ბავშვივით გაიხარა, შვება იგრძნო და იმედიანი მომავლის ძალა თუ ენერგია ხელახლა შეიგრძნო. ცარიელი მადლობა, შექმნილ სიტუაციაში, კონდიტერის აზრით, ვერაფერი შვილი იყო. ატყდა ქართული შეთავაზება და ასევე ქართული თავაზტიუ. ლეო კიკაბიძემ გასამრჯელოზე ამჯერადაც უარი განაცხადა. კონდიტერმა საგანელიძემ ხერხს მიმართა და პროკურორის თანაშემწეო ღვაცხურ სადილზე დაბატიუ, ოღონდ არა საკუთარი სახელით, არამედ მამამისის, მწერალ არსენ საგანელიდისა, თანაც აღუთქვა, რომ სადილს უცხო არავინ დაესწრებოდა.

უარის თქმა ჭირდა.

გაუჭირდა ლეო კიკაბიძესაც და შემოთავაზებულ წინადებას დუმილით შეხდა, რაც, როგორც ცნობილა, ოდითგანვე თანხმობის ნიშანი გახდავთ.

ლეო მწერლებს არ იცნობდა. პირადად არ იცნობდა, თორემ მათი ახირებული ხასიათის შესახებ ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი. მეტიც, რადენიმე დაუნდობელი შეკამათების მომსნეც გამხდარა სრულიად მოულოდნელად, თანაც ისე, რომ ამ კამათის ნამდვილი მიზეზი მისთვის მანც საიდუმლოდ დარჩენილა.

იმ ხანად ევროპულად გამართული საპირფარეში მხოლოდ სასტუმრო ენგლეტერს ჰქონია, სადაც იკრიბებოდნენ კიდეც რევოლუციურად განწყობილი მწერლები. მართალია, ფასიან საპირფარეში ყველას არ უშვებდნენ, მაგრამ ლეო, შეეიცარ შალიკო დუფუჩივას დახმარებით, მაინც ახერხებდა შესვლას. თავად შალიკო, კონდიტერ საგანელიდის მსგავსად, თავისი დროზე საპატიმროსაც ჰყავდა გადარჩენილი, ასე რომ, პროკურორის თანაშემწეო პირველ სართულზე, სადაც იყო კიდეც განთავსებული აღნიშული დანერებულება, სასურველი სტუმარი გახლდათ. ლეოს მოსწონდა ევროპული ყაიდის სისუფთავე, სინწარე და ძვირფასი სუნამოს სუნი, რომელიც ლეოსნაირ ადამიანს ფიქრისა თუ ოცნების გუნებაზე აყენებდა. ხოლმე, მართალია, მწერალთა შეკრების ადგილი საპირფარენა გვარიანი მანძილით იყო მოცილებული, მაგრამ გაგლობისებულ ლიტერატორთა ხმები ჯადოსნური, ამოუცნობი გზებით ლეოსა და სხვა სტუმართა ყურამდე მაინც აღწევდა.

საპირფარეში მოხვედრილი ადამიანი ხშირად გაიგონებდა ამგვარ რამეს:

როგორიც არ უნდა იყოს უშუალო ჯამი წარსული წლის ლიტერატურული მოძრაობისა, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ გასულ წელს ჩვენ უეჭველად ვმყოფებოდით ლიტერატურული წინსელის აღმართზე, მაისში მოხდა პროლეტარულ მწერალთა ყრილობა, რომელმაც ჯამი გაუკეთა წარსულ შემოქმედებით და ორგანიზაციულ მუშაობას და განსაზღვრა მომავალი მუშაობის გეგმა. ასეთია გასული წლის ჩვენი ლიტერატურულ – მხატვრული ცხოვრების საერთო დაბასიათება. ეხლა მივიღეთ მასთან უფრო ახლო და დაწვრილებით შევჩერდეთ ზოგიერთ საყურადღებო ფაქტზე.

რუხაძე გასულ წელს მეტად მდარე და უფერულ ლექსებს იძლეოდა.

ქუჩიშვილი თავისი კრებულით განაგრძობს პრძოლის, რევოლუციის პოეტად ყოფნას.

შანშიაშვილის პროზა არ შეიძლება ჩაითვალოს დიდ მხატვრულ მიღწევად.

ალსანიშნავია ვაკელის დრამატული წარამოებები. ამ ფრონტზე ჩვენი ლიტერატურა ყველაზე უფრო სუსტია. მისი ცდა ამ მხრივ უსათუოდ ყურადღების ლირსია.

პროზის დარგში ენერგიულად მუშაობს პოლუმორდვინოვი.

მაშაშვილმა გასულ წელს საკმაოდ ძლიერი ფაქტები მოგვცა.

წინსელა ეტყობა მხატვრული კულტურის თვალსაზრისით ზოდელავას.

ცალკე წიგნათ გამოიცა ეულის ლექსები. ახალი აქაც არაფერია, მათი უმეტესობა უკვე წაცნობია მკითხველისათვის.

ამის შემდეგ ინყებოდა ცხოველი კამათი. შექებულები იძლინდებოდნენ, გალანძლულები იმუქრებოდნენ, იყო განევ – გამოწვევა, ხშირ შემთხვევაში გინება, ხმაური და ყვირილი, რაც ევროპულად მოწყობილ საპერფარმენტო მოხვედრილი ადამიანის ოცნებასა თუ ფიქრს სრულიად შეუძლებელს ხდიდა.

დიდი რამეა ინტერესი.

კიდევ უფრო დიდი რამეა შიმშილი.

ლეო კიკაბიძეს მწერალთან საუბრის ინტერესი ჰქონდა და გამუდმებული შიმშილის გრძნობა სტანდავდა, ამიტომაც საგანელიძებთან სტუმრობის სხვა მიზეზი აღარ უძებინა და დათქმულ დროს სასიქადულო მწერლის კარს მიადგა.

არსენ საგანელიძე სანტერესო მოსაუპრე გამოდგა. ალბათ სანაქებო ლენინის ბრალიც იყო და ცოტა ხანში პროკურორის თანაშემწებ თავი იმაზე ლალად იგრძნო, ვიდრე საკუთარ ნაქირავებ ოთახში.

– აფსუსი არ არის თქვენისთანა საქმის მცოდნე გამომძიებელი ეგრე უკან ჰყავდეს დაწეული ჩვენს მთავრობას. – სინაცულით წარმოთქვა არსენ საგანელიძემ რამდენიმე ჭიქის შემდეგ და თითებში დასრუსილ პაპიროსს ცეცხლი შეაგება. – ეგეთი უმნიშვნელო თანამდებობა რა თქვენი შესაფერია, მერედა რა დაკვირვებით გამოიძიეთ ყოველივე, როგორ დაუზარლად მოქმედებდით, რა გულდასმით მოეკიდეთ უცხო ადამიანის ბედ – იღბალს, არა, თქვენთვის მთავარი პროცესორის ადგილიც არ უნდა დაინანოს თავისუფალმა საქართველომ.

– ეგრეც რომ იყოს, ჩემისთანა გამოუცდელ გამომძიებელს წინ არავინ წასწევს, ჩემი ასაკის გამო ჯერ მხოლოდ უმნიშვნელო შემთხვევების გამოკვლევას მავალებენ, მაგრამ გულს ის მიკეთებს, რომ მენდობან, აგერ ახალი საქმის გამოძიება დამავალეს. – სიამაყით წარმოთქვა დავინით გათამამებულმა ლეო კიკაბიძემ.

– გასახარი ამბავი დაგმართნიათ ღმერთმანი, საინტერესო მაინც თუა ეგ თქვენი საქმე? – ჩაეძია არსენ საგანელიძე.

– აბა, რა გითხრათ, ხეირიანად არც დამიწყია გაცნობა, უფროსებისგან ვიცი, საჩითირო ამბავი უნდა იყოს. – გამომძიებელი წამით გაირინდა, თითქოს ასწონ – დასწონა საოქმელი, ერთიც გახედა მწერალ საგანელიძეს, რომელიც განვლილი ცხოვრების გამო ნდობას გამომძიებლის გან ნამდვილად იმსახურებდა და საკუთარ სათქმელს რამდენიმე სიტყვა კიდევ დაამატა. – ღვთისმსახური ჩივიან, სამდვერებელობას თანხები გაუფლანგავს, გამოძიებასა და საბულალტრო დავთარის შემოქმებას ითხოვენ.

– ეგ ამბავი ჩვენს ყურამდეც მოვიდა, თბილისში რა დამალულა რომ ევეთი რამ მიჩუმათდეს. – სინაცულით გააჭნია თავი საგანელიძემ და ბუხრისკენ გააბოლა. – მართლაც შარიანი ამბავი დაგმართნიათ, მაგათგან სიმართლეს ვერავინ ეღირსება.

– ეგ რატომ? – დაინტერესდა ლეო.

– ამოდენა დროა საიდუმლოს ინახავენ, ხალხს კი არაფერს ეუპნებიან. ადრე კიდევ გასაგები იყო ეგეთი საქციელი, რუსი ეგზარხოსი ჩვენს სასიკეთოს რას მოიმოქმედებდა! მაგრამ ახლა, როცა თავისისუფალი ქვეყანა ახალ ცხოვრებას აშენებს, როცა ჩვენი ეკლესის დამოუკიდებლობა აღსდგა, ვინდა გვიჩქირს?! ცვლილება ყველაფერს დაეტყო, ეგენი მაინც ძველებურად იქცევიან, ვითომ ჩვენ არაფერი ვიცოდეთ. – არსენ საგანელიძემ შეიძლება გადახედა, რომელიც ხმას არ იღებდა, მაგრამ თავის ქნევით სახელოვან მამას სრულ სოლიდარობას უცხადებდა.

– რა საიდუმლო უნდა იყოს?! – გულზეით იკითხა ლეო კიკაბიძემ, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მიზეზით საუბარი არ შეწყვეტილიყო.

– ჩვენი ოჯახის გადამრჩევლისთვის არაფერი მენანება, თქვენი სამსახურის გასამრჯელოც ეგ იქნება. – საგანელიძემ კვლავ საკუთარ შეიძლება, რომელმაც საიდუმლოს გათქმაზე მამას მუნჯური თანხმობა მისცა. – სამოთხის ადგილებს არიგებენ, იმას კი არავის ეუბნებიან, რომ რახანია ყველა ადვილი შევსებულია.

ლეო კიკაბიძეს თავში თითქოს უზარმაზარი ჩაქუჩი ჩასცებეს. მართალია ისეთი ტეკივილი არ უგრძვნია, რაც ასეთ შემთხვევას ახლავს ხოლმე თან, მაგრამ გვარიანად კი შეაზაზარა პირველი უბნის პროცესორის თანაშემწენე.

იქნებ მოეჩენენა?

იქნებ მოეყურა?

იქნებ სასმელმა დარია ხელი სმაში გამოუცდელ თანაშემზეს?

– ადგილი აღარც სამოთხეშია და აღარც ჯოჯოხეთში, რა უნდა ენას ჩვენმა მოსახლეობამ, როდემდე უნდა ითმინოს?! – გაიმეორა არსენ საგანელიძემ და სულიერი აღელვებისგან ფეხზე ნამოდგა.

მაშ არაფერი მოსჩვენებია.

დიდად განათლებული კაცი ლეოს არ ეთქმოდა, მაგრამ იმდენი კი გაეგებოდა, რომ არსენ საგანელიძის სათქმელში მცირედი ეჭვი შეეტანა. წამსვე გამომძიებლის ინტერესმა იმძლავრა და კიკაბიძემ სრულიად დროული შეკითხვა დასვა.

- დიდა ხანია შეივსო ეს ადგილები?
- იქნება ასე ათი, თორმეტი საუკუნე.
- შეიძლება მეტიც. - პირველად ამოილო ხმა კონდიტერმა.

ლეო გაჩუმდა. მასპინძლებს შეხედა, რომლებსაც პირვანდელი კეთილგანწყობა დაეკარგათ და პირქუშად იცქირებოდნენ. ფიქრისთვის წამებილა რჩებოდა.

სულ მთლად მართლა არ უნდა იყოს ეს ამბავი, მაგრამ ისეთი გრძნობა დასტყუბიათ, სიცრუესაც ხელალებით ვერ დააბრალებს ადამიანი, ანდა რაში ესაქიროებათ ეს სიცრუე, ჩემგან რა ხეირი უნდა ჰქონდეთ, სხვა რამეს კი გაიღლებდა კაცი გულში, მაგრამ პონჩიკის საქმე ხომ არქიეს ჩაბარდა და კონდიტერიც გამართლებულად სცნეს, სულით ავადმყოფებსაც რომ არ ჰქონდეთ, ასე ერთად ხომ არ გაგიჟდებოდნენ, არადა, მართალი რომ ალმოჩნდეს? - ფიქრობდა გამომძიებელი კიკაბიძე, რომელმაც აღნიშნული ფიქრის შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა, ფეხი არ მოეცვალა საგანელიძების ოჯახიდან, იქამდე, ვიდრე საქმეში ისე არ გაერკეოდა, როგორც მიჩეული იყო.

- კარგად მესმის თქვენი შეშფოთება. - სიტყვა შეაშველა მწერალმა. - ალბათ ფიქრობთ, სიცრუე რაში უნდა სჭირდებოდეს ამ ხალხს, რა ხეირი უნდა ჰქონდეთ, პონჩიკის საქმე ხომ არქიეს ჩაბარდა, ეს ჩემი კონდიტერი გაამართლეს, სამართალმა პური სჭამა, გიუბებსაც არა ჰქონან, ან თუ გაგიჟდენენ, რალა ერთად დაემართებოდათ ეს ამბავი, ასეთი უნდა იყოს თქვენი გულისთქმა ჩემის დაკვირვებით.

გაკირვებისგან პირი დაალოო, სწორედ ლეოზე იყო ნათქვამი. საქმით ისე გამოდიოდა, რომ სასიქადულო მწერალი, სხვა ყველაფერთან ერთად, სხვისი აზრების ამოცნობის ნიჭითაც ბრძანდებოდა დაჯილდოებული. რაღაც - რაღაცები ამგვარი ამბების შესახებ ახალგაზრდა გამომძიებელსაც ჰქონდა გაგონილი, მაგრამ საკუთარი თვალით არასოდეს ენახა. ლეო დაფრთხა. ხუმრიბა საქმე ხომ არ იყო, კაცი ბრძანდებოდა და ათასი საფიქრალი სტანჯავდა. ეს კიდევ არაფერი, ათას საქმეს იძიებდა, რომლის მსვლელობა თუ წვრილმანები გულმოდგინედ უნდა აერიდებინა ავი თვალისთვის, რის შესახებ მკაცრად გააფრთხილეს და ხელნერილიც შეავსებინეს, რა თქმა უნდა, სამსახურში ანუ პროკურატურაში მიღებისთანავე. თუმცა ესეც არაფერი, კაცმა რომ თქვას, ჯერჯერობით მნიშვნელოვანს არაფერს ანდობდნენ, საიდუმლო კი ნამდვილად ჰქონდა, როგორც მისი ასაკის ყველა მამაკაცს, რომლის გამხელის შიში გამუდმებით თან სდევდა, რადგან საკუთარ თავსაც იშვიათად უტყვებოდა ხოლმე. ძნელი მისახვედრი ალარ უნდა იყოს ლეოს საიდუმლოს ამბავი, გამომძიებელი შეყვარებული გახლდათ ოლინკა დაგებუაძეზე. მართალია, თავად ოლინკა დაგებუაძემ ამის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ გამოცდილი თვალი სრულიად ადვილად შეაჩინევდა, რომ გამომძიებელი კიკაბიძე, სახალხო სახლში ყველა იმ წარმოდგენას ესწრებოდა, რომელშიც ოლინკა ჰყავდათ დაკა-

ვებული. განსაკუთრებით კარგი თამაში მას რამიშვილის პიესამი გამოსდიოდა. ეს პიესა, „მეზობლები“, კვირაში ორჯერ მაინც იდგმებოდა და ხალხიც გვარიანად დაიარებოდა, რაც რეჟისორის ენერგიული მუშაობის შედეგი უნდა ყოფილიყო. თუმცა იყვნენ სხვებიც, რომლებიც წარმოდგენის წარმატებას იმ ირისით ვაჭრობას აბრალებდნენ, რომელიც ბლობად იყიდებოდა აღნიშნული სპექტაკლის დროს და რომელიც განათლებული თუ ევროპულ ცხოვრებას მოწყურებული ქრონიკების სამართლიან გულისწყობას იწვევდა. ღმერთო, როდის მოვა გონს ხალხი? ღრიანცელს ხომ დასასრული არ უჩანდა? ისლა გვაკლდა, რომ წარმოდგენის დროს ირისით ვაჭრობაც კი დაიწყეს, შეიგნეთ, რომ ყველა ეს ზნებრივი დაქვეითების მოწმეა, გონს მოდით, გონს! ჩიოდნენ ზემოთ აღნიშნული ქართველები და სინანულ-მორებულნი თავს აკანტურებდნენ. საქმე კიდევ უფრო შორს ნასულა და ერთ ენაკვიმატ უურნალისტი საგაზეთო წერილიც გაუმზადებია სათაურით, „შანტაჟი თეატრში“: „არის ვინმე მსახიობი და კობახიძე, რომელიც მსახიობის გარდა ყველაფერსა ჰგავს. დადის და სდგავს პიესებს, თუმცა კარგებს, მაგრამ თავისებურად გადამახინჯებულს. როდესაც შეეკითხებით, თუ რატომ სჩადის ამას, ის გიპასუებთ მანჭვაგრეხით: მე ყმანვილი პროფესიონალი გახლავარ და შემიძლიან კიდევ ავტორის მაგივრადაც მოგანერო ჩემი გვირი. სახელს აღარ იყითხავთ, თუ რა დაურქმევია დასისთვის? სცენის მსახურთა მოგზაური პროლეტარული დასი, სახელნოდებით „დემოსი“. როგორც გავიგებ იმ პიესათა ავტორიც კი მიუწვევათ საგანგებოთ, რომლის პიესებიც გადაუწყვეტიათ და სდგავენ, მაგრამ რა დარწმუნებულა მათ ფუქსავატობაში პატივცემული მწერალი ისევ გაბრუნებულა უკან. როგორც სარწმუნოდ გადმომცეს დასის წევრებს განცხადებაც კი შეუტანიათ იმ პარტიის ბიუროში, რომლის სახელითაც გამოდიოდა ხსენებულ ფანტაზიორთა ჯვუფი. უჩივიან, აღარ გაბედოს კობახიძე „დემოსის“ სახელით გამოსვლა. კარგი იქნებოდა, რომ ყურადღებას მიაკცევდეს ვისგანაც ჯერ არს ამ ვაჟაპატონს აღვირ - ახსნილობას.“

ასეა თუ ისე, დასში შექმნილი არეულობა ლეო კიკაბიძის გრძნობას უკან ვერ სწევდა, თუმცა არც ის უნდოდა, რომ ეს ამბავი დროზე ადრე შეეტყო ვინმეს და ხალხში, განსაკუთრებით სამსახურში, მითქმისა თუ ქილიკის მიზეზი შექმნილიყო.

თავად ლეო, რა თქმა უნდა, ცდას არ დააკლებდა, მაგრამ ისეთი პირი უჩანდა, არსენ საგანელიძის მახვილ მზერას ვეღარსად დაემაბლებოდა.

- განა ქართველი ქალი სხვა რამეზე უნდა მოცდეს?! - იყითხა უფროსმა საგანელიძემ და საბრალო კიკაბიძის დამფრთხილი მზერა მონახა. - დრო იყო, ჩვენი ისტორიული ქალთა სახელები ყველას ენაზე ეკერა, ნინო, შუშანიკ, თამარ, ქეთევან, მარო, მაგრამ ქართველი ქალი მეცხრამეტე საუკუნეში დაეცა, ამდენი უმოწყვლო ტყუილი ვეღარ აიტანა და მას შემდეგ ფეხზე ვეღარ წამომდგარა, ამას მოჰყავა საზოგადოებრივ გრძნობათა მიყუჩება.

- არც სხვები არიან უკეთეს დღეში. - მამას აპყვა კონდიტერი.

- ირგვლივ ბნელა. - სინაულით დასძინა უფროსმა საგანელიძემ. - ქალაქში თუ მოახერხეს ხალხის დაკანინება,

ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს რას სჩადან სოფ-ლად. ყრუ, განუვითარებელი, ბენელ-ჩაფლული, წყვდიად-მოცული ბრძო, რომელსაც გულისყური დახშული აქვს, აი, ჩვენი ქვეყნის სავალალო სურათი. ხალხის ერთს მცირე ნა-ნილს გაუკუმდართებულ გეგმით ასწავლიდნენ, მეორეს მუდმივ სიძნელეში ამყოფებდნენ და მხოლოდ უცხო კერ-პებს ალოცებდნენ, ამან ჩაუხშო ხალხს საზოგადოებრივი მისწრაფება. რუსი ეგზარხოსის დროს მეტად გასაგები იყო ეს ყველაფერი, ჩვენი არაფერი სწამდა და არა ესმოდა, აბა, რაღა საიდუმლოს გაამხელდა. მტრის ჯინაზე ჩვენმა ქვე-ყანამ კვლავ იხილა სინათლე, ეკლესის ავტოკეფალობა განახლდა, ალსრულდა ნატვრა ქართველთა, ახალმა ცხოვ-რებამ იმედი ჩაუსახა ჩვენს ხალხს, მაგრამ ნამდვილად კი რას ვხედავთ, რა მივიღეთ? ისევ სიცრუე, ერთობის მაგივ-რად ულმერობა, ჩანს ქართველს კარგად სცოდნია, მე-ტად კი უგრძვნია ამ საიდუმლოს არსებობა, კარგად დაუ-ნახავს, რომ სამოთხე – ჯოჯოხეთში მისი სულის ადგილი ვეღარ გამოინახება, თავისუფლება ყირამალა შეატრია-ლეს და სწორედ იმას სჩადან, რაც თავისუფლებას ჩირქსა სცხებს და გულწმინდა მოქალაქეს ბოლმით ამოაძახები-ნებს: ღმერთო! ეს თავისუფლება თუ რაღაც ჯანდაბა აღარ გათავდება!?

მიუხედავად ქართველი მწერლის ზემოდ ნახსენები ნი-ჭისა, რაც სხვისი აზრისა თუ ფიქრის გათავისებას გულის-ხმობდა და რაც გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა მოსა-უბრეს, ლეო მაინც ჩაფიქრდა. მთლიანად თუ არა, ნანი-ლობრივ მაინც, არსენ საგანელიძე მართალი გახლდათ. ქვეყანიში შექმნილი გაფასაძლისი მდგომარეობის შესახებ პროექტორის თანაშემწერაც ჰქონდა გაგონილი. გორის მაზრის მხენელ – მთესველი და გონივრულ მეურნეობას მიმდევარი ხალხი ან ამოხოცეს, ან სიკედილის შიშით სდევნეს, ახლა კა, ვინც განადგურებას გადაუჩა, თავის ადგილ – მაბულს მოშორებული უსაქმოდ დაღონლიალე-ბენ დედაქალაქში, მათი ნაშრომ – ნაამაგარი კი ოხრდება. ყველას მოაგონდება სოფლის განმანათლებელი მოღვაწე კონსტანტინე ამირჯაბი, ესაია ფურცელაძე, გ. ტატიშვი-ლი, ნიკო კეცხოველი, ვანო ციციშვილი და მრავალნი სხვანი.

– მტკიცება აღარ უნდა. – განაგრძო საგანელიძემ. – სა-ქართველოს ეკლესის სხეული დაავადებულია, სული დას-ნეულებული, ქართველი სამლელობის ბანაკი მოშხამუ-ლია, მეურნალია საჭირო, ქვეყნას ახალი რელიგია სჭირ-დება, მძღვრი, ძმბა – ერთობის წითელი დროშით შეფე-რილი, რომელსაც ხალხისგან დაფარული საიდუმლო აღარც სულს დაუმიმებს და აღარც გონებას დაუბინ-დაეს... მაგრამ ჯერ ძველს უნდა მივხედოთ, ჩვენ წვრილ-ფეს მსახურებთან საქმე არაფერი გვაქვს, თევზი თავიდან ყარს!

ძნელი მისახვედრი აღარ უნდა ყოფილიყო, თუ ვის გუ-ლისხმობდა აქოთებული თევზის თავში ქართველი მწერა-ლი. გადალლილობის მიუხედავდ ლეოს გონებაც იქითენ მიექანებოდა, საითაც არსენც ექაჩებოდა და, დროებით მაინც, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. რომც მოენდომებინა და ვინმესთვის მოეთხო კიდეც საუბრის შინაარსი, მაინც არავინ დაუჯერებდა. ჯერ ერთი, რომ სხვა მოწმის არა-სებობის გამო მამა-შვილი ნამსვე იუარებდა ყოველივეს,

ლეო კი ვერაფერს დაამტკიცებდა. მეორე კიდევ ის, რომ ვინმე ღვთისნიერს გულთან ახლოსაც რომ მიეტანა ამგვა-რი მტკიცება სულით ავადმყოფთა თავშესაფარი არც ერთს ასცდებოდა, არც მეორეს და არც მესამეს. გამოუვა-ლი მდგომარეობა რომ ჰქვია, სწორედ ისეთი შეიქმნა, არც დარჩენა ვარგოდა და აღარც ნასვლა შეიძლებოდა.

რადგან უკვე მობრძანებული გახლდათ, ლეომ დარჩენა ამჯობინა.

– ხალხს როგორლა გაიყოლებთ? – ძლიერ ამიღერლა კიკაბიძემ და მნერალს იმგვარი თვალებით მიაჩერდა, თითქოს ყველაფერში ენდობოდა.

– აგუსტინით, დავაკერდებთ, საბუთს წარვუდგენთ, ეგეც რომ არ იყოს, საიდუმლოს გაიგებენ თუ არა, თავად მიხ-ვდებიან ყოველივეს თავინათლი გონიერებით, ხომ ბრძენია ჩვენი ხალხი და კარგად ხვდება, თუ გინდა თავისუფალი შეიქნა, კანონის მონა უნდა გახდე. – მტკიცედ თქვა არსენ საგანელიძემ.

– ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც რომ არ გამოგ-ყვნენ? – არ მოისვენა ლეომ, რომელსაც, ამ შემთხვევაში, საკუთარი ბედ – იღბალი მტკად ანაღვლებდა, ვიდრე ხალ-ხისა.

– სხვა რა გზა ექნებათ, ყველა გაითელება, ვინც ახალ ცხოვრებას წინ გადაუდგება! – სიმტკიცე არ მოიშალა სა-განელიძემ. – სიჯიუტეს რაღა ღონე ექნება მაშინ, როდე-საც ჩვენი ენა თავად ატარებს ამ საიდუმლოს. ქართველი იტყვის: მამაძალლომ, მაშ მისი წინაპარი ოდესალაც ძალი ყოფილა, ან კიდევ: ამ ძალს ადამიანის თვალები აქვსო, ლაპარაკი არ შეუძლია, თორებ ყველაფერი ესმისო...

– მელიასავით ფლიდიაო... – შეაშველა შვილმა.

– ღორივით დათვრაო... – სიტყვა თავისდაუნებურად გაუფინდა ლეო კიკაბიძეს.

მამამ შვილს შეხედა, შვილმა მამას, მოკლედ ერთმა-ნეთს კმაყოფილებით გადახედეს, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ საუბარმა სტუმარზე გაცილებით ადრე და უკ-თესად იმოქმედა, ვიდრე მოელოდნენ.

– თქვენცა გცოდნიათ და, აბა, რა გასაკვირია სხვამაც რომ იცოდეს, აღარც ის გაგაოცებთ, რაც ამ ამბიდან უნდა გამოიდოდეს. – სტუმარი შეაქმ ქართველმა მწერალმა.

– მაინც რა გამოდის? – ჩაეძია ლეო.

– რა გამოდის და ჯერ აქ გვაპნევენ, მერე კიდევ იქა. სუ-ლი რომ სამოთხეს მიაკითხავს და ადგილს ვეღარ იპოვნის, რაღა უნდა ქნას?

– არ ვიცო. – გულწრფელად თქვა ლეომ და გაკვირვე-ბული სახე მიიღო.

– ჯოჯოხეთს მიუკაუნებს, მაგრამ ადგილი აღარც იქ დაუხედება, ისღა რჩება უკან დაბრუნდეს და ადგილის ძებ-ნა ბუნებაში დაიწყოს, ბინად ყველაფერი გამოიდება, ხე, ცხოველი, წყალი, სხვა რამ ნივთი, ჩვენი ეკლესია კი ამას უარობს, ჰგონია, რომ საიდუმლოს გულმოდგინედ ინახავს, დაბრმავებულ ხალხს გონებას ურევს და მონიბაში ამყო-ფებს.

ოთახში სიჩუმე ჩამონვა. კონდიტერმა ღვინო ჩამოასხა, რითაც ოდნავ მაინც შეამსუბუქა დამძიმებული ჰაერი.

– სიჩუმე მაგალითის მოყვანას მთხოვს. – წყნარად თქვა ქართველმა მწერალმა.

ლეომ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— კეთილი. — არსენ საგანელიძემ ამოისუნთქა, ახალ პაპიონსს მოუკიდა და სტუმრის სენ ისე გადაიხარა, როგორც საიდუმლოს გამხელას შეეფერება.

საქართველოდან შორს, ჰიმალაის მთების ძირას, პატარა ქალაქ ჯარმსალაში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ქართველებმა, რა თქმა უნდა, ამ ქალაქის შესახებ, გასაგები მიზეზების გამო, იგულისხმება სიშორე და სხვა ათასი რამ, არაფერი იცოდნენ. გასაკვირია და არც ჯარმსალას მაცხოვრებლებს გაეკოთ რამე საქართველოზე, თუმცა ეს ხელს არ

უშლიდათ, რომ საკუთარი ვალი პირნათლად მოეხადათ.

ყველა სალოცავში შეღწევას ლამობდა, რათა საკუთარი თვა-

ლით ეზილა ხუთი წლის ბავშვი, რომელშიც, მათი

თქმით, წმინდა ლინია რინჩოპეს სული გახლდათ ჩასახლებული. სულის ასეთი

მოგზაურობა, ამ მხარეში, არავის უკვირდა, ამიტომაც შესადგომიან კიდეც გარდაცვლილი წმინდანის სულის ახალი

ნაგთსაცუდელის ძიებას. საჩინოთირო საქ-

მეს თავად მისი მეგობარი ჩასდგომია სათავეში, რომელ-

საცხილვებისა და სიზმრების დახმარებით, გამოუვლენია კიდეც სულის მომავალი ადგილსამყოფელი. რა გასაკვირიც უნდა იყოს, სული სწორედ ბავშვის სხეულში უნდა ჩასახლებულიყო. ბევრი ალარ უფიქრიათ, მოუგროვებიათ შეიდასამდე ბავშვი, უსაუბრიათ, დაპკირვებიან, გამოუცდიათ და ბოლოს სენ ათიოდელა დაუტოვებიათ. რჩევა — რჩევაში ორიოდე კევირა გასულა, ახლა მათთან დაუწყიათ საუბრები, გვარიანი დრო დაუკარგავთ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოსულა, დაეჭვებას მხოლოდ ის ინვევდა, რომ ათის მაგივრად ცხრ ბავშვთან უწევდათ გასაუბრება, რადგან მეათე რამდენიმე დღეა აღარსად ჩანდა. გაიკითხეს, გამოიკითხეს და სამწუხარო ამბავი შეიტყვეს, ბავშვს დედა მოჰკვდომია და ისიც ქალაქ ჯარმსალაში დაბრუნებულა, სადაც იზრდებოდა კიდეც ამ ამბებამდე ხუთი წლის განმავლობაში. სხვა რა გზა ჰქონდათ, უკან უნდა გაჰყოლოდნენ. ასეც მოიქცნენ. რამდენიმე დღე ბავშვის დაკვირვებაში გაატარეს, თვალს არ აცილებდნენ, ყველაფერი აინტერესებდათ, როგორ იქცეოდა, როგორ ჭამდა, როგორ იღიმებოდა, ძილის დროსაც დასცეკროდნენ, თითქოს მისი სიზმრების ამოცნობას ლამობდნენ. დრო აღარ ითმენდა, ბოლო გამოცდის დღეც დადგა. ბავშვი საუბრით გაართეს და ოთხი სავსებით ერ-



მხატვარი ნინო ზალიშვილი

თნაირი კრიალოსანი მიაწოდეს. პატარას ფიქრში წუთიც არ დაუკარგავს და თითო სწორედ იმისკენ გაიშვირა, რომელსაც გარდაცვლილი ვანჩიპე გვერდიდან არ იცილებდა. შემდეგ კრიალოსანი მარცხენა ხელში აიღო და ისე დაიწყო ქვების ჩამოყრა, თითქოს მასთან ერთად იყო დაბადებული. ამან ყოველივე გადაწყვიტა, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ამბავი გახლდათ, ვანჩიპე ბავშვობაში სწორედ რომ ცაცია ბრძანებულა და მხოლოდ მოგვიანებით დაუმარცხებია ეს უხერხული ჩვევა.

სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა სამოსის გამოცვლა.

ამის შესახებ, რა თქმა უნდა, სხვა ბევრი რამის შესახებაც, ფილიპ კორიგანმა არაფერი იცოდა, თუმცა ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეეძლო, დღე დღეს მისდევდა, დამე ლამეს ცვლიდა, ის კი ერთ სიზმარს ხედავდა, რომელიც, მიუხედავად გუნება — განწყობისა, არასოდეს იცვლებოდა. სიზმრის შინაარსი ასეთია: ბედნიერ ოჯახში იზრდებოდა, ორი და ჟყოლია, თავად მესამე ყოველა, ყველაზე უფროსი. მათ ბედნიერებას

თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ოჯახში საშინელი ამბები დატრიალდა. ამ სიზმარს ისიც დაემატა, რომ ფილიპის ოჯახი საცხოვრებლად ქალაქ ბრედფორდთან ახლოს გადაბარგდა, სადაც პატარა მაღაზია შეიძინა და ვაჭრობა გამართა. სამუშაო მისთვისაც გამოჩნდა, დილით ადრე იღვიძებდა და ქუჩა-ქუჩა გაზეუბს დაატარებდა. ასე აღმოჩნდა ლიტლრედ ლეინის ჩიხში, რომელსაც სიზმრისეული სახლი ამშვენებდა. მშობლებმა, რა თქმა უნდა, არაფერი დაუჯერეს, არადა, სიზმარი ყოველ დამით სტანჯავდა, ამიტომაც მტკიცედ გადაწყვიტა, ყველაფერში თავად გარკვეულიყო.

საიდუმლოს ფარდა მაღლევე აეხადა.

— არ გემინა, ამ ჩიხში მარტივორი დაიარები? — ჰკითხა ერთ-ერთი სახლის პატრონმა გაზეუბების დამტარებელს.

— მაინც რატომ უნდა მეშინოდეს? — ვითომდა გაიკვირვა ფილიპმა.

— დაწყევლილი ადგილია, საშინელი მკვლელობა მოხდა, ვინ იცის, იქნებ გარდაცვლილთა სულება დღემდე უპატრონოდ დაიარებიან. — თავი გააქნია სახლის პატრონმა და შიშით აქეთ-იქით დაიწყო ცქერა.

— ლილიან ბლენდი ერქვა, ოცი წლის იყო, აწეულ თმას ატარებდა, ორი პატარა და ჟყოვდა...

— ეს ამბავი საიდან უნდა იცოდე, ასიოდე წელი მაინც იქნება გასული? — გაიკვირვა სახლის პატრონმა და იქვე დაამატა. — პაპაჩემი შესწრებია ამ ამბავს.

საქმე კი ასე ყოფილა: ძალის გასასეირნებლად გამოსულს ადგილობრივ მაცხოვრებელს ქალის ყვირილი გაუგია, რა თქმა უნდა, იქით გაქცეულა და საშინელ სურათს გადაჰყორია. ქალს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, იქვე მდგარ მამაკაცს, რომელიც გარდაცვლილს შეშლილ სახით დასცეროდა, ბევრი აღარ უფიქრია და ხელში შემართული იარალი გულში დაუხლია. მკვლელობას ისეთი პირი უჩანდა, რომ უიმედო სიყვარულთან უნდა გვქონდა საქმე. მოგვიანებით ეს ყოველივე გამოძიებამაც დაადასტურა.

ახლა უკვე ლეოსთვისაც ნათელი შეიქნა, რომ ლილიან ბლეიდის ნაწარმებ სულს, უადგილობის გამო, ნავთსაცუდელი ვეღარ ეპოვნა და ფილიპ კორიგანის სხეულისთვის მიეკითხა.

თუმცა ყოფილა სხვა შემთხვევებიც, რომლებიც ამ ორიდან დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს. მაგალითად, იაპონელი ბიჭუნას ამბავი, რომელიც პატარაობიდან ამტკიცებდა, რომ სულ სხვა სახელი ერქვა, მამაც სხვა ჰყავდა და სხვაგანაც ცხოვრობდა, კერძოდ, სიფერ ჰოდოკუბოში. რაც მთავარია, თავის ნინა ცხოვრებასა და ადგილ-სამყოფელს ზედმინებითი სიზუსტით აღნერდა. ანდა ემად ელავერის ამბავი, რომელიც ორი წლიდან ამტკიცებდა, რომ სოფელ ხრიბში ცხოვრობდა, ბუხამზის ოჯახში, და ულამაზეს ქალს ჰყვარობდა, სახელად ჯამილეს. ისე არავინ იფიქროს, თითქოს ქართველებს არ გადახდომიათ უცნაური ამშები, თუმცა შიშის და სხვა მრავალი რამის გამო ამის გამხელას ყველა ერიდებოდა, თუმცა რამდენიმე მათგანი მაინც შევიდა ვოლოდარსკის ნიგნში, რომელიც სწორედ რომ ამდაგვარ შემთხვევებს ეძღვნება და რომელიც შეზღუდული რაოდენობით დაისტამბა იმ მიზეზით, რომ ჩვენი სამღვდელოება თუ საზოგადოება ამ ნიგნსაც ებრძის და იმის ნამკითხველსაც.

— რა გასაკვირია უნდა იყოს მათი გაგულისება, გამუდმებით აღებ-მიცემობისკენ უჭირავთ თვალი. — ამოიოხრა არსენ საგანელიძემ. — სამოთხის ადგილებს რომ ვეღარ გაჰყიდიან გაგულისება მერე ნახეთ, ყველაფერში ფულის აღება გამიგია! უნდა მოისპოს წმინდა საიდუმლოს, პანაშვიდის, ნათლობის თუ სხვა ასეთი ნესის მიღებისათვის მოძღვრისთვის ფულის მიცემა ამ ნესის აღსრულების დროს. ახალმა რწმენამ უნდა იყიდოს მაგრამ მეტად საჭირო საქმე, რომ ყველა მიცვალებული, განურჩევლად შეძლებისა, ფასით თუ უფასოდ, თანაბრად ღირსეულად მიაბარონ მინას.

— კარგი იქნებოდა. — დაეთანხმა ლეო კიკაბიძე და მზე-რა სარკმელში შემოჭრილ მზის მწვევლ სხივს აარიდა, რომელიც ჩვენთანაც და სხვაგანაც ახალი დღის დაწყების უტყუარი ნიშანი უნდა იყოს.

რაც ლეოსა და სხვა ქართველების სამართლიან გაკვირვებას ინვევდა, ინდიელებისათვის ჩვეულებრივ ამბად იყო მიჩნეული. მათი ლიტერატურული ძეგლი, რომელსაც ვედები ერქვა და ერთ-ერთი ყველაზე ძველი გახლდათ, რეინკარნაციას, სწორედ ასე ერქვა სულთა გადასახლებას, სულაც არ თვლიდა რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად.

ისინი თვლიან, თუგინდ ფიქრობენ, რომ ყოველი ადამიანი მუდმივი არსება, თუმცა, ამავე დროს, მთლიანი დიდის პატარა ნაწილსაც ნარმოადგენს, რომელიც წლიდან წლობით მოძრაობს, უჩინარდება ანდა ბრუნდება, რათა ახალ სხეულში დაიდოს ბინა. ყოველი ადამიანი ამ სიცოცხლე-გარდაცვალების წევში ტრალებს, საიდანაც თავის დახსნა მხოლოდ განსხივოსნებით გახლავთ შესაძლებელი, სწორედ რომ განსხივოსნებაა ნებისმიერი სიცოცხლის სანუკარი მიზანი.

თავის მხრივ, შემდგომი ცხოვრება შესაძლოა კარგიც იყოს და ცუდიც, სასიამოგნოც და უსიამოვნოც, მაგრამ თავად ადამიანი ვერაფერს შეცვლის, რადგან ყოველივე კარმის ხარისხში გახლავთ დამოკიდებული, რომელიც, თავის მხრივ, ნარსულ ცხოვრებაში კარგისა და ცუდის ერთობლიობას მოიცავს და სწორედ ის განსაზღვრავს, თუ რა ელის ადამიანს მომავალში, შურისგება თუ ბედნიერება.

მაშრავა გამოდის?

ჩვენი დამოუკიდებლობა მარტო ქალალდზე კი არ უნდა იყოს, არამედ სინამდვილეშიც. სინამდვილეში კი როგორ იქნება, როცა ჩვენი ხალხის უმრავლებობის გონებას ჯერ კიდევ ბინდი გადაჰკვრია, როცა მშობლიურ ნარსულთან ძაფია განწყვეტილი, ნარსულსა და ანმყო-მომავლის შორის ჯერ კიდევ ხიდი ვერ გაუდინა, ამაში კი, სხვასთან ერთად, ჩვენი სამღვდელოება სცოდავს. რა ამაღლებს ხალხს გონება-ზნებით და სულით, ვისი ვალია ეს?!

დიახ, საჭიროა პროკურორი რელიგიისა!

გსმენიათ თუ არა, მართლმსაჯეულების დარაჯად ვინ სდგას? ვინ მეტვალყურეობს, რომ სახელმწიფო კანონი ყალბად ან ბოროტად არავინ გამოიყენოს?

პროკურორი!

დღეს ჩვენი მწერლობა და თეატრი გარდამავალ ხანაშია, იბადება სხვადასხვა მიმართულება, რომელიც ვითომ ძევეს ანგრევს, ახალს ამყარებს. გზები აიხლართ-დაიხლართა, ხელოვნების წყარო შეგუბდა, ჩალა-ბულა ნაგავით ივება. ამის გასასმენდად ვინ არის საჭირო?

პროკურორი!

შესაძლოა ბუხრი ახლის მაძიებელი გულწრფელად იღვნოდეს, მაგრამ უღრან-ტყის სიპრენეში კი აფათურებდეს ხელებს და ხრამისკენ მიაქანებდეს მის უკან მიმავალთ. ამიტომ საჭიროა მეგზური, გარკვეული გეზის აღმნიშვნელი. ამის მაგივრად კი რას ვხედავთ? საზოგადო დაწესებულებანი აიღთ: გაუთავებელი ლაპარაკი. სასწავლებლები ნახეთ: ან ცულდულუტობა, ან მცენირების ძიების მაგიერ გაუთავებელი არშიყობა, დროის დაფასება ხომ სრულიად მეტ ბარგადაა მიჩნეული, არადა, ძილშიაც უნდა ვიფხიზლოთ, რომ არაფერი გამოგვრჩეს და საიდუმლოს ფარდა აგხადოთ.

საჭიროა ხელოვნების პროკურორი!

დაე პროკურორი იგი იყოს სასტიკი, მაგრამ მოუსყიდველ — მოუფერებელი. მაშინ ყოველივე უფრო მეტად გასუფთავდება.

ასე ფიქრობდა სამსახურისკენ ფეხით მიმავალი პროკურორის თანაშემწენე ლეო კიკაბიძე იმ იმედით, რომ პროკურორიც მაღალ გახდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც არსენ საგანელიძეს საიდუმლოს მთელი დამის განმავლობაში გულმოფგინედ ისმენდა, ეს კი ბევრი ისეთი რამის-

გან ათავისუფლებდა კიკიბიძეს, რაც სხვას გაუსაძლისი ხუნდებით ბორჯავდა და უმძიმეს ტვირთად აწვა, იგულის-ხმება მოყვასის სიყვარული, შენდობა, ხელის გამართვა, სიკეთის კეთება, რაღაც მორალი, ქცევის წესები, ათი მცნება და სხვა ამდაგვარი უსარგებლო რამე - რუმეები.

ამ ფიქრში ტრამვაიც გამოჩნდა.

თბილისში სულ ექვსი მარმრუტი არსებობდა: ვერის, მიხაილოვის, ჩერქეზოვის, ციციანოვის, მუშთაიძის და სოლოლაკის. ყველა ვაგონი სხვადასხვა ქუჩაზე დაირკებოდა და გვერდებიც სხვადასხვაფრად ჰქონდა შეღებილი. რათა გადაღლილ ანდა ჩაფიქრებულ მგზავრს სხვა ნომერში არ არეოდა და გვარიანად არ გაგრძელებოდა შინ თუ სადმე სხვაგან მისასვლელი გზა. ვერისას, ერთიანის გარდა, თეთრ ფონზე წითელი წრე ამშენებდა. მიხაილოვისას ორიანი, თეთრი წრე და ამ წრეს შემოვლებული წითელი არშია. ჩერქეზოვისას სამიანი, ყვითელი წრე და ასეთივე წითელი არშია. ციციანოვისას ოთხიანი, ცისფერი წრე და წითელი არშია. მუშთაიძისას ხუთიანი, თეთრი ფონი და ყავისფერი წრე. სოლოლაკისას ცხრიანი, ცისფერი წრე და თეთრი ფონი. ამის შემდეგ გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ ადამიანი შორიდანვე შეამჩნევდა მისთვის სასურველ ტრამვაის ვაგონს. ამის გაკეთება არც ლეოს გასჭირვებია, ვაგონის გაჩერებას დაელოდა და მარჯვედ შეტაკა ოთხ ნომერში, რომელიც სადგურიდან მოემართებოდა, ჩაუკლიდა მუშთაიძს, გავიდოდა გოლოვინის პროსპექტზე, შემდეგ ერევნის მოედანზე, მუხრანის ხიდს გადაკვეთდა, შეუყვებოდა კახეთის ქუჩას, გვერდს აუვლიდა სამხედრო ჰოსპიტალს და პიროვნების ქუჩის გავლით უკან დაბრუნდებოდა. ხშირად ტრამვას სხვადასხვა განცადება-შეტყობინების-თვის იყენებდნენ და ათასგვარი წარწერებით უჭრელებდნენ გვერდებს. ასე იყო ახლაც, ძნელად თუ ვინმე ჩაუკლიდა გულგრილად ამდაგვარ სანახაობას:

„ՏԵՂԵԿԱՀՈՐԱ!

ଅମ ଡଲ୍‌ଗେପଶି ତବିଲୋରୁ ସାକ୍ଷେଳମନ୍‌ତିରୁ କୃଣ୍ସନ୍‌ଦେଖାତିରାରୀରୁ
ପ୍ରିଯତାଙ୍କ ଦାରୁତଥିମ୍ଭି ଜୀବିତିରୁ ଏହିକୁ ନିର୍ମାଣ କରିବାକାହିଁ ଆପଣିରେ

დარბაზში: მაღალი რანგის მუსიკა. ორკესტრში თხუთ-
მიაში ვაკე!

ଜଗନ୍ନାଥରେ: ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ, ତମ ପଦମାତ୍ର, ତମ ନିର୍ମଳତା ଓ ଆତ୍ମପରିଚୟ!

ବ୍ୟାକିମାନଙ୍କର ପାଦରୀରେ ପାଦରୀରେ ପାଦରୀରେ
ବ୍ୟାକିମାନଙ୍କର ପାଦରୀରେ ପାଦରୀରେ ପାଦରୀରେ

କୁଳାଳେ ଗୋଟିଏ କୁଳାଳୁଣ୍ଡରେ କୁଠା କୁଳାଳୁଣ୍ଡରେ କୁଠା କୁଳାଳୁଣ୍ଡରେ

କାନ୍ତିପୁରୀଙ୍କ ଛାତ୍ର ଯୁଝନୀ ଗ୍ରହଣକାରୀ ଶାଖାଟି ମେଲିରେ ମଧ୍ୟାହ୍ନରେ ଆହୁତି ଦିଲାଯାଇଥାଏଇବେ

ექვთიმე გამოიყენებოდა სამარტინო და საგრაფო მასალები, სადაც ისი სახისაც კურო გახსნდათ განთავსებული. პირველი განაონფილების პრო-კურატურას ბინა სუდის ქუჩაზე 42 ნომერში დაედო, აქვე იყო საოლქო სასამართლოც, უფრო სწორად, ჯერ სასამართლო იყო, ხოლო მოგვიანებით მან პირველი სართული, უადგილობის გამო, პროკურატურას დაუთმო. სულ რა-დაც ორიოდე წლის შემდეგ ბოლშევიკურმა მთავრობამ ქუჩას სახელი გადაარქვა და, სუდის მაგივრად, ტრიბუნა-ლისა შეარქვა. ბოლშევიკების სამართლიანობას თუ გა-ვისხენებთ, რაც უმეტესად სწორედ რომ ტრიბუნალის გა-დაანყვეტილებას ეფუძნებოდა, ეს ამბავი გასაკვირი აღარ უნდა გახდეს. ერთ შენობაში შეკედლებულ ორ ორგანიზა-ციას მუშაობა უჭირდა, ერთიც წვალობდა და მეორეც, იყო

გაუთავებელი ხმაური, პროცესებზე პატიმართა ახლო-
ძერ-მეგობართა ტირილ-ვიშვიში, ხშირად განევ-გამონე-
ვაც, ერთი-ორჯერ სროლაც, რა თქმა უნდა, მაშინდელი
წესების თანახმად, მხოლოდ ჰაერში. მიუხედავად ამგვარი
უხერხულობისა, არც პროკურატურა და არც სასამარ-
თლო ხელისუფლებას შენობის გამოცვლასა და პირობე-
ბის გაუმჯობესებას არ თხოვდა. დამაღვა-მიჩრუმათების
მიუხედავად, მიზეზი ყველასთვის ცნობილი იყო. შენობის
შორიახლოს ექმა აღექსიძეს საკუთარი კლინიკა გაემარ-
თა, სადაც მეანობას ეწეოდა და ქალთა ავადმყოფობას
მკურნალობდა. პაციენტებს საღამოს შვილი სათითდან
იბარებდა, რათა აფი თვალისთვის აერდებონა და მანდი-
ლოსნებისთვის უხერხულობა არ შეექმნა. ამგვარმა სიფ-
რთხილემ არ გაამართლა. სასამართლო-პროკურატურის
თანამშრომლები სამუშაო საათების შემდეგაც რჩებოდ-
ნენ, რათა როგორმე ქართველი და არაქართველი ქალე-
ბისთვის თვალი შეევლოთ. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ
სამხედრო ბინოკლი შეუძნიათ, სასამართლოს თავჯდო-
მარის, ალექსანდრე დორბილოს სამუშაო ოთახის აივან-
ზეც შეპარულან და ახლა უკვე იქიდან უცდიათ კლინიკაში
საკუთარი მზერის შეპარება. დიდი მცდელობის მიუხედა-
ვად მიზანს მაინც ვერ აღწევდნენ, თუმცა იმედით ცოც-
ხლობდნენ და მცდელობას არ აკლებდნენ საყარელ გა-
სართობს. ამას ემატებოდა ისიც, რომ უქმე დღეებში დიდ
დარბაზში საჯარო გამოსვლები იმართებოდა ქეყენის სა-
ჭიროოროგრ საკითხების გარშემო. ვისაც სახელმწიფო
სამსახურში უმუშავია, იმისთვის გაცილებით ადვილი მი-
სახევდრი იქნება ის ამბავი, რომ ამგვარ შეხვედრებზე
დასწრება სავალდებულო გახსნდათ და ხშირ შემთხვევაში
მკაცრ აღრიცხვას ექვემდებარებოდა ამ საქმისთვის გა-
მოყოფილი საგანგებო ადამიანის მიერ. პროკურატურაში
ეს საპასუხისმგებლო საქმე დავალებული ჰქონდა კადრე-
ბის რიგითს, პეტრე ოლანგზაშვილს, რომელიც გულმოდ-
გინედ, და უნდა ითქვას, შესაშური შემართებით უძღვებო-
და დაკისრებულ მოვალეობას, გამცდენ - დამგვიანებლის
გვარი საგანგებო დავთარში შეჰქონდა, იმ იმედით, რომ
მასაც გაულიმებდა ბედი და ერთ დღესაც მაძებართა კო-
ლექტივის სრულფასოვანი წევრი შეიქნებოდა.

დარბაზში შესულ კიყაბიძეს პროკურატურის თანამშრომლები ფეხზე ნამომდგარი შეეგებენ. თავყრილობაზე შემთხვევით მოხვედრილი სტუმარი იფიქრებდა, ან ლეოს ხედებოდნენ ასე მოზინებით, ანდა კედელზე გამოკრულ ორ განცხადებას კითხულობდნენ საერთო ძალისხმევით. ერთი გრიგოლ ჩარკვიანის კედლის კალენდრის საიუბილეო ნომრის თავფურცელს ნარმოადგენდა, რა თქმა უნდა, სურათებითა და გამორჩეულ თანამშრომელთა ჩამონათვალით. აი ისინიც: პატრი რაფიელ ნებიერიძე, მაკარ ჩიმშეიანი, სომხური კალენდრის შემდგენელი, ახუნდი მაჰმედ პასან მოვლა ზადე, ებრაელთა ხახამი მონათლაშვილი, გრიგოლ ჩარკვიანი. მეორე განცხადება თეატრალურ აფიშას უფრო ჩამოგავდა, ვიდრე რაიმეს ჩამონათვალს და ქართულ კლუბში გასამართი გასართობ-თავშესაქცევი სალამირების ნუსხა იყო:

კვირა -სალამო წარმოდგენა.

ორშაბათი – ოპერა, სალიმო,

სამშაბათი – საოჯახო სალამო.

ოთხშაბათი — სინემატიკორაფი, სიმებიანი ორკესტრი. ხუთშაბათი — ქართული წარმოდგენა, მუსიკა. პარასკევი — ოპერა.

შაბათი – საოჯახო საღამო.

კვირა – რუსული წარმოდგენი

ძველ დროს, რამდენიმე წლის ნ-

ს რუსეთი და იმ დროს გამეფებ

რიგი, ასეთი სარეკლამო განცხადებების ხილვა გამომძიებელთა ოთახებში სრულიად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა, მაგრამ ახალი ცხოვრება ახალ წესებს ჰქანანახობდა თავისუფლებას მოწყურებულ ქართველებს და, ადამიანს რომ მოენდომებინა, გაცილებით სახალისო განცხადებებსაც აღმოაჩენდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულება-ში, რომელიც იმხანად, როგორც თავმოყვარე ქვეყანას შეუფერება, მრავლად იყო მიმობნეული აღმართ-დაღმართი-ან თბილისში.

ფეხზე წამოდგომის მიზეზი მალევე გაირკვა.

ყველამ, მათ შორის ლეომაც, წუთიერი დუმილით პატი-
ვი მიაგო უანგარო მიჯნურთა, მიშა შავგვულიძისა და გალი-
ნა ცინცაძის ტრგივულ აღსასრულს, რომელთა სიყვარუ-
ლის ამბავი დიდსა თუ პატარას პირზე ეკერა. მიშა ჯარში
მოხალისე დასულა. ახალციხიდან გერმანის ფრონტზე
გაეგზავნათ, საიდანაც ავადმყოფობის გამო გაათავისუფ-
ლეს და თბილისს გამოგზავნეს სამკურნალოდ, მაგრამ
სამშობლოს რომ გასაჭირო დაუდგა, თავის ნებით ასესა ია-
რალი და მტრებს ეკვეთა. ლეჩებუმთან ფილტვების ანთე-
ბით გარდაიცვალა. ეს ამბარ რომ მისმა დანიშნულმა გა-
ლინა ცინცაძის ასულმა შეიტყო, თავი მონანამდა და სიკ-
ვდილის ნინ შემდეგი ბარათი დაწერა: რადგანაც ჩემთვის
გასჭირდა ცხოვრება და ჩემი სულის ამოთქმა გარდაიქცა
ტკივილად, მოვდივარ შენთან სულის და გულის დასამშვი-
დებლად.

ჩანს, არც მიშას და არც გაღინიას ახალი ცხოვრების შესახებ არაფერი სცოდნიათ, თორებ ასე არ მოიქცეოდნენ, გაიფიქრა ლეო კიკაბიძემ და სხვებთან ერთად სკამზე დაეშვა, რა თქმა უნდა, ნუთიერი დუმილის გასრულების შემდეგ. ფეხზე მხოლოდ მაშინდელი პარლამენტის თავვადომარე შემორჩა, რომელსაც პროკურატურის თანამშრომლებისთვის, საჯარო ლექციის სახით, რომდენიმე საჭირო როტო საკითხით უნდა განემარტა, კერძოდ, თუ რას წარმოადგენდა დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს ის კარლო ჩეხეიძე გახდავთ, რომელმაც მარქსისა თუ მარქსიზმის სიყვარულის გამო ნათლობის სახელი ნიკოლოზი მიივინყა და ტყვიასავით მოკლე, კარლო დაირქვა.

პარლამენტის თავუკჯიშობმარებ რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, რათა ყველას კიდევ უფრო კარგად დაენახს, და ლაპარაკი დაიწყო. ლაპარაკაბდა იმგვარი შემართებით, ისეთი მოკლე, მოწყვეტილი ფრაზით, თითქოს კი არ საუბრობდა, პარამედ პარტიული მტრის კუბოს თავსახურს სჭირდა ლითონის დიდობითი ლურსმნებით.

„დემოკრატიული რესპუბლიკა ქართულად ნიშნავს ხალხურ სახელმწიფოს. განა სახელმწიფო ხალხისთვის არ არის გაჩერენილი? იყითხავს მუშა, გლეხი და მასნავლებელი, დიახ, სახელმწიფო ხალხისთვის უნდა არსებობდეს, მაგრამ, საუბედუროდ, ეს მუდამ ასე არ ყოფილა. იყო დრო, და ეს დრო არაც ისე შორს არის, როდესაც მთელი სახელმწი-

ფოს ძალაუფლება ერთ ან რამდენიმე კაცს ეჭირა ხელში, მაშინ სახელმწიფოს სათავეში ედგა მეცე და მისი დამაჯაშები, ხალხი კი მისი ყურმოქრილი ყმა იყო. ასეთ წესნები-ლებას უწოდებენ მონარქიას და დამახასიათებელ ნიშანად ისა აქვს, რომ მის სათავეში მდგომი პირები არავის წინაშე არ აგებენ პასუხს. ხალხის დაუკითხავად სჭრიან და ხარჯავენ ფულს, სცემენ კანონებს, ინყებენ ომებს, ერთი სიტყვით, განაგებენ სახელმწიფოს ისე, როგორც მოქარიანებათ, მაგრამ ასეთ ცხოვრებას დიდი დღე არ უწერია. ხალხი შეერთებული ძალით ანგრევს ძველს და თავის ხელში იღებს მთელი სახელმწიფოს სვე – ბედს. მაშასადამე, დემოკრატიული რესპუბლიკა არის ისეთი სახელმწიფო, სა-დაც ხალხი სხვის ბრძანებას კი არ ასრულებს, არამედ თვით არის თავისი ცხოვრების მომზყობი...“

ლურ კიკაბიძემ ყურადღებას ვერაფრით მოუყარა თავი, რათა პარლამენტის თავჯდომარის ჭუა - დარიგებისთვის ალლო აეღო, ერთავად იმით გახლდათ დაკავებული, რომ პროკურატურის თანამშრომლების, და არა მარტო მათი, ნინა ცხოვრების ამოცნობას ლამობდა. კარლო ჩხეიძე, დაცემეტილი ყურებით, გაუპარსავი პირით და ალაგ-ალაგ შეთხელებული თმით, ფოცხვერს შეადარა, პრეზიდიუმში მჯდარი საზოგადოება ტურქებს, სხვები კიდევ სხვებს, რა-მაც მასში მხიარული განწყობა გამოიწვია და ერთ-ორჯერ თითქმის ხმამაღლა ჩაიცინა კიდეც, რითაც გვერდით მჯდომი კოლეგა-მეგობრის, ალექსანდრე უდუმაშვილის, სამართლიანი გულისწყრობა გამოიწვია, რომელიც სახლი-დან გამოვდებულ, უჯიშო ფინიას მეტად ჰგავდა, ვიდრე დამოუკიდებელი ქვეყნის სამართლიანობის სადარაჯოზე მდგარ ჩინოვნიქს.

ლეო გაჩუმდა და, როგორც იტყვიან, სმენად იქცა.

„დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედებს უმთავრესად ორი ძალა: აღმასრულებელი და კანონმდებლობითი. პირველს ჰქვინ მთავრობა, მეორეს პარლამენტი. მაგრამ მთავრობა ხომ ძველი წესწყობილების დროსაც არის, მაშინ რაშია განსხვავება? საქმე იმაშია, რომ ძველი მთავრობა, როგორც უკვე ალვინიშვილი ზემოდ, არავის წინაშე არ აგებს პასუხს, დამიკრატიული მთავრობა კი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე. ხალხი ირჩევს თავის ნარმომადგენლებს პარლამენტში და ეს უკანასკნელი თავის წრიდანვე ირჩევს მთავრობას. თუ პარლამენტმა ანუ ხალხის ნარმომადგენლობამ უნდობლობა გამოიუცხადა მთავრობას, იგი ამის შემდეგ ერთ საათსაც ვერ იარსებებს, მაშასადამე, დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხალხს ეძლევა უფლება მთავრობის არჩევის და გადაყენების. ხალხის ნარმომადგენელი პარლამენტში ჯგუფებად ანუ ფრაცებად იყოფიან, იმის მიხედვით, თუ როგორია მათი პარტიული შემადგენლობა. თვითმეცყორდებლობის დროს პარტიული ცხოვრება დახშული იყო, ძველი მთავრობა ყველას სდევნიდა გარდა ერთი პარტიისა, რომელიც მეფის დამქაშებისგან შესდგებოდა. დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავისუფლება გამეფებული და პარტიული ცხოვრებაც ძალზე განვითარებულია. ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში მოქმედებს უმთავრესად სამი პარტია: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და ეროვნულ დემოკრატიული. საქართველოში ყველაზე ძლიერი პარტია არის სოციალ-დემოკრატია, მას ემსრობა ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა და

ხმას აძლევს ყველა არჩევნების დროს, ამიტომ ჩვენი რესპუბლიკა არის დემოკრატიული რესპუბლიკა, რადგანაც მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება თვით ხალხის ხელშია“.

სწორედ იმ დროს, როდესაც ლეო კიკაბიძე და პროკურატურის მთელი კოლეგითივი საჯარო ლეკციას ყურადღებით ისმენდა, საგანელიძის საშაქარლამოს უკანა ოთახში, რომელსაც კონდიცერი საბუღალტრო დავთორების შევსებისა თუ შემოსავალ-გასავლის დასადგენად იყენებდა, საიდუმლო შეხვედრა შედგა. მწერალი არსენ საგანელიძე ცნობილ ტერორისტ-ექპროპრიატორს, იროდიონ ვაჩიბერიძეს, მეტსახელად ახოს ხვდებოდა. ახო იქნებოდა ორმოცი წლის, შავი, გაბურძგნილი თმით, ყოველთვის გაუპარსავი წვერით და მუდმივად შავი გულით. მარცხენა ხელს ვერ ხმარობდა, ეცვა შავი ხელთათმანი და ერთთავად მოკლე ჯუბის ჯიბეში მაღავდა. ხელი ჯერ კიდევ მაშინ გაიფუჭა, როდესაც ომში დაჭრილ შრომის არტელ ახალ წრეში მუშაობდა და ინვალიდებისთვის პროთეზებს აწყობდა, რა თქმა უნდა, სხვისი მითითებითა და ხელმძღვანელობით. ამჟამად მოღვაწეობდა კოჯრის ქუჩაზე 15 ნომერში სანიტრად, სადაც განთავსებული იყო სულით ავადმყოფთა თავ-შესაფარი. თავშესაფარი შესდგებოდა ოთხმოცი სანიტრან, საიდანაც ორმოცდათი იყო მამაკაცებისა, ხოლო ოცდათი ქალებისა. ამ უსაიმოგნო დაწესებულებას ხელმძღვანელობდა მიხეილ გედევანოვი, ახო კი ზედამხედველობას სწევდა, როგორც ადვილი მისახვედრია, მამაკაცთა განყოფილებაში.

აი, ასეთ კაცს ხვდებოდა ქართველი მწერალი არსენ საგანელიძე.

– გვიანდება. – ტყვიასავით ისროლა ახომ და მასპინძელს თვალი გაუსწორა.

– მოჩეარეს მოუგვიანდესო, ხომ გაგიგონიათ?! – აიცილა საგანელიძემ და სტუმარს გაულიმა, თუმცა ახო, თავისი ბუნების გამო, არასოდეს მოსწონდა.

– რა დროს ანდაზება, ვერ ხედვთ, ნიაღვარი წალევ-ვას გვპირდება, ნუთუ საერთო ძალამონით არ ვეცდებით საფრთხის თავიდან აცილებას? საქართველო უნდა აღ-სდგეს სარულის თვისის უფლებამოსილებით და თანასწორი ძმა შეიქნეს ყოველ ერთა, ყველა ეს მაშინ შეიძლება, როცა ყველა ერთი მიზნისეკენ მივმართავთ ჩვენს ძალისმანებს. ეხ-ლა კი რა ხდება?! ზოგს თავისუფლება ლობიობა ჰქონია.

– მეც მანდა ვარ. – დაუყვავა საგანელიძემ. – ძველად ბერძნენთა სატახტო ქალაქს გარედან მტერი რომ მიადგა, შიგნით, იმის მაგიერ რომ ყველა შეთანხმებულიყო და მტერს წინ აღსდგომოდა, ბრძნენი ერთმანეთში კამათობდნენ, კვერცხი აღრე გაჩნდა თუ ქათამიო, ტყუილი კამათი რა ბედენაა, ჩვენც უნდა შევთანხმდეთ, როგორც კომიტეტმა დაადგინა, ისე იქნება, აქციის ჩატარება ხომ მე და-მევალა.

– მე თქვენი ქარაგმების არაფერი გამეგება, მუშურ-გლეხური აკადემია მაქვს დასრულებულა, სანამ ზოგიერთები წიგნებს კითხულობდნენ, მე კატორლაში მათ წონა ქვებს ვეზიდებოდი. – თქვა ახომ და დასერილი ხელისგულები ისე გადმოატრიალა, რომ ქართველ მწერალს კარგად დაენახა.

– დამსახურება კი გაქვთ, მაგრამ...

– ჰოდა თუ მაქვს, სიტყვაც მეთქმევინება! ჩემი სიტყვა კი ასეთია, მე კომიტეტის დადგენილების წინააღმდეგ გა-მოვდივარ, აკი მაშინაც ვთქვი და ამხანაგებისთვის არაფერი დამიმალავს. ეგ შრომა დროის ფუჭი კარგვაა, მაგას სჯობდა ძველი ხერხი გვეხმარა, კაცი გვექირავა, რაც სა-ჭირო იყო, გადაგვეხადა, და ეგ საქმეც ისე მოგვემთავრე-ბინა, როგორც სხვა ათასი მოგვიმთავრებია.

– ბრძოლის მეთოდები უნდა შეიცვალოს – მტკიცედ თქვა საგანელიძემ. – ჯერ ერთი, ფულით გაეთებული საქ-მე არასანდოა, სხვაც გამოჩნდება მეტი ფულის პატრონი, რომ გადაიბიროს? ანდა რომ დააპატიმრონ და გუდას პირი მოხსნას?

– საპატიმროში გავუსწორდებით როგორც მოლალა-ტეს. – ახო უკან დახევას არ აპირებდა.

– რომ ვერ გავუსწორდეთ? ეგეც რომ არ იყო, რწმე-ნით ჩადენილს სულ სხვა ფასი აქვს, რწმენა ადამიანს ძა-ლას აძლევს და სიკედილიც არაფრად ულირს, თანაც არა მოგონია, ასე როდესმე კიდევ გაგვიმართლოს.

– მართლა ასე ჩამოგავს? – ახომ ხმას დაუწია და კარის-კენ გაიხედა.

– ტყუპისცალი ეგონება ადამიანს, მთავარი კიდევ ის არის, რომ მენდობა, ეჭვის ჭია უკვე შეუჩნდა და, სანამ ბო-ლომდე არ გამოხრავს, თავს არ მიანებებს, ჩვენც ეს გვინ-და, შესნავლილი მყავს და უკვე ვიცი, რასაც მოიმოქმე-დებს, ამისთვის წინასწარ მოვამზადე.

– ყველაფერი გათვლილი გქონიათ და მე რაღა საჭირო ვარ. – თითქოს იწყინა ახომ.

– იარალი და ფულია საჭირო.

ახო უბმოდ ნამოდგა, რაც იმის დასტური იყო, რომ ეს საქმე ნამდვილად იცოდა.

– ეს გაიყოლეთ, თუ ამით დაგინახავენ ცუდს ვეღარა-ვინ იციერებს.

ეს თქვა და არსენ საგანელიძემ სტუმარს ნამცხვრებით სავსე ყუთი გადასცა. ახომ ნამცხვრებს დახედა, ზევიდან მოყრილი შაქარი საჩვენებელი თითოთ აიღო, დატკილული თითო პირში გამოისვა და ლოკვა-ლოკვით ოთახიდან გავიდა.

– მოკითხვა ჩვენს მხარდამჭერებს სუმბათოვიდან! – მიაძახა სტუმარს არსენ საგანელიძემ, თუმცა ჭამაში გარ-თულ ახოს არაფერი გაუგია.

ამ საუბრიდან ორიოდე დღის შემდეგ თბილისში კიდევ ერთი უბედური შემთხვევა მოხდა. დიდი მთავრის ქუჩის 45 ნომერში მცხოვრებ მოხუც ქველმოქმედს ზაქარი წეფა-რიძეს გამოხნისას, ასე ხუთ, ექვს საათზე, თავს დაესხნენ მილიციის ფორმაში გადაცმული ყაჩალები. შესვლისთანა-ვე მოხუცს ხელები თოვით გაუკრეს, ერთი თავზე დაადგა, მეორე გაჩირიკა, მესამე კი კარში დარჩი დარაჯად. როდე-საც ფული და სხვა ძვირფასი ნივთები იპოვნეს, გამოვიდ-ნენ ბინიდან, კარი გარედან გადაკეტეს და გაუდგნენ გზას. შიშისგან თავზარდაცემული მოხუცი ფანჯარაზე თავის რახუნით და ყვირილით ეძახდა მეზობლებს. მეზობლები ამ ხმაურზე გამოვიდნენ და გაუდეს კარი. საბრალომ მიაძახა, მიშველეთ, გამარცვესო! მეზობლები მძარცველებს დაე-დენენ, მაგრამ ამოდ, ედარსად მიაკელის, ერთი კი მო-ახერხეს, ნამსვე კომისარიატის დარაჯს აცნობეს. უფროს-მა მილიციელმა სახლის მისამართი კი ჩაინერა მაგრამ შე-

წუხებულ მეზობლებს ასე უპასუხა: ახლა აქ არავინ არის, ათ საათზე მოვლენ და საქმის გამოკვლევას მერე დავიწყებთო. არადა, ბევრი რამ წაიღის: ქართული უნივერსიტეტისთვის მისაცემი 5000 მანეთი, ქართული მუსიკალური საზოგადოებისთვის 3000 მანეთი, საეკლესიო გალობის ნოტების დასაბეჭდად 3000 მანეთი, 1500 მანეთი ქართველ მწერალთა თხზულებათა გამოსაცემად, შუქრუთის სამკითხველოსთვის 1500 მანეთი, შუქრუთის მიძინების ეკლესიისთვის 2000 მანეთი, ქვრივ დასათან გასაგზავნი 2000 მანეთი, მეზობლის მიბარებული 2000 მანეთი. მის გარდა, თინის პატარა საფულე, რომელშიც იყო რამდენიმე ოქროს ხუთმანეთიანი, ბევრი ვერცხლის ჯვარა — მედალი რუსი სალდათებისგან სამახსოვროდ ნაჩქარი და ოქროს ბეჭდები, რომელიც უნდა შეეწირა ხაზინის ფონდის გასაძლიერებლად, ერთიც ბრაუნინგის პატარა იარალი, ქალისას რომ ეძახიან, ისეთი. ამ ქველმოქმედმა კაცმა, სხვა ბევრი რამის გარდა, დაარსა ორი სამკითხველო თავის სახელზედ, ერთი სოფელ შუქრუთში, მეორე პატარა ხომში, შორაპნის მაზრაში.

ამ სამწუხარო ამბავმა, რომლის მსაგავსი ხშირად ხდებოდა იმდროონდელ თბილისში, ყველა ალალმართალ ქართველს გული დაუშძიმა. თუმცა იყვნენ სხვებიც, რომლებიც ჩუმად ქილიკობდნენ და დაფარულ შეხვედრებზე ამ სამწუხარო ამბავს ერთმანეთს ულოცავდნენ კიდეც. ამათში ერთა ლეო კიკაბიძეც, თუმცალა უმტესობას არც კი იცნობდა და არც იმ შეხვედრებს დასწრებია. ლეო კიკაბიძეს სხვა რამ სჭირდა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ამოდენა საიდუმლოს გულით ატარებდა და სწორედ ამის გამო, რაც სხვას საფიქრალსა თუ სატანჯველს უჩენდა, ლეოს უკვე თამაშად მიაჩნდა. კაცი რომ დაფიქრდეს, აქეთ — იქით მიმოიხდოს, ჩვენს ქვეყანას თვალი მოავლოს, საგანელიძის სიმართლეში ეჭვის შეტანა ნამდვილად გაუჭირდება, თუმცა ლეო მანიც შეწუხებული ჩანდა, მართალია სხვები ამას ვერ ამჩინევდნენ, მაგრამ პროკურორის სულ ერთავად ფორიაქმი ატარებდა დამეტებს. ცალკე ეჭვის ჭია ლრნიდა და არეულ გონებაში რამდენიმე შეკითხვა იდებდა ბინას, ცალკე კიდევ თავმოყვარეობის მატლი სჭამდა და დაცინვის შიშით შებოჭილს იმის წარმოდგენაც კი უჭირდა, რა შეიძლება მომხდარიყო, თუ ეს ამბავი ნამდვილი არ აღმოჩნდებოდა და მხოლოდ მის გასამასხვებლად იყო მოფიქრებული, რაც იმდროინდელ თბილისში, იგულისხმება ერთმანეთის დაცინვა და მისთანები, თუ გაზეთებს დაეჯერება, ყოველდღე თუ არა, კვირაში ერთხელ მანც ხდებოდა.

ხშირად წაიკითხავდით ამგავარ საუპარს, რომელშიც, იმხანად განთქმული ხუმარები, ბენია და ბეშთია მონანილებდნენ, ხოლო საზოგადოება მათ შეფასებასა თუ მნარე ენას უფრო ენდობოდა, ვიდრე ოფიციალურ პირთა ას-სა-განმარტებას. ამბავი არ იყო, ეს ორი ენაკვიმატი შიგ არ ჩარეულიყო.

პატარა მაგალითი:

ბენია: აბა, ჩემო ბეშტია, რას იტყვი ახალს, რით გამახარებ?

ბეშტია: რას ამბობ, გამახარებო? ბერა, გასახარელი რა არის ჩვენში? გასახარელი არა და, სატორალ-საყვირალი კი ბევრია... თითო ალიხანოვი და ტოლმაჩიოვი ჩვენს მხარეს არ გამოელევა და ამასობაში ქე დეიქცა ჩვენი არჩივი ქვე-

ყანა. ზოგ რისხვას მიწიერი მთავრობა გვიგზავნის და ზოგ-საც კი ზეციერი.

ბენია: ეს ზეცის რისხვა რალაში გამოიხატება? ალიხანოვი ხომ იქიდან ვერაფერს დააკლებს?

ბეშტია: ალიხანოვმა, ბატონო, მოწეული გადაბუგა, ალაგ-ალაგ მაინც ქე დარჩა რაცხა ნიორთა ნატურჩელა, ახლა კი ალარც ძეველია ერთი მარცვალი და ახალიც ხომ წასულია ხელიდან, მოხსნა ზეცამ პირი და დაუშინა ნამუშევარს კოხი და წვემა, წვემა და კოხი, ამოალპო ყველაფერი, ხალხი უსაჭმელოდ დარჩება და დაიხოცება.

ბენია: არა, ბეშტია, საქმეს მაქამდის არ მიიყვანს ჩვენი საზოგადოება, მოაგროვებენ სიმინდს, ხორბალს, ერთი სიტყვით, რაც საჭირო იქნება, და გაუგზავნიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

ბეშტია: რავა, ხამი ხომ არ ვარ, ჩემო ბენია, ასე რომ მელაპარაკები? ვინ შეეწევა? ჩვენი საზოგადოება? მერე და ხალხს რა ერგება აქედან? ან თუ ერგება, როდის? მეორეთ მოსვლის ხანს? ვერ ხედავ, გურულების შესაწევარ ფულების თაობაზე რა ალიაქოთი არის ატებილი? მახარაძე, კირვალიძე, გუნია და სხვები აგერ დაკლავენ ერთმანეთს.

ბენია: ეჲ, ძმაო, მე თუ მკითხავ, ჩვენს დროში ყველა სვავი და ყვავია, ყველა მჭამელი და მყლაპავია.

ბეშტია: მართალი ბრძანებაა და არც კი ლირს ამაზე ლაპარაკი, ახლა ერთი ხულიგანების არჩევნების შესახებ მითხარი, თუ როგორ გათავდა, ვინ გაიმარჯვა და ვინ ჩაინარცხა.

ბენია: რა უნდა გითხრა, რაც არ გათავებულა საპოლოო, იყარეს კენჭი, მარა გამარჯვებული ჯერ არავინაა, ვნახოთ, რა იქნება.

ბეშტია: რა იქნება და იგი! ხულიგნები გაიტანენ ლელოს.

პენია:

ან კმარა ესე ამბავი
ჩემო ძმობილო ბეშტია
ამდენი გლოვა — გოდებით
თავს დაგვეხვევა რეტია.

პეპტია:

მაშ კარგი, კიდევ წავიდეთ,
ჩემო ძვირფასო ბენია,
არ მიჭირს კორტოხს გადასვლა,
იქ ხშირათ გადმირდებია.

სწორედ ამისი თუ ამათი ეშინოდა ლეო კიკაბიძეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი უბნის პროკურორის თანაშემნისთვის ძნელი წარმოსადგენი გახლდათ თითქმის ყველასთვის პატივსაცემი მნერლის ამგვარ წარმოდგენაში მონაწილეობა, თუმცა ისიც გაგონილი პეტრიდა, რომ უმეტესად დაცინვის ობიექტად მისნაირ, უმნიშვნელო თანამდებობის პირებს არჩევდნენ. მოკლედ, ასეა თუ ისე, ლეო კიკაბიძეს გული და, თქვენ წარმოიდგინეთ, სულიც კი არ-სენ საგანელიძესთან ხელმეორედ შეხვედრას ითხოვდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



სოსო მეშველიანი

ზაფხულის შუაღამე

მზის მხურვალება შერჩენია მიწას მადლიანს,
ენერგიულად, რომ ისუნთქავს მარადისობას,
ახლოს, სიგრილე იგრძნობა ხევის,
მიწა ჰაერზე უფრო თბილია.
უხმოდ ხარხარებს ყანა სიმინდის,
სამყაროს ბრუნვის მიმართულებით
კვლავ მთელს სიგრძეზე შემოხვევია,
აყვავებული ლობიო სიმინდს
საცაა უნდა დამწიფდეს მსხალიც
და სიმინდებშიც დაიწყო ცვენა,
რათა მიწასაც ანაბეჭდი დაეტყოს ფუტკრის
მთვარის უსულო კაშაშსაც ახლა
გადადებია ეშნი სიცოცხლის
ღამის ქარი კი ტოტებს ურნევს მძინარე ჩიტებს
და აშრიალებს წაბლის ფოთლებს სუნთქვა ბუნების
ხოლო სიზმარში პანანინა ნაკადული კი
ვნებით მონამლულ ქალივით ბორგავს
და ფუტკრების ბილიკებით დაქსელილ სივრცეს
ჩაუხვევია უმჩატესი სიზმარი ბალლის
ჩემი ფეხები მუხებივით შეზრდიან მიწას
რომ მივაბიჯებ, ყველაფერი ზანზარებს ჩემს ქვეშ.

* * *

შემძრავს მუსიკა და შორ ვარსკვლავად
ჩემი ოცნება
სივრცეს მოწყდება,
ნორჩი ბალაზით მაძლარ ხარს ვგავარ,
ღამით მდელოზე, რომ წამოწვება.

ნოყიერ ჰაერს ვისუნთქავ ხარბად,
თითქოს იზრდება გული ჩემს მკერდში,
და აშრიალებს ნიავი ყალბად,
ჯერაც უფორმო ფოთლებს ნეკერჩლის.

უკვე არც მახსოვეს, რამდენი ხნის ვარ,
დღემდე საკუთარ ხმას ვეჭიდები,
მგონია, თითქოს საერთო სიზმარს
ინანილებენ უხმოდ ჩიტები.

მესმის ღერის ხმა, როგორც სიცილი,
ეს ჩიტუნები, ხვალ ზეგ თუ მაზეგ
აუწყობელი კომპოზიციით,
ჩამომამხობენ განთიადს თავზე.

მცვალე მთვარე

ვერ მისწვდომია
ზღმარტლის ყვავილს შანელის ყნოსვა
ღამის არომატს
ხევის ქარი ხარბად წუნწიდა
მარადისობა შუბლს მილოკავს
ისე ახლოს ვარ...
სხეულს სუნი სდის
დაყოლილი დედის მუცლიდან

ამ ყველაფერთან
პირდაპირი მქონდა კავშირი
უმაღურს, მაინც, ბევრ რამეზე
გული წყდებოდა
წვეთავდა მთვარე
დაბეჭილი უმი ვაშლივით
ქალი სიზმარში ბორგავდა და ინერწყვებოდა.

უსახურაო ქოხი მიდგას
ნაძვნარებს ქვემოთ
რომ აღმართულან ულრანები
ცოცხალ კედლებად
მძინავს, სიზმრებში ჩამყოლია
შამბნარის გემო
სიზმრის გუბეში, არეკლილ ცას
რა შეედრება.

* * *

დღეს ბარონ მიუნპაუზენივით,
სულს ვკვებავ ჩემი უცნაური ფანტაზიებით.
ჩემთვის სიცრუის დეტექტორი უფრო ყალბია,
ვიდრე ლობიოს ყვავილობა, მთვარიან ღამით,
მიწის სული, რომ სიმინდების მწვანე სხეულზე,
ჩამოძობილა, და მთვარის შუქს აღარ იკარებს,
დღეს ჩემს ხერხემლის ხრანზე ბრუნავს,
ნაღდი სამყარო,
ჩაუხვევია ყველა ნერვი ჩემი სხეულის.
ბეთლემის სივრცეს შუაღამისას
კვეთს თვითმფრინავი,
ყოფნის საცობში გაიჭედება
სუნთქვა სხეულის,
არაფერია საგანგაშო სული შედედდა.
ახავსებულან სივრცეები დიოსკურიის,
იუნესკოში ფლორენციად შედის უშგული,
გული ერევა ქვეყნის ბრუნვით,
ქვესკნელს ვეზუვთან,
დის მაგისტრალი გვირაბების ხშირი პაუზით.

გაშეშებულა დრო საჭარის დიად დუმილში
ჩაძინებია არაბს აქლემზე
და ა.შ. ... და ა.შ...
დაცარიელდა ბარსელონის აეროპორტი,
ცრუ განგაშივით სადღაც გაქრა,
ზეცის ქუხილი.
და კიდევ სადღაც, მგზავრი ტკბება,
ლამანჩის წვიმით.
ჩამორჩენია მაჯისცემას
წიკწიკი საათის,
ჩემი სიცოცხლით იფილტრება მარადისობა,
და ა.შ. ... და ა.შ. ...

* * *

რაა საეჭვო, დღეს ჩემს ქცევაში?
ალსარებისთვის, დრო მრჩება სანამ,
თვით, ჩემი სისხლის მიმოქცევაშიც,
ლოცვა შეჭრილა განწმენდის ხსნარად.

ხელებს ეშმაკის ბეწეზე ვიწმინდავ,
ლეთისმშობელი რომ ცრემლებით მბანდა,
ჩემს ქაოსიან სულის სივრციდან,
ჩამოიშლება წვიმების ფარდა.

ვერ ვარ მორწმუნე?
დაე ეს ერთი,
შემრჩეს ჭეშმარიტ სანანებელად,
უონაცს სიწმინდე ტაძრის კედლებში,
და ვარდის შტოზე როკავს პეპელა.

* * *

ნაკადულების დამსხვრეულ ხმაში,
და ნეშომბალის ნოყიერ სუნში,
კვლავ იმუქრება იების წაშლით
ღამე მუქ-ლურჯი ბინდების ტუშით.

მხოლოდ აქ ვგრძნობ, რომ
რაღაცად ვფასობ,
წარმოსახვაა ძალზედ ნამდვილი,
პირლიას, ხიდან,
ბულბული ხმას რომ
მაწვეთებს დამდნარ შოკოლადივით.

მამშვიდებს, ცხადის სიზმრებში გაცვლა
გაღიმებული სახით, რომ მძინავს
მწვანე სიმინდზე, ფოთლების ნაცვლად,
კვლავ მინის სული ჩამოძონძილა.

მეღვრება თავზე ნაკურთხ წყალივით
ფიქრი.
და ღმერთი ხმას რომ მაჩუქებს
ყვითლად მბჟუტავი კვახის ყვავილი,
თითქოს ქვესკნელის სულთქას აშუქებს.

იყო ჩურჩული, შეწყდა და უფრო
ხსოვნის ნიალში მოწვეთავს ის ხმა,
გაორებული თავთან ვსაუბრობ,
სულმა თავისთვის ხორცი მოისხა.

„ზაფხული“

მზე ჩამეღვარა, შიგ ორგანიზმში,
თითქოს ფორთოხლის წვენი დავლიე,
ამდენ ფიქრს, ღმერთო, როგორ განვიცდი,
ამ ჩიტებმა ხომ, მთლად გადამრიეს.

ჩემი ბრალია ფიქრით ვერ ვძლები,
თან ვცდილობ მადა, უფრო გავზარდო,
ძაბის მავთულზე სხედან მერცხლები,
ორას ვოლტიან ცოცხალ ხაზად რომ
ბოძიდნ-ბოძზე გაბმულან მალლა
უფრო მაღლა კი გუბე დგას სიცხის,
თავისში მიწოვს.
ცის ცხელმა თაღმა,
გადამავიწყა თვეცა და რიცხვიც,
კომპიზიცია.
ბოლო აკორდი
ჩამავალი მზის ტაიმ-აუტი.
რახან ვერძი ვარ ზოდიაქოთი,
ფიქრს კვლავ აპრილის სუნი აუდის.

ფორთოხლისფერი მოედო სახეს,
მთვარის ნათებას, რომ ვაკვირდები,
ჩემს გაშიშვლებულ გულის ცემას კი
კვლავ შემიწოვენ ვაშლის კვირტები.

* * *

პროფესიულივით გადმოემხო ვეება მთვარე,
მდუმარე ხევებს,
მთვარის შუქზე უხმო კადრივით,
ხეთა ჩრდილები სიმინდებზე იწელებიან,
ღამის სიგრილე ხევებიდან ამოვარდნილი,
თითქოს მთის ქარის ამონასუნთქს მიწებებია.

გრძელდება ზეცის და ვარსკვლავთა უსასრულობა,
შორს ჩაბნელებულ ნაძვნარებს მიღმა,
აქ მსხლის ფოთლებში თვლემენ ჩიტები,
შორიდან ძალის მოგუდული ხმა,
ისე მამჩატებს,
რომ საკუთარ ჩრდილს ვეჭიდები.



ნინო დარბაისელის ამ ახალი ლექსის თემა არ არის ორიგინალური — პირვენების სულიერ ჭიდილსა და გაორებაზე ბევრი ლირიკულ ნიმუში შექმნილა და ამ მხრივ არც ჩვენი პოეზია გამონაკლისი. სამაგიეროდ, ორიგინალურა სტილისტიკა, ორიგინალურია ის ფაქიზი ნიუანსები, რაც ყოველთვის ცნობისწინადილი მიგვადევნებინდებს თვალს მისა შემოქმედებისათვის, რაც არ გამოირჩევა ხელხვავიანობით, მაგრამ ნამდვილი პოეზიის ტვიფარით არის აღმაფილი. ამიტომაც იტევს მისი რამდენიმე ლირიკული კრებული მძაფრ ვნებებს.

ამ ახალ ლექსს საკუთარი მეორე მე-ს გამოტირების მოტივი მსჯვალავს... და უნებურად გახსენდება დავით კობიძის მიერ გამოვეყენებული სამგლოვიარო განცხადება: გარდაიცვალა პოეტი დავით კობიძეო. და როდესაც შენუხებული მეგობრები მის სახლში მიცვიცდებოდნენ, მასპინძელი სიცილით გამოეგდებოდათ: გარდავიცვალე როგორც პოეტი, ახლა მთლიანად უნდა მივეცე სამეცნიერო მუშაობას.

ის განცხადება თვითორონიას გამოეწვია, ნინო დარბაისელის ლექსში ჩართული მსგავსი სამგლოვიარო განცხადება კი თვითორონითა და ფაქიზი ლირიზმითა გაჟღენთილი ერთსა და იმავე დროს, და განზოგადდება მარტისულობის მწვავე განცდად, როდესაც თვალდათვალ შეჰყურებ, როგორ გენგრევა ის თავშესაფარი, ყველაზე საიმედოდ რომ გეგულებოდა.

ნინო დარბაისელი

მაი სვეისი*

რაც მოხდა, მოხდა!
კარგო,
განა ჩემი ბრალია,
ნურც გამამტყუნებ,
ნურც ინაღვლებ განალაღები.
მე დავასწარი,
განაჩენი გამოვუტანე
და
დანარჩენებს შევაჩეჩე იარაღები,
რათა მრავალი მორეოდა
ტყვია,
იარა,
არეულიყო
დანაკოდი და დანასერი.
ცოდვას ვერ ვიტყვი,
უკან არვის დაუხევია
და
როგორც იქნა,
მოკვდა ნინო დარბაისელი.

არ დაინანო,
თვალი ცრემლით არ დაისველო!
განა რაც მჭირდა
ყველაფერი მისგან არ იყო?!
რად აიჩემა სიყრმითგანვე,
პოეტი ვარო,
სათქმელი მაქვსო...
რა სათქმელი, რისი სათქმელი!
მთელ წელიწადში
ერთი ლექსი ეწერებოდა,
ბალიშქვეშ მალ-მალ მოსინჯავდა

* my space (ინგლ.) — ჩემი სივრცე. პოპულარული ვებ-გვერდის სახელწოდება.

ხელისფათურით.

ბოლოს იმ ერთსაც ვეღარ წერდა,
იწყებდა სიტყვას და ცმულზე გადადიოდა.

სულმოუთემელად
განსაცდელში მიმაქანებდა.
ვერ მოვერიე,
არ იქნა და არ მოიშალა
სხვის შესაქცევად თავის გვემა,
ცრემლი მდუღარე.
ვერ შევასმინე,
რომ არაი არ სჭირდებოდა,
დევნა-მალვაში
დავბერდი და გადავიღალე.

დე, ახლა სხვებმა იდაონ და ისაცოდაონ,
სხვებმა დააცხრონ
სიტყვა-თქმათა აურზაური,
ეძიონ ბნელში სიტყვის ფერი,
ხმაურში - უღერა,
უმბარ ამბარში
უებარი იცნონ სურნელი,
უსინჯონ სიტყვას
მიმოხვრა და სახეცვლილება
ზომონ და წონონ,
გინდ ინონონ, გინდა ინუნონ!

მე კი წავალ და „მაი სფეისში“ დავიკარგები.
მეც მომერგება ის თარგები, ყველას სარგები.
მეგებებიან აღტაცებით ყმანვილ-კაცები,
დაუნანებლად გულს მიშლიან ტოლი ქალები.
ვირტუალური არსებობა ნამდვილს სჯობია!
ისე მშვიდია ჩემი სივრცე,
ისე დაცული,
ამოვისუნთქე.
რა მაქვს საშიშ-საკანკალები?!

ანტივირუსით შევკარ, კარგო,
ყველა კარიბჭე,
ხოლო საეჭვოს და უცნაურს არც ვეკარები.

ଓଡ଼ିଆରୁ ମନୋଲଗାପିଲାଙ୍କ

ქართველი მყითხველი თავის დროზე ინტერესით
შეხვდა კრებულის გამოკვეთებას, რომელიც მომზა-
დებულია ამერიკელ, რუს და ქართველ ისტორიკოსთა
საერთაშორისო პროექტის ფარგლებში თანამშრომ-
ლობის შედეგად. „სტალინი ისტორიისა და ისტორიკო-
სების შეჯისახებაში“ – ასეთია მისი სახელმწიფო გამო-
ცემა დაავინანსა ჯორჯ ვაშინგტონისა სახელმწიფის
შუნივრსიტეტთან (ვაშინგტონი, აშშ) არსებული ეროვ-
ნული უსაფრთხოების დოკუმენტების არქივის ფონ-
დმა კარნეგის კორპორაციის (ნეუ-იორკი, აშშ) შმარდა-
ჭერით. როგორც კრებულის შემდგენლებმა აღნიშნეს,
მიუხედავად სტალინისა და სტალინიზმის ურიომენის
მიმართ საქართველოში არსებული ინტერესისა, სად-
ლეისოდ, ქართულ ენაზე, მცირე გამონაკლისის გარდა,
თითქმის არ მოგვეპოვება ხსენებული პრობლემსადმი
მიძნენით იძინებული ლიტერატური. შემდგენლებ
საზღვანო რომელი ისინი არ გულისხმობენ საქართვე-
ლოში ბოლო დროს მოწოდებულ ტენდენციურ აპო-
ლოგებულ წიგნებსა და სტალინისტური პერიოდის
(კალკულ პარტიულ უნიტიკონტრა მოაღნებებს.

ახალგუაზრდა ოფიცერი ჰენრის პიკერი ის-ის იყო, ფრონტზე უნდა გამგზავრებულიყო, რომ მოულოდნელად დაბარა რაიხსსლაიტერმა (ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობაში ჰიტლერულ გერმანიაში) მარტინ ბორმანმა, რომელიც იმ დროს ოფიციალური მდგომარეობით, ჰიტლერის მდგვანი და პარტიული კანცელარიის ხელმძღვანელი იყო. მან პიკერი ფრონტზე გამგზავრების წაცვლად თავის განკარგულებაში დატოვა ასეთი დავალებით: იგი ამიერიდან ყოველთვის დაესწრებოდა ჰიტლერთან სადილსა და ვახშამს, სადაც ფიურერი ვრცელ მონალოგებს წარმოთქვამდა, ყველაფერს კარგად დამახასოვრებდა, ზუსტად ჩაინერდა და შემდეგ ბორმანს აჩვენებდა. რაიხსსლაიტერს განზრახული ჰქონდა ამ ჩანანერების წიგნად გამოცემა და ამით ფიურერის გულის მოგება, რათა სახელმწიფოში მეორე პირი გამხდარიყო (თუმცა, ჰიტლერის მექანიზრებ იფიციალურად ჰერმან გერინგი იყო გამოცხადებული).

როცა ბორმანმა მისი მონოლოგების ჩაწერის იდეა ჰქონდა და მას განვითარებული გახდა. აღმოჩენა, რომ ფიურერი მეტად კეთილგანწყობილი ყოფილა ახალგაზრდა ოჯიცრის მიმართ, თურმე მის მამასთან, სენატორ დანიელ პიკერთან 20-იან წლებში მეტად განვითარდა.

პიკერი კარგა ხნის მანძილზე იწერდა პიტლერის მონოლოგებს როგორც მის შტაბ-ბინაში, ბუნკერში ქ. ვინიცის (უკრაინა) ახლოს, ისე — ბერლინში, სამშენებლო კანცელარიაში, იყენებდა ადრინდელ სტენოგრამებსაც. წაგნი მხოლოდ ომის შემდეგ, 1951 წელს გამოიცა (მრავალ ენაზე ითარგმნა) და მკითხველი, პირდაპირ, შოკურ მდგომარეობაში ჩააგდო.

ამ წიგნში ჰიტლერი სულ სხვადასხვა სფეროებს ეხებოდა: ფრონტზე არსებული მდგომარეობიდან ხელოვნების სფეროს (არქიტექტურას, მხატვრობას, მუსიკას) გადასწყვდებოდა, აასაიათებდა ცალკეულ პოლიტიკისებს, გნებავთ, ხალხებს, რასისტული შეხედულების მიხედვით.

პიკერის წიგნს ჰქვია „ჰიტლერის საუბრები სასადილო
მაგიდასთან მთავარ შტაბ-ბინაში“, თუმცა, როგორც გიო-
ტინგენის უნივერსიტეტის პროფესორს პერსი ერნსტ
შრამს (რომელმაც „საუბრების“ გამოცემა მოამზადა)
მიაჩნია, მას სათაურად „თავებდის მონოლოგები“ უფრო
შეეფერებოდა. გასავაგებია, რომ ჰიტლერი არ ინდობდა თა-
ვის უშუალო მონინაალმდეგებს: ჩერჩილს „უნიჭო გალო-
თებულ დემაგოგს“ უწოდებდა, რუსელტს – „სიცილიისის
შედეგად პარალიზებულს“, და, ამდენად, შეურაცხადს. და
აი, ერთი ორიგინალური აზრიც, რომელიც ჰიტლერის მი-
ნისტრ ალბერტ შპერეს თავის მოგონებებში მოჰყავს:

„იგი ამბობდა, ხან თითქოს სუმრობით, ხან თითქოს სერიოზულად, რომ რუსეთთან გამარჯვების შემთხვევაში, ყველაზე სწორი იქნებოდა ქვეყნის მართვა, ცხადია, გერმანიის უზენაესობით, სტალინისათვის მიენდოთ, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, როგორ უნდა მოექცეს რუსებს. საერთოდ კი, იგი სტალინში თავის კოლეგას ხედავდა“.

ରାଜ ଶ୍ରେଷ୍ଠଙ୍କ „ସାଉଥର୍ନପ୍ସ“, ଏହି ତାତ୍ପର୍ଯ୍ୟରୀ ଅରାଗରତକ୍ଷେତ୍ର କେବେ-ଦା „ତାଙ୍କର କ୍ଷମିତାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ“ କୁଣ୍ଡଳାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରିବାକୁ ପରିଚାରିତ କରିଛନ୍ତି।

2. 8. 1941, შუადღე, „მგლის ბუნაგი“ („ვოლფშანც“)

ბურუჟუაზის წარმომადგენლები მეტად მხდალები იყვნენ, ვერ გაძედეს ხანჯლით გაეპორთ სოციალ-დემოკრატიის გული... ტელმანი (გერმანიის კომპარტიის ლიდერი) მეტად პატარა ადამიანია, არც ისე ჭავანია... რუსეთთან პაქტმა (იგულისხმება სსრკ-გერმანიის პაქტი ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ, რომელიც 1939 წლის 23 აგვისტოს დაიდო, ე.ნ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი) მე არ შემაცვლევინა აზრი ჩვენს შინაგან მტერზე (იგულისხმება გერმანული სოციალ-დემოკრატია). კომუნისტები ჩემთვის ათასჯერ სიმპათიურები არიან, ვიდრე იგივე შტარხემბერგი (თავადი ერნსტ რიუდიგერ ფონ შტარხემბერგი 1923 წლამდე პიტლერის მომზრე იყო, შემდეგ კი მისი მტერი გახდა).

მე ტელმანი არ გავთავისუფლე, იმიტომ კი არა, რომ შეურს ვიძიებდი, არამედ იმიტომ, რომ სახიფათოა. როცა იმ საშინელ მუქარას ავიცილებთ, რომელიც რუსეთშია დაბუ-დებული, წავიდეს, სადაც სურს (მოგვიანებით ტელმანი ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა).

2. 8. 1941, სალამო, „მგლის ბუნაგი“.

სტალინმა ბალტიისპირეთის ქვეყნებში ბოლშევიკური რეჟიმი მისი გამო დაამყარა, რომ მისი საოკუპაციო არმიის ჯარისკაცები პირდაპირ გაოცებული იყვნენ იქაური ცხოვრების დროით, მას საკუთარ პირობებს ადარებდნენ. და-საწყისში სტალინს ეს არ სურდა.

8 და 9 სექტემბერი, 1941, ლამე. 10 სექტემბერი, 1941, შუადღე, სალამო და ლამე, „მგლის ბუნაგი“.

რაც შეეხება რუსეთის კამპანიას, აქ ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული აზრი წარმოიშვა. ერთნი ფიქრობდნენ,

რომ სტალინი 1812 წლის უკანდახევის ტაქტიკას აირჩიეს; სხვების აზრით, გააფთრებულ ნინააღმდეგობას გაგვიჩევა-დნენ. მე მეორე აზრს ვიზიარებდი და თითქმის არავითარი მხარდაჭერა არ მქონია.

23. 3. 1942. შუადღე, „მგლის ბუნაგი“.

იგი (ჰიტლერი) დიდი ინტერესით კითხულობდა უკრ-ნალ „კუნსტის“ („ხელოვნება“) ცალკეულ ნომრების: რომ შევადაროთ 1910 წელს არსებული ხელოვნების დონე დღევანდელს, თუ ეს ათვლის წერტილად 1930 წელს მივიჩნევთ, თვალში გვეცემა, სადამდე დავეცით. ამ დამსუპველ შედეგებამდე მიგვიყვანა ებრაელების დიდმა სიმრავლემ ჩვენს ხელოვნებაში და მათმა ყოვლისმძლეობამ. სტალინი თუნდაც იმის გამო უნდა დავაფასოთ, რომ ებრაელებს ხელოვნებაში გასაქანი არ მისცა.

31. 3. 1942. საღამო. „მგლის ბუნაგი“.

ევროპა შეიძრა, ნაპოლეონმა რომ იმპერატორის წოდება მიიღო. ამას ყველაზე უკეთ ის ფაქტი ადასტურებს, რომ ბეთჰოვენმა დახია ნაპოლეონისადმი მიძღვნილი სიმფონიის პარტიტურა, ფეხით გათელა და წამოიძახა: „იგი მსოფლიო სული არ არის, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია“ (ლეგენდის თანახმად, ეს იყო მესამე, „გმირული“ სიმფონია).

ნაპოლეონის ბედის მთელი ტრაგიზმი ის იყო, რომ მან ვერ გაიგო ერთი რამ: იმპერატორის წოდების მიღებით, ბრწყინვალე კარითა და ცერემონიალით, იგი დევენერატებთან ერთ რიგში აღმოჩნდა და მაიმუნებით სავსე გალიაც მიიღო. იგი (ჰიტლერი, პიკერი მას ჩვეულებრივ „შეფის“ სახელით იხსენებს) სიგიურედ ჩათვლიდა, მისთვის რომ, მაგალითად, პერცონობა შეეთავაზებინათ და, ამრიგად, ამ წოდების მატარებელ უჭიუოთა დონეზე აღმოჩნდილიყო.

11. 4. 1942. საღამო. „მგლის ბუნაგი“.

თუ სტალინი წინა წლებში რუსი ხალხის მიმართ იმავე მეთოდებს იყენებდა, რასაც კარლოს დიდი გერმანელი ხალხის მიმართ (იგულისხმება უკიდურესი სისასტიკე), თუ რუსების მაშინდელ კულტურულ დონეს გავითვალისწინებთ, მაშინ მას ნუ გავიდავთ. სტალინმა დაასკვნა, რომ რუსებს, შემჭიდროებისათვის, მკაცრი დისციპლინა და ძლიერი სახელმწიფო სჭირდებათ.

25. 4. 1942. შუადღე. ბერლინი. სახელმწიფო კანცელარია.

მსოფლიო ისტორიაში გამოჩენილ მხედართმთავრებს შორის ბევრი მაგალითია იმისა, რომ უკვე 30-35 წლის ასაკში შეიძლება დიდი საქმეების კეთება. გავიხსენოთ ნაპოლეონი, გარდა ამისა, ოცი წლის ალექსანდრე მაკედონელი. ამასთან, ბევრმა, როცა 70 წლისა და მეტისაც კი იყვნენ, თავის ცხოვრებაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია.

12. 5. 1942. საღამო. „მგლის ბუნაგი“.

აღმოსავლეთის მიწებზე (იგულისხმება, ცხადია, საბჭოთა კაგშირი) მიზანს მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიაღწევ: თუ მთლიანად დაუნდობელი მეთოდებით a la Stalin იმოქმედდე. ამასთან შეფი დარწმუნებულია, რომ თუ პარტია 5-10 წლის განმავლობაში იქ შექმნის ისტორიას, ეს მიწები მთლიანად გერმანულ იერს მიიღებენ.

15. 4. 1942. საღამო. „მგლის ბუნაგი“.

ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, რომლის გადაწყვეტასაც იგი (ჰიტლერი) შეუდგა ხელისუფლების დაუფლების შემდეგ, იყო მთელი გერმანული პრესის უნიფიკაცია (იმის მსგავსად, რაც სტალინმა საბჭოთა კავშირში მოიმოქმედა). მას ყველაზე მკეთრი ზომებისაგანაც კი არ შეუკავებია თავი, რადგან კარგად ესმოდა, რომ სახელმწიფო, რომელიც ცენტრალიზებულად მართავს პრესის მრავალრიცხვობის რედაქტორთა დახმარებით, და, ამრიგად, მტკიცედ განაცემას მას, ისეთ დიდ ძალაუფლებას ფლობს, რომლის წარმოდგენაც კი შესაძლებელია.

„პრესის თავისუფლების“ ცნება ყველა სახელმწიფო-სათვოს სასიკვდილო ხიფათს შეიცავს. ეს არის თავისუფლება არა პრესისათვის, არამედ ცალკეული სუბიექტებისათვოს, რათა მათ გააცეთონ ის, რაც მოეხასიათებათ და მათ ინტერესებს შეესაბამება. ამას ისინი მაშინაც აკეთებენ, როცა სახელმწიფოს ინტერესები ზიანდება.

17. 5. 1942. შუადღე, „მგლის ბუნაგი“.

შეფი მოჰყვა ერთ მეტად თავშესაქცევ კარიკატურაზე, რომელიც უურნალ „კლადედერადაში“ გამოქვეყნდა ასეთი წარწერით: „ჩვენ მტკიცები და ერთმანეთის ერთგული ვართ“. მასზე გამოსახულია უფსკრულის თავზე დაკიდებული სტალინი. ის ეჭიდება ტოტს, რომელიც რუზველტსა და ჩერჩილს უჭირავთ.

18. 5. 1942. საღამო. „მგლის ბუნაგი“.

შეფი განაცხადა: ჩვენმა ბრძოლამ ნათლად გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელმა პირველმა უნდა მიაყენოს დარტყმა იმ შემთხვევაში, თუ იგი ომს გარდუვალად მიიჩნევს.

სტალინის შეილთან აღმოჩენილ წერილში, რომელიც მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა დანერა ჩვენს თავდასხმამდე (საბჭოთა კავშირზე) ცოტა ხნით ადრე, აღნიშნულია შემდეგი: მას „ბერლინზე გასეირნებამდე“ უნდა, კიდევ ერთხელ ნახოს თავისი ანუშეა.

თუ ჰიტლერი დაუჯერებდა თავის ცუდად ინფორმირებულ გენერლებს და რუსები, თავინთი გეგმების შესაბამისად, დაგვასწრებდნენ, მაშინ კარგ ევროპულ გზებზე მათ ტანკებს ხინ ველარაფერი დაუდგებოდა.

იგი მოხარულია, რომ ომის უშუალო დაწყებამდე საბჭოებს თავზას უბნევდა და მუდმივად ანარმოებდა მათთან მოლაპარაკებას ინტერესთა სფეროების განაიღების შესახებ.

19. 5. 1942. შუადღე, „მგლის ბუნაგი“.

მოგვიანებით შეფი დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი საბჭოთა დივიზია ქერჩის ნახევარკუნძულზე განსაკუთრებით მამაცურად იბრძოდა, თავს არ ზოგავდა. ეტყობა, ეს იყო ე. ტ. იდეურ მებრძოლთა დივიზია. უნდა გვიხარისეს, რომ ასეთი დივიზია არც ისე ბერია. ეს ნიშნავს, რომ სტალინმა ვერ შეძლო მთელს წითელ არმიაში ჩაენერგა კომუნისტური მსოფლმხედველობა.

მარშალმა კაიტელმა განაცხადა, რომ რუსების უმეტესობა დღეისათვის საამისოდ მეტად გონიერებულია. ეს დაამტკიცა სტალინის ტყვედ ჩავარდნილი შვილისა და მდივნის დაკითხვამ. რუსები რომ ისეთივე გონივრები იყ-

ვნენ, როგორც გერმანელები, ეს მათ არაახულ სიმაღლებ-
დე აიყვანდა. მაშინ ევროპა და აზია ბოლშევიზმის მიუდ-
გომელ ბასტიონებად იქცეოდა, პლატფარმად, რომელიც
აუცილებელი იქნებოდა მსოფლიო რევოლუციისათვის.

29. 5. 1942. შუადღე. ბერლინი, სახელმწიფო კანცელარია.

„ვონებიშაუ“ (საკვირაო კინოქრონიკა) ზოგჯერ უცხოურ ფილმებსაც გვიჩვენებს. მაგალითად, რუსულ ქრონიკას, რომელიც შარშანდელ დეკემბერში, მოსკოვთან საბჭოთა ჯარების ჩვენების წინააღმდეგ გამარჯვებას ეძღვნება. ჯერ მოსკოვის ყველა ეკლესიის ზარების რეკვაგაისმა, საბჭოთა საზენიტო არტილერიამ ჩვენს თვითმფრინავებს ცეცხლი გაუხსნა. გაიღლვეს კრემლის იდუმალმა სილუეტებმა, სადაც დაძვიდრდა სტალინი, რომელსაც ჰიტლერი გენიოსს უწოდებს და აშკარად გამოთქვამს ალტაციპას მის მიმართ.

1. 7. 1942. სალამო. „მგლის ბუნაგი“.

დასანანია, რომ ტყველ ჩაგდებულ ინგლისელთა შორის არ არიან ისეთი მაღალი თანამდებობის პირები, როგორც, ვთქვათ, რუსებს შორის.

როცა მარშალმა კაიტელმა ახსენა, ჩვენს ხელში რომ
ჩაგვიცვივდნენ სტალინის შვილი და მოლოტოვის ძმის-
ნული, ამ უკანასკნელს ფეხები მოყინული ჰქონდა და
მოგვიხდა მისი მკურნალობათ, ამაზე შეფარა თქვა: ჩვენ
ყოველთვის გვიკვირდა, რომ რუსებს შორის მოყინუ-
ლებს ვერ ვხვდებოდით. ახლა კი გამოირკვა, რომ საბჭო-
ელები, უბრალოდ, ხვრეტდნენ თავიანთ მოყინულკიდუ-
რებიან ჯარისკაცებს საკუთარი სხეულის განზრას დაზი-
ანების ბრალდებით, რათა ზურგში არეულობა არ დაწყე-
ბულიყო.

21. 7. 1942. სალამო. „მგლის ბუნაგი“.

თავის დროზე სტალინს მიერ გენერალიტეტში განხორციელებული გრანდიოზული წმინდით დაინტერესებულმა შეფარა აღნიშნა, რომ აქამდე არ არის ნათელი, მართლაც ისე შორს ნავიდა უთანხმოება სტალინსა და ტუხარევსკისა და მის თანამზრაჩველებს შორის, რომ სტალინს მოუხდა სერიოზულად ეფიქრა საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოებაზე.

ძნელი წრმოსადგენია უფრო სხვადასხვანაირი ადამი-ანები, კიდრე სტალინი და მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი ტუხაჩევსკი იყვნენ. გენიალურ სტალინს საგვარეულო შეგნებული ჰქონდა, რომ მსოფლიო რევოლუციის განხორციელებისა და ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაზე თავდასხმის მისული გეგმების ხორცებს სხმისას ძალზე აძლევდა ხელს ის ფაქტი, რომ არ მოხერხდა ქრისტიანობის ფილოსოფიურ საფუძვლად მატერიალიზმის ქცევა მეტაფიზიკის ნაცვლად.

სი შეცვლა ადამიანთა მცირე ჯგუფის ბატონობით, რომელიც ეპრაელებისა და მათი დაქარიაჲებისაგან შედგება, რამდენადაც თვით პროლეტარიატს არ ძალუდს სახელმწიფოს მართვა.

სტალინს რომ გამარჯვება ეზიემა, მაშინ ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში ჩევნ გვეკნებოდა ყველაზე უარესი ყაიდის კომუნიზმი. თუ რას ნარმალადგენს იგი, ნათლად დავინახეთ ესპანეთის სამოქალაქო ომში მრავალრიცხოვანი ინციდენტის მაგალითით. როცა მიმდინარე იმი დასრულდება, ევროპას შეეძლება თავისუფლად ამოისუნთქოს. მას შემდეგ, რაც იმი დამთავრდება და შეფიქრობიდან უკლებლივ ყველა ებრაელს გააძევებს, აღმოსავლეთიდან მომდინარე კომუნისტური მუქარა ერთხელ და სამუდამოდ იქნება აღვეთილი.

24. 7. 1942. სალამო. ბუნკერი „მოქნილი მგელი“.

ვახშმობისას შეფარა აღნიშნა: მეორე მსოფლიო ომი სამ-კვდრო-სასიცოცხლოა. ამიტომ არ უნდა დავივინყოთ, რომ მას შემდეგ, რაც მსოფლიო სიონისტურმა კონგრესმა და მისმა ლიდერმა ხაიმ ვეიცმანმა ომი გამოგვიცხადეს, მსოფლიოს ეპრაელობა ჩაციონალ-სოციალიზმის უპირვე-ლესი მტერია... ომის შემდეგ, არავინ შეუშლის მას (შეფს) ხელს ქალაქი ქალაქზე დაანგრიოს, ვიდრე ყველა ეპრაელი დატოვებდეს იქაურობას და მადაგასკარზე ან სხვა რომე-ლიმე ეპრაულ ეროვნულ სახელმწიფოში დასახლდებოდეს.

ახლა უპირველესი ამოცანაა ვერის განმენდა ებრაელუ-
ბისაგან... მიუნხენში დაახლოებით ათასზუთასი ებრაელი
დარჩა. აუცილებელია ისინიც რაც შეიძლება ჩქარა წავიდ-
ნენ აქედან. იგი (შეფი) ძალიან გახარჯულია, რომ ლინცი-
ხომ მაინც მთლიანად განმენდილია ებრაელებისაგან. მო-
ახსენეს, რომ ლიტევაშიც არცერთი ებრაელი აღარ დარჩა,
ეს კი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ლიტველები ხომ
მათთან საბჭოთა რეჟიმის ხანმოკლე არსებობის მანძილ-
ზე საკუთარი გამოცდილებით დარნმუნდნენ, რას წარმო-
ადგენდნენ ებრაელები, ის ებრაელები, რომლებსაც, რო-
გორც ერთ შლაგერში მღერიან, „უნდოდათ თავიანთი
თეთრეული ზიგფრიდის ხაზზე (გერმანულების მიერ გა-
მაგრებული ხაზი საფრანგეთის საზღვარზე) გაეფინათ“,
ომის შემდეგ უკვე აღარ იქნებიან თაგხედობის გუნებაზე.
საკვებით შესაძლებელია, რომ ინგლისელი ჯარისკაცი,
რომელიც თავის დაბალ ავტორიტეტს სწორედ ებრაე-
ლებს უნდა უმადლოდეს, თვითონ იზრუნებს ამაზე. ან-
გლო-ამერიკელებს შორის, რომლებიც იძულებული არიან
დაფარონ თავიანთი გრძნობები, ანტისემიტიზმი უფრო
ძლიერია, ვიდრე გერმანულებათან. გერმანულები მთელი
თავიანთი ნეგატიური გამოცდილების მიუხედავად, დღემ-
დე ისეთი სენტიმენტალური არიან, რომ არ შეუძლიათ
დაიგრინუნონ გამოთქმა „მართალია ებრაელია, მაგრამ ნესი-
ერი ადამიანია“. ვინედე სხვამ კი არა, სწორედ გერმანულმა
დრამატურგმა (ჰიტლერი გულისხმობს ლესინგს) შეასხა
ხოტბა ებრაელს, როგორც „ნათან ბრძენს“, ხოლო შექ-
სპორტს სამუდამოდ დადაღა ებრაელი, როგორც „შეილო-
კი“. სტალინიც რიბენტორიპათან საუბრისას არა მაღავდა,
რომ უცდის იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში სათანადო
ინტელიგენცია იქნება, რათა ბოლო მოუღოს ებრაელების
სიმრავლეს ხელმძღვანელობაში, დღეისათვის ისინი ჯერ
კიდევ სჭირდება.

კომენტატორი ი. ფრადეინის შენიშვნა: 1940 წელს ნაცისტურმა ხელმძღვანელობამ განიხილა ყველა ევროპელი ებრაელის მადაგასკარზე დეპორტაციის საკითხი, მაგრამ უკვე 1942 წლის იანვარში, ვანზეეს კონფერენციაზე, მიიღეს და დაიწყეს „საბოლოო გადაწყვეტის“ პროექტის განხორციელება ცხოვრებაში. მის თანახმად, ეკზიერულ რაზმებს ებრაელები მთლიანად უნდა ამორწყვიტათ სიკვდილის ბანაკებში პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

27.7. 1942. სადამო. ბუნკერი „მოქნილი მგელი“.

1939-40 წლების ზამთარში ფინერზე თავდასხმის დროს მათ (საბჭოელება) სხვა ამოცანა არა გააჩნდათ, გარდა ბალტიის ზღვის ნაპირებზე სამხედრო ბაზების შექმნისა, რომელიც შემდეგ ჩვენს წინააღმდეგ უნდა გამოიყენებინათ. 1941 წლის ზაფხულში ისინი აპირებდნენ გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინათ რუმინეთისათვის. ის ერთადერთი ქვეყანა იყო, რუსეთის გარდა, რომელიც ჩვენ ნავთობს გვანოდებდა. მაგრამ ამ ვერაგული გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა დასავლეთში ომის სწრაფად დამ-

თავრებამ. ბალკანეთში ბლიცერიგისა და იუგოსლავის კაპიტულაციის შემდეგ, მათ მოუხდათ ამ გეგმებზე საბოლოოდ უარის თქმა. ამიტომაც მიულოდნელად მოიხსნეს ნიღაბი და, ვიდრე სტალინი ჩვენს ელჩს ეხვეოდა და ეუბნებოდა, „ჩვენ ყოველთვის მეგობრები ვიქებითო“, უკვე დასრულდა სსრკ-ინგლისის მოლაპარაკებები ჩვენს წინააღმდეგ ზავის დადების შესახებ.

თუ ჩერჩილი ტურაა, სტალინი ვეფხვია.

„საუპრების“ ჩანარის საბოლოო თარილი 1942 წლის 31 ივნისია. ამის შემდეგ ომში ვითარების აქარა გაუარესების გამო თვით ჰიტლერმა ალარ მიიჩნია საჭიროდ მათი გაგრძელება. პიკერმა აგვისტოს დასაწყისში შტაბ-ბინა დატოვა, ბორმანმა კი მას, ჰიტლერის ნებართვით, უფლება მისცა თან წაელო მოული თავისი არქივი, რათა ჩანაწერები შემდეგში გამოიქვეყნებულიყო. სულ მაღლ თვით ჰიტლერმა შეწყვიტა სადილოსა და ვახშის დროს შეხედრება დაასტურებულ პირებთან. „მონოლოგების“ ფრთ უკვე ალარ იყო, კავკასიის ფრონტზე გერმანელების დამარცხების დრო დადგა.

**პუბლიკაცია მოამზადა
გივი გამრეცველი**

მოგონებათა სკივრი

ივანე სუხიშვილი

ჩემი თავგადასავალი

კაველას ამბავი

კეკე ყოფილა დარიბ მოქალაქის ასული, რომელსაც სახელად რქებებია ათანასე, ტომით სომხები, უცხოვრიათ ქ. ტფილისში, კლდის უბანში. ჰყოლია ცოლი და ორი ასული – კეკე, ნატაშა და ერთიც ვაჟი, სახელი ალარ მახსოვს. ქა-

ლები ორივე ლამაზები ყოფილან, განსაკუთრებით – კეკე. ბევრს მაშინდელ ახალგაზრდას შტერია მასზე თვალი და ამ სიღამაზის გამო შეურთავს იგი ერთ მაშინდელ გამორჩენილ მდიდარ კუცეცს. რასაკვირველია სომეხს.

იმ ხანობაში თურმე მრავალ ლექსებს თხზავდნენ და მღეროდნენ ამ ლამაზ კეკეზე. განსაკუთრებით ჰყვარებია ვიღაც ახალგაზრდა ყარაჩოლელ ყმანვილ კაცს. ბევრი ცდილა, რომ როგორმე ხელში ჩაეგდო, მაგრამ სურვილისათვის ვერ მიუღწევია, ამ დროს უკვე გათხოვილა მდიდარ ვაჭარზე და ეხლა უფრო გაძნელებია მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ იმედი მაინც არ დაუკარგავს. ერთ მშვენიერ დღეს გასცნობია ქალის ძმას, დაუპატიჟებია სხვა ბიჭებთან ერთად ეს ვაჟი და კარგად უქეთვიათ. ბოლოს სხვა ბიჭების თანა დასწრებით უთქვამს: შენთან პატარა მოსალაპარაკებელი მაქვს და აი, ამ ძმა-ბიჭებთან მინდა

„ჩემი თავგადასავალი“ – ასე ჰქვია შიომლვიმის მონასტრის არქიმანდრიტის მამა ისე (ივანე) სუხიშვილის მოგონებას, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლისა და დრამატურგის – დავით ერისთავის ქალიშვილის, ქალბატონ ელისაბედ ერისთავის თხოვნითა დაწერილი და 1941 წლით თარიღდება. ცხრა რვეულისაგან შემდგარი ხელნაწერი გვაცნობს ბატონიშვილის ულლისაგან ახლადგანთავისუფლებული გლეხის ოჯახის მძიმე ხვედრს.

სუხიშვილის ოჯახს მხსნელად დავით ერისთავის ოჯახი მოევლინა და პატარა ვანო ცხოვრების მეტად რთულ, მაგრამ საინტერესო სამყაროს აზიარა. ასწავლა წერა-კითხვა, ფოტობელოვნება, გააცნო დიდი ილია, აკაკი, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ზაქარია ჭიჭინაძე... მემუარული ხასიათის ნაშრომში დაწვრილებითა მოხხორილი ერისთავების ოჯახში გატარებული წლები, შეხვედრები და ურთიერთობა ეპისკოპოს ლეონიდესთან და კირიონთან, სასულიერო პირებთან ერთად მოგზაურობა პეტერბურგსა და მოსკოვს. აღნერილია მე-19 საუკუნის ქართველი

არისტოკრატიის, ჩარჩ-ვაჭრების ცხოვრება და საქმიანობა, ასევე აღნერილია შიომლვიმის მონასტრის ბერმონაზონთა მოღვაწეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი ნაკლულია, შინაარსის მხრივ, ის მაინც მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. რომ არ ივანე სუხიშვილი, ჩვენთვის უცნობი იქნებოდა დავით და გიორგი ერისთავების, ეპისკოპოსების ლეონიდეს, კირიონის და ალექსანდრეს ცხოვრება და შემოქმედება.


ერთ-ერთი მოგონება ეხება სომეხი სოვედაბრივი სოფაში მოჯამაგირებას, კერძოდ, მის დიასახლის, სილამაზით განთქმულ კეკეს, რომელსაც დიდი სიყვარულით უმღეროდნენ ყარაჩოლები. ყველასათვის ნაცნობი სიმღერა: „შენც ლამაზი, მეც ლამაზი, კეკელჯან! რაღად გვინდა შუა კაცი კეკელჯან?... – სწორედ მას ეძღვნებოდა.

გთავაზობა რამდენიმე ამონარიდს ივანე სუხიშვილის მოგონებიდან „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც ქართული ტერიტორიულის მუხუმის ფრონტიდან მოგვანდა ლი გუსევამ.

მოგელაპარაკოვო. მომელაპარაკეო, – დასთანხმებია ისიც. არ ვიცი, შენ გაგებული გაქვს თუ არა და თუ არა გაქვს, ეხლა გაგაგებინებო. მე შენი და კეკელა გაგიუებით მიყვარს, ვერ ვითხოვე, რადგან ქორწილისათვის ვერ ვიყავი მომზადებული, ეხლა ის გაუთხოვებია მამაშენს. გაუთხოვებია მდიდარ კაცზე. ვიცი, მე ის ეხლა ცოლად აღარ გამომყვება, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, მაგრამ ერთი საათით ან ერთი ლამით მაინც უნდა დავტკბე მასთან, ამას შენ მომიხერხებ თუ მოინდომებ და თუ არ მოინდომებ, მაშინ პირველად შენ მოგკლავ და მერე მე მოვიკლავ თავსა. ბევრი ყოყმანის შემდეგ ძმა დასთანხმებია და მოულაპარაკნიათ: ამა და ამ დღეს კარგი პირსა მიდის თეატრში. მე მას თეატრში წამოვიყვან და თეატრის მაგივრად დიღმის მინდორზე თეთრ დუქანში მოვიყვანო. გახარებია ყარაჩოლელს და მის ამხანაგებსაც და ასე დაბრუნებულა ყველა თავის ადგილზე. დანიშნულ დღეს მართლა მიუტანია თეატრის ბილეთები დისტვის და უთხოვნია, ამაღამ უნდა წავიდეთ. ქალს ქმრისგან ნებართვა აუღია და გადაუწყვეტია წასვლა.

მოუყვანია ძმას ეტლი, ჩაუსვამს და წინათვე დარიგებულ ქუჩერსაც გაუწევია თეთრი დუქნისკენ. რა ელექტრონის სინათლით შეატყობდა სად და რომელ ქუჩაზე მიდიოდა. მხოლოდ მაშინ გაუგია თავის თავის უბედურება, როცა დუქნის კარზე გაჩერებულა ეტლი და ყარაჩოლელ ძმა-ბიჭებს მოუკიდიათ მისთვის ხელი და შეუყვანიათ დუქანში. მაგრამ მხნეობა გამოუჩენია, სასოწარევეთილებას არ მისცემია, სულ-გრძელობით აუტანია ეს ამბავი. როცა ვახშამი გათავებულა, მედუქნეს შეუხსენებია, თქვენთვის ოთახი მზათ არის, შეგიძლიათ მოისვენოთო. ისიც გასულა მეორე ოთახში, ჯერ ვაუგია ისევ ვახშამზე მსხდარან. გაუხდია ქალს ტანისამოსი, გარდა ფეხსაცმელებისა, თეთრი საცვლებით გასულა გარეთ, მითომ საჭიროების ალაგასა. მაგრამ გაქცეულა ტიტველა გიორგობისთვეში. ხილათ თოვლი არა ყოფილა, დამე ყოფილა მთვარიანი, წყნარი და თბილი. ურბენია საწყალ ქალს და მისულა რომელიდაც მეცხვარის ბინის მახლობლად. ძალებს ყეფა დაუწყიათ. გამოსულა მეცხვარე და თეთრი აჩრდილი რომ დაუნაზია, დაუძახია, ვინ ხარ, მაცდური ხარ თუ ადამიანი. ქალს უპასუხია ადამიანი ვარ ქრისტიანი. მიშველე, გაჭირვებული ვარ და თუ შენ ახლა ამ გაჭირვებიდან დამიხსნი, მერე მე ვიცი და ჩემმა ადამიანობამა. მისულა ახლო, შეუყვანია ფარებში. შეუხსენია, მშვენიერი ქალია, უამბია თავის უბედურება და გაჭირვება.

მეცხვარეს ჩაუცმევია ტყავი თავის ამხანაგის, დაუხურია ტყავის ქუდი, გაუმურია პირი, მიუცია ჩიბუხი და გრძელი მეცხვარული ჯოხი და შესდგომია გზას. სწორედ ამ დუქნის წინ უნდა გაევლოთ.



მამა ისე

ქალის დაკარგვით ჩვენ მოქეიფე ძმა-ბიჭებს შესდგომიათ ჩიჩეროლი. და ვაი-ვაგლახი, ზოგი ტფილისისაკენ გამოსდგომია საძებნელათ, ზოგი აღმა, ზოგი თავდალმა, მაგრამ ვერ მიუგნიათ. ამ დროს ჩვენს ნაცნობ მეცხვარე-ებსაც გამოუვლიათ. გზაში შეხვედრიან, მაგრამ აზრზე ვერ მოსულან, ანკი როგორ მოვიდოდნენ, მშვენიერი კეკელა მეცხვარის ტყავში, ტყავის ქუდში და პირში ჩიბუნით განა ადვილი საცნობილა იქნებოდნა? ასე ჩასულან ვერამდე. ვერაზე ეტლი თუ ლინეიკა შეხვედრიათ, დამსხდარან და წასულან სახლში.

სახლში უბედური ქმარი დიდ დალონებაში ჩაეარდნილა, აგერ გათენებამ მოატანა, თეატრში დიდი ხანია წარმოდგენა გათავებულა, სადარ არ ან კეკელა ან მისი ძმა. დადის წინ და უკან მოუსვენირათ ოთახში. გაუმნარდა ვახშამიც და ძილიც.

როცა იყო ვიღაცამ ზარს ჩამოკრა, მსახურმა და აღამ ერთათ გაულეს შესავალი კარი. შეხედეს უცნაურ სანახაობას. ორი მეცხვარე გრძელი ჩიბუხებით ხელში, კანალამ იყვირეს, გვიშველეთ თვეს დაგვესხნენო, მაგრამ კეკელა ხმაზე იცნო, რომელიც იქვე კაბეში უგონოდ დაეცა გულშენუხებული. როცა ის გონს მოვიდა, ავიდნენ სასადილო ოთახში, დასხდნენ, ველაფერი უამბი ქმარს. ქმარმა კარგათ დაასაჩუქრა მწყემსი, ქალმა კი და-ძმობა შეფიცა. ყოველ წელინადს, გიორგობის თვეში დაიარებოდა ამ ოჯახში ეს მეცხვარე თავის დობილის ოჯახში.

საწყალს როცა მისი ქალი გაჯავრდებოდა დედაზე წაყვიროდა ხოლო ა-ა-შე თეთრი დუქნის პატარძალოვო. რასაკვირველია, მეორე დლესვე შეუდგა სიძე თავის ცოლის ძმის გამოკითხვას, ვინ იყვნენ ეს ვაჟბატონები, ვინც გაატაცებინა მას თავისი და. მერე არა ვიცი რა, დასაჯეს ისინი თუ არა. ხოლო ეს კი ვიცი, რომ მისი ძმა ამის თაობაზე გააციმბირეს, ხერილებს სწერდა ხოლმე და დაც უგზავნიდა მას შემწეობას.

ცოტა რამ ზაქარიაზე

ზაქარია ჭიჭინაძე გავიცანი პირველად დავით ერის-თავის სახლში. იგი ხშირათ დაიარებოდა ასეთ წარჩინებულ ქართველებთან, რადგან თითონ ლარიბი იყო. აგროვებდა ფულს რომელიმე წიგნის გამოსაცემათ და როცა წიგნს გამოსცემდა ფულის პატარძნს წიგნს უგზავნიდა და რასაკვირველია ზოგი თითონაც რჩებოდა. მრავალი წიგნი აქვს ზაქარიას ქართულათ გამოცემული, რომლოთაც დიდი ღვანილი და ამაგი დასდო მან თავის საყვარელ სამშობლოს. ფეხით შემოიარა ახალციხე-ახალქალაქის მაზრები, აჭარა-ქობულეთი, გაიცნო გამაშმადინებული ქართველები და გაფრანგებული ქართველები, ფრანგები. ასწერა მათი მაშინდელი ყოფა-ცხოვრება და ამით და-

აახლოვა ეს ორი ძმა ერთიმეორეს. მაპმადიანი და ფრანგი ქართველები სარწმუნოებით განირჩეოდნენ ერთიმეორისაგან.

ცოდნა არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ თვით განვითარება კარგი ჰქონდა, დიდი მოყვარე იყო თავისი საშმობლოსი და ერისა. იგი სცხოვრობდა ტფილისში, მესამე თუ-მანოვის ქუჩაზე თავის საკუთარ სახლში. მისი სახლის კარი ლია იყო ყველა გაჭირვებულისათვის, ყველას შველოდა თავის შეძლებისდაგვარად, ზოგს ფულით, ზოგს ბინით და ზოგს კიდევ თავისი კალმით. ეხლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მახსოვს, რა სიყვარულით, აღტაცებით წამიყვანა მე ქერა სოლომონის სავაჭრო ფუქნიდამ, როგორ სიხარულით მიმინერა კირიონთან წერილი და სწრდა ბატონი... ეს ერთ-ერთ მონასტერს მაინც დაიცავს თავის დროზე მტრის ხელიდამ გაპარტახებისგან.

მაგრამ ამ წერილმა ვერ მიაღწია კირიონამდე, რადგან როცა მე იგი მას მიუტანე, ის წასული იყო შუამთის მონასტერში. იმავე დღეს უკან მიუტანე ზაქარიას ეს თავისი წერილი. მერე მეორე წერილი დამინერა ეპ. ლეონიდთან. იმ წერილმა კი გასჭრა.

იმ დროს ლეონიდი სცხოვრობდა სიონის ეზოში ძველ მამა-პაბეულ სახლში. მივედი, შესავლის კარის ზარი დავრევე. ვიღაც ჩოხიანმა ყმანვილმა კაცმა გამიღო კარი. ვიკითხე, თუ ეპისკოპოსა შინა ბრძანდებოდა. შინა ბრძანდებაო, მომიგო. გადავეცი წერილი. წერილი რო წაეკითხა, უბრძანებია შემოვიდეს. მეც ვახელი, თითონ დაჯდა და მეც მიბრძანა, დამჯდარიყავი. დავჯექ და დაინყო ტკბილი ქართულით მშვენიერი საუბარი. ზაქარიას წერილი წავიკითხე, ყმანვილი კაცია, დიდი სიამოვნებით შეუსრულებდი სურვილს და მის წერილს ამითი დავაკმაყოფილებდი, მაგრამ შენ დან ახალგაზრდა ხარ, ოცნებას გაუტაციხარ, ვაითუ ეგ ოცნება ჩქარა გაქრეს შენში და მერე უსასო და ცარიელიდა დარჩეო.

იქ, მონასტერში თითქმის სულ მოხუცებულ-ბებრები არიან. ნახევარზე მშივრები, ტიტვლები და ლარიბები. და შენ კი ახალგაზრდა ხარ. სმ-ჭამა, ჩაცმა, დახურვა, გარეცხვა-დაკერება... და ამასთან მეგობარიც კი არ გეყოლება. აბა მითხარ, როგორ უნდა გასძლო იქთ? ეკ ტანისამოსი, რომელიც შენ გაცვია, იქ არ გამოგადგება, რადგან იქ არავის აცვიაო. მაგ გახამებულ პერანგის საყელოს იქ აღარავინ გაგიხამებსო; მაგ დაპრიალებულ ფეხსაცმელებსაც კი ველარ ჩიაცვამ. რადგან იქ არც მაზი აქვთ და არც ჩოთქი, და არც ეგეთი ფეხსაცმელები. ზოგ-ზოგი მათგანი ქალამწებით დადიან და ძველი დაბეჭდილი ტანისამოსით. იქ უნდა დილით ადრე ადგე, ცისკარზე ნახვიდე, მერე წირვაზე და მერე სამორჩილოზე, რასაც უფროსი გიბრძანებს, ყოველგვარი უარის უთქმელადო. უნდა პირადი შენი მე მოკლა და სხვის ნება-ბრძანებას დაემორჩილო. და მითხარი, შესძლებ ყმანვილი კაცი ყველა ამის ატანასო. ღმერთი შემაძლებინებს-მეთქი, ბატონო. ღმერთი კი შე-გაძლებინებს თუ შენ მოელი შენი არსებით, ძალ-ლონით დაემორჩილები მას. ლიტონ სიტყვით არაფერი არც გაკეთებულა და არც გაკეთდებაო ღმერთთან. არამედ მისდამი სრული რწმენით, სიყვარულით და მთლათ მასზე მინდობით. ვნახოთ, გამოვცდი ჩქმ თავს-მეთქი. ჰო, წადი, იფიქრე კარგათ და თუ ღმერთს სურს შენი თავი და მან გამოგარჩია, მის ნება-სურვილს ვერსად ვერ გაექცევით.

ამ მსჯელობის შემდეგ მე საქმე ნახევრათ გაკეთებულათ ჩივთვალე, დაგრძნელი ისევ ზ. ჭიჭინაძესთან, ჩვენი ნალაპარაკევი სიტყვა-სიტყვით გადავეცი მას. იმას გაეხარდა, რადგან მის წერილს პატივი სცა და მითხრა, სამიედოა. და აბა შენ იცი, როგორც მასახელებო და გადმოიღო საწიგნედამ ორი წიგნი და ზედ წარნერით რომ იგი სახსოვრათ იყო ნაჩუქარი. „კალმასობა“ და „ქვათა დალადისი“ მომცა. გამოვემშვიდობე და მოვდიოდი, კარებში შემაყენა და მითხრა, კიდევ შემატყობინე, როგორ წავა შენი საქმე, მიგილებს ვიცი, მაგის ბიძა ეპისკოპოსი ალექსანდრე, კაცი ღრმა მორჩმუნე, განათლებული, ქველმოქმედი და სამშობლოს დიდი მოყვარეა. ის ახლა შიო მღვიმელის მონასტერს აახლებს და ვიცი, კაცებსაც ექცებს. თუ რამე მიზეზით ლეონიდე არ მიგილებს, მერე მას მივმართოთ. ასე, ამ საჩუქრით და საგზლით წამოვედი სახლში.

ეპისკოპოსი ლეონიდე

ლეონიდე ბრძანდება დაბალი ტანის ჩასუქებული შავი თმანვერიანი, მრგვალი სახის, და რუსული ცხვირის ქქონე. თვალები ყავისფერი აქვს, ატარებს ოქროს მოლურჯო სათვალეებს და მოხდენილი წარბები. ხელები მოკლე თეთრი და ფუნჩულა. წყარი და ენაწყლიანი მოსაუბრე, რამდენიც გინდა გელაპარაკოს, მისი ლაპარაკი არ მოწყინდებათ...

მე მინდა ზატივცემულ მკითხველო გავაცნო თუ ისინი თანახმა იქნებიან ვინ იყო ლეონიდი სადაური ვის შვილი და რა გვარის იყო იგი, როდის გაათავა მან სასულიერო აკადემია და როდის დაინყო ჩვენი სამსახური. ეს ყველაფერი პირადად მისგან მაქვს ნაშბობი და მეც რას მახსოვს ან რაც მაგონდება მას დაგწერ...

პატარა ლონგინოზი ესე ერქვა ერისკაცობაში და დაბადებულა 1860 წ. გორის მაზრაში სოფ. დისევჭი ერთ დარი მლვდლის სახლში, რომლის მამას ერქვა სოლომონი და დედას ნინო. სოლომონ მლვდლი და ვიდლი ძმა იყო ჩვენში კარგად ცნობილ ქველმოქმედ ალექსანდრე ეპისკოპოსის, გვარად ოქროპირიძის. სასულიერო სემინარია დაამთავრა სტავრობოლს. ბიძამისის ალექსანდრეს ??? გადაიყვანეს კიევის სასულიერო აკადემიაში. 1888 წ. დაამთავრა სასულიერო აკადემია აქვე აღიკვეცა ბერათ ლეონიდის სახელმძღვანელოში და წამოვიდა სამშობლოში. საქართველოში პირველი სამსახური დააწყო ქრისტიანობას აღმდეგენელ საზოგადოებას ინსპექტორად ზაქათალა საინგილოში, მასვე ებარა სამხრეთ ოსეთიც, სადაც ავრცელებდა როგორც ქრისტიანობასა, ისევე სხსნიდა ამავე დაწესებულებების სახელობის სკოლებს.

რამდენიმე წლის მსახურების შემდეგ მლვდლე-მონაზონად გადმოჰყავთ თბილისში და აკურთხებენ იღუმენად წმ. იოანე ზედაზნელისა და ჯვარის მონასტრის სახელზე. ჩქარა აკურთხებენ არქიმანდრიტად წმ. სტეფანე ხირსელის მონასტრიში. მერე გადაჰყავთ იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში წინამდლვრათ და აძლევენ სინოდურ კანტორის წერილის სახლში.

1898 წ. მაისში, როცა გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე გადაჰყავს სინოდს გურია-მეგრელის ეპარქიაში, გურია-მეგრელის ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი ამ ეპოქის სამ-ლვდელოება კლიოზნიკური საჩივრების გამო გადაყვანილი იქნა რუსეთში. გორის ეპისკოპოსად აკურთხებენ არქიმანდრიტ ლეონიძას.

1899 წ. აგვისტოს თვეში გარდაიცვალა იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი გვარათ ესეც დადიანი. ამავე წელს 17 სექტემბერს იმერეთის კათედრაზე ანუ ეპარქიაში დაინიშნეს ეპ. ლეონიძი.

დღიდის აღტაცებით და აღფრთოვანებით მიიღეს ახალგაზრდა მლვდელმთავარი იმერლებმა რა ოქროს სიტყვები არ იბნეოდა მაშინ მათის პირიდამ. ორ წელს მართლა მყუდრო და მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ ხანმოკლე იყო ეს ცხოვრება. უვიც და უსწავლელ ეპისკოპოსს ბესარიონს ეპარქია წაგებდინა გაერყონა, მექრთამეობა და ბეზღებას და საჩივრებს შესჩერება სამლვდელოება და გაქერნდათ და გამოჰქონდათ ერთმანეთი.

რო კარგად გასცნობოდა თავის ეპარქიას, სამლვდელოებას და ცოცხალი ნათელი ნარმოდგენა ჰქონდა მთელი ეპარქია მოედო ეტლით, ცხენით და ფეხითაც 1902 და 1903 წლებში დაინწყო გადაღმა მივალი სვანეთიდამ და თითქმის გასაჭირი გზები ფეხით იარა, გადაღმა სვანეთში, გაღმოლმა ლენტუმში, რაჭაში, ვაკე იმერეთში, ოკრიბაში, საჩინოში და ზემო იმერეთში. სხვაგან არ დაუტოვებია სამრევლო ეკლესია, სადაც არ მისულიყოს ხალხის-თვის ქრისტიანული სწავლა-დარიგება არ ეთქვას, მლვდელს, მედავითნეს არ გამოლაბარაკებოდეს, მათი ოჯახური გარემოება და გაჭირვება არ გაეგოს, და შეძლებისდაგვარად ნუგეში არ ეცა, როცა კარგად გაიცნო თავის საქართველო საბრძანებელი როგორც მდებარეობით ისე კუთხობრივად და მაცხოვრებლებითაც, ახლა თითქმის შეცვალა მართველობის გეზი, მაგრამ ამ შეცვლას მოჰყვა უსამოვნებაც...

ეპ. ლეონიძს არა მცირე ბრძოლა და შრომა დასჭირდა იმერეთში, არა ქრისტიანული წესით მიცვალებულის ზარით დამარხვაზე, როცა ჩავიდა ამ ეპარქიაში პირველი მიცვალებულის დამარხვა შეხვდა სამტრედიაში ვიღაც ჯანერიძისა. აქ ნახა იმან იმერული თვალთ-მაქური ზარი. მართლა რო ზარი და შესაზარი. დაკრძალვის დღეს ეძახდნენ მაშინ აქ ტირილს, ახლა აღარ ვიცი რას ეძახიან. ამ დღეს შეიკრიბებიან თითქმის მთელი რაიონის მცხოვრები კაცი და ქალი, ამ დღისთვის დაპკიდებენ შესავალ ჭიშკართან ზარს, განესტებნენ რამდენიმე კაცს სტუმრების მისალებად, რომლებიც ახალ მისულებს შეხვდებიან, შუა ეზოში დგას მაგიდა იქ ჩასწერენ მათ ვინც მოვიდა და რა გადახურა, ანუ შეაწია, აქედან ეს მხლებლები წაიყვანდნენ ახალ მისულებს, სადაც მიცვალებული ასვენია წივის, კივის ტირის და თან მოზარე მგალობლები უგალიბენ საგალობელს ორ მხლებელს ხელით უჭირას მიმტირალი. ის იგლეჯს თმასა და წვერს. მიცვალებული ასვენია შუა ოთახში ჭირისუფლები უსხედან ერთ მხარეს ან განსაკუთრებულ მაღალ დასაჯდომელზე; მლვდები შემოსილები დგანან და მოსულ მომტირალს სარქმეველით საკმელს უკმევენ... იხილა რა ეს ლეონიძა რასაკვირველია არ მოენონა ეს არ მოსანონი საქმე და

დაბრუნებისას შემდეგი ცირკულარები გაუგზავნა ბლა-ლოჩინებს ანუ კეთილ მოწევებს და სწრდა ამიერიდან ალარ შეესრულებინათ ეს წარმართი წესი, მლვდლებს ეწირათ მიცვალებული ეკლესიაში და ისე დაესაფლავებინათ. დამარლვეველი ამისა სასტიკად დაისჯებოდა.

ერთი კვირის შემდეგ ამ ცირკულარის დაგზავნისა მოხდა ასე არ ვიცი გამოსაცდელათ, ნუებლით დაპტატი-ჟეს თვით ლეონიდი თავისი კრებულით სოფ. ზორეთში ვიღაც მდივნისას. წვიმს, საშინელი ტალახია ყვირლამდენ მატარებლით მივედით და იქიდამ ცხენებით მასპინძელთან. უკვე სალამოა. მასპინძელი განათლებული კაცი აღმოჩნდა კარგად მიგვიღო, ჩა მოგვართვეს, ვახშმის სამზადისში არიან, მიცვალებული ღრმა მოხუცი კაცია ლეონიდი ცალკე ინთაშია, მიცვალებულის შვილს ემოსაიფება საზოგადო ზალაში ვართ ყველანი, დაინწყეს ლაპარაკი კეთილი მოწერის შეეითხვაზე თუ როგორ სურთ დამარხვა ეკლესიაში გასვენებით თუ ჩვეულებრივი ტირილით ანუ ზარით. რასაკვირველია ზარით ამბობენ ზოგნი არ იზამს ეპისკოპოსი ზარით არ დამარხვასო. ერთმა ვიღაც ხიდირბეგიშვილის კრინიამ ბრძანა არ დამარხვას, საიდანაც მოსულა იქითკენ მიპრძანდესო სახლი ხისაა. ეს სიტყვა როგორც ლეონიდეს ისე მიცვალებულის ვაჟსაც გაუგონია ლეონიდს უთქვამს ბატონონ ნუ შესწუხდებით ამაღამ ნუ გამაგდება ასეთ ამინდში მითომ სტუმრად მოგსულვარ გზაში დამაღამებია და თქვენს ოჯახში თავი შემომიფარებია დილაზე ავდგები და წავალო. საწყენია ასეთი შეწუხება მლვდელ მთავარსა და მოუსხენებია ბატონონ, მე თითონ დიდი ხანია მძღოლს ეს თვალთმაქობა ჩემ ოჯახში მე ვარ ბატონ პატრონი როგორც თქვენ გსურდეთ ისე დაასაფლავეთ მამაჩემიო. თქვენ ბრძანდებით ჩემი ოჯახის საპატიო სტუმრარი და არა ისინი. გამოვიდა ახლა ჩვენთან და მოახსენა ყველას: ბატონებო, ნურავინ ნუ შესწუხდებით მამაჩემის დამარხვაზე და ნუ იმსჯელებთ როგორ დავმარხო, მე მინდა ქრისტიანული წესით დავმარხო, და არა წარმართული თვლოთმაქცობით მამამაც იცოდა ეს ჩემი სურვილი და თანახმა იყო ვისაც არ გენებებათ დაესწრო ქრისტიანულათ დამარხვას გთხოვთ თავს ნუ შეიწუხებთ. მეორე დღეს გავასვენეთ უწირეთ წესი აუგეთ და მინას მიგაბარეთ ჩემი რო ყვირილისაკენ მივღიოდით ხალხი მაშინ მოდიოდა სატირლად, ზოგი გზიდან ბრუნდებოდა გაიგეს რა უკვე დაუმარხიათო.

მაგრამ სამწუხარო და გასაკვირვებელი ის იყო როგონსვენებულმა აკაკი წერეთელმა მხარი დაუქირა ამ ზარს და მაშინდელ „ცნობის ფურცელში“ ლეონიდს შეუფერებლად იხსენიებდა. ლეონიდმა პატივი სცა და არაფერი პასუხი არ გაუცია ისევ „ცნობის ფურცელმა“ გასცა პასუხი. ლეონიდი გაამართლა და აკაკი ამხილა სხვათაშორის თავის დამატებაში ასეთი კარიკატურა მოათავსა. აკაკის აცვია ყარაჩოლულად ჰქიდის ქამარში ჩაერული დიდი ზომის ხელსახოცი იცემს თავში ჩამოსდის მარგალიტივით ცრემლები, ორი კაცი იქით-აქეთ ამოდგომიან და მის ტირილს ბანს აძლევენ: „მამაპაპისგან შეთვისებულ ზენეჩვეულებას როგორ ერთი კალმის მოსმით გვისპობენ ვაი, ვაი, ვაი“ ტირის აკაკი...

იმ წერილის შემდეგ ლეონიდთან აკაკი აღარ დაიარებოდა ნუხილით კი დიდად ნუხდა დამენერაო.

აკაპი ხერთები

იმ უამთ ქუთაისის მთავარანგელოსის ეკლესიაში მსაურობდა დიდაც პატივცემული ყველასაგან დეკ. რაჟდენ გიგაური ის ქართლელი იყო სოფ. იკოთიდამ მე დედიდან პაპათ მომხვდებოდა და ჩვენსა ხშირა იარებოდა. ეს დეკანოზი იყო მოძღვარი აკაკი წერეთლისა. აი ამ დეკანოზისთვის შეუჩივლია აკაკის ლეონიდის ნახვა მინდა და პირი მერცხვნება ვერა ვბედავო და თუ შენ მომიხერხებ და შემარიგბებ დიდათ დაგიმადლებო. მე ლეონიდი ძალიან მიყვარს და პატივსა ვცემო. მინდა ვნახო და ჩემ შეცდომაზე ბოდიში მოვითხოვოთ.

ვახოთ ერთ სალამოზე ეს გიგაური და აკაკი ეტლით მოადგნენ ჩვენს კარებს მივიღე დარბაზში და მერე შევედი და მოვახსენ გიგაურია და აკაკი თქვენი ნახვა სურთ მეთქი. მაშინვე წამოხდა ანაფორა ჩავაცი პანაგია დაიკიდა და მიბრძანა სოხოვე სასტუმროში შემობრძანდნებო. ვთხოვე სასტუმროში შებრძანებულიყვნენ აქ სიამოვნებით და სიხარულით შეხვდა ლეონიდი.

ბატონი მე მეგონა სახლშიც არ მიმიღებდითდა თქვენ კიდეც გაგეხარდათ ჩემი მოსვლაო. ვწუხვარ რო მოუფიქრებლად გეჯავრებით და ანი ბოდიშს ვიხდიო. არაფერია ბატონი მე თქვენიან არასდროს არაფერი არ მეწყინებაო. ამით გააპეს ლაპარაკი გიგაური კი ჩემთან გამოვიდა და მითხრა აპა ჩემო დიშვილო როგორა ხარ, ჩემთან არ დაი-

არები და ცოტა არ იყოს გემდურიო. რა ვქნა ბ. დეკანოზი დრო არ მაქვს და მის გამო ვერ განუხებ მეთქი. და გამოვიტანე ტკბილი ღვინო და ვაზით ხილი იცი: შევილო ვანო დღეს ერთი დიდი საქმე გავაკეთო ორი დიდი კაცი ერთმანეთს შევარიგა, დასავლეთ საქართველოში, ამ უამათ ეს ორი კაცია ლეონიდი და აკაკი ვიცი ორივე სწუხდნენ ერთი-მეორეს ველარ ხვდებოდნენ ხელა კი კვლავ განაგრძობენ მეგობრობასაო. ბოთლი რომ გამოვამრეთ ადგა და ისიც სასტუმროში შევიდა, ჩაი ერთად დალიეს და რა გაათავეს ჩაი, ჩქარა წავიდნენ. ვნახე რო ლეონიდი კრიალოსანს გაზითის ქალადში ახვევდა და აკაკის გადასცა.

ასე შერიგდნენ ეს იმ დროს დიდი პიროვნებანი.

აკაკი ერთ დროს თუ არ ვცდები მგონი ავადმყოფობის გამო საზღვარგარეთ ბრძანდებოდა, იქიდამ რო დაბრუნდა ლეონიდი ნახა დიდათ გაეხარდა რო კარგად ბრძანდებოდა აკაკი და მიულოცა ბატონო მოგილოცე კარგად ბრძანდებითო. ეს, ბატონო კარგათ არ ვარ მაგრამ ჩემი შეხედულობით როგორც იმერელი ყველას ვატყუებო. მე მოვედი თქვენთან როჩემი განზრახვა თქვენ გაგანდოთ, მე რო მოვკვდები უეჭველათ გელათში დამასალავეთო, მაგრამ ეს სურვილი მას არ შესრულებია. ის რომ გარდაიცვალა 1915 წ. მისი გარდაცვალება ლეონიდმა ლერიბენდის სადგურზე გაიგო დეპეშით, რომელსაც გაზითის გამყიდველები ჰყიდნენ, გაზითები და ტელეგრამიც ვიყიდე, აუტანე მატარებელში და დიდად შეწუხდა მის გარდაცვალების გამო.

ჩვენი ფოსტა

მოგესალმებით უღრმესი მადლიერებით, ასე რომ გვილამზებთ ყოველ მეორე პარასკევს უამრავ მეითხველს. თანაც, ვოცუნებობთ იმ დროზე, როდესაც კვლავ შეიძლებთ ყოველ პარასკევს მიანიჭოთ სიხარული ჩვენს განათლებულ საზოგადოებას.

გამიგონია, რომ სიმონ ჩიქოვანი სალიტერატურო უურნალისა თუ გაზითის ყოველ ახალ წომერს სპეციალს ადარებდა. მისი რედაქტორიბით გამოცემული „მნათობის“ წომერი მართლაც შესანიშავ სპექტაკლთა წევბაა და ამჟამად ამგვარივე განცდასა და შთაბეჭდილებას ინვერს „ჩვენი მწერლობის“ ყოველი წომერი - გამოიყენებოდა.

ბოლო, მე-13 წომერში კიდევ ერთი ეფექტური სიახლის მხილველები გავხდით. ვგულისხმობ რუბრიკას „ლაპორატორია“, რომელიც თუკი გავრძელება და ისეთივე წარმატებით, დებიუტისას რომ გამოჩნდა, კიდევ ერთ მომხიბლავ ფერს შემატებს თქვენს (თუმცა რატომ „თქვენს“ - ჩვენს!) უურნალს და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იქნება შემოქმედათათვისაც და მეითხველებისთვისაც.

რა სჯობს მართლაც შემოქმედებითი ლაპორატორიის გაცნობას, ცალკეულ მიებისათვის თვალის მიღევნებას, ავტორთან ერთად ფიქრსა და ანალიზს.

ასეთი პუბლიკაციები ყოველთვის საინტერესოა და სულაც არ არის აუცილებელი მაინცდამანც ედგარ პო („კომპოზიციის ფილოსოფის“) თუ ვაჟა-ფშაველა („კრიტიკა ბ.ი. ვართაგავასი“) წერდნენ და ამ უანრის შედევრებსაც ქმნიდნენ.

„ლაპორატორიის“ რუბრიკა თამარ კოტრიკაძემ გახსნა ქრისტინე ლავანტის ერთი მოთხოვნის „მაჯლაჯუნა“ ფრაგმენტით და მისი გულდასმითი ანალიზით, ისეთ დაკარვებებით, რომელიც მეითხველს არწმუნებს, თუ როგორი თავ-

სატეხი შეიძლება გახდეს ხანდახან ზუსტი სათაურის შერჩევაც კი. კეთილსინდისიერება არ გაძლევს უფლებას საქმე გაიიოლო და ყველა ნიუანსი არ გაითვალისწინო.

თამრ კოტრიკაძის სახელი ჯერ კიდევ გაზით „ალტერნატივას“ და უურნალ „არილის“ ფურცლებიდან მხსოვს, მერე გაზით „ჩვენი მწერლობის“ აქტიური თანამშრომელიც გახდა და ამჟამადაც წარმატატებით გრძელდება მისი მონანილეობა სტატიებითა და თარგმანებით თქვენი (ჩვენი!) უურნალის ფურცლებზე.

მისი დამსახურებაა ქრისტინე ლავანტის ჩინებული მხატვრული სამყაროს შემომატება ქართული ლიტერატურისათვის.

მისი დამსახურება, დეივიდ ლორენსის „ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ“ არაერთი მკითხველის უსაყარლეს წიგნად რომ გადაიქცა. თქვენს ერთ-ერთ ლიტერატურულ შეკრებაზე ეს წიგნიც განიხილეთ, შემდეგ რეპორტატულიც და მთავარი მოხსენებაც გამოაკვეყნეთ, მაგრამ აუცილებელი მგონია ლორენსის შეხედულებათა და დაკარგებათა უფრო ხშირი წერი ტრიალი ჩვენს სამწერლო მიმკვეპაში.

სულ სხვა მიზნით დავინუე ამ ბარათის წერა და უნგბურად მთავრებნელის ქებაში გადამეზარდა, მაგრამ, რომ ვუკვიდები, ბუნებრივად მოხდა ასე - გარდა პროფესიონალისა, სხვა ვერავინ შეძლებს, რომ თავისი შემოქმედებითი ლაბორატორია სტატურად წარმოაჩინოს და საკითხავადაც სასიამოენო გახადოს.

შემთხვევითი არ არის, რომ ქალბატონ თამარს მოაცილდება მასალის შემოთავაზება, რამაც რეაქციას უბიძგა ახალი რუბრიკის დასაარსებლად.

**თემო ჩიტაპა
ყელეცეული**

ქეთევან მეგრელიშვილი

ეპიკ წარსული... მომავალთან ერთად

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურმა სასახლემ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას წელს 61-ედ უმასპინძლა. საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან შემოსულ 5154 ნაშრომს შორის 1270 შეირჩა. ამათგან საუკეთესოები მეცნიერებათა აკადემიამ გამოარჩია.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის უფროსი პედაგოგის, ქალბატონი ნინელი ჩიხლაძას თქმით, თემატიკა ყოველწლიურად იცვლება და ფართვდება, იზრდება წარმატებულ მონაცემთა რიცხვიც.

— უდავოდ ნიჭიერი, ბევრად ინფორმირებული და უფრო მეტად მობილიზებული თაობა მოდის, — თქვა ქალბატონმა ნინელიმ, — დღეს მოსწავლეები უკვე ახალი ტექნოლოგიებით მუშაობენ, რაც დაეტყო კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა ხარისხს. ძალზე საინტერესო შრომები შემოვიდა სხვადასხვა რეგიონის სკოლებიდან. ზოგიერთი მოსწავლე უკვე რამდენიმე წელია მონაცილეობს ჩვენს კონფერენციაში და, ასე ვთქვათ, ჩვენს თვალინი იზრდება თავის ინტერესებთან და შესაძლებლობებთან ერთად. მაგალითად ნიკა გონჯილაშვილი გორიდან ყოველწლიურად ჩამდიდის 1 ხარისხის მედალზე, წელს აკადემიის სიგელზეა წარდგენილი.

ფოლკლორის სექციისთვის აღმოჩენაა ნინო საძაგლიშვილი, რომელიც ძალზე საინტერესო თემებს იკვლევს და წელს მისი მოხსენება მეცნიერებათა აკადემიამაც გამოარჩია.

საერთოდ სასკოლო და რეგიონალური ტურების ჩატარების შემდეგ ზოგს რეცენზია ეგზავნება საჭირო შენიშვნებითურთ, ნაწილს კონფერენციაში მონაცილეობის დიპლომები, ასევე გამოირჩევა II ხარისხის სიგელზე წარდგენილი მოხსენებები. გამარჯვებულები კი თბილისში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში იცავენ თავიანთ ნაშრომებს 1 ხარისხის სიგელის მისაღებად. წელს კონფერენციაზე 25 სექცია მუშაობდა. მეცნიერებათა აკადემიამ თექვსმეტი საუკეთესო მოხსენება გამოარჩია და ვინ

იცის, წარსულის მაძიებელ და მკვლევარ მოსწავლეებს შორის რამდენისთვის იქნებ მომავალიც განისაზღვრა!

ნიკა გონჯილაშვილი, გორის მეხუთე საჯარო სკოლის მეთე კლასი (ხელმძღვანელი ნანა ბაქაშვილი).

უკვე მეცნიერებს წელია ვმონაცილეობ კონფერენციაში. ამჯერად ჩემი თემა იყო „სახელი რჩება ეპიტაფიად“, რომელშიც განვიხილე თაანეთსა და დუშეთში მოძიებული ეპიტაფიები და პარალელი გავავლე ოტია იოსელიანის ნოველასთან „ეპიტაფია“. აქამდე საკონფერენციო მოხსენებებისთვის ვაგროვებდი ხატების სადიდებლებს, ჩანერილს მთიან სოფლებში. ამ დაკვირვებებისას და მოგზაურობებისას საინტერესო მასალა დამიგროვდა ეპიტაფიების შესახებაც. ბევრ საფლავზე აღმოგაჩენები წარმერა, რომელზეც მხოლოდ სახელი იყო აღნიშნული. ე.ო. იმ ადამიანს ისეთი გამორჩეული წვლილი ჰქონდა სოფლის წინაშე, რომ მას მხოლოდ სახელით იცნობდნენ.

საერთოდ ქართული ფოლკლორი ძალიან მაინტერესებს. ვფიქრობ, რომ მას ეფუძნება ჩვენი მწერლობა. ამიტომ სამომავლოდ კვლევებსა და დაკვირვებებს სწორედ ამ მიმართულებით გავაგრძელებ.

ნინო საძაგლიშვილი, გორის მესამე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასი:

ამ კონფერენციაში მესამე წელია ვმონაცილეობ. წელს ჩემი თემა იყო „სიკეთისა და ბოროტების ურთიერთობის ასტრალურ-მითოლოგიური საკითხები“. მოხსენებაში განვიხილე ბოროტებასთან ბრძოლის როგორც იდეოლოგიური, ასევე პრაქტიკული ხერხები. იდეოლოგიურში ითვლებოდა მისტიკა და ვაკვირდებოდი ფერის სიმბოლიკას, აგრეთვე ღვთაებასთან წილადაცარებას, როგორც უკვდავების სიმბოლოს. ჩემთვის საინტერესო იყო სიკეთისა და სიცოცხლის, ასევე ავადმყოფობის სიკეთედ და ბოროტებად აღქმის ხალხური თეორიები, აგრეთვე ბოროტების მიერ საკუთარი თავის დასჯის მოტივი — ის, რომ სიკეთისაგან განდგომა, თავისთავად, უკვე სასჯელია.

საერთოდ აქამდე ნაშრომები მქონდა ფოლკლორის თეოლოგიის შესახებ ანუ განვიხილავდი ქრისტიანულ ელემენტებს ფოლკლორში. ბევრი საინტერესო მასალა დამიგროვდა. თვითონ მისტიკას იმხელა ადგილი ეთმობა ფოლკლორში, რომ შეუძლებელია ეს ყურადღების მიღმა



ნინო საძაგლიშვილი, ნიკა გონჯილაშვილი და თე ნოზაძე

დაგრჩეს და შესამჩნევი არ იყოს. ამან გადამაწყვეტინა ასეთი თემის დამუშავება და თანაც ბოროტებასთან ბრძოლა ხომ ქრისტიანული რელიგიის მთავარი არსია.

ნაშრომში ასევე განვიხილებ ბოროტება როგორც ცოც-ხალი არსება. ჩვენს სარწმუნოებაში ეშმაკი მოაზროვნე არსება, რომელიც ეპრძების ადამიანს. და მე ვაკვირდებოდი ორგვარ ბოროტებას: ერთის მხრივ უტვინოს, რომელსაც ფოლებორში აქვს გველეშაბის სახე და მეორე მხრივ გონიერ, მიზანმიმართულ ბოროტებას, რომელიც ფოლებორში გამოხატულია როკაბის და მისი მოციქულის, დედონაცვლის სახით.

ასევე ჩემთვის საინტერესო იყო როგორ განიხილავს ქართული ფოლებორი ზესამყაროსა და მიწიერი სამყაროს ურთიერთობებს სიკეთესთან და ბოროტებასთან მიმართებაში.

მზია ჭიჭიაშვილი

პირადიანის 31-ში

პატარობისას ალბათ გიძებნია შენ სახლში ყველაზე მყუდრო კუთხე და დედა-ბებიას თავსაფრებით საკუთარი „ბინა“ ან „კარავი“ მოგიქონება. იქნებ სასტუმრო ოთახის დიდი მაგიდის სუფრაც დაგინევია იატაკამდე და ქვეშ შემძვრალს შენი „სახლი“ მოგიწყვია?! ამგვარი საკუთარი ადგილისა და სახლის, ბინის, საკუთარი კუთხისა და სამყაროს ძიებაში ვართ შემდგომშიც – მოზარდობასა და ზრდასრულობის დროსაც. ნებისმიერ ადამიანს უნდა, ჰქონდეს და ეგულებოდეს სადმე ის სასიამოვნო, მყუდრო, მისთვის საყვარელი ადგილი, სა-დაც ყველაზე ლალად და თავისუფლად იგრძნობს თავს.

დღეს რომ ჩვენს საჯარო სკოლებში მხოლოდ დამამთავრებელი კლასების კი არა, მე-9 და მე-10 კლასელ მოსწავლეებსაც დაკარგვიათ გაკვეთილებზე დასწრების სურვილი (მთავარია რეპეტიტორთან ემზადებოდე), ეს საკითხის მეორე მხარეა და ცალკე საუბრის თემა, მაგრამ მოზარდთა ერთ ნაწილს (და მშვენიერ ნაწილს) რომ აქვს ისეთი სასწავლო ადგილი, სადაც არავინ ავალ-დებულებთ, მაგრამ მეცადინებას არასოდეს აცდენენ, ამაზე გვინდა მოგიყვეთ.

შეიძიო ნელია, რაც „ახალი ხელოვნების კავშირის“ ლიტერატურული შემოქმედებითი სახელოსნო არსებობს თბილისში და უცვლელად ხელმძღვანელობს მანანა ბეგო-აშვილი. კავშირის დირექტორია რუსუდან თატი, მენეჯერი

თეა ნოზაძე, 36-ე საშუალო სკოლის მეათე კლასი (ხელმძღვანელი ია ბარძიშვილი).

ჩემი თემა ეთნოგრაფიულ საკითხებს განიხილავდა და შეეხებოდა სოფელ ცხრუცვეთს. ეს ჩემი სოფელი, რომლის ყველა კუთხე-კუნძულიც ძალიან ახლობელია ჩემთვის, ამიტომ ბევრი საინტერესო მასალა დამიგროვდა სოფლის უბნების, გვარების, ლირსშესანიშნავი ადგილების, ეკლესიების, კლდეკარებისა თუ ნაკრძალების შესახებ. ამ სოფლის ეკლესიებში საინტერესო ნარწერებია, რომელთა შესახებ ინფორმაციის მოძიება ვერ მოვახერხება და ამ თვალსაზრისით აღბათ სამომავლოდ გავაგრძელებ მუშაობას. საერთოდ ვფიქრობ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი სოფლის შესახებ საინტერესო მასალები რომ მოიძიოს და შეკრიბოს, ქართული ეთნოგრაფიისათვის კარგი მატიანე შეიკვრება.

– ლიკა მეგრელაძე. ამ ქალბატონებმა, შვიდი წლის განმავლობაში უამრავ ახალგაზრდას უჩვენეს გზა მართალი და ლამაზი ცხოვრებისაკენ. თუმცა ყოველი სასწავლო-სამუშაო წლის ბოლოს გამოცემული კრებულები და ალმანახები, სადაც სახელოსნოს ნორჩი ხელოვნის ნამუშევრები იძეჭდება, იმაზე მეტყველებს, რომ მომავალ თაობაზე მზრუნველი, ძალზე ბევრია საქართველოში. თუნდაც ეს ბოლო, 2006 წლის თანამდგომები ჩამოვთვალოთ: კომპანია „ელიტ-ელექტრონიქსი“, „განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო“, „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ნარმომადგენლიპა“, „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“, წიგნის მაღაზიათა ქსელი „პარნასი“, გამომცემლობა „საარი“, „წიგნის სახლი“ და ნინო ქადაგიძე-უვანია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გამომცემლობები, „დიოგენე“, „ლიტერა“, „ლოოს პრესი“, „ნეკერი“, „მაგმი“ პირველი ელექტრონული გამომცემლობა, „კავკასიური სახლი“ და უურნალი „ლიტერატურული პალიტრა“.

სახელოსნოს მიერ დაწესებულ ლიტერატურულ კონკურსს „ალუბლობაში“ საქართველოს ყველა კუთხისა და რაიონის შემოქმედი მოსწავლები კი არა მხოლოდ (სახელოსნოს წევრებთან ერთად), არამედ საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები და საქართველოში მცხოვრები არაქართველი ყმანვილებიც მონანილეობები.

„ალუბლობაში“ 2006 წლის კონკურსის ძირითადი ხელშემწები კომპანია „ელიტ-ელექტრონიქსი“ იყო, რომელმაც კონკურსის ყველა მონანილე (500 ახალგაზრდა) გრანატიზულ დასკვნით საღამოზე სოლიდური პრიზები გადასცა.

პირველ ადგილზე გასულ გამარჯვებულს აღექსანდრე ნებულიშვილს კი ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიური სტიპენდია ასი ლარი დაენიშნა.



მანანა ბეგოაშვილი

ეროვნებით არაქართველ მონაწილეს ზორა ბეზოიანს სპეციალური პრემია და... ბუნებრივია, სადაც ყურადღება, სითბო, სიყვარული და სათანადო გარემოა სწავლის-თვის, იქ ყოველთვის მიუხარიათ ახალგაზრდებს.

გიორგი ჩხარტიშვილი, 12 წლის

გაიხედა გარეთ

გაიხედე გარეთ, მზის ჩამალული სხივები ამონათდა, ამონვერა. გარინდებულ სახლებში სიცოცხლე აენთო. გაიხედე გარეთ, მწველი მზე ეფინება ქალაქს. ეკლესის ზარები უკვე დაირევა. გაიხედე გარეთ. მზემ აშრო ნაწვიმარი მინა. ცისარტყელის ნათება ღრუბლის ბინდ-ბუნდში გაქრა. მოასწარი და ბოლო გაფერადებულ როგორ შეხედე. მაგრამ გაქრა უკვე და ჩაესხა შორეულ ზღვაში. ცისარტყელას მერცხლების გუნდი გადმოპყვა და გადააჭიკება ქალაქი. მზე იცინდა შორეული მთებიდან.

გაიხედე გარეთ. მერცხლების გუნდმა შენს ფანჯრებს ჩაუარა. პატარა ლეკვი მოშეიბული გელოდება ჩვეულ ადგილას. შენ კი გძინავს. მუცელზე გადმოკოტრიალდა და გიცდის. გაიხედე გარეთ. მოასწარი, დაუძახე კრუსუნით მიმავალ პატარა ლეკვს, თორებ სხვის ეზოში შესული დაგივიწყებს. გაიხედე გარეთ, მზე უკვე გადაიეფუქა. გამოდი და გადაიქცე ისევ ადამიანად. შენი სიზმრები მიატოვე და გაიხედე გარეთ. მერცხლების გუნდი შენს პირდაპირ ხეზე გაზაფხულს დაჰპარის.

ლადო ნიბახაშვილი, 16 წლის

ზამთრის ერთი ფურცელა დღე

ზამთრის ერთ ფურცელა დღეს ვიყიდე 20 ფუნჩულა. თბილები იყო. მივუტანე მეგობრებს. ვაჭამე ცოტა და გათბენ. მოსიყვარულე თვალებით შემომხედეს. მე მეგონა, მეგობრები იყვნენ, თურმე, უბრალოდ შიოდათ!!!

მარიამ ადუაშვილი, 16 წლის

სარკმელი

შენ შეიძლება ვერც იგრძნო, წვიმის მერე რაღაცნაირი თბილი სუნი რომ დადგა. შეიძლება ვერც მიხვდე, რომ თოვლზე დატოვებული ნაფეხურები აზგელოზისაა. ვერც ის დაინახო, როგორ უჭერებ ერთმანეთს ჩაკიდებულ ხელებს შეყვარებული ალუბლები. არც ის იცოდე, რომ ცასაც აქვს სარკმელი, ისევე როგორც ჩვენ ყველას, უბრალოდ, ხანდახან არ ვიცით ხოლმე...

ალექსანდრე ნებულიშვილი, 17 წლის

სასიკვდილო პრეზ

ცოდვილთა ბრძოლის ჩორქოლებს ჯოჯოხეთის ალაყაფ-თან. – ბოლო ვინ არის? (– რიგია აქაც!)

* * *

არსებობის მანძილზე სახელოსნომ ექვსი კრებული გამოსცა. პირველს ერქვა „ხვალ იქნებ კარგი დღე იყოს“, შარშანდელს კი „საიდან იწყება ცა?“ ყოველ კონკურსს საგანგებოდ შერჩეული ახალ-ახალი ჟიური ჰყავს. წლევანდელი 2007 წლის „ალუბლობის“ კონკურსის შეჯამების შემდეგ რა დაერქმევა ახალ კრებულს, ჯერ არავინ იცის. მანამდე კი, სახელოსნოში ჩვეული შემოქმედებითი დუღილია. აქ, საკუთარი სურვილით მოდიან ახალგაზრდები და მოზარდები. არავინ ავალდებულებთ დასწრებას (როგორც საჯარო სკოლებში), თუმცა არც ერთი არ ხარჯავს ფუჭად დროს, სხვაგან გაქცევაზე არ უჭირავს თვალი, რადგან ეს ადგილი ძალიან წააგავს იმ მყუდრო „ბინას“, რომელიც პატარობისას, ჩვენი სახლის მყუდრო კუთხეში ან სასტუმრო მაგიდის ქვეშ გვქონდა მოწყობილი.

ანი არაბული, 16 წლის

* * *

ჩვენც გვინდა ვიყოთ კარგები და მაღლები, ცბიერები და ძლიერები, ჩვენც გვინდა ვიყოთ. ჩვენც გვინდა ვიყოთ კაცები და ქალები და ბავშვები. და მოხუცები, ბებიები და ბაბუები. ჩვენც გვინდა ვიყოთ ბალებში ალუბლები და ცაზე ღრუბლები. ჩვენც გვინდა ვიყოთ სანთლები ბნელ ოთახებში. და განათებული სარკმლები ქუჩებში. ჩვენც გვინდა ვიყოთ ახლები და თან ძველებიც. ჩვენც გვინდა გვქონდეს ფრთები და აღარ ვიყოთ შავები და თეთრები სინაცრისფერები. წვიმის წყლიან აუზში მოტივტივე ფოთლები... ჩვენც გვინდა ვიყოთ და ვიგრძნოთ.

P.S. 15 ივნისიდან დაიწყო მოზარდთა ლიტერატურული კონკურსი „ალუბლობა 2007“-ის პირველი ეტაპი. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 13-19 წლის ახალგაზრდებს. ნამუშევრების მისაღებად „ალუბლობის“ საგანგებო ყუთებია ელიტ-ელექტრონიკების მაღაზიათა ქსელში და თბილისის წიგნის მაღაზიებში. საკონკურსო მასალები შეიძლება ინტერნეტის საშუალებითაც გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@alubloba.org.ge ან alubloba@mail.com.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 98-75-44; 899 26-04-02; 898 35-13-88 ან ისარგებლეთ ვებ გვერდით www.alubloba.org.ge.

ლელა ოჩიაური

გევისტოვალი უკვე პარტერში ეძებს მორიგ მსხვერპლს

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 28 მაისის მინურულს ლაშა ბულაძის პიესის „ნუგზარი და მეფისტოველი“ პრემიერა გაიმართა.

თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგის, თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილის ცნობით: სპექტაკლის რეჟისორია გიორგი თავაძე (ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი 2006 წლიდან). მანამდე იგი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში მოღვაწეობდა, სადაც განხორციელებული აქვს გახმაურებული დადგმები: თამაზ ჭილაძის „ნახვის დღე“, რობერტ სტურუასთან ერთად; ირაკლის სამსონაძის „ალდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“ და „იქ, სადაც დვარად მოედინება“. გიორგი

თავაძე იყო „სამეფო უბნის თეატრის“ მთავარი რეჟისორი; სპექტაკლები დადგმული აქვს რუსთავის და ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრებში.

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით: „ნუგზარი და მეფისტოველი“ ლაშა ბულაძემ გიორგი თავაძის შეკვეთით დაწერა. რეჟისორს სურდა, გორეთე „ფაუსტის“ თანამედროვე ქართული ადაპტაცია დაედგა. პიესის პირველი პრემიერა „სამეფო უბნის თეატრში“ 2004 წელს გაიმართა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: ნიკა თავაძე, ზაალ ჩიქობავა, თემურ ნატროშვილი, დავით ხახიძე, ეკა ჩხეიძე და სხვები.

2005 წელს გიორგი თავაძე სწორედ ამ სპექტაკლისათვის დაჯილდოვდა ახმეტელის პრემიით (რომელიც მხოლოდ რეჟისორებს გადაეცემათ, ისიც 5 წელინადში ერთხელ), ხოლო ლაშა ბულაძეს „საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ“ პიესისთვის წლის საუკეთესო დრამატურგის დიპლომი გადასცა. წლის საუკეთესო მსახიობებად დასახელდნენ – ნიკა თავაძე და ზაალ ჩიქობავა.

„ნუგზარი და მეფისტოველი“ 40 წლის ჩვეულებრივი კაცის – ნუგზარის, რომელმაც ეშმაქს სული მიჰყიდა, ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. სულგაყიდული ნუგზარი მეფისტოველის წყალობით ბევრ ამქეუნიურ ოცნებას აიხდენს. გორეთე „ფაუსტის“ თანამედროვე ვერსია მაქსიმალურად მიახლოებულია ქართულ ყოფასთან, ხასიათსა და რეალობასთან.

ნუგზარს (მამუკა მანჯგალაძე) თავის მოკვლა გადაუწყვეტია, სწორედ ამ დროს გამოეცხადება მეფისტოველი (ტიტე კომახიძე), რომელიც სულის მიყიდვის სანაცვლოდ ყველა სურვილის შესრულებას პირდება. ნუგზარი გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაციებს მეზობელ გელასთან (ზაალ გოგუაძე) გადის, მაგრამ იმდენად მაცდურია მეფისტოველისა და სტაურორ ეშმაკუნის: უნდინეს (გოჩა ხვიჩია), სალამანდრას (ლაშა კონცელიძე), სილფეს (დათო ჯაყელი) და კობოლტის (დავით წერეთელი) – შემოთავაზება, რომ ნუგზარი ეშმაკთან გარიგებას დებს.


გაახალგაზრდავებული ნუგზარი ცოლად ბავშვების შეყვარებულს ქეთუშას (ეკა ჩავლეიშვილი) ითხოვს, რომელიც მალევე მობეზრდება და სხვა ქალზე – მაიკო დემურაძეზე (მეგი კობალაძე) გადაერთვება, რაც ერთგული და მეოცნებე ქეთუშას გაგიჟებას იწვევს. ნუგზარს ამქეუნიური ყოფითი ფუფუნებაც ძეზრდება და ცდილობს თავი დაალწიოს ეშმაქის მახეს. საბოლოოდ, სიცოცხლეს თავის ჩამოხრჩობით ამთავრებს, მეფისტოველი კი ახლა უკვე პარტერში ექცება მორიგ მსხვერპლს.

„ნუგზარი და მეფისტოველი“ გიორგი თავაძისთვის ბათუმის თეატრში განხორციელებული უკვე მეორე სპექტაკლია. ლაშა ჩხარტიშვილის განმარტებით: „მოუხედავად იმისა, რომ ეს პიესა რეჟისორს უკვე დადგმული აქვს, ბათუმელი მაყურებელი მას სხვაგვარი ინტერპრეტაციით ნახავს.“

რეჟისორის თხოვნით, ლაშა ბულაძემ ახალი სცენები დაწერა, დაემატა ახალი პერსონაჟებიც სტაურორ ეშმაკებისა და სხვა მხატვრულ ტიპებთა სახით. „ნუგზარი და მეფისტოველის“ სცენოგრაფია გოგლა გოგიბერიძეს ეკუთვნის, მუსიკალური გამფორმებელია ია საკანდელიძე, ქორეოგრაფი – გია მარლანია, რეჟისორის თანაშემწერთან ერთად ლორთქებანიძე.

ორიგინალურადაც მოფიქრებული სპექტაკლის სცენოგრაფია, რომელიც ტექნიკურად რთული განსახორციელებული და სამართავია ნარმოდებენის მსვლელობისას.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში თეატ-



ბათუმის თეატრი

რალური ცხოვრება საგრძნობლადაა გამოცოცხლებული და გააქტიურებული. „ნუგზარი და მეფისტოფელს“ წინ უძლოდა: დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირო“ – რეჟისორები რობერტ სტერუუა და ზაზა პაპუაშვილი; ირაკლი სამსონაძის „საღამოს ბალში, როგორც სიზმარში“ – რეჟისორი გიორგი თავაძე; უან მარსანის „მა მურე“ – რეჟისორი იოსებ ნემისაძე. ამჟამად თეატრი მაყურებელს მორიგ



გიორგი თავაძე

პრემიერაზე ეპატიუება და თუ წინაისტორიას (განახლებული თეატრისაც და თვითონ გიორგი თავაძის სპექტაკლისაც) გავიხსენებთ, წინასწარვე გრძნობ ესც წარმატებული და მხატვრულად ღირებული იქნება.

ხოლო სანამ მეფისატოველი პარტერში მორიგ მსხვერპლს აღმოაჩენდეს, სულის გაყიდვის გადაწყვეტილებამდე, მის შედეგებზეც უნდა ვფიქრობდეთ.

დიალოგი

დუგილის პოემი

*

შორენა ციცქარაშვილს
ესაუბრება
ამირან შალიკაშვილი

გზა იყო ეკლიანი, ტანჯვის, მარტოობის გზა.

გზა, რომელიც განვლო...

ამ გზაზე იძრძოდა, იმარჯვებდა, მარცხდებოდა, ითმენდა.

მრავალი წლის შემდეგ დაწერს: „გ წლისა უკვე დასრულებული, ტანჯვაგამოვლილი კაცი ვიყავი... მერე მივხვდი, რომ მთელი ეს სამყარო ჩემი იყო, მაგრამ რაღაც მაკლდა, ვიყავი მარტო და სიმარტოვეს ვეჩვეოდი, ახლა, როცა სიბერეში შევდივარ, მივხვდი, რომ ყოველთვის მარტო ვიყავი...“ შემდეგ წიგნსაც დაწერს საკუთარი ცხოვრების შესახებ, მასავით ტკივილიანს, მნუხარებითა და ცრემლით გაჯერებულს. წიგნს სათაურიც შესაფერისი ექნება, – „ცრემლიანი შემოდგომა“, მაგრამ ეს შემდგომში, მანამდე კი... უნდა იძრძოლოს დასასრულამდე, სისხლის უკანასკნელ წევთამდე, რათა საკუთარი ჯვარი ბოლომდე ატაროს, სულით არ დაეცეს. და მართლაც, მთელი მისი ცხოვრება დაუსრულებელი სიყვარულის ისტორიაა. ალბათ ამანაც გააძლებინა, ქალების, მშვინიერების, სიცოცხლისა და თეატრის სიყვარულმა.

ის საზოგადოებისთვის ცნობილია როგორც რეჟისორი, ქართული პანტომიმის სკოლის ფუძემდებელი, ევროპის მიმების ფედერაციის პრეზიდენტის მოადგილე – ამირან შალიკაშვილი, მაგრამ მას ვერ უნდობ

მხოლოდ რეჟისორს, ის შესანიშნავად მღერის, თამაშობს, წერს და მაინც, თავისი ბუნებით, ის პირველ რიგში პოეტია, რომელსაც თავისი „შეყვარებული მზე“, თავისი მთვარე, საკუთარი სამყარო აქვს, დუმილის სამყარო, სადაც ყველაზე კარგად გრძნობს თავს. ასე დაიბადა დუმილის პოეზია – ქართული პანტომიმის თეატრი:

– თეატრისადმი, ხელოვნებისადმი სიყვარული ოჯახი-დან მომდევს. მამაჩემი ბათუმის თეატრის მსახიობი იყო, ბაბუაჩემი – ვალერიან შალიკაშვილი, ცნობილი რეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი, ქართული რეალისტური თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლდათ. შესანიშნავად მღრღოდა დედაჩემი, დეიდაჩემიც.

პლასტიკისადმი ჩემი პირველი ინტერესი გამოიწვია „პიკოლო დე მადანას“ სპექტაკლმა – „ორი ბატონის მსახური“, რომელიც 1959 წელს, მოსკოვის მცირე თეატრში ვნახე (რეჟისორი სტრელერი). სპექტაკლში ჩართული იყო უსიტყვო მოქმედების სცენა, რომელიც მე ძალიან მომენთია. არავითარი პანტომიმა მაშინ საქართველოში არ არსებობდა. გაჩინდა სურვილი, ცნობისმოყვარეობა, მაგრამ როცა ეს სურვილი თბილისში გავამხილე, ჩემმა პედაგოგმა, ანტონ თავზარაშვილმა მითხრა, ეს შენი საქმე არ არის, ჩენ დრამისთვის გამზადებთო. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. ისევ მოსკოვში, ამჯერად მარსელ მარსოს შეხვდი. ამ შეხვედრამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. ისე დამთავრდა სპექტაკლი და დაიკეტა დარბაზი, რომ გონიერ ვერ მოვედი. თბილისში ისევ ამიკრძალეს პანტომიმის თეატრზე ფიქრი. ახალი ფორმის, უანრის დამკვიდრება იოლი არ არის, მით უფრო თეატრის დაარსება და ისიც მაშინ, როცა კომუნისტები თვლიდნენ, რომ თეატრების დაარსება დიდი ხანია დაასრულეს მთელ საბჭოოთში და კიდევ ახალი თეატრი მათთვის წარმოუდგენელი გახლდათ. ზედმეტი თავსატეხი არავის უნდოდა.

მაინც არ დამიყრია ფარ-ხმალი. მარტო შევუდექი მუშაობას. ჯერ თეორიულად დავამუშავე ყველაფერი, შევისწავლე პანტომიმის უანრი, მერე პრაქტიკული ვარჯიში

დავიწყე. ინსტიტუტში ვრჩებოდი ლექციების შემდეგ და გვიანობამდე ვმეცადინები, ასევე ვიქცეოდი სახლშიც. პირველი ეჭვი და შიში ჩემს მიმართ, ბებიაჩემში გაჩნდა. ოთახში ჩავიკეტებოდი ხოლმე და ხან მაგიდაზე ავხტებოდი, ხან ფანჯრებზე, ხან კარაფის თავზე, რათა სხეულის მოძრაობა სრულყოფილად ამეთვისებინა. ბებიას დეაჩემისთვის უთქვამს, ეს ბიჭი რაღაც უცნაურად იქცევა, მგონი, მაგის საქმე ვერ არის კარგადო. დედამ მთხოვა, ამეხსნა ბებიასთვის რასაც ვაკეობზე და მეტი გზა არ მქონდა, ავსებენ ბებოს და პატარა სავარჯიშოც ვარენე, ბებოს მოენონა და ჩემს მეგობრებს გაუმხილა. ახლა მათ მოისურვეს ენახათ ჩემი სავარჯიშო, ამ ამბავმა ინსტიტუტშიც შეაღნია და ყველას აინტერესებდა ენახა, რას ვაკეთებდი.

ინსტიტუტში ყოველ წელს ტარდებოდა ასეთი დღესასწაული „ხილთა ქება“, სადაც გადავწყვიტე გამოვსულიყავი, მაგრამ ჯერ ჩემს მეგობარს, რეჟისორ თემურ ჩეჩიძეს ვანახე აუდიტორიაში, მსურდა დავრწმუნებულიყავი, რომ სისულელეს არ ჩავდიოდი. დიდხანს დუმდა და მერე მითხრა, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ ეს გამოვიდა და აღიარეს, მე და შენ მაშინ გენიოსები ვყოფილვართ და თუ არა, ორივე შტერებიო. ასე ვითამაშე რამდენიმე ნოველა ინსტიტუტის თეატრის სცენაზე. დამსწრე საზოგადოებას მოენონა, მაგრამ ჰედაგოგთა უზარმაზარი არმია ორ ნაწილად გაიყო, ერთინ კეთილი თვალით მიყურებდნენ, მეორენი – ეჭვით. მეუბნებოდნენ, ეს ევროპული ხელოვნებაა, არაფერი გამოგივაო. მაშინ ჯერ კიდევ სერიოზულად არ ვფიქრობდი პანტომიმის თეატრის დაარსებაზე, მაგრამ ინტერესი უფრო და უფრო მიძლიერდებოდა. ამას თან ერთვოდა უნინი, რადგან თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე არ მიმიღეს. ამ ნოველების წარდგენის შემდეგ დავიწყე თეორიული მუშაობა. ორ თვეში დავწერე წიგნი პანტომიმის ხელოვნების შესახებ, წავიკითხე საჯარო ლექცია.

ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ვმუშაობდი მუსკომედიის თეატრში, მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ ხან მასობრივ სცენებში ვიდექ, ხან ორ-სამსიტყვიან ეპიზოდს მაძლევდნენ ხოლმე, პანტომიმის წარდგენის შემდეგ. არც ერთი რეჟისორი ყურადღებას არ მაქცევდა. მე პანტომიმას ვთამაშობდი, დრომა რჩეულთა ხვედრი იყო. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი წინ. ჩემი ცხოვრება მაშინ მძიმე გახლდათ. მიჭირდა როგორც სულიერად, ისე ეკონომიურად. მყავდა დედა, ორი შეკილი და მეუღლე. შეყვარებული ვიყავი კირა მებუკეზე. ვცხოვრიბდი ძველი ყაზარმიდან გადაეკეთებულ ბინაში. მაშინ დასცინოდნენ ჩემს საქმიანობას, მაგრამ ვიცი, როცა მსოფლიო პანტო-

მიმის თეატრის ისტორია დაიწერება, იქ საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს. ვერიკო ანჯაფარიძე ამბობდა: „ჩვენ ვქმნიდით საბჭოთა დრამატულ თეატრს და ეს მარგალიტი ნაგავში გადაგვივარდა და რა კარგია, რომ ამირანმა ამოილო ეს ნაგავში გადაგდებული მარგალიტი და ასე შესანიშნავად მოგვიტანაო“.

დონ-კიხოტობას უდრიდა მაშინ პანტომიმის თეატრის დაარსება, მაგრამ მოხდა სასწაული. მე ვთვლი, რომ ჩავიდინე გმირობა, რომლის შეფასებაც შთამომავლობისთვის დამითმია.

– თქვენ ცოტა ხნის წინათ, მაყურებლის წინაშე წარმოადგინეთ სპექტაკლი „ტერენტი გრანელი“, მთვარისკენ ნასროლი მიხაკი“ და განხორციელებული სპექტაკლისთვის საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი პრემია „უკვდავჟყოფა“ დაიმსახურეთ. რატომ აირჩიეთ ტერენტი გრანელი, რა ნიშნით დაგაინტერესათ პოეტმა?

– მწერალმა რეზო მიშველაძემ შემომთავაზა, გატანჯული კაცი იყო ტერენტი გრანელი, სცენარი დავწერე მასზე და მოდი ერთი წაიკითხე, იქნებ გამოგადესო. მეც წავიკითხე და მომენტა. საერთოდ მიყვარს კითხვა, განსაკუთრებით პოეზია, რა თქმა უნდა, ვიცნობდი გრანელის შემოქმედებას და ძალიან მიყვარდა.

სპექტაკლის დასასრულს არის ასეთი სცენა: იესო ქრისტე ჩამოდის ჯვრიდან და ადის ტერენტი გრანელი. სამღვდელოებამაც ნახა ეს სპექტაკლი და ნება დამრთეს, რადგან აქ არ იყო ისეთი მკრეხელობა, „და ვინჩის კოდის წინაირ“ ფილმებში რომ უჩვენებენ. ამ სცენაში ასეთი აზრია, რადგან ტერენტი ეძებდა არა სიკვდილს, არა სიცოცხლეს, არამედ მესამე გზას, მან იპოვა ეს გზა. თან, ყველა პოეტი, მწერალი თუ მსახიობი ხომ ჯვარზეა გაკრული. არავინ იცის, ვის დააფასებს შთამომავლობა და ვის არა.

– ბევრი თქვენი მოსწავლე უცხოეთში მოღვაწეობს, თქვენც უამრავი შემოთავაზება გქონდათ. რატომ არ გაემგზავრეთ და რას ვერ შეელეოდით ვერასოდეს საქართველოში?

– საქართველოდან წასვლა მართლაც ბევრჯერ შემეძლო. მახსოვს ერთხელ ჩემთა მოსწავლემ შემომთავაზა ჩავსულიყავი ამერიკაში, ფლორიდის შტატში, სადაც ყველა პირობას მთავაზობდებო სამუშაოდ. საქართველოში მაშინ ომი მძვინვარებდა. დამის 2 საათია, დაღონებული მივდივარ სახლში და უცებ მილიციელი მეძახის, ბატონი ამირან, მართალია, რომ ამერიკაში მიემგზავრებითო? ძალიან გთხოვთ, არ წავიდეთო.

მთავარი იყო ხალის სიყვარული, საქართველოს სიყვარული, რამაც დამტოვა საქართველოში.



ამირან შალიკაშვილი

ბევრი ჩემი მოსწავლეა უცხოეთში, მაგრამ არ მიყვარს, როცა ჩემს იდებს იყენებენ ჩემს დაუკითხავად. კი ბატონო, გამოიყენეთ, მაგრამ მე მაინც მითხარით, აზრი მკითხეთ, ნებართვა აიღეთ. ზოგიერთები ცუდად მიხდიან ამაგს. გააქვთ უცხოეთში ჩემი სპექტაკლები და თავის სახელს აწერენ. ის მაინც ახსენონ, ვინ გააზარდა, ვინ გამოიყვანა ასპარეზზე. მე მაინც არ გავახმაურე, ვერიდები, რად მინდა ჩემი მოწაფე დავამარცხო? მაგრამ გული მტკიცა.

– თქვენ მუდამ უჩიოდით უყურადღებობას, ბოლო დროს თუ შეიცვალა რამე?

– ხელისუფლების შეცვლასთან ერთად, თავიდან თითქოს შეიცვალა ჩევნი მდგომარეობაც. ბიუჯეტიდან 290 ათასი ლარი გადმოგვირიცხეს (150 ათასი მივლინებისთვის, 115 ათასი მშენებლობისთვის), მაგრამ თბილისის მერიის კულტურის სამმართველომ 165 ათასი ადარ მომცა. მე ვარ თეატრის მმართველი, რაც ოფიციალურად ნიშნავს, რომ მათ ნომენკლატურას წარმოვადგენ. ასეთებს კი ყველგან 700-800 ლარიანი ხელფასები აქვთ, მე კი 70 ლარი მაქვს. ამ მცირე თანხიდან როგორ დავინიშნო ჩემთვის ამხელა ხელფასი, როცა მსახიობებს მხოლოდ 40-45 ლარი აქვთ? მივწერე პრეზიდენტს, კულტურის მინისტრს და პასუხს ველოდები.

გრიმის ფულიც არ გაგვაჩნია. ჩემი თეატრის მსახიობები სხვა თეატრებშიც მუშაობენ, რომ თავი ირჩინონ. ამის გამო მე რეპეტიციებს ნორმალურად ვეღარ ვატარებ. იყარება პროფესიონალიზმი. ჯოჯოხეთურ პირობებში ვართ. თავზე გვინგრევა შენობა. იმ დღეს მერიის კულტურის სამმართველოში გახლდით მისული თეატრის საქმესთან დაკავშირებით და ორი საათი მალოდინებს, მერე შევაძლე კარი და შევედი. ყავას მიირთმევდნენ. ასე მოქცევა როგორ შეიძლება, მაგრამ მე იმდენი ტრაგედია მაქვს გადატანილი და მოთმენილი ცხოვრებაში, ახლა ვინ როგორ უნდა მომექცეს, რომ ვერ აგიტანო და ვერ მოვითმინო?

– პირად ცხოვრებაში პროფესიას ხელი თუ შეუშლია თქვენთვის, მსხვერპლის გაღება თუ დაგჭირვებიათ?

– მე საკუთარი ხელებით დავანგრიე ჩემი ცხოვრება. ჩემს სახლში რომ ნახოთ, სკამიც არა მაქვს. არადა, ჩანთებით ვაბარებდი ფულს სახელმწიფოს, გასტროლებიდან რომ ვძრუნდებოდი. ბევრი დამციროდა. ჯერ მარტო თეატრის შენობა რომ გამეყიდა, დიდ ფულს მაძლევდნენ, მაგრამ გავაფორმე პანტომიმის თეატრის სახელზე, არც მერიას ეკუთვნის ეს შენობა, არც სახელმწიფოს. არავის აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც სამშობლოს ეკუთვნის. ჩემი სიმდიდრე ჩემი სამშობლოა, ჩემი თეატრია. მე ხელოვნებას შევწირე ჩემი ცხოვრება

– მიუხედავად ამდენი ნინააღმდეგობისა, როდის იგრძენით, რომ თქვენი შემოქმედება, შრომა ბოლოს დაბოლოს დაფასდა?

– ჯერ იყო და კომუნისტები სისხლს მიშრობდნენ. ხუთჯერ ხურავდნენ თეატრს, მაგრამ მოვიდა ახალი თაობა და გადავრჩი. ამ რამდენიმე ხნის ნინათ, შემთხვევით ნახა ერთმა ამერიკელმა ჩვენი სპექტაკლი, აღფრთვოვანებული ნავიდა და მთელი „თი ბი სი“ ბანებს თანამშრომლები მოიყვანა, მათ შორის ჩვენი ბიზნესმენებიც და უთხრა, იმიტომ მოგიყვანეთ, რომ ქართველებს ქართული თეატ-

რი განახოთო. ისევ ტაში, ისევ სიყვარულია მსახიობის-თვის ყველაზე დიდი ჯილდო.

– თეატრს ყველა ეპოქაში თავისი მიზანი ჰქონდა. თქვენ რის თქმას ცდილობთ დუმილის ხელოვნებით მაყურებლისთვის?

– პირველ რიგში, მინდა ჩემი მაყურებელი ჩემთან იყოს. „ტერენტი გრანელის“ ყველა სპექტაკლმა ანშლაგით ჩაარა. ახლა სამაჩაბლოში ვაპირებთ „ცრიმანჭულის“ დადგმას.

– მებრძოლი ადამიანი ჩანხართ, სტიმულს რა გაძლევთ ცხოვრებაში?

– მთელი ჩემი ცხოვრება ბრძოლაა. დავიპადე 1939 წლის 22 მარტს უზბეკეთში, ქალაქ კუკანდში, სადაც მამაჩემი გადასახლეს 1933 წელს. დედა ჩემს დაზე იყო ორსულად, მაგრამ მოახერხა და ჩააკითხა უზბეკეთში. იქ გაეწნდი მეც. მერე მამა ჯარში წაიყვანეს და 27 წლის ასაკში გარდაცვალა. ობლად ვიზრდებოდი, სხვების კარზე სამადლოდ. ხან სოფელში, გურიაში ვცხოვრობდი, ხან ბათუმსა და თბილისში. ბაგრძობიდან ვმუშაობდი, რომ პურის ფული მეშვეობა და თავი შემენახა. მთელი ცხოვრება ეს ფრაზა მეშვეობა, რომ საკუთარი თავი მე უნდა მერჩინა.

ვიბრძოდი მარტო ვით ქარიშხალი, გზაში ხეები ჩნდებოდა კენტად, მე მიმყვებოდა ჩემი დიდება წვიმად, თოვლად და შხამიან წყევლად.

მაგრამ არის ამქვეყნად სამართალი. ვიღაც მაინც გამოჩენდება და მშრომელ, პატიოსან კაცს წაეშველება, უფსკრულს ააცილებს, თავის გზას აპოვნინებს. ძალანა მიჭირდა, მაგრამ ბედს არ ვემორჩილებოდი. ჯიბრიანი, ემოციური ხსიათი მაქვს, მაგრამ ჩემში ბოროტების ნასახიც კი არასოდეს ყოფილა.

ასაკის მიუხედავად, თანამედროვე კაცი ვარ. ჩემზე ამბობენ, 21-ე საუკუნის ადამიანი ხარო, მე კი ვთვლი, 22-ე საუკუნეს უფრო შევეფერები. ახალგაზრდობა და სისერე პირობითი ცნებებია, მთავარია, სიცოცხლის წყურვილი. თქვენ თუ გინდათ, დაბერდით. რამდენი ახალგაზრდა მინახავს ნააღრევად დაბერებული და რამდენი აქტიური და საღად მოაზროვნებოდებოდნენ.

ყველაფერი წამებით მაქვს მიღწეული. გამუდმებით ვიბრძოდი, სტიმულს ისევ და ისევ სიყვარული მაძლევდა, ყოველთვის შეყვარებული ვარ. ნურავინ განმსჯის, რაღვან სიყვარული ჩემთვის აუცილებელია, სიყვარულის გარეშე აღმაფრენა არ მქონდა, ყველაფერი დაკარგული იყო. ყველაფერში მშვენიერებას ვეძებ – წყალში, სიტყვაში, ცრემლშიც კი.

მე ვეშვებოდი მინაზე ციდან, მინაზე ვარდი ოცნებად დამხვდა, ჩემი სანთელი აინთო ბევრჯერ ტკივილით, ცრემლით და ისევ ჩაქრა.

მჯერა, ამქვეყნიდან მხოლოდ სიყვარულს წავიღებ, სხვა არაფერს და თუ რამეს დავტოვებ, ესეც სიყვარული იქნება. მე საქართველოს პირველი და უკანასკნელი დუ-

ეკა ბუჯიაშვილი

ორესპერი

რაღაცნაირი, საკვირველი მზერა მიიპყრობს ყურადღებას.

თვითონ ფრესკაზე გამოსახულ წმინდანს მიამგვანებს, და მერე, როცა უფრო მეტ რამეს გაიგებს პორტრეტზე გამოსახული ადამიანის ბიოგრაფიის შესახებ, კიდევ არაერთხელ მოისმენს ამ შედარებას.

იროდიონ სონდულაშვილის ეს პორტრეტი, შესრულებული ლუა მანერულშვილის მიერ, დღესაც შეგიძლიათ ნახოთ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის საგანძურის განყოფილებაში, თუმცა, ბატონი ერმილე მაღრაძე ამ სურათთან პირველად 1975 წელს შეჩერდა, როცა საგანძურის განყოფილების კარი შეაღო, როგორც ახალგაზრდა თანამშრომელმა. დღესდღეობით ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-მუშავი, ტიხორვანი მინანქრის სპეციალისტი, ექსპერტ-კონსულტანტი და რესტავრატორი იროდიონ სონდულაშვილის ბიოგრაფიასა და ლვანწლზე მესაუბრება და ამბობს:

— ახალგაზრდობას დღეს ისე, როგორც არასოდეს სჭირდება ორიენტირი. ასეთ ორიენტირად მეგულება იროდიონ სონდულაშვილი, ვის შესახებაც ფართო საზოგადოებამ ცოტა რამ თუ იცის, არადა გასული საუკუნის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი კი უკავია.

და მანვდის საქალალდეს, წერილებითა და მოგონებებით სავსეს, ზოგი თავად რომ ჩაუნერია ოჯახის წევრებთან, ზოგიც ამინარიდებია იროდიონ სონდულაშვილის იუბილესადმი მიძღვნილ მემორიალურ სესიაზე წაკითხული მოხსენებებიდან.

ახლა სწორედ ამ საქალალდეს კუთხით და ადამიანისა...

და თანდათანობით წარსულის ბურუსიდან იკვეთება სახე ერთი უწევულო ადამიანისა...

„მოვა თაობა, რომელიც აუცილებლად აღმოაჩენს და თავის ადგილს მიუჩენს ისეთი დიდი ქართველის ნაღვანს, როგორიც ბატონი იროდიონ სონდულაშვილი იყო,“ — დაწერს აკადემიკოსი გიორგი ლომთათიძე.

ათწლეულები გავა მას შემდეგ... ისინი კი, ვინც იროდიონ სონდულაშვილის ცხოვრებაც იცის და ლვანწლიც, იტყვიან, რომ ის იყო ადამიანი, რომლის მხრებზეც საუკუნის დასაწყისის საქართველოს უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა გადაიარეს — ევროპულ სიძველეთა მომპოვებელი, სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის პირველი მცველი და მკვლევარი, ვინც სათავეში ჩაუდგა ხელოვნების განყოფილებას და ენერგიულად შეუდგა ფონდების მონქსროგებას.

ოდესაში საბუნებისმეტყველო განათლების მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრად რომ აირჩევენ, მას შემდეგ თავის ცხოვრებას ეროვნულ სიძველეთა კვლევასა და მოვლას მიუღვნის. იმსანად დაარსდა საზოგადოების სიძველეთა მუზეუმი, ექვთიმე თაყაიშვილის

ხელმძღვანელობით და იროდიონს დაევალა კოლექციების დამუშავება და დაცვა.

თავს ევლებოდა და ელოლიავებოდა.

ცოცხალი არსებებივით უმყუდროვებდა.

თითქოს თითოეულ ნივთში სული ჩასახლებულიყო, და ამ სულს თავისი ცხოვრება ჰქონდა, საკუთარი ისტორია და ბიოგრაფია..

ჰოდა, იროდიონიც თავს ევლებოდა...

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე მოიგონებს:

„ბევრ რასმე ისეთს შენიშნავდა და აღმოაჩენდა, რაც უცხო თვალისათვის მიუწვდომელი რჩებოდა. მას შეეძლო ამ დაკვირვებათა შედეგად, განცალკევებული ფრაგმენტები, რომლებიც სხვადასხვა ნივთისა ევონათ, ერთი ნივთის ნანილებად ეცნო და მათი შეერთებით აღედგინა მხატვრული სტილი; მას შეეძლო შეენიშნა, რომ სამცხის ათაბაგთა XIII-XIV საუკუნეების პორტრეტებზე ნაჩვენებია ოქროს ლილები, რომლებიც ტიხორვანი მინანქრებითაა შემკული; შეეძლო თითქოს მეორეხარისხოვანი წვრილმანების შესავლით გადაეთარიღებინა ცნობილი ფსალმუნის მინიატურები. ამას ყველაფერს მოხსენების სახით აცნობდა სპეციალისტების წრეს, ან, უფრო ხშირად, სეიფში შესულ ყოველ ადამიანს უზიარებდა თავის აღმოჩენას. შრომების დასაწერად ვერ იცლიდა და ესეც იყო, რომ სულ არ აინტერესებდა თავისი ავტორობა და სახელი, მიაჩიდა, რომ ეს ცოდნაცა და აღმოჩენის სიხარულიც არა მარტო ყველასთვის საერთო უნდა ყოფილიყო, არამედ ყველასთვის სავალდებულოც.

ბიჭი იყავი და არ გაგხარებოდა, როცა თვითონ გატაცებით გიამბობდა აღმოჩენის ამბავს.“

დადიოდა საგანძურის დარბაზში, დაფუსფუსებდა, საკუთარი ერისა და ქვეყნის წარსულს ესაუბრებოდა ფიქრითა და გონებით.

და სასაუბროსაც რა გამოლევდა...

პირადი ცხოვრებით არ უცხოვრიაო.

არც საკუთარი სახელისათვის უზრუნიაო.

არც თავისი მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა და სამეცნიერო შრომების გამოქვეყნებისათვის გარჯილა, უფრო დიდი საქმეებით მოუცლელობის გამომო... საქმეები კი მართლაც დიდი გამოსჩენოდა.

იდგა გასული საუკუნის 30-იანი წლები.

1932-ში მისი დიდი ძალისხმევით გამართულა ქართული საყოფაცხოვრებო ტანსაცმლის, შემდეგ კი ჯვარ-ხატების გამოიფენა.

1937-ში მსარში ედგა გიორგი ჩუბინაშვილს რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მოსამზადებლად.

როცა 1941 წელს (შემდეგ კი 1946-შიც), გიორგი ჩუბინაშვილის თაოსნობით, საქართველოს მუზეუმის სეიფში გაიმართა ოქრომჭედლობისა და მინანქრის გამოფენა, იროდიონ სონდულაშვილს საკუთარი მხრებით უზიდნია ექსპოზიციის მონაცემის მთელი სიმარტინობის შემდეგ კი მართლაც დიდი გამოსჩენოდა. შემდეგ ეს ექსპოზიცია მუზეუმს გადაეცა და იქცა სეიფად, რომლიც დღესაც განაგრძობას არსებობას, უკვე საქვეყნოდ მოხვეჭილი სახელით.

ექვთიმეს კაცად მიიჩნევდნენ, — წერს თავის მოგონებში იროდიონ სონდულაშვილის დის შვილიშვილი, ბა-

ტონი გული ნაკაიძე, –ერთი აზრით, ერთი ფიქრით, ერთი მიზნით გაერთიანებულიყვნენ და იმიტომო.

ამ ყველაფერს სახელად საქართველო ერქვა... და ცხოვრობდნენ თხემით ტერფამდე საქართველოს იდეებით შეპყრობილები.

ამბობენ, ექვთიმებ და იროდიონმა კენჭიც ჰყარეს, ვინ უნდა გაცყოლოდა განძს საფრანგეთში და ვინ კიდევ აქ უნდა დარჩენილიყო საპატრიონოდ.

აბა, კენჭისა დღეს ზუსტად ვინ რა იცის...

ბედისწერა კი სხვაგან, უფრო ზემოთ დანერილიყო მათოვის – ისინი ერსაც გამოერჩია და ბერსაც.

გემი „ერნესტ რენანი“ პარიზს მიემზავერებოდა. ქართულ განძს უცხო მინაზე პატრიონად ექვთიმებ თაყაიშვილი მიჰყებოდა მეულელესთან, ნინო პოლტორაცაისათან ერთად.

იროდიონი კი მუზეუმის საგანძურის კარს შეაღებდა, ოლონდ მანამდე, თბილისიდან ბათუმს მიმავალ ექვთიმეს სადგურზე გააცილებდა...

– ნინოს ნუ გამოემშვიდობები, კუპეში ზის და ძალიან გაინცდის, დარდი გაუორკეცდება, – გულჩანყვეტილ უთქვამს ექვთიმეს.

ნეტავა თვითონ რამდენმაგი დარდი ამძიმებდა...

ან იროდიონის გული როგორ ძაფზედა ეკიდა...

ერთმანეთი ეიმედებოდათ – მთავარი ეს იყო და ეს იმედიც იმ „უფრო მთავარს“ სჭირდებოდა, სახელად სამშობლო რომ ერქვა.

გაივლის წლები და ექვთიმეს დისწული იოსებ მეგრელი თავის წიგნში „ექვთიმე თაყაიშვილი“ იროდიონ სონღულაშვილის შესახებ დაწერს:

„51 წლის განმავლობაში დარაჯად უდგა ქართველი ხალხის კულტურულ განძს და თავისი დიდი მასწავლებლის, ექვთიმე თაყაიშვილის დაწყებულ საქმეს განაგრძობდა. გარეგნულად შუა საუკუნეების ფრესკებიდან ჩამოსულ ადამიანს ჰეგვადა... თავისი ხალხის სამსახურის და თავისი საქმის მეტი არა უნდოდა...“

თითქოს სიტყვებსაც ფერები ჰქონდეთ...

თითქოს ფრაზები მხატვრის „მონასმებად“ ქცეულიყოს... პორტრეტისათვის.

* * *

კვირა დღესაც მუზეუმში გაატარებს.

სალამოს საგანძურს დაკეტავს და თავის ძმასთან წავადილომში – მშობლიურ სახლში ორშაბათს საღამომდე დარჩება.

რაღაცნაირად, სხვანაირად ძვირფასია იქაურობა მის-თვის.

აკი, ერთხანს ქართულ საგანძურსაც აქ გადამალავს.

ავთანდილ სონღულაშვილი თავის წიგნში – „სოფელი დილომი საუკუნეთა კვალდაკვალ“ – ამ ადგილის ისტორიას რომ აღწერს და სოფელის სახელვანა ადამიანებსაც წარმოაჩენს, იმასაც აღნიშნავს, რომ იროდიონ სონღულაშვილს ყველაზე სახითათვ ჰერიოდში, ქართული განძი სწორედ აქ, მშობლიური სახლის ეზოში ჰქონია კუბოებში ჩამარხული... თბილისში ბინა არ გააჩნდა. რეზო გაბაშვილის სახლში ცხოვრობდა, იქ ჰქონია ოთახი ცხოვრების ბოლომდე.

დღეს ეს დილმის სახლიც აღარ არსებობს. 1995 წელს დამწვარა და იროდიონის მშობლიური კედლებიდან აღარაფერი შემორჩენილა.

რევაზ გაბაშვილის ვაჟი, ბატონი გურამ გაბაშვილი იგონებს:

„ჩვენ გვქონდა ზემელზე დიდი ბინა, იქ, სადაც ახლა აკადემია. მამაჩემი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. 1921 წელს რუსეთის ჯარი რომ შემოვიდა თბილისში, ხელისუფლება იძულებული გახდა გაქცეულიყო. მამაჩემიც მაშინ წავიდა საქართველოდან. იროდიონმა ჩვენთან ერთად გააცილა იგი სადგურიდან. მაშინ მე ერთი წლის ყველფარის გადასაცილებარ და წავუყვანივარ დილომში, ვინაიდან რეზო გაბაშვილის ოჯახს და შვილსაც საშიშროება ემუქრებოდა. იმ დღიდან იროდიონის სახლი იქცა ჩემთვის მშობლიურ ჭერად.“

მერე ეს ჭერი მისთვის სამშობლოსთანაც გაიგივდება, ამ სახლის თითოეული კუთხე საქართველოს ნაწილი ყოფილიყოს თითქოს.

შეკრებებიც, ამ ჭერქვეშ ეროვნულ კრებებს დამსგავ-სებოდა.

ბატონი გული ნაკაიძე იგონებს, რომ ერთხელ საქართველოს კათალიკოსი, კალისტრატე ცინცაძე სწვევიათ. მარიობა დღე იყო. აივნზე გაემალათ სუფრა. პატრიარქს შეუჩივლია იროდიონისთვის:

– რა ვქნა აღარ ვიცი, უკვე მეორეჯერ დაესხნენ თავს ეკლესიას, ერთი მოხუცი დარაჯი ჰყავს ტაძარს, სასტიკად სცემეს, კინაღამ მოკლეს, მილიციაც ვერაფერს აკეთებს. ხატის წალება უნდოდათ და, ღვთის მადლით, ვერ მოახერხეს. ჩემი სახელით სთხოვე შალვა ამირანაშვილს, იქნებ ხატი მუზეუმში გადმოვასვენოთ.

– ბავშვი კი ვიყავი, მაგრამ ეს ამბავი კარგად მახსოვეს, – იგონებს ბატონი გული, – შემდეგ წელს ილო (ასე ეძახდნენ იროდიონს შინაურობაში) პაპასთან რომ ჩავედი სტუმრად, ვკითხე ხატის შესახებ და მითხრა: უკვე საგანძურშია და ვეღარვინ მოპარავს. თუ არ ვცდები, გელათის მონასტრიდან ხაულის ღვთისმშობლის ხატის გადმოსვენებაზე უნდა ყოფილიყო საუბარი, – ამბობს.

შეკრებებიც ამ ჭერქვეშ, ეროვნულ კრებებს დამსგავ-სებოდა...

ეროვნული კრებებიც უნდა ყოფილიყო.

იქ ხომ ის მოღვაწეები იკრიბებოდნენ, საქართველოზე ფიქრს რომ დაატარებდნენ და მათი ბიოგრაფიებიც ისე დამგვანებლივ დარღვეული მოპარავს. თუ არ ვცდები, გელათის მონასტრიდან ხაულის ღვთისმშობლის ხატის გადმოსვენებაზე უნდა ყოფილიყო საუბარი, – ამბობს.

თავიანთი ცხოვრების გზას, თავიანთი ქვეყნის ბეჭდისწერა გეგონებიდათ.

ისინიც მოცყვებოდნენ თავიანთი ცხოვრების გზას, თავიანთი ქვეყნის ბეჭდის და მომავალზე ფიქრს ატანილები;

სამშობლოს წერას ატანილები...

* * *

საგანძურში კაბინეტი იმ ოთახში ჰქონია, სადაც ახლა ზედამხედველები სხედან.

აქედან ყველაფერი უკეთ ჩანდა.

კარიც მუდმივად ღია ჰქონდა, თურმე, რომ არ გამოჰქონდა, ვინ შედებოდა და ვინ გამოდიოდა.

გარეთ მარადიული სიზუსტით გადიოდა დრო და ამ სიზუსტეს იროდიონისათვის თავისი მნიშვნელობა ჰქონდა.

ერთხელ გიორგი ჩუბინაშვილი არ შეუშვია, ექსპოზიციის დასათვალიერებლად რომ მისულა, გვიანი ყოფილა უკვე და ოროდიონს ჩვეული პრინციპულობისთვის არ უდალატია, მეორე დღისთვის დაუბარებია...

უბრალო საქმე ხომ არ იყო, აქ, საგანძიურში თითოეულ ნივთს თავისი სული ჰქონდა, თავისი ცხოვრება გამოევლო, ახლა აქ დავანებულიყო და ასე „შენს ნებაზე“ ამ კარის შედება როგორ იქნებოდა!

დრო კი... გადიოდა,
გადიოდა დრო.

იჯდა და ღია კარიდან
იმზირებოდა...

ხანაც თავის ნაშრო-
მებს ჩაჰერებიტებდა...

ან საგანძურში ფუს-
ფუსებდა, თითოეულ
ნივთს ეფერებოდა, ელო-
ლიავებოდა, რაღაც ახლის
აღმოჩენას ცდილობდა
მათს ათასჯერ გაჩერე-
კილ ბიოგრაფიაში.

— ძნელი წარმოსადგენი
იყო სეიფი უიროდიონოდ
და თვით იროდიონიც ამ
ძვირფასი ნივთების გარე-
შე. როცა იქ არ დამსვდე-
ბოდა, მეგონა, რომ „ოქ-
როს სეიფს“ სული აღარ
ედგა, თითქოს თავად ირო-
დიონი ყოფილიყოს ამ საოცარ ნივთთა სულიო, — წერს თა-
ვის მოგონებებში ვახტანგ ბერიძე. მისი თქმით, დადიოდა ამ
დარბაზში ერთი საკვირველი კაცი, „მაღალი, გამხდარი და
ძარღვიანი, მოკლე ჭაღარა წვერით... იმ ძველ ფერმწერ-
ლებს, როცა სულით ძლიერ, შინაგანი ცეცხლით აღგზნე-
ბულ წმინდაებს ხატავდნენ, ალბათ, ასეთი სახეები ჰქონ-
დათ თვალწინ. ფანატიკოსი იყო, ძალიან ფიცხი, მძლელვარე,
ტემპერამენტიანი... აფეთქება და გაბუტვაც იცოდა... და
იმავე დროს ბავშვივით აღალი, ალერსიანი, გულუბრყვი-
ლო და მიმნდობი... ჩვენ ყველანი განუზომლად ვიყავით
მისაგან დავალებულნი, რჩევასა და დახმარებას არასოდეს
გვაკლებდა. მე კი განსაკუთრებით შემინყო ხელი, როცა
„გარდამოხსნებზე“ დავიწყე მუშაობა საცავში“...

თუ სადმე ნახვდით — საგანძურში.

კვირა დღესაც იქ გაატარებდა.

არც ის გამორჩებოდა, ვინ შეაღებდა საგანძურის
კარს.

სეიფში შესულ ყველა ადამიანსაც დაუზარებლად
შეჰყვებოდა, საკვირველი გატაცებით უამბობდა ამა თუ
იმ ნივთის ისტორიას.

მერე თავის აღმოჩენებსაც გაუზიარებდა, საოცარი
გატაცებით, რაღაცნაირი, ფანატიკური სიყვარულით და
სიხარულით...

ბიჭი იყავი და არ გაგხარებოდა...

„სადაური სამართალია, სკივრებსა და კარადებში იც-
რიცებოდეს და იმტვერებოდეს ამდენი მკვლევარის მიერ

დამონმებულ-გამოყენებული გამოკვლევები, გამოუქვეყ-
ნებელი ნარკევები, რომელნიც ვინ იცის, ვის რა საზრდოს
მისცემენ და ვის რა ბიძგს. არადა, იროდიონ სონდულაშვი-
ლის თხზულებების მხოლოდ მცირედი ნაწილია დაბეჭდი-
ლი და ისიც, უფრო ხმირად, იშვიათობად ქცეულა და ძნე-
ლად მისაგნებია. მეორე მხრივ, ზერელე გადახედვაც კი
ნათელყოფს, რომ მათი გამომზეურება მეტად საყურად-
ებოა — ისტორიული სამართლიანობის აღდგენის თვალ-

საზრისითაც და ანინდელი
მეცნიერების საჭიროება-
თა გათვალისწინებითაც“,
— წერს თავის მოხსენებაში
იროდიონ სონდულაშვი-
ლის შესახებ ბატონი დი-
მიტრი თუმანიშვილი და
იქვე აღნიშნავს:

— მარტო ნიმუშთა
კლასიფიცირებისა და
ტერმინოლოგიის დასად-
გენად განეული შრომა
რად ლირს — მკვლევარი
წერილობით წყაროებსა
თუ ზეპირსიტყვიერებაში,
კილოკავებში რომ დაე-
ძებს შესაბამის სახელწო-
დებებს, ცხრილავს მათ და
ზოგჯერ, მათსავე თარ-
გზე, ახალ ცნებებსაც
ქმნისო.

იროდიონ სონდულაშვილის ნაშრომების ნაწილი ცია-
ლა გაბაშვილს კრებულად შეუერთებია, ოღონდ ბევრი
მათგანი ჯერაც ელოდება გამომზეურებას.

— სადაური სამართალია, — კითხულობს ბატონი დი-
მიტრი თუმანიშვილი და თაობებს მოუწოდებს, ამ საქმეს
მოკიდონ ხელი.

გამოქვეყნებულთა შორის კი ერთ-ერთი ვრცელი ის-
ტორიული რომანია — „მირანდუსტ იადხმობილი“, რომე-
ლიც 1965 წელს გამოიცა და ავტორმა გიორგი ჩუბინაშ-
ვილს მიუძღვნა.


რომანის ძრითადი სიუჟეტი, ლეგენდის სახით, ძმას,
გიგას მოუყოლია მისთვის, მღვდლად მსახურობდა, თურ-
მე, თიანეთის მაზრაში.

იროდიონსაც წერა დაუწყია.

რაღაც მასალები გიორგი ჩუბინაშვილისთვის და ექ-
ვთიმე თაყაშვილისთვის გაუცვნია. შემდეგ სწორედ მა-
თი დაძალებით დაუმთავრებია რომანი.

1948 წელს ექვთიმე წყალტუბოში რომ წასულა დასას-
ვენებლად, იროდიონიც თან წაუყვანია — ამ საქმეს ცოტა
გაერიდები და რომანსაც დაამთავრებო. მართლაც დიდი
ნაწილი თხზულებებისა სწორედ იქ დაუწერია.

უკვე ცნობილს მომცრო ამონარიდებით ნამდვილ გან-
ძად მიიჩნევენ იროდიონ სონდულაშვილის მოგონებებს
„ის, რაც მახსოვს“, რომელშიც იგი წერს ყველასთვის
ცნობილი ადამიანების შესახებ — ხატოვნად, სიყვარუ-
ლით, ზოგჯერ დაურიდებელი სიმკაცრითაც. ეს მოგონე-
ბები ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, მისი ერთი ნა-
წილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების მუშა-



ივანე და იროდიონ სონდულაშვილები

ობას ეძღვნება და მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ამ საზოგადოების ჩამოყალიბების, მისი განვითარების შესახებ.

იროდიონ სონდულაშვილის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ მემორიალურ სესიაზე, სოფელ დილომში რომ ჩატარდა 1968 წელს, „მოგონებების“ ეს ნაწილი საფუძვლად დაედო მეტად საინტერესო კრებულს „საისტორიო ნერილები“, რომელიც ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების 60 წლისთავს მიეძღვნა.

* * *

იროდიონ სონდულაშვილისადმი ექვთიმე თაყაიშვილის ბარათებზეა აგებული რევაზ თაბუკაშვილის ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეულუცესი“.

ბატონი როსტომ ჩხეიძე კი თავის ბიოგრაფიულ რომანში „პავლე ინგოროვავა“, თხრობის ერთ მონაკვეთს იროდიონ სონდულაშვილისადმი გაგზავნილი ბარათების ქარგაზე ააგებს, პავლე ინგოროვას ხასიათზე დასაკვირვებლად, თუმცა, არანაკლები შთამბეჭდაობით დაგვიხატავს იროდიონის პორტრეტსაც.

აი, ამონარიდი რომანიდან:

„წიგნის სიყვარული პავლესთვის ხელოვნების რანგში ადიოდა, უყიდურესი გატაცება გახლდათ და „მსხვერპლად აჩემებული ჰყოლია“ წერა-კითხვის გამავრცელებელი და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა წიგნთსაცავები და თანამოსაუბრის ხელში დანახული წიგნები, ვთქვათ, აი, იროდიონი უახლოვდება უნივერსიტეტის შენობას წიგნებით დატვირთული. კართან პავლე ხვდება და „ქირივით ხელებში აფრინდება“, წიგნის გამოტაცებას ცდილობს.

– მოიტა, ვნახო რა არის.

– აუგვი, კაცო, ხელი, მუზეუმში ნახე.

ის თავისას არ იშლის, კელავ წართმევას ლამობს. ეს ხან თუ დაპყვება მის ნებას, ამჯერად კერძება და უარზე დგება.

– ვესტიბიული რა ადგილია წიგნების გადასათვალიერებლად, – უჯავრდება.

– ვუჟ მე! – აღმოხდება პირიდან გაბოროტებული შორისდებული და კბილებით მხარში წერდება.

ამ წიგნებს არაფრისდიდებით არ აძლევს და გულქვა ადამიანის სახელს იმსახურებს.

ანდა: ეს თავის ოთახშია, მაგიდასთან, ტახტზე ჩამოჯდარი და კნუტ ჰამსუნის „პანს“ კითხულობს. კარი იღება და მის წინ დაბარებულივით ჩნდება პავლე.

– რას კითხულობ? – ეკითხება სწრაფად და ხელიდან წიგნს აცლის.

– პავლე, მომე წიგნი, – ჯერ წყნარად ეუბნება.

– შენ რად გინდა? მე უნდა წავიკითხო.

– მოიტა, კაცო, წიგნი.

– არა, მე უნდა წავილო.

აგონდება, ერთი კვირის წინათაც ასე რომ მოსტაცა წიგნი და თან გაიყოლა. გული მოსდის.

– როგორ თუ უნდა წაილო! იმდღევანდელიც გეყოფა... გაბედე და წაიღე. – მაგიდას ურბენენ გარშემო, ბოლოს ეს მინვდება და თუმც მაგრად ჩაბლუჯულ წიგნს ხელიდან ვერ აცლის, თვითონ პავლეს ჰყიდებს ხელს, ტახტზე წაქეცევებს, კისერს მოუგრეხს და წიგნს გააგდებინებს. წაქეცეულს თავს ანებებს. ის ვაინაჩრობით წამოჯდება, დარეტი-

ანებულია. ცოტა ხანს თაერთა ერთ ზის, ბოლოს გონის მოვა და შურდულივით გავარდება გარეთ. ერთი კვირა აღარ გამოჩნდება, მაგრამ მალე მოინდებს ამ ამბავს და ძველებურად განაგრძობს სიარულს მეგობართან.

ეგაა, რევაზ გაბაშვილს რომ შეხვდებოდა, შესჩივლებადა: ილომ გამლახაო“...

* * *

– აბა დენიკინ, ის ჩამოასხი, ჩვენ რომ ვიცითო, – შესძახებდა, თურმე, მედვინეს დვინის სარდაფში, მაშინდელი კოლმეურნეობის მოედანზე და ხელადას გაუწვდიდა.

შავი ლვინო უყვარდა და სადაც მივიდოდა სტუმრად, შავი ლვინით სავსე თავის ხელადასაც მიიტანდაო, – იგონებენ ოჯახის წევრები.

ხან უცნაურად ახირებული გეჩვენებოდათ.

ხანაც უცნაურადვე მორიდებული.

პატიოსნებითაც უცნაური.

აკი იმ უცხოელ კაცსაც გააკვირვებს: რა საოცარი ადამიანი ყოფილაო.

ის უცხოელი, გაბარად კიუნე, ცნობილი მხატვარი-ფოტოგრაფი გასული საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოშიც ჩამოსულა თავის საქმეებზე, თან ევროპული აპარატურა ჩამოუტანია. 1921 წლის ამბების შემდეგ ისიც გაქცეულა, მისა აკლადიდება კი იროდიონს ჩავარდინა ხელში.

ოცდაათი წელი ექებდა, თურმე, ამ პროფესორს.

მეორე მსოფლიო ომიც დამთავრებულა.

ეს არეულ-დარეული სამყაროც ნელ-ნელა დალაგებულა და, ბოლოსდაბოლოს, უყვინია და შეუთვლია:

– თქვენი აპარატურა ინახება ჩემთან და სად და როგორ გამოგიგზავნოთ.

გაოგნებულა უცხოელი პროფესორი კიუნე ქართველი კაცის პატიოსნებით. მხრეს იჩეჩავდა სამი ათეული წლის შემდეგ სადღაც შორს, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადალმა.

აქ, საქართველოში კი...

მიდიოდა ქუჩაში ერთი უჩვეულო კაცი.

ხან საქალალდებით სავსე ჩანთა ეჭირა;

ხანაც პატარა ხელადა – დენიკინს შავი ლვინით...

და ვერც კი იფიქრებდა, რომ ადამიანებს ამ ვეებერთელა სამყაროში აკვირვებდათ ის, რაც მისთვის ცხოვრების წესად ქცეულიყო.

* * *

1958 წელს გარდაიცვალა.

შემოდგომა იდგა თბილისში.

მის დაკრძალვას მშობლიურ დილომში აპირებდნენ თურმე, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილის ანდერძის თანახმად, მის გვერდით დაუსვენებით, ვაკის სასაფლაოზე (თუმცა, მერე ექვთიმეს ნემტი გადაასვენეს).

საფლავის აღმოსავლეთ მხარეს დადგმულ ქვის დაფას ასე უბრალოდ ანერია:

„იროდიონ თომას დე სონდულაშვილი

(ინ-ბანი). 1881-1958“

– საერთოდ, ასეთი ადამიანები სიცოცხლეშიც ჩრდილში დგომას ამჯობინებენ, – მეუბნება ბატონი ერმილე მაღრაძე.

სიყვარულის საიდუმლო

მკვლევართა ჯგუფმა 4-დან 8 წლამდე ბავშვებს ერთი და იგივე შეკითხვა დაუსვა:

- რა არის სიყვარული?
- ჰასუხები ბევრად უფრო ღრმა აღმოჩნდა და ყოვლისმომცველი, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა.

* * *

როცა ჩემი ბებო ართრიტით დაავადდა, ვეღარ იხრებოდა და ველარც ფეხის ფრჩხილებზე ისმევდა ლაქს. და ყოველთვის ჩემი ბაპიკო უსმევდა, მაშინაც კი, როცა თვითონაც დაუავადდა ხელები ართრიტით. ეს არის სიყვარული.

რებეკა, 6 წლის.

* * *

თუკი ვინმეს უყვარხარ, შენს სახელს განსაკუთრებულად წარმოთქვამს. და იცი, რომ შენი სახელი საიმედოდა დაცული.

ბილი, 4 წლის.

* * *

სიყვარულია, როცა საჭმელად მიდიხარ, ვინმეს შენი შემწვარი კარტოფილის უმეტესობას აძლევ და სანაცვლოდ არაფერს თხოვ.

კრისი, 6 წლის.

* * *

სიყვარულია, რაც გაიძულებს გაიღიმო, როცა დაღლილი ხარ.

თერი, 4 წლის.

* * *

სიყვარულია, როცა დედა ყავას უმზადებს მამას და, ვიდრე მიუტანდეს, მოსვამს, რათა დარწმუნდეს, გემრიელია.

დენი, 7 წლის.

* * *

სიყვარულია, როცა ბიჭს ეუბნები, შენი ხალათი მომწონსო და იგი ყოველდღე იცვამს იმ ხალათს.

ნეფი, 7 წლის.



* * *

სიყვარულია, როცა შენი ლეკვი სახეს გილოკავს მაშინაც, რაც მთელი დღით შინ მარტო დატოვე.

მერი-ენი, 4 წლის.

* * *

როცა ვინმე გიყვარს, შენი ნამწამები მუდამ მაღლა მიფრინავენ და დაბლა ეშვებიან, ზემოთ, ქვემოთ, იქიდან კი ვარსკვლავები იფრქვევა.

კარენი, 7 წლის.

* * *

სიყვარულია, როცა დედა მამას ხედავს აპაზანაში და არ აიმრიზება.

მარკი, 6 წლის.

* * *

თუ არ გიყვარს, არაურისდებით არ უნდა თქვა მიყვარხარ. და თუ გიყვარს, ეს გაუთავებლად უნდა იმეორო, თორემ ადამიანებს ავიწყდებათ სიყვარული.

ჯესიკა, 8 წლის.

დაბოლოს – ავტორმა, ლეო ბასკავლიამ, ერთხელაც ახსნა ამ გამოკითხვის არსი. მისი მიზანი იყო ყველაზე მზრუნველი ბავშვის პოვნა.

და აი, გამარჯვებული გახდა ოთხი წლის პანია, რომლის მოხუც მეზობელს მეუღლე გარდაეცვალა...

რომ დაინახა, კაცი ტირისო, ბიჭუნა შევიდა მასთან ეზოში, მიუახლოვდა, ჩაუჯდა კალთაში და იჯდა ასე. როცა დედამ ჰკითხა, მეზობელს რა უთხარიო, ბიჭუნა მიუგო: არაფერი, უბრალოდ ტირილში მივეხმარეო.

დეირფასო მშობლებო!

ჩვენს გვერდით გამოუცნობი სამყაროები – ჩვენი შვილები ცხოვრობენ. მათ შესახებ თითქმის არაფერი ვიცით.

ამიტომ გააღვიძეთ ეს პანია, მთვლემარე ვულკანები. გააღიზიანეთ. დაუსვით შეკითხვები. პირველ რიგში, აი, ასეთი – რა არის სიყვარული?

ვინ იცის, სიბრძნისა და სილამაზის რა მხურვალე, ფერადოვანი ლავა ნამოვიდეს მათგან?!

ტრადიციის უცყვატობა

*

გივი ალხაზიშვილის არატური კრებული

„ამ ბოლო ხანს გივი ალხაზიშვილის ორი წიგნი გამოვიდა. „გაღწევის სურვილი“ (ლექსების კრებული) და „სიტყვებში გახიზნული ფიქრი“ (ესეებისა და ლიტერატურული წერილების კრებული).“

გადავწყვიტეთ, რომ დღეს მხოლოდ პოეტური კრებულის წარდგინება მოგვეწყო, რადგანაც მეორე წიგნიც საკმაოდ ტევადია, ღრმა და ორივეზე ერთად საუბარი შეიძლება ზერელე გამოგველოდა“ – ამ სიტყვებით გახსნის როსტომ ჩხეიძე იმ თავისებურ პოეტურ ზეიმს, რომელსაც შეამკობს სიჩურე და სინრვეელე და არა გარეგნული ზიზილ-პიპილები:

„გივი ალხაზიშვილი ერთ-ერთი იმ პოეტთაგანია, რომებიც განსაზღვრავენ ქართული პოეზიის ნაკადს, აგრეთვე ჩინებული ბელეტრისტიც და ესეისტიცაა.“

ლიტერატორები დღეს იფარებენ უმთავრესად თავისი შემოქმედებით და არ ადენებენ თვალს იმ მოვლენებს, რაც ხდებოდა და ხდება ქართულ მწერლობაში – ასე ვთქვათ, განკერძოებულ კუნძულებად ცხოვრობენ და ასეთ დროს ბატონი გივის ცხოველი ინტერესი სამწერლო პროცესისადმი, ახალგაზრდების მიმართ მისი გულისხმიერი დამოკიდებულება მისაბაძია და სანიმუშო.

ცნობილია გივი ალხაზიშვილის განსწავლულობაც, და ეს განსავლულაც ზედაპირზე არ ძეგს და ვლინდება მისი სწრაფვით მრავალფეროვნებისაკენ, სწრაფვით თემატური და სტილური ვარიაციებისაკენ, ვლინდება სურვილში, რომ არ მოემწყვდეს ერთ რომელიმე ნაკადში და გააღწიოს ჩაეჭილი სივრციდან.

ამ წიგნის სათაურიც ამაზე მიგვანიშნებს. – გაღწევა არა მარტო გარემომცველი სივრციდან, გაღწევა საკუთარი თავიდანაც, რათა არ ტკეპნო ერთი და იგივე ადგილი.

გივი ალხაზიშვილი ნამდვილი პოეტია, აღმსარებლობით პოეზიის წარმომადგენელი, და მაინც, მის ლირიკაში კარგად ჩანს ჩვენი დრო, ეპოქა – ჩანს სიღრმისეულად.

მოგვესნებათ, როგორი საფრთხილოა მიძღვნითი ლექსები, რადგან ასეთ დროს არაერთი კარგი პოეტი დაზარალებულა, და ბ-ნი გივი კი წარმატებით ახერხებს გადაღახოს ეს საფრთხე, როცა დედისადმი მიძღვნილი ლექსი გხევდება კრებულში, როცა მთელი ციკლი ეძღვნება შვილიშვილს, – იგი ახერხებს შეუნარჩუნოს ლექსს ინტიმი და, ამავე დროს, განაზოგადოს.

გივი ალხაზიშვილის რომანების განხილვისას ფრანც კაფუას ერთი ფრაზა გამახსენდა ძალაუნებურად და დღესაც მინდა გავიმეორო: „მე არა მაქვს ლიტერატურული ინტერესები, მე ლიტერატურისგან შევდგები“.

გივი ალხაზიშვილი:

„ბატონიმა როსტომმა მოგახსენათ, რომ ამ კრებულის სათაური შემთხვევითი არ არის. ამ წიგნში არის რამდენიმე ქვეთავი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება და შევეცდები ყოველი ქვეთავიდან თითო-ოროლი ნიმუში ნაგვითხოთ.“

რატომდაც გამოსვლის წინ ყოველთვის ვნერვიულობ და ათასჯერ გადავაწყვე ლექსები, რომლებიც უნდა წამეკითხა... მაგრამ აქ დავით წერედიანს და მის მეულეს ვხედავ და მინდა წავიკითხო ლექსი, რომელიც კატულუსს და მის ჩინებულ მთარგმნელს, ქ-ნ მანანა ღარიბაშვილს შეეფერება. ანტიკური და, კერძოდ, რომაული პოეზია ჩემი დიდი სიყვარულია და დღემდე არ გაუვლია ამ გრძნობას. მითუმეტეს კატულუსი, რომელიც იყო დაკარგული და პარმაში შემთხვევით იპოვა ერთმა ეპისკოპოსმა ათასი წლის შემდეგ. ალორძინების ხანაში ხელახლა გაცოცხლდა მისი სახელი და დამკიდრდა – ასეთი უცნაური ბედისნერა აქვს ლექსს და ხშირად მახსენდება ჩვენი ქართული – „ლექსო, არ დაიკარგები“, მაგრამ, ცხადია, ლექსსაც გააჩინა...“

ზაზა შათირიშვილი:

„მაღლობა როსტომმა მოწვევისათვის და გივი ალხაზიშვილს კრებულისთვის.“

საზოგადოდ, ისტორიაში დგება მომენტები, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გახსენებას, გააზრებას, დაფიქრებას იმაზე, რასაც ენოდება ტრადიციის უწყვეტობა. ანუ უწყვეტი ტრადიციი.

ეს განსაკუთრებით ეხება დღევანდელობას, იმიტომ, რომ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ძირითადი მიმართულება აზროვნებისა ისეთია, რომ არსებითად ხდება ის, რასაც შეიძლება ვუნოდოთ ტრადიციის დემითოლოგიზაცია, ტრადიციის უარყოფა.

ასეთ ვითარებაში უწყვეტი პოეტური ტრადიციის (ჩვენ ვლაპარაკობთ პოეზიაზე) გახსენება ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ გვახსოვს ჰაიდეგერის გამონათქვამი, რომ ენა არის ყოფნის სახლი, სწორედ დიდ პოეტთა ქმნილებებში ცხოვრობს ის, რასაც ჰაიდეგერი უწოდებდა ყოფნას.

ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ როგორც ივანე მაჩაბელი იტყვიდა, დროთა კავშირი დაირღვა. ასევე ამბობს პაატა ჩხეიძეც თავის შესანიშნავ მონოგრაფიაში მაჩაბელზე. დროთა კავშირი დაირღვა იმ თვალსაზრისითაც, რომ ჩვენ იმ სივრცეში ვიყავით, რომელიც კულტურაზე იყო ორიენტირებული. და ეს ახალი კონიუნქტურა, რაც მოდის, აღარ არის კულტურაზე ირიენტირებული. ასეთ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოეზიას, რადგანაც სწორედ პოეზია ინახავს იმას, რასაც ვუნოდებთ უწყვეტ ტრადიციას.

გივი ალხაზიშვილი, გარდა იმისა, რომ ჭეშმარიტი ისტატია ქართული პოეტური მეტყველებისა და ენის, ის ადამიანიცაა, რომელიც ინახავს ამ ტრადიციას. და ინახავს სწორედ იმას, რაც მოდის დავით გურამიშვილისგან, ანუ მედიოტაციური, მეტაფიზიკური ლირიკა.

XX საუკუნეში ყველაზე ახლოს გურამიშვილის სულისკვეთებასთან ნიკო სამადაშვილის პოეზიაა.

გივის პოეზია არ არის ასე სასონარკვეთილი. სამადაშვილის პოეზიას აქვს განცდა უკანასკნელობის, აპოკალიპტურობის. სრულიადაც არ არის შემთხვევითი მისი ცნობილი ლექსის სათაური: „უკანასკნელი ქრისტიანები“.

განსხვავებით სამადაშვილისაგან, გივის მედიტაციური პოეზია, ბროდსკის ფრაზა რომ გამოიყენოთ, თავისი ინტონაციით არის უფრო ნეიტრალური.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართულ ენაში (ენაში პოეზიას ვგულისხმობ) არის ასეთი ტიპის პოეტი. მის პოეზიაში ყველაფერია, სიკვდილიც, სასონარკვეთაც, მაგრამ ინტონაცია ნეიტრალურია, და სწორედ ამ ნეიტრალურობაში იბადება ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ რეფლექსია.

სავსებით ვეთანხმები როსტომში, რომელმაც არაჩვეულებრივი ესკიზი გააკეთა და მოხაზა გივის პოეზიის მთავარი, დამახასიათებელი მომენტები. ერთ-ერთი მომენტი, ძალიან მნიშვნელოვანი, რაც ზედაპირზე არა ჩანს, რეფლექსის მომენტია. ესეც მნიშვნელოვანია, რომ გივი აღიქვამს საკუთარ თავს, როგორც რგოლს გარკვეულ ჯაჭვში, ამაშიც ვეთანხმები როსტომში. თვით ლექსში არის ეს უკან მოხედვა. ბროდსკი ამბობდა: პოეზია, როგორც ასეთი, წარსულზეა ორიენტირებული და სხვანაირად შეუძლებელიან. მართლაც ასეა. ტრადიცია გულისხმობს არა მარტო უკან მობრუნებას, არამედ წინ გახდევასაც. გარდა ამისა, ეს მართლაც ბედნიერებაა, ამაშიც ვეთანხმები როსტომში, რომ ქართულ ლიტერატურაში არის კაცი, რომელიც ყველაფერს კითხულობს და ბევრად უკეთესად იცის რა ხდება ახალგაზრდა მწერლებთან, ვიდრე თვითონ ახალგაზრდა მწერლებმა – შეფასების მომენტი, ადგილის მიჩნის მომენტი – გივი ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამწერლო ცხოვრებაში“.

როსტომ ჩხეიძე:

„იმედი მაქვს ბატონი ზაზას ეს საუბარი შეიკვრება სტატიად, სადაც ცალკეული დაკვირვებანი დაზუსტდება და წარმოდგება ისე, როგორც ველით ხოლმე მისგან“.

ვაჟა ძიძიგური:

„ცნობილია, რომ შემოქმედი ან იზრდება ან დაღმართზე მიდის. გივის ერთ-ერთი ლექსი „კაკტუსი“, 60-იან წლებში, სწორედ იმ ბნელ ეპოქას გამოხატავდა. მისი შინაგანი სამყარო ისეთი აღმოჩნდა, რომ იგი გაიზარდა. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი გვევლინება როგორც პროზაიკოსი, წერილების ავტორი, ესეისტი...“

მაგრამ უპირველესად მაინც პოეტია.

ცნობილია კიდევ ერთი ფაქტი: გივის და მისი თაობის რამდენიმე წარმომადგენელმა მოახერხეს ე.წ. „პარავოზების“ გარეშე გამოეცათ თავიანთი კრებულები – ეს ძა-

ლიან ძნელი იყო მაშინ. ასეთი ლექსები, კონიუნქტურული, ერთიც არა აქვს გივის. მას ფილოსოფიური, დამაფიქრებელი ლექსები აქვს...“

დავით წერედიანი:

„ასე ჰაი-ჰარად ძნელია შთაბეჭდილების გაზიარება, მოკლედ გეტყვით, პოეტის მაღალ სფეროებზე არ ვლაპარაკობ... მაგრამ ერთი მხარეა, რომ შემოქმედი ხარ, მეორე მხარეა – ამ შემოქმედებას რითი წარმოაჩენ. ჩვენში, როგორც წესი, შემოქმედი არიან, მაგრამ ბორძიკობენ ლექსში. გივი ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელსაც ყველა ფორმა და ყველა გზა ქართულ პოეზიაში სავსებით ხელენიფება, – ეს არ არის უბრალო საქმე... აქედან იწყება მერე, თუ შემოქმედი კაცი ხარ, დიდი სიმაღლეები. გივი ამ სფეროში, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობს თავს და მისი ორიგინალურობა იმას ეფუძნება, რომ სილრმიდან არის ამოზრდილი, ჩვენგანვე არის ამოზრდილი, რა თქმა უნდა, სხვა კულტურების ცოდნაც აქ გარკვეულ როლს თამაშობს, მაგრამ ჩვენებულია თვითეული ეს და თან ახალია, სხვა არის...“

ორიგინალურობას ხშირად იმას ეძახიან, 50 წლის წინანდელ ექსპერიმენტებს დღეს რომ გაიმეორებენ ქართულ ენაზე... გივის ეს ექსპერი-

მენტები წანახი აქვს, გამოცდილი აქვს და სხვანაირად ხარშეავს. ისიც წამდვილი ითქვა: თანდათან უფრო შთაბეჭდავ და მაღალ სახეს იღებს მისი პოეზია, ერთიანად ივსება და ახალი შტრიხებით მდიდრდება...“

ლია სტურუა:

„გივის პოეზია ყოველთვის მომწონდა. უპირველესად მის ლექსში მხიბლავს მუსიკა, მერე ვიტყვი აზრზეც, მედიტაციაზეც – ყველაფერი, რაც აქ ითქვა, საეჭებით სწორია. მაგრამ ეს კაცი რომ იყო მუსიკოსი, ეს აქვარად იგრძნობა... და არა მარტო იმიტომ, რომ იყენებს სიტყვა – ლეგატოს ან ბეკარს ან ბემოლს, დიუზს, სტოკატოს... არამედ ეს არის სილრმისეული მუსიკა, რომელიც ცოცხლობს მასში და ეს ჩანს მეტაფორებშიც...“

ხელებს და მკლავებს ეყრდნობა, როგორც ძვლის რიკულებსო... ახლახან რომ ლექსი წაიკითხა გივიმ... ალბათ, ადამიანი, რომელიც არ არის მუსიკოსი, რომელიც არ არის ესთეტიკი, – ამას ვერ იტყოდა, თუმცა ერთი შეხედვით, რა ესთეტიკია ჩონჩხის გაშიშვლება, არა?“

გივის თავისუფალი ლექსებიც აქვს – საემაოდ საინტერესო. გაუთავებელი კამათი იყო ოდესალაც თავისუფალ და კონვენციურ ლექსზე, ვერ თანხმდებოდნენ, რომელი სჯობდა.

ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება. არის ძალიან კარგი თავისუფალი ლექსიც და არის ძალიან კარგი კონვენციური ლექსიც.



ზაზა შათირიშვილი

და სუსტი ბევრად მეტი... სამყარო შედგება შემოქმედი და არაშემოქმედი ადამიანებისგან... ან ხარ პოეტი, ან არ ხარ..."

დავით წერედიანი:

"მე მგონი, მაგის ნინაალმდეგი არაფერი თქმულა აქ..."

ლია სტურუა:

"არც ვეკამათები არავის. ან ხარ, ან არ ხარ, უბრალოდ ბევრი კამათი იყო ამაზე. როდესაც ადამიანს აზრი არა აქვს ან რითმი, რაღაცით ალამაზებს, სამკაულს არ დავუძახებ, მაგრამ რითმიანი ლექსი რაღაცით გხიბლავს – იმ კეთილხმოვანებით, იმ პროსლიტით.

თუ სათქმელი არ გაგაჩნია, თავისუფალი ლექსის წერა, მეჩვენება, რომ უფრო ძნელია... და რახან გივი ალხაზიშვილს აქვს სათქმელი, ის აზროვნებს... ბევრსაც კითხულობს, რაც ასე იშვიათია ჩვენს გარემოში... და იგი კარგად ამბობს ამ სათქმელს რითმიან ლექსშიც და თავისუფალ ლექსშიც.

მე გივის ლექსში მიყვარს მუსიკალური სისადავე, მიყვარს აზროვნება, რომელიც დდდ ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ უკვე შეწეულია მხოლოდ".

გიორგი ლობჟანიძე:

"რელიგიური განცდის მტკირთველი ადამიანისათვის ცნობილია, რომ ღვთის შემეცნება, სულიერი სამყაროს შემეცნება სხეულის სრულყოფილი შეცნობის გარეშე ვერასდროს ხერხდებოდა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ღვთისკენ მიმავალი გზა რაღაც ძალზე არსებით მონაკვეთში უსათუოდ სხეულსაც გაივლის და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ჩვენს სულებს ამჭერებნად ყოფნის, წვდომის, განცდისა და გააზრების საშუალება სწორედ ჩვენი სხეულის ყალიბში ეწყალობა. ამიტომაც ფუჭი იქნება სხეულის (სამშვინველის) გაუაზრებლად სულიერი მადლის გააზრების ყოველი მცდელობა.

ვფიქრობ, სწორედ ამ კონტექსტში უნდა შეფასდეს გივი ალხაზიშვილის უაღრესად საინტერესო პოეტური ცილი „ქაცვიას დღიურიდან“, რომელიც ჩემი ფიქრით, კი არ უპირისპირდება მისი პოეზიის რელიგიურ ნაკადს, პირიქით ამ ნაკადის ორგანულ და აუცილებელ ხანილად აღიქმება.

შემთხვევითი არა ისიც, რომ ამ ციკლს „ქაცვიას დღიური“ ჰქვია. ამით პოეტი თავიდანვე არაორაზროვნად მიგვანიშნებს, ვის დაესესხა და რატომ. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს არ ჰყოლია დავით გურამიშვილზე უფრო ღრმად რელიგიური პოეტი. სულ რომ არაფერი მცოდნოდა ქრისტეს მოძღვრებაზე, მისი „დვთისმშობლის მოთქმა“ პირადად ჩემთვის საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ ჯვარცმულის მესავი, მოყვარული და მომედე ყყოფილიყავი.

რუსულან ნიშნიანიძე:

„ვფიქრობ, ხელთ ძალიან საინტერესო წიგნი გვიჭირავს, საინტერესო არაერთი თვალსაზრისით – აქ ვგულისხმობ არა მხოლოდ სხვადასხვა თემას, განწყობას, სახისმეტყველებას.

ამჯერად ერთ რამეზე გავამახვილებ ყურადღებას. ერთი პოეტის ნათქვამისა არ იყოს – ნუ ცდილობთ იმის ამოცნობას, მე რა მინდოდა მეთქვა, სჯობს მითხრათ, თქვენ რა დაინახეთო.

მინდა გითხრათ, რომ დანახვა კიდევ სხვა სივრცეს მოიტანს და არის მდგომარეობა, რომელიც ერთ დღეში არ მოდის.

ეს მდგომარეობა რაღაცნაირად გროვდება დღეებით, წუთებით, საათებით. ამას ნინათ ჩემს სტუდენტებს ანუ სხვა თაობას ერთი დავალება მივეცი. მინდა გითხრათ, რომ სახტად დავრჩი, როგვა ნაწერები წავიკითხე. ნაცვლად მაქსიმალისტური განწყობილებებსას, მათში იყო ისეთი გაურკეველი, ყრუ სიმშვიდე, რომელსაც სიმშვიდესაც კი ვეღარ დავარქმევთ.

ბ-ნი გივის წიგნში ერთი რკალი მოვინიშნე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ასეთი განწყობა, ასეთი სულიერი მდგომარეობა მარტო ერთ თაობაში არ დგება, ეს რაღაც თანადროულობის ესთეტიკა, რომელიც სხვადასხვა თაობის ერთნაირი სულიერი წყობის ადამიანებს აერთიანებს. მინდა რამდენიმე სტროფი წაგიკითხოთ:

აღარ მოყვები უაზრო ქადილს,
გაურკვევლობის საზღვარზე ვდგავარ,
და ეს დრო მიყვარს, თითქოს რომ გადის,
სინამდვილეში კი არსად გავა.

ანდა ეს:

ვარჩევ ქაღალდებს, ვგრძნობ დედის ნერილს,
ისევ თვალის და ხელის შევლებით,
ვზი მაგიდასთან საბრალო მწერი
და მიკანკალებს ხელის მტევნები...

ბოლო ფრაზა მძაფრად, ხელშესახებად გამოხატავს, რაც ჩაგუბებული იყო იმ გაურკვევლობასთან, სასონარეცეილებასთან.

ზამთრის სიმღერას, ამომავალ მზეში განპანილს.
ალარც კი ახსოვს, როგორ იქცა ლამე მინურად,
და შენ შეამჩნევ, რომ ფანჯარა, შენი გემბანი,
გაურკვეველი სიცოცხლისკენ შიშით მიცურავს.

აი, ის მდგომარეობა, რომელიც სხვა ლექსებშიც გადანაწილდა, იქნება ეს ძალიან ფაქიზი მიძღვნითი ლექსები თუ სხვა, ისეთი სიმშვიდით, ისეთი სიცხადით მიდის იმ სარკმლისაკენ, რომლის გაღწევის სურვილი თვითეულ ადამიანს აქვს და ამ წიგნის ავტორს მითულორ.

აქ, ამ წუთას არ შემიძლია არ ვახსენო წიგნის რედაქტორი ბ-ნი დავით მჭედლური... ისიც ხომ ამ სარკმლისკენ ისწრაფოდა... ლეიტერთმა ნათელში ამყოფოს.

აი, კიდევ ერთი ლექსი – „ბზარი“. ლექსია მათხოვარზე, რომელსაც ქუდი დარდის ბუდესავით დაუდვინად ხის ჩრდილის გაგრძელებას წარმოადგენს თვითონ. აქ არ არის არანაირი პათეტიკა, რიტორიკა, ადამიანები მიდიან, მოდიან, ჩინოვნიერიც მიდიან, მოდიან, ბალაზიც იზრდება და ბოლოს ასეთ ფრაზას ვკითხულობთ:

„ხელგამოწვდილია ყველა, ვინც კი რამეს ნატრობს“.

ანუ ერთი კონკრეტული შემთხვევა შეიძლება თვითეულ ადამიანზე გავრცელდეს, თვითეულ იმ ადამიანზე, რომელიც ნატრობს, რომელიც ფიქრობს და რომელსაც უყვარს“.

ზეიად რატიანი:

„ბ-ნ გივის ლექსებზე ბევრი ითქვა, სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მინდა ერთი რამ აღვნიშნო: გივი ალხაზიშვილი როგორც იყო 70-იან წლებში ერთ-ერთი გამორჩეული და ძალიან საინტერესო პოეტი იმ თაობისა, ისევე არის დღესაც და ისევე ჩემზე ბევრად ახალგაზრდა პოეტების თაობისთვისაც. ასეთი რამ იძვიათია. ყველა მისი წიგნი თუ პუბლიკაცია აუცილებლად საინტერესოა, ყოველთვის გამოიჩინება თავისი სათქმელით. მისი ლექსების უკან ყოველთვის იგრძნობა შინაგანი აუცილებლობა. ეს აუცილებლობა ზოგჯერ უკეთესი ფორმითაა რეალიზებული და ზოგჯერ შედარებით ნაკლებით, მაგრამ ყველა ლექსი არის ბუნებრივი და ამ აუცილებლობის მატარებელი.

თითქმის ყველა გამომსვლელმა ალნიშნა და მეც გავიმეორებ: სანიმუშოა ბატონი გივის ადამიერებულება ახალგაზრდებისადმი. ბევრი მწერალია, რომელთაც აქვთ თბილი დამოკიდებულება ახალგაზრდა მწერლებისადმი, მაგრამ გივი მათ შორისაც გამორჩეულია.

გივი თითქმის ყველაფერს კითხულობს, რაც ხდება თანამედროვე პოეზიაში. ეს არ არის ბრმა სიყვარული ახალგაზრდებისადმი. მან იცის თუ როგორ სჭირდება ახალგაზრდა შემოქმედს თანადგომა და თუ ოდნავ ხელმოსაჭიდს იძოვის, ყოველთვის თანაუგრძნობს. საქმითაც ეხმარება, არ იფარება კერძო საუბრებით და ადამიანური თანადგომით.

დღეს ის ყინული გალლვა, რომელიც იყო 90-იან წლებში. დღეს, მადლობა ღმერთის, გაჩნდნენ გამომცემლები, რომელებიც მიხვდნენ, რომ მარტო კომერციული გამოცემები არ არის საქმე. ხოლო 90-იან წლებში იყო ერთადერთი გამომცემლობა „ლომისი“ და ერთადერთი ადამიანი, გივი ალხაზიშვილი, ვისითანაც ახალგაზრდა ავტორს მისვლა და წიგნის გამოცემა შეეძლო და ვისი იმედიც შეიძლებოდა ჰქონოდა. ეს ნამდვილად ასე იყო.

ეს არის კაცი, რომლისგანაც ყოველთვის რაღაცას სწავლობდი და სწავლობ“.

ელისო კალანდარიშვილი:

„ყოველთვის ძალიან დიდი ინტერესით ველოდი ბატონი გივის ლექსების გამოქვეყნებას, მაშინაც, როცა ჯერ არ ვიცობდი.

თავს არ შეგანყენო, ჩემს ერთ პატარა დაკვირვებას გაგიზიარებთ.

რით უნდა გამოირჩეს დღეს ლექსი, რამ უნდა წააკითხოს ლექსი დღევანდელ მკითხველს? რადგანაც 21-ე საუკუნეში თითქოს გაცვდა ყველაფერი და სიტყვაც გაცვდა, გრძნობებიც გაცვდა... რითი უნდა გააკვირვოს პოეტმა მკითხველი?

უპირველესად გულწრფელი სიტყვით, ემოციით.

ბ-ნი გივის პოეზია სწორედ ასეთია, მასში არის არამხოლოდ გულწრფელი განცდა, გრძნობა, არამედ ინტელექტიც, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული ემოციასთან.

ბ-ნი გივის პოეზიაში შეიძლება ცალკე აღინიშნოს რითმის გრძნობა. მოგეხსენებათ, ქართული კონვენციური ლექსის საფუძველი რითმა იყო, რომელმაც ხანგრძლივი გზა განვლო, მაგრამ დღეს განსაკუთრებულად რთულია რითმებით გააკვირვო ქართველი კაცი.

თუმცა გარითმვა ბევრს ეხერხება, მაგრამ ეს პოეზია არ არის.

ხშირად წაგვიკითხავს ლექსები, რომელმაც თითქოს ყველაფერი ადგილზეა, რითმასაც ვერ დაუწენებ, მაგრამ არ არის განცდა, ის მუხტი, რაც ქმნის პოეზიას.

არის პირიქითაც – არის ემოციები, კასკადი გრძნობების, მაგრამ მაინც დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებას ტოვებს. ბ-ნ გივის პოეზიაში ეს იშვიათი ჰარმონიაა – მისი შინაარსი სავსებით ემთხვევა მისი გამოხატვის ფორმას. აქ არის ემოციაც და შესატყვისი ფორმაც. მისი სულიერი ისტორია ჩანს ამ

ლექსებში და ეს პოეზია სილრმისეული წყაროებიდან მომინარეობს.

სასულიერო ლიტერატურის თვისება იყო, ძველი და ნაცნობი ისე დაელაგებინა, რომ ორიგინალური ყოფილიყო. ბ-ნ გივის ხელენიფერა ძველი ლიტერატურის ეს ხერხიც. ძველი და ნაცნობი მასთან ისეა მონოდებული, რომ ორიგინალობას არ კარგავს“.

თემურ ნადარეშვილი:

„ბ-ნი გივის შემოქმედება არის შესანიშნავი ნიმუში ინტელექტუალური პოეზიისა. ვფიქრობ, ძალიან არ გადავაჭრებ, თუ მას ტომას ელიოტის პოეზიას შევადარებ.“

აქ ბევრჯერ ითქვა, რომ იგი ბევრს კითხულობს და ლიტერატურულ პროცესში აქტიურად არის ჩართული. არ შეიძლება, რომ ეს ცოდნა, მცდელობანი არ დაილექსო მის შემოქმედებაში. იგი უაღრესად განათლებული პოეტია.

და თვითონ სახელწოდება კრებულისა: „გაღწევის სურვილი“ – ჩემთვის ეს ერთი კაცის გაზრდა კი აღარ არის, არამედ თავისთვის განზოგადდება ქართულ მწერლობაზე, მის გაღწევის სურვილზე საერთაშორისო ასპარეზისაკენ“.



დავით წერედიანი

პაატა ჩხეიძე

„შოტლანდიური პოეზია“

*

ციკლიდან „შოხევაზე“

მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიო-
თეკის სერიით 1979 წელს გამოცემული
„შოტლანდიური პოეზია“ ერთ-ერთი
საუკეთესოა იმ წიგნთა შორის, რომლი-
თაც მსოფლიო პოეზიას ქართულად
ვეცნობით.

ამ წიგნიდან მოსჩევეფს ჭეშმარიტი
პოეზია.

ამ წიგნით ვეცნობით ბრიტანული
ლიტერატურის ერთ-ერთ გამორჩეულ-
სა და საამაყო პერიოდს, XIV – XVI საუ-
კუნძულის სკოტლენდურ პოეზიას; მარ-
ტო უილიამ დანბარი და გევინ დუგლა-
სი რად ღირს.

ამ წიგნშია ჯეიმზ მაკფერსონის
ორი ლექსი „ოსანის სიმღერებიდან“,
ციცინი გამყრელიდის მიერ თარგმნი-
ლი. აქ არის უოლტერ სკოტის საქვეყ-
ნოდ განთქმული „ლობინვარი“, აქვეა
XX საუკუნის სკოტლენდელი პოეტის,
ჰიუ მაკდაიერმიდის ლექსები, თარ-
გმნილი თამარ ერისთავის მიერ.

რაც მთავარია, ამ წიგნშია რობერტ ბერნის პოეზია,
თამარ ერისთავის ბრწყინვალე თარგმანებით; შეიძლება
ითქვას, რომ ეს თამარ ერისთავის წიგნია, ძვირფასი სა-
ჩუქარი ქართული ლიტერატურისადმი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, ჩვენში რამდენიმე
ცნობილი მთარგმნელია, ვინც შედევრები თარგმნეს ქარ-
თულად და მათი თარგმანები ჩვენს ლიტერატურაში სა-
მუდამო დარჩება.

მათ შორის არის თამარ ერისთავი.

თამარ ერისთავის წვლილი ქართულ მთარგმნელობით
ლიტერატურაში სოლიდურია, თუმცა მისი სახელის ხსე-
ნებისას, პირველად „შოტლანდიური პოეზია“ და რობერტ
ბერნის გაგვასხენდება.

ინგლისურნოვანი პოეზიიდან ბერნის ერთ-ერთი ყვე-
ლაზე პოპულარული რომ არის საქართველოში, უთუოდ
თამარ ერისთავის დამსახურებაა.

პოპულარული ქართული სიმღერა, „კაცი ვარ და ქუდი
მხურავს“, ალბათ ყველა ქართველს მოუსმენია და უმღე-
რია, – მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ლექსის ავტორი რო-
ბერტ ბერნისა და მთარგმნელი თამარ ერისთავი – ჩვენში
ბერნის პოპულარობის საუკეთესო დასტურია.

თამარ ერისთავის თეზაურუსი ყოველთვის სრულყო-
ფილია; იგი ზედმინევნით სწავლობს სათარგმნელი ტექ-
სტის ეპოქას, ავტორის ცხოვრებას, გარემოს, განწყობი-
ლებებს, პოეტურ სამყაროს, ვერსიფიკაციას.

თამარ ერისთავი ეცნობა სათარგმნელი პოეტის სუ-
ლიერ სამყაროს, სწვდება მას და თარგმანის შედეგად
მიღწეული, ანალოგიურად ბრწყინვალე პოეზია, არა მხო-
ლოდ პოეტური ნიჭირების ნაყოფია, არამედ ღრმა გან-
სწავლულობისა და მძიმე შრომისაც.

თამარ ერისთავი გამქართულებელია. ორიგინალური
ტექსტის შემოქმედებითი წვდომა მას არათუ ხელს უშ-
ლის, არამედ ეხმარება ტექსტის ქარ-
თულად განმარტებაში. და ეს არ არის
ახალი ლექსის თხზვა ძველის საფუ-
ველზე; ეს არის ახალ ენობრივ წიაღში
აღორძინება ძველისა, იმ უმთავრესისა
და შეუცნობლის ხელუხლებლად შე-
ნარჩუნება, რაც თითქოსდა საფუძვლი-
ანად გაქართულებულ ლექსის, ბერნისის
სკოტლენდურ სულსა და სურნელს არ
აკარგვინებს.

თამარ ერისთავი თარგმნისას ხში-
რად გადაუხვევს ორიგინალიდან, მაგ-
რამ გადახვევა არასოდეს არ არის ვერ-
გაგების, არცოდნის ან შეცდომის ბრა-
ლი. ეს გახლავთ ის აუცილებელი დაშო-
რება ორიგინალიდან, რამაც ლექსი
მთლიანობაში უნდა მიახლოოს ორი-
გინალის ავტორის პოეტურ ჩანაფიქ-
რსა და განწყობილებასთან.

თამარ ერისთავს პოეტური ნიჭიე-
რება და ოსტატობა შეაძლებინებს მაქ-
სიმაღლურად მიუახლოვდეს ბერნისის
პოპულარული, მნიშვნელოვანნილად
ხალხური წიაღიდან ამოზრდილი პოე-
ზის ფორმას, შეაძლებისდაგვარად დაიცვას გარითმვა და
მარცვალთა რაოდენობა; ამით იგი განსაცვიფრებლად
უახლოვდება ორიგინალის რიტმებს, შეაღწევს ბერნისის
მელოდიის სამყაროში და მკითხველსაც ეპატიურება.

მაგრამ თამარ ერისთავი გამქართულებელია. მისი
ლექსი ქართულია, პროსოდია ქართული, რითმები ქარ-
თული, ლექსიკა ქართული და სულიც ქართული. იგი ქარ-
თულ თარგმანს კი არ უნარჩუნებს ბერნისისა და სკოტ-
ლენდური პოეზიის სულს, არამედ ბერნის მოპყავს საქარ-
თველობში და ქართულად ამდერებს. ოღონდ ეს სწორედ
რომ ბერნისია, სკოტლენდელი, ეირისპირელი ბერნისი, თა-
მარ ერისთავის სტუმარი, არა შემთხვევით მოხვედრილი
და შეხვედრილი, არამედ საქართველოში დარჩენილი და
თავის მასპინძელსა და ქართულ პოეზიასთან მუსაიფში
გართული.

სწორედ ეს უნდა იყოს მიზანი მთარგმნელობითი ხე-
ლოვნებისა.

თამარ ერისთავისათვის ყოველი სათარგმნელი ლექსი
ცალე საცხოვრისია, ცალე სახლია, სადაც იგი სტუმარს
ხვდება; ყოველ სახლში განსხვავებული გარემოა, გან-
სხვავებული სტუმრობის წესი; შეხვედრისათვის მთარ-



გმნელი წინასწარ ემზადება და სტუმარს სხვადასხვაგვარად ესაუბრება.

ბერნისის ცნობილი ლექსი, John Barleycorn: A Ballad – თამარ ერისთავის თარგმანში „ქერის მარცვალი ჯონია“; მშვენიერი სიმღერაა, ლალი, ხალისიანი, სკოტლენდური სუფრული, ქართული მრავალუმიერით დაგვირგვინებული. ორიგინალის კატრენები რვა და ექვსმარცვლიანი სტრიქონებისაგან შედგება. პირველი სტრიქონი რვამარცვლიანია, მეორე – ექსი და ა.შ. გარითმულია მეორე და მეოთხე სტრიქონები.

ქართულ თარგმანში რვა და შვიდმარცვლიანი სტრიქონებია და გარითმვა კი იგივეა, რაც ორიგინალში.

მთარგმნელი ხშირად შორდება ორიგინალს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართული ნიუანსები შეაქვს, მაგრამ არსად არ არვეც არიგინალის კონცეპტს და არსად არ ცდილობს, უფრო ჭევიანი გამოჩნდეს, ვიდრე რობერტ ბერნისი.

**There was three kings into the east,
Three kings both great and high,
And they have sworn a solemn oath
John Barleycorn should die.**

თარგმანში არ არის east – აღმოსავლეთი (და განა საქართველო აღმოსავლეთი არ არის სკოტლენდისათვის?!), არ არის solemn oath – საზეიმო ფიცი, მაგრამ თარგმანში ყველაფერია, რაც ბერნისის იქ ყოფნას გვაგრძნობინებს:

**სამ ზვიად მეფეს, დიდებულს,
განთქმულს ძალით და ლონით,
უბრძანებია, მოკვდესო
ქერის მარცვალი ჯონი!**

ლუდის გამოხდის ტექნოლოგიის პოეტურად აღწერას ჰკრავს და აერთიანებს ბალადის მთავარი ემოციური აქცენტი, სიცოცხლის დაუმარცხებლობის, მარადიულობის იდეა. ამას თვითონ თამარ ერისთავი აღნიშნავს წიგნის („შოტლანდიური პოეზია“) კომენტარებში, და ამიტომ იგი გაბედულად აქართულებს ბალადის ბოლო სტროფს და ბერნის ქართულად აამდერებს:

**Then let us toast John Barleycorn,
Each man a glass in hand;
And may his great posterity
Ne'er fail in old Scotland!**

**მაშ ხსოვნა იყოს მარადის
კეთილად მოსაგონის,
ცოცხლობდეს მრავალუამიერ
შთამომავლობა ჯონის.**

ინგლისურ ორიგინალში სადღეგრძელოს ხსენება კი არის, მაგრამ არ არის სიტყვა და სიმღერა „მრავალუამიერ“, სამაგიეროდ, დედანის შინაარსობრივი და კონცეპტუალური სივრცე იტევს მრავალუამიერს, სიმღერას აგრძელებს და ამრავალხმიანებს.

ლექსის დაწერის დღიდან სკოტლენდში ქერის მარცვალს John Barleycorn-ს უწოდებენ.

ასევე მეტად პოპულარულია თაგვი, რომელსაც ბერნისას ხენისას სიმღერად დაუნგრია; ეს თაგვი ბერნისის საფლავზე აღმართულ მონუმენტზეა გამოსახული.

გაქართულების მეტად საგულისხმო ნიმუშია ბერნისის ხალხურ სიმღერად გადაქცეული ლექსი „Auld Lang Syne.“

ლექსი სკოტლენდურ დიალექტზეა დაწერილი. „Auld Lang Syne“, ინგლისურად ითარგმნება, როგორც good old times (Merriam Webster's Collegiate Dictionary, Tenth Edition, Springfield, Massachusetts, USA 1995), ქართულად კი – ძველი კეთილი დროება.

თამარ ერისთავმა ლექსის თარგმანის სათაურად „ძველსა გზასა“ შეარჩია. „ნუ დაჲკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“, ქართული ანდაზაა და მასში ფიგურალურად ნეს-ჩვეულებების შენარჩუნების აუცილებლობა იგულისხმება. ძველ გზასა და ძველ მეგობარში, წინაპართა ანდერძისა და ტრადიციის გარდა. ძველი კეთილად მოსაგონარი დროებაც შეიძლება ვიგულისხმოთ. მაგრამ, ცხადია, რომ თარგმნისას თამარ ერისთავმა ზომიერი გაქართულების ზღვარი დაარღვია და, ამ შემთხვევაში, რადიკალურად გააქართულა ტექსტი.

**Should auld acquaintance be forgot
And never brought to mind?
Should auld acquaintance be forgot,
and auld lang syne!**

**ნურვინ დაკარგავს ძველ მეგობარს,
ნუ დათმობს მასა,
ნურვინ დაკარგავს ძველ მეგობარს
და ძველსა გზასა.**

თუმცა, მიუხედავად რადიკალური გაქართულებისა, ქართული თარგმანი არა მარტო ორიგინალის კონცეპტუალურ ჩარჩოში რჩება, არამედ ფორმითაც ეხმაურება მას და, რაც მთავარია, მულერია და მაღალმხატვრული.

და მაინც, ორიგინალის კატრენთა რაოდენობა და განლაგება სხვადასხვაა სხვადასხვა გამოცემაში; ქართულ თარგმანში ცხრა კატრენია და ქოროს მისამღერი ყოველი კატრენის შემდეგ მოდის; ორიგინალის ძირითად გამოცემებში კი მისამღერით იწყება და მთავრდება ლექსი; ორიგინალში საუბრია ლუდზე, რასაც უბრალო ხალხი სვამს სკოტლენდში; ქართული სუფრის მშვენება ღვინოა და თამარ ერისთავს თარგმანში სწორედ ღვინო შემოაქს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თამარ ერისთავმა ისე თარგმნა ბერნისის ლექსი, როგორც ბერნისი დაწერდა, ქართველი რომ ყოფილიყო.

იგივე ლექსი ქართულად გიორგი გოკიელმაც თარგმნა.

გიორგი გოკიელის თარგმანში ლექსის სათაურია, „ძველი ძმობის სადღეგრძელო“.

ორიგინალში ნახსენებია „ძელი მეგობრები“ – auld acquaintance, და „ერთგული ძმა“ – trusty frie, ამდენად გიორგი გოკიელი ლექსის შინაარსობრივი სივრციდან არ

გადის თავისი ვარიანტით, მაგრამ, რადგანაც ლექსს „Auld Lang Syne“ – „ძველი კარგი დრო“ ჰქვია, ქართულ სათაურად თამარ ერისთავისეული „ძველსა გზასა“ უფრო შეეფერება.

გიორგი გოკიელი, რა თქმა უნდა, იცნობს თამარ ერისთავის თარგმანს და ითვალისწინებს მას, რადგან სტრიქონი „ძველი გზა არ ვადლეგრძელო“ პირდაპირი გამოხმაურებაა თამარ ერისთავის თარგმანისა, სხვა შემთხვევაში იგი გზის ნაცვლად დროს შემოიტანდა და შინაარსობრივად უფრო გამართლებულიც იქნებოდა: „ძველი დრო არ ვადლეგრძელო“.

ამრიგად, გიორგი გოკიელის თარგმანშიც არ არის ნახსენები „ძველი კეთილი დროება“, რაც ბერნსის ლექსის მთავარი შინაარსობრივი დეტალია. გიორგი გოკიელის თარგმანის ანალიზისას საყურადღებოა, ინარჩუნებს თუ არ იგი სკოტლენდური ყოფისა თუ ტრადიციის დეტალებს, რასაც თამარ ერისთავმა შეგნებულად აუარა გვერდი, რათა გაექართულებინა ბერნსის ლექსი.

„Auld Lang Syne“-ში ორი კატრენი გამოყოფა, სადაც სკოტლენდური ტრადიციის ნიშანდობლივი დეტალებია მოცემული.

პირველია:

*And surely ye'll be your pint-stowp,
And surely i'll be mine,
And we'll tak a cup o'kindness yet
For auld lang syne!*

სიტყვა-სიტყვით:

შენ იყიდი შენს კათხა ლუდს
და მე ვიყიდი ჩემსას
და დავლევთ სადლეგრძელოს კეთილი მოგონებისა
და ძველი კარგი დროებისა.

ორიგინალში ნახსენები პინტ-სტოუპ სკოტლენდური სის ჭურჭელია, კათხა ან დოქი, რაც სითხის საზომადაც გამოყენებოდა, სასმისადაც, ალბათ საკმაოდ მოზრდილი სასმისიც იყო. პოეტი ამბობს, რომ ძველი მეგობრები შესაძლოა ერთმანეთს დასცილდნენ, დრო გავიდეს, ხალხი გარდავიდეს, მაგრამ მათ მაინც უნდა იყიდონ კათხა ლუდი და ადლეგრძელონ ძველი კეთილი დრო და მოიგონინ ერთმანეთი. ეს სკოტლენდური ჩევეულება ქართულ ხსოვნის სადლეგრძელოს წაგავს.

თამარ ერისთავთან სკოტლენდური რიტუალი გამქრალია და ქართული ლხინით, დვინის სმითა და ხსოვნის სადლეგრძელოთია შეცვლილი:

*დავცალოთ თასი, ხალისი გვაქვს
დღეს ლვინის სმისა,
ძველი მეგობრის ხსოვნის იყოს
და ძველი გზისა.*

გიორგი გოკიელის თარგმანში შემოტანილია „კათხა“, რაც შესაძლოა ლუდის სმაზე მიუთითებდეს, დანარჩენი კი კვლავ ქართულ სუფრას გვაგონებს; ვერც აქ ვხედავთ

დაშორებული მეგობრების ურთიერთგახსენებასა და დღეგრძელობას:

*ჩამოასხი სავსე კათხა,
არ იძუნნო მასპინძელო!
ეშხზე ვართ და უნდა შევსვათ
ძველი ძმობის სადლეგრძელო.*

სხვა სტროფი სხვა ტრადიციას აღწერს:

*And there's a hand, my trustyiere,
And gie's a hand o'thine,
And we'll tak a right guid-willie waught
For auld lang syne!*

დღესაც კი, როცა სკოტლენდელები შინ ან სადმე ქვეყნის დასალიერში ამ სიმღერას მღერიან, წრეში დექ-ბან, ოლონდ ხელები ჩაჭიდებული არა აქვთ და მხოლოდ მაშინ უწვდიან, როცა ნარმოსოთქვამენ *And there's a hand* და გვერდზე მდგომს ჩაჭიდებენ. ხელის გაწვდის ეს რიტუალი სიმბოლურია და ასახავს მთელი დედამიწიდან მეგობრებისათვის განვდილსა და ჩამორთმეულ ხელებს.

თამარ ერისთავის თარგმანში ხელის გაწვდა კი არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ქართველისათვის უცხოა სკოტლენდური რიტუალი:

*დღეს ისევ შევხვდით, მეგობარო,
მომეცი ხელი,
კვლავ შეიყარა ჩვენი ბედი
და გზები ძველი.*

გიორგი გოკიელიც აქართულებს სურათს:

*დღეს კვლავ შეგხვდი, მომე ხელი,
მეგობარო სანატრელო,
ტკბილად შევსვათ ამ სასმისით
ძველი ძმობის სადლეგრძელო.*

ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას, თამარ ერისთავი ბერნსისა თუ სხვა სკოტლენდელი პოეტების თარგმნისას ცდილობს ქართულ პოეზიაში ნაკლებად გავრცელებული და ორიგინალური მეტრი და ინტონაციები გამოიყენოს, გიორგი გოკიელის თარგმანში კი ლექსის მეტრიცა და ინტონაციაც პოპულარულია და აკაკი წერეთლის პოეტიკის გამოძახილია.

თუკი ბერნსის საქეიფო, სუფრული სიმღერების თარგმნისას, თამარ ერისთავმა ზომიერი გაქართულების საზღვრები გადალახა, სამაგიეროდ, საიყვარულო ლირიკის თარგმნისას მაქსიმალური შინაარსობრივი და კონცეპტუალური სიზუსტე შეინარჩუნა და შეეცადა ფორმითაც მიახლოებოდა ორიგინალს:

*O, my luve is like a red, red rose,
That's newly sprung in June.
O, my luve is like the melodie,
That's sweetly play'd in tune.*

ჩემი სიყვარული წითელი ვარდია, –
ტოტებზე ანვდილი,
ჩემი სიყვარული სიმღერის ჰანგია, –
ნაზი და ხმატკბილი.

მთელი თარგმანი თანამიმდევრული სიზუსტითა და
მაღალმხატვრულობით მიჰყვება ორიგინალს და მშენებ-
რი, ოღონდ ორიგინალიდან ოდნავ დაშორებული სტრო-
ფით მთავრდება:

*And fare thee weel, my only luve,
And fare thee weel awhile!
And I will come again, my luve,
Tho'it were ten thousand mile!*

სადაც არ წავიდე ცხოვრების გზებით და
ცხოვრების მრუდებით,
გჯეროდეს ისევე შენ დაგიბრუნდები,
შენ დაგიბრუნდები.

გაქართულებისა და ზოგჯერ რადიკალური გაქართუ-
ლების მაგალითებს მრავლად ვხვდებით თამარ ერისთა-
ვის თარგმანებში, მაგრამ, როგორც აღვიჩენე, ეს არ არის
არც არცოდნისა და არც პოეტური თვითნებობის ბრალი,
ეს მთარგმნელის გაზრებული პოზიცია. ბერნისის პოე-
ზია თითქმის მთლიანად ტრადიციული, სკოტლენდური
სულითაა გაუდებითილი, ლექსთა უმრავლესობა სკოტ-
ლენდურ დიალექტზე დაწერილი, თუმცა ეს მაინც ინ-
გლისურენოვანი პოზია. და მთარგმნელის პოზიციაც
აქედან იღებს სათავეს; ბერნისის პოზია თამარ ერისთავ-
მა ქართული, ტრადიციული, ხალხური, ზოგან კუთხური
ელემენტებით შეზავებული ინტონაციებითა და პოეტური
ენით თარგმნა და ამით მოძებნა ანალოგი ბერნისის განსა-
კუთრებულობისა;

მაგალითად:

ხან იგავით, ხან არაკით,
ხან ლაპარაკ-ლაპარაკით,
მოჭორილი ამბით,
ყოველ კიდით პურსა ვმკიდით
და ბულულებს ვდგამდით.
(„პასუხად მისის სკოტს“)

გულში მედგა სიმღერების რია-რია, – (იქვე)

„რია-რია“, რა თქმა უნდა, ორიგინალში არ არის;

ფეხმარდონ წრუნუნავ დამფრთხალო,
ეგ გული რა მნარედ ფართხალობს,
ნუ ჩეარობ თავი ქვას ახალო
შიშით და ზარით,
მოიცა, არ მოგკლავ, საწყალო,
ამ ჩემი ბარით.

(„მინდვრის თაგვე“)

ორიგინალში არ არის „თავი ქვას ახალო“ –

ცხოვრებამ სიმწარე, თაგუნა
ნუ ფიქრობ, მარტო შენ გარგუნა,
ბედის ჩარხს უკულმა აბრუნებს
დროება მკაცრად,
არ ზოგავს ერთგვარად აღონებს
თაგვსაც და კაცსაც.

(იქვე)

არც „ბედის ჩარხია“ ორიგინალში.

გუშინლამ ... შენც იცი, დამყურებ ზევიდან,
მეგისთან ვიყავი, – აბა და ჰეიდა! ...
მაგრამ ცდუნებას ცოდვად ნუ შეიტან!
დამსაჯე, ამას გთხოვ, –
თუ მის სიახლოეს, უფალო, დღეიდან
ეს ფეხი აღმართო.

(„მინდა ვილის ლოცვა“)

„აბა და ჰეიდა“, რა თქმა უნდა, არ არის ორიგინალში.

გაქართულებაა „ციცას“ ხშირი ხსენება, ორიგინალი-
სეული bonnie-ს, lass ან lassie-ს შესატყვისად.

დასასარულს, უნდა ითქვას, რომ როგორც არ უნდა გა-
ვაანალიზოთ ბერნისის თამარ ერისთავისეული თარგმანე-
ბი, ლინგვისტიკის, ჰერმენევტიკისა თუ ახალი კრიტიკის
მეთოდებით, რა შენიშვნებიც უნდა გამოვთქვათ, ბოლოს
მაინც ვალიარებთ, რომ ეს არის ჭეშმარიტი პოზია.

ძრონიკა

20 ივნისს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე-
ში სარეკებიან დარბაზში გაიმართა პროფესორ რეზო ჭანიშვილის
წიგნის „ქართული ცეკვის სადიდებელი – გამოჩენილი ადამიანები
ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შესახებ“ – ბრეზენტაცია.

წიგნი მოწვეულ საზოგადოებას, ინტელიგენციას, ცნობილ
მოცეკვავებს წარუდგინა კანოსა და ოთხტრს უნივერსიტეტს
პროფესორმა ლევე ალავიძემ. წიგნის შესახებ ისაუბრეს ბათუ-
მელმა ზაურ ლაზიშვილმა, მსახიობმა გოგი ქავთარაძემ, მოცეკ-
ვავე გივი სიხარულიძემ, პროფესორმა ნათელა ვასაძემ, მწერ-
ლებმა ფრიდონ ხალვაშმა და გიზო სიხარულიძემ.

პრეზენტაციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბატონი რეზო ჭა-
ნიშვილი ყოველ მრგვალ თარიღს წიგნის გამოცემით აღნიშნავს.

ასე მოხდა ახლაც. 21 ივნისს მას 70 წელი შეუსრულდა. 75 წლის
იუბილისათვის შეხვედრას კი იგი ახალი, სამ ენაზე გამოცემული
წიგნით აპირებს.

ხელოვნების ისტორია იცნობს ბედნიერ გამონაკლისებს,
როცა შესანიშნავ მსატვრებს, კომპოზიტორებს, რეჟისორებს,
ქორეოგრაფებს, მსახიობებს ხელენიფერათ თავიანთი პრატი-
კული პროფესიული გამოცდილება ფურცლებზე გადაიტანონ,
წარმოაჩინონ შემოქმედებითი ლაბორატორია და შექმნან ერთ-
გვარი სახელმძღვანელო.

სწორედ ასეთი წიგნია რეზო ჭანიშვილის წინამდებარე ნაშ-
რომი, რომელშიცაც, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა ასე
დიდებულად წარმოჩინდა „ქართული გენია როკვით განვითი წიგნისაც“.

როდენსაც გალაკტიონი ლექსში „რომელი საათია“ შარლ ბოდლერის სახელსა და სტრიქონებს გაიხსნებს („იყო შარლ ბოდლერი: მწარე და ძირიფასი ლვინის საათია, თრობის საათია...“), სწორედ მისი მინიატურებიდან დაიმორჩებს.

ეს არის ამ ჟანრის შედევრები და თავის დროზე ზეიად გამსახურდის აქვს თარგმნილი და ცალკე წიგნადაც გამოცემული. ესაა წარმატებული ცდა ბოდლერის პროზაული ლექსების ამეტ-ყველებისა ქართულ ენაზე, თუმც კვლავაც არაერთხელ შეიძლება ითარგმნოს და მარინა ჭილაშ-ვილის თარგმანსაც უთულ ინტერესით გაეცნობა მეითხველი.

პუბლიკაციის გასაფრთხოებლად იმიტომ შევარჩიეთ ედგა პოს „ყორანის“ ილუსტრაცია, რომ ბოდლერის განსაკუთრებით უყვარდა ეს ლექსი – რამდენჯერმე თარგმნა ფრანგულად, და საერთოდაც შთაგონებული გახლდათ პოს მხატვრული ხილვებით და „პარიზის სევდის“ განწყობილებებსაც მკაფიოდ ეხმიანება „ყორანის“ მძაფრი და დრამატული განცდები.



შარლ ბოდლერი

პარიზის სევდა

*

ლექსები პროზაზ

მითხარ, ვინ გიყვარს ყველაზე მეტად, შენ, იდუმალო ადამიანო, მამა თუ დედა, და თუ ძმა შენი?

– არც დედ-მამა მყავს, არც ძმა და არც და.

– არც მეგობრები?

– თქვენ თქვით ის სიტყვა, რომლის არსი ამოუცნობი დარჩება ჩემთვის.

– სამშობლო შენი?

– სად იწყება ან სად მთავრდება იგი, არ ვიცი.

– მშვენიერება?

– ღვთაებრივი და უკვდავია, მეყვარებოდა გულით და სულით.

– ოქრო?

– მძულს, როგორც თქვენ გძულთ მაღალი ღმერთი.

– მაშ რალა გიყვარს უცნაურო ადამიანო?

– ღრუბლები მიყვარს... შორს, შორს მოცურავე, საოცარი ღრუბლები!..

სასოდარკვეთილი დედაპერი

ერთმა პირდამჭენარმა დედაბერმა ლამაზი ბავშვის დანახვაზე გულით გაიხარა. კველა ელოლიავებოდა მასავით უმწეო, უყბილო, თავტიტველა ქორფას.

მოხუცი მიუახლოვდა, უნდოდა მიკვერებოდა. შეშინებული ბავშვი კი მოალერს ბებრუხანას იგერიებდა და იქაურობას ჭყივილით იკლებდა.

დედაბერმა ისევ მარტოდ იგრძნო თავი და ტირილი მოერთა.

– ეჱ, ბებრებო, ჩაჩანაკებო, მოწონების დრომ ჩაიარა, უბინებებსაც კი გაუვიდათ ყავლი. პატარები ჩვენ დანახვაზე შემით კრთებიან, ჩეკნ კი მათი სიყვარული გენტურია.

* კათოლიკური ლოცვის პირველი სიტყვა

პოეტის „პრცეიტეორი“*

რა გულშიჩამწვდომია მიწურული შემოდგომის დღეები! ტკივილამდე გულშიჩამწვდომი! ეს განცდა იმ სასიამოვნო შეგრძნებებით ხდება, რომელთა უხილავობა არ გამორიცხავს მათ სიძლიერეს და, ამასთან, არაფერი გიკოდავს გულს ისე მწვავედ, როგორც უსასრულობა.

ნეტარებაა, ჩაიძირო ცისა და ზღვის უკიდევანო სივრცეში! ხარ შენთვის, სიჩუმეა, ირგვლივ ლაქვარდის სიწმინდე სუფევს! ისმის მოლივლივე ზღვის ტალღის ერთხმიანი ჰანგი. შორს, პორიზონტზე, ძლიერს მოჩანს მოფრიალე იალქანი, რომელიც თავისი სიპატარავითა და სომარტოვით ჩემს განწირულ არსებობას მაგონებს. ეს ყველაფერი ფიქრობს ჩემით, ან მე ვფიქრობ იმათი (რადგან უსაზღვრო ოცნებაში იკარგება „მე“!). ჰო, ისინი ფიქრობენ, მათი ფიქრი უშუალოა, მშვენიერი, ჰარმონიული, განუსჯელი.

ჩემი ფიქრები მათენ ილტვიან და მალე უფრო მძაფრდებიან. ნეტარება ძალას მაცლის და ნამდვილ სატანჯველს მიქმნის. ტკივილი და ყვირილის სურვილი არხევს ჩემს დაძაბულ ნერვებს.

ახლა ცის სილრმე მაძრნუნებს; მისი გამჭვირვალება მაღიზიანებს... ზღვის მდუმარება, ირგვლივ გარინდებული სივრცე მაშველებს... ლირს კი სილამაზისთვის ნიადაგ ტანჯვა, იქნებ სჯობს განერიდო?

ბუნების ძალავ, დაუნდობელო ჯადოქარო, მუდამ გამარჯვებულო მეტოქევ, თავი დამანებე! ნუ აღმიძრავ სურვილებს, ნუ მითრგუნავ სიამშეს! სილამაზის ძიება დუელსა ჰგავს, სადაც პოეტი დამარცხების შიშით წინასწარ ყვირის.

ოხუჯი

საახალწლო ჟივილ-ხივილი იდგა. თოვლ-ჭყაპი ათასობით ეტლს გადაესერა. აუზზაურში კიაფობდნენ საახალწლო სათამაშოები, კონცეტები. ფეხი აედგა დაუოკებელ სურვილსა და უიმედობას.

აბ ორომტრიალში ერთი შეწუხებული სახედარი თავის პატრონს, მათრაბიან მუტრუკს ჩიროთით მიარბენინებდა.

ის იყო სახედარს ქუჩის კუთხეში უნდა გადაეხვია, რომ ერთი დარბასისელი კაცი გამოჩნდა. ხელთათმანებით, ლაქის ფეხსაცმელებში გამოწყობილს ჰალსტუხი ყულში უღვთოდ გაეჭირა. ერთი სიტყვით, ისეთი ჩაცმულ-დახურული გახლდათ, პატიმარივით იყო თავის ახალ სამოსში. კა-

ცი დიდის ამბით დაიხარა უწყინარი პირუტყვის წინ და ქუდის მოხდით მიმართა: „ბედნიერ ახალ წელს გისურვებო“.

მერე ისეთი გაბლენძილი მიუბრუნდა გამვლელებს, თითქოს მათგან თავისი თავაზიანობის დასტურს ითხოვდა.

სახედარმა ვერცხე შეამჩნია ეს მოხდენილი ოშუჯი; ის გულდაგულ მიჩაკჩა კედა იქით, საითაც საქმე უხმობდა.

მე კი ჩემს თავზე ვპრაზობდი, ეს ზედგამოქრილი ბრიყვი, როგორ მეგონა სრულიად საფრანგეთის ჭეუის კოლოფი.

ქაღლი და სუნამოს შუშა

„ჩემო ლამაზო, კეთილი ძალო, ლეკვო საყვარელო, მომიახლოვდი, მოდი, დაყნოსე ეს ჩინებული სუნამო, ქაღლაქის საუკეთესო პარფიუმერთან ვიყიდე“.

ძალილიც კუდის ქიცინით მიახლოვდება. საცოდავები, ასე იქცევიან, თუ ხალისან გუნებაზე არიან. ლეკვი ჩემკენ მოდის, ცნობის-მოყვარეობით ჩამოდებს თავის სველ დრუნჩის სუნამოს გახსნილ შუშაზე. მერე უცებ შეშინებული უკან დაიხევს, მიყეფს, თითქოს მსაყვედურობსო.

— ეჱ, შენ საწყალო, ერთი ყუთი ნაგავი რომ დამედგა, ხომ სიამოვნებით დაყნოსავდი, იქნებ გადაგესანსლა კიდეც. შენ ჩემი სევდიანი ცხოვრების თანამგზავრი ხარ, მაგრამ მისი არაფერი გაგებება რა. ადამიანებს მიგონებ. მათაც აღიზიანებთ ნაზი სურნელი, სჯობს საგულდაგულოდ შერჩეული ნაგავი შესთავაზო.

დამის პირველ საათზე

ბოლოს და ბოლოს მარტო დავრჩი. მხოლოდ ზოგჯერ დაგვიანებული, ხალით გადაჭედილი ეტლის ჭრიალიდა ისმის. რამდენიმე საათით ვიგრძნობთ სიჩუმეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დავისვენებთ. ბოლოს და ბოლოს გაქრა ადამიანის მტარვალი სახე და ჩემი ტანჯვის მიზეზად მე- და დავრჩი.

როგორც იქნა, ნება მომეცა წყვდიადში მოვითქვა სული. უპირველესად კარის საკეტში გასაღებს როჯერ გა- დავატრიალებ. ალბათ, ეს ქმედება ერთოროად გამიძლიე- რებს სიმარტოვეს და ბარიკადებს აღმართავს ჩემსა და სამყაროს შორის.

საშინელია ცხოვრება! საშინელია ქაღლაქი! გავიხსე- ნებ, რა მოხდა დღეს: რამდენიმე ლიტერატორი შემომხვდა. ერთმა მეითხა, რუსეთში ნასვლა ხმელეთით თუ შეიძლება (უეჭველია, ეს ქვეყანა კუნძული ეგონა). ერთი უურნალის რედაქტორთან კამათისას სიმტკიცე გა- მოვიჩინე. ყოველ ჩემს შესიტყვებაზე მპასუხობდა —

„სხვაგან ვერსად შეხვდებით ჩემნაირ პატიოსან ხალ- ხსო“, ალბათ, გულისხმობდა, კველა სხვა გაზეთი თალ- ლითების ხელშია; ჰო, ოციოდე ადამიანსაც მივესალ- მე, რომელთაგან თხუთმეტი ჩემთვის უცნობი გახ- ლდათ. ისე, კველას ერთნაირი სითბოთი ჩამოგართვი ხელი. ერთი კი ვერ გავითვალისწინე, ხელთათმანი მა- ინც შემეძინა!

თავსხმა წვიმისას, დრო რომ მომექლა, მოხეტიალე აკ- რობაზ ქალთან შევაფარე თავი, რომელმაც მთხოვა

Venustre-ის (* Venustre – Venustras ლათინურად მშვენიე- რებას და წყალობას ნიშნავს) კოს- ტუმი დამიხატეო; მერე თეატრის დირექტორს მაამებელი საუბარი გავუბი. გამოცილებისას მითხრა: „გირჩევთ Z-ს მიმართოთ, ჩემს ავ- ტორთა შორის კველაზე ცნობილია, ამასთან უხეში და ბრიყვი; სცადეთ, ერთად მოაგვაროთ საქ- მე, ჯერ იმას შეხვდით და მერე ვნა- ხოთ“; რითი მოვინონო თავი? იმით, რომ თავი ავარიდე მრავალ სამარცხვინო საქციელს ან ლარჩელად უარი ვთქვი რამდენი- მე სხვა დანაშაულზე, რომელიც შემდგომ სიხარულით აღვასრუ- ლე? დანაშაულია ტრაბაზი, პირვ- ნების აბურად აგდება; მეგობარს მცირე სამსახური არ გაუნიერ, ნამ- დვილ არამზადას კი კარგი დახასი- ათება ნერილობით მივართვი; ეჱ, აქვს კი დასასრული?!*

კველასი და საუთარი თავის უქმაყოფილოს მომესურვა გამო- მესყიდა დანაშაული და ოდნავ მა- ინც ამაყად მეგრძნო თავი დამეულ სიჩუმესა და სიმარ- ტოვეში... მოვუხმობ მათ სულებს, ვინც მიყვარდა, ვისაც ვუმდეროდი, გამამხნევეთ, გამიმაგრეთ გული, შორს გა- დაკარგეთ ჩემგან სიცრუე და სამყაროს მაცუნებელი ობშივარი. შენ კი, ღმერთო, ჩემო ბატონო, იყაც მოწყალე, დამანერინე ორიოდ ლექსი. ისინი დამარწმუნებენ, რომ არ ვარ ადამიანთა შორის უკანასკნელი, რომ არ ვდგავარ იმათზე ქვემოთ, ვინც ჩემს სიძულვილს იმსახურებს.

თბაში ჩაძირული ნახვარი სამყარო

მომეცი ნება თავი ჩავრგო შენი თმის ტევრში და უსას- რულიდ ვიყნოსო სურნელი მისი ისე, როგორც წყურვი- ლისგან დამაშერიალი კაცი დაეწაფება წყაროს წყალს; მო- მეცი ნება, ჩემი ხელით, სურნელოვანი ცხვირსახოცივით დავიქენიო ნაწილები შენნი, რათა ჰაერში მიმოვფანტო მო- გონებები.

ნეტავ შეგეძლოს ნარმოიდებინო ის ყველაფერი, რასაც მე ვხდეავ! რასაც ვგრძნობ! რაც შენს თმებში ჩაძირულს ყურში ჩამესმის! ჩემი სული შენს სურნელს მიჰყება ისე,



ალფრედ კუბინი, „ყორანის“ ილუსტრაცია

როგორც მუსიკა იზიდავს მსმენელის სულს თავის პანგებში.

იალქნებითა და ანძებით სავსეა ოცნებით შთაგონებული შენი თმა; მასში მოქცეულან უსასრულო ზღვები, რომელთა ქარნი გამაქროლებენ ტურფა მხარეში, სადაც სივრცე უფრო ლამაზია, უფრო ღრმა, პაერი ხილის, ფოთლებისა და ადამიანის კანის სურნელით არის გაჟღენილი.

შენი თმის ოკეანეში ბუნდოვნად მოჩანს სევდანი პანგებით ამღერებული ნავსადგური. იქ ერთმანეთს მრავალი ჯურის მამაკაცნი ენაცვლებიან, მიდი-მოდიინ სხვა და სხვა ფორმის ხომალდები და უკიდეგანი სივრცეში, სადაც სამუდამო სითბოს დაუსადგურებია, ამოკვეთავენ თავიანთ რთულ და დახვეწილ არქიტექტურას.

შენი თმის ალერსისას, ისევ მექალება ერთი ლამაზი ხომალდის კაიუტაში, დივანზე გატარებული სევდანი უამი, უამი, ნავსადგურის უხილავ ტალღაზე მონანავე, ყვავილების ქოთნებსა და ფორებანი თიხის ჭურჭელს შორის.

შენი თმის მოგიზგიზე კერაში ვსუნთქავ თრიაქიანი თამბაქოს შაქარნარევ სურნელს, შენი თმის ლამეულში ვხედავ მცხუნვარე ლაუვარდის უსასრულო ბრნყინვალებას, შენი პაეროვანი თმის სანაპიროზე ერთმანეთში შერეული კუპრის, მუშკისა და ქიქოსის ზეთის სურნელი მათრობს.

ხელს ნუ შემიშლი, თუკი დავკენ შენი გიშრის მძიმე ნაწნავებს, რადგან მოქნილი და თან ურჩი შენი თმის კბენით, ასე მგონია, მოგონებებს ბოლოს მოვულებ.

თრობის საათი*

მარადებამს თრობა. სხვა რაღა ვთქვა: აი, მთავარი. გსურს, არ შეიგრძნო სიმძიმე დროის შენს მხრებს რომ ანევს და გხრის მინისკენ, ინებე თრობა სულმოუთქმელი! რით? ოდონდაც თრობის იგრძენი ეში და არჩევანი შენია – ღვინო, ღექსი ან სათონება!

ზოგჯერ, თუ სადმებ გაგელვიძება, სასახლის კართან, რუის პირას მწვანე ბალაზზე, ან აღმოჩნდები შენი ოთახის გაუსაძლის მარტობაში, ზარხოში გაგინელდება და გამოფხიზლდები, მაშინ ჰყითხე მათ, ვისაც ფრენა შეუძლია, ვისაც ტანჯვა ძალუძს, ხეტიალის ან სიმღერის ტრფიალია, ან ვარც მეტყველებს, ჰყითხე რა დროა. ვისასუხებენ ქარიც და ტალღაც, კედლის საათი, ჩიტი, ვარსკვლავიც – „თრობის საათია!“ მაშ ნუ იქცევი დროის ნამებულ მონად, ინებე თრობა სულმოუთქმელი! არჩევანი შენია – ღვინო, ღექსი ან სათონება!

მთვარის ცყალობა

მთვარე, ესოდენ თავნება, შენს სარკმელში შემოიჭრა. აკვანში გეძინა. „მომწონს ეს პატარა“ – თქვა ჩურჩულით.

* თრობის ხოტბა მრავალ გამოხატილ პპოვებს ბოდლერის შემოქმედებაში, კერძოდ კრებულში „ბოროტების ყვავილები“ – ლექსში „ღვინო“.

თავისი ღრუბლის კიბე მსუბუქად ჩამოირბინა, ფეხაკ-რეფით ჩამოუარა ფანჯრის მინებს და დედის ნაზი ალერ-სივით შენს სხეულზე გაიძალა. სახეზე შუქი მოგვინა. გუგებზე მწვანე ფერი დაგედო, ლანვები გაგიუფერულდა, თვალები უცნაურად გაგიფართოვდა, ალბათ, სტუმარი გინდოდა შეგეცნო. ის ისე ალერსიანად შემოგეჭდო ყელ-ზე, რომ ტირილის სამუდამო სურვილი ჩაგბუდა.

ხარობდა მთვარე და ოთახი მისი ნათელით ივსებოდა. თითქოს ფოსტორს აფრქვევდა; თითქოს მოკიაფე შესმის სხივებს აბნევდა ირგვლივ. მის მოციმციმე შუქს სჯეროდა და იმეორებდა: „ჩემს ამბორს შენ სამუდამოდ ეზიარები; იქნები ჩემსავით ლამაზი და გეყვარება ის, რაც მე მიყვარს, ვინაც მე მეტრიზის: წყალი, ღრუბლები, ღამის სიჩუმე, დიდი მწვანე ზღვა, წყალი, თავისი უთვალავი სახიერებით, მიუწყდომელი მიდამო, უცნობი მიჯნური; გეყვარება ჯადოსნური ყვავილები, მათობელი სურნელი, პაინინოს თავზე განძული, ქალებივით მთრთოლვარე, ხრინწიანი და თან ალერსიანი ხმით მოკრუტუნე ფისუნიები!

„ჩემი მიჯნური შენც შეგიყვარებენ, მოტრფიალენი ჩემი შენც ალერსით აგავსებენ. დედოფლად დაგსამენ მწვანეთვალება მამაკაცები, რომელთაც ლამეულ ალერსში ისევე შემოვეჭდე ყელზე, როგორც შენ. მათაც ხიბლავთ ზღვა ძალზე დიდი, მწვანე, ბობოქარი, წყალი თავისი უთვალავი სახიერებით, მიუწყდომელი მიდამო, უცნობი ქალი, მათთვის უცხო რელიგიის საეკლესიო საცეცხლურის მსგავსი ავბედითი ყვავილები, სურვილის აღმდეგრელი სურნელა, ავხორცი მტაცებელი ცხოველები, თავიანთი სიგიურის სიმბოლოს თავადვე რომ წარმოადგენენ!“

აი, რატომ ვარ შენს ფერხთით დაწყევლილო, საყვარელო, ნებიერა პატარა; შენში ვეძებ ნიშანს დაუნდობელი ღვთაებისა, ვინაც ეს ხვედრი დაგანათლა, ვეძებ იმ ძიძის ნაკვალევს, ვინაც შხამი ჩაუწვეთა ყველა მთვარეულს!

ნავსადგური

ცხოვრებისგან დაქანცული ადამიანის სულისთვის ნავსადგური დასვენების შეუდარებელი ადგილია. უკიდეგან ცა, ღრუბლების ცვალებადი არქიტექტურა, ზღვის ფერთა მონაცვლეობა, შუქურების ელვარება, ეს ყველა-ფერი თავისი საოცარი სისუფთავით ისე ახარებს თვალს, რომ მზერას ვერ მოწყვეტ. გემების ცაში ატყორცნილი რთული სილუეტები მოლივლივე ზღვის ჰარმონიულ რყევას ეხმანებიან და ცდილობენ ადამიანის სულს სილამზისა და რიტმის შეგრძება შეუნარჩუნონ; მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, იდუმალი, არისტოკრატული სიამოვნება იმ ადამიანისა, ვისაც არც ამპარტავნობა გააჩნია და არც ცნობისმოყვარეობა ანუხებს. მაღალი გადმოსახედიდან, ან ნავსადგურის ქვის ზღუდეზე დაყრდნობილი უმზერს წამსვლელებს, მომსვლელებს, იმათ, ვისაც კვლავ გააჩნიათ ძალა სურვილისა, წყურვილი მოგზაურობის და გამდიდრებისა.

ფრანგულიდან თარგმნა მარინე შილაშვილმა

გაბრიელ გარსია მარკესი

ორი წავესის გამოცანა

ପ୍ରକାଶନ ମେଲ୍

უკვე საღამო იყო, როდესაც კარლოს ანდრეს პერესი და ვოლოსიდან (შვეიცარია) სამშობლოში ჩამოგრინდა. მას გაუკვირდა, როდესაც თვითმფრინავის ტრაპთან თავ-დაცვის მინისტრი, გენერალი ფერნანდო ოჩია ანტიჩი შე-ეგბა. „რა ხდება?“ – იკითხა შეშფოთებულმა. მინისტრმა იგი დაამშვიდა, თანაც ისეთი დამაჯერებელი არგუმენტები მოიყვანა, რომ პრეზიდენტი არა მირაფლორესის სახლეში, არამედ ლა კასონის საპრეზიდენტო რეზიდენციისაკენ გაეშურა. მან ის-ის იყო ჩათვლიმა, რომ იმავე თავდაცვის მინისტრმა დაუკრეპა, რათა ეცნობებინა, რომ მარაკაში სამხედრო ბუნტი დაწყებულიყო. როგორც კი პრეზიდენტი მირაფლორესში შევიდა, არტილერიის პირველი ჭურვებიც აფეთქდა.

1992 წლის 4 თებერვალი იყო. პოლკოვნიკი უგო ჩავეს ფრიასი, რომელსაც ისტორიული თარიღები კულტის რანგში აპყავს ხოლმე, ლა პლანისიეს ისტორიული მუზეუმიდან ხელმძღვანელობდა იერიშს, სადაც იმპროვიზირებული საკომანდო პოსტი ჰქონდა მოწყობილი. აი, მაშინ კი მიხვდა პრეზიდენტი, რომ ერთადერთი იმედი ხალხის მხარდაჭერა იყო, და ქვეყნისადმი მიმართვის გასაკეთებლად ვენევიზიის სტუდიებისაკენ გაეშურა. თორმეტი საათის შემდეგ სამხედრო გადატრიალება ჩაიმალა. ჩავესი დანებდა, მაგრამ იმ პირობით, რომ მასაც მისცემდნენ საშუალებას ტელევიზიით მიემართა ხალხისათვის. პარაშუტისტის ბერეგში გამოწყობილმა ახალგაზრდა კრეოლმა პოლკოვნიკმა, რომელიც ორატორის ბრწყინვალე ნიჭით იყო დაჯილდოებული, საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა მოძრაობაზე. მისი მიმართვა პოლიტიკური ტრიუმფი იყო. ციხეში ჩავესმა ორი წელი გაატარა, ვიდრე პრეზიდენტმა რაფაელ კალდერამ არ შეიწყალა. ბევრი მისი თანამოაზრე, და ასევე ბევრი მოწინააღმდეგე დარწმუნებულია, რომ დამარცხებისას წარმოთქმული სიტყვა იყო პირველი ნაბიჯი იმ საარჩევნო კამპანიისა, რომელმაც დაახლოებით ცხრა წლის შემდეგ ჩავესი რესპუბლიკის პრეზიდენტობამდე მიიყვანა.

ამ ისტორიას პრეზიდენტი უკვ ჩავეს ფრიასი ორი კვირის წინათ ვენესუელის საპატიო ძალების თვითმფრინავში მიამბობდა, რომელსაც ჩვენ ჰავანიდან კარაკასში გადავყვავდით. ნახევარი თვეც არ იყო გასული რაც ის სახალხო არჩევნების შედეგად ვენესუელის კონსტიტუციური პრეზიდენტის უფლებამოსილებით აღიარვა. ერთმა-

ნეთი სამი დღით ადრე, პავანაში გავიცანით, როდესაც ის პრეზიდენტებს კასტროსა და პასტრანას ხვდებოდა. პირველი, რამაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, მისი რეინა-ბეტონის სხეული იყო. იგი უშუალობით, გულთბილობითა და პირნავარდნილი ვენესუელელის კრეოლური მოძინების ვლელობით გამოირჩეოდა. ორივეს გვინდოდა კიდევ ერთხელ შევხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ, ჩვენივე მოუცლელობის გამო ვერ მოვახერხეთ. ასე რომ, კარაკასში ერთად გავემგზავრეთ, რათა თვითმფრინავში გვესაუბრა მისი (ჰოვრების სასაწლებზე).

ეს კარგი გამოყვალება იყო ჩემნაირი გადამდეგარი რეპორტიორისათვის. როდესაც ჩავესი თავის ისტორიას მაბმბობდა, მე აღმოვაჩინე პიროვნება, რომელიც არანაირად არ ესადგება იმ დესპონტის სახეს, რომელიც ჩვენ მედიის წყალობით შეგვექმნა. ეს სულ სხვა ჩავესი იყო. მაგრამ რომელი იყო ნამდვილი?

საარჩევნო კამპანიის დროს ჩაგვესის მოწინააღმდეგები ძლიერ არგუმენტად მის უახლოეს წარსულს იყენებდნენ, როდესაც იგი კონსპირატორი და ბუნტარი იყო. მაგრამ, ვენესუელის ისტორიამ ოთხზე მეტი გადატრიალება მოინელა. თავდაპირველად რომულო ბეტანკურმა, რომელსაც სამართლიანად თუ უსამართლოდ, ვენესუელის დემოკრატიის მამად მოიხსენიებენ, ძველი სამხედრო დემოკრატი ისაი მედინა ანგარიტა ჩამოაგდო, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობდა განეწმინდა ქვეყანა ხუან ვისენტე გომესის ოცდათექვსმეტწლიანი ბატონობისაგან. ხოლო მისი წინამორბედი, მწერალი რომულო გალიეგოსი გენერალმა მარკოს პერეს ხიმენესმა ჩამოაგდო და თითქმის თერთმეტი წლის მანძილზე ინარჩუნებდა აბსოლუტურ ძალაუფლებას. ხოლო ამ უკანასკნელს კი, ახალგაზრდა დემოკრატების მთელი თაობა დაუპირისპირდა და სათავე დაუდო არჩეული პრეზიდენტების გრძელ პერიოდს.

თებერვლის გადატრიალება ერთადერთია, რაც პოლ-კოვნიკ უგო ჩავეს ფრიასს ცუდად გამოუყიდა. მიუხედა-ვად ამისა, მან ეს მოვლენა დადგებითად შეაფასა და აღიქ-ვა როგორც ღვთაებრივი მარცხი. ეს ილბლის, ან ჭკუის, ან ინტუიციის, ან სიეშმაკის, ან ნებისმიერი მსგავსი რა-მის მისეული გაგებაა, რაც ჯადოსნურ ქროლვასავით მართავს მის ქმედებებს მას შემდეგ, რაც ის, 1954 წლის 28 ივლისს, ძალაუფლების ზოდიაქოს ნიშნით – ლომი, – მოევლინა ქვეყნიერებას პარიზასის შტატის ქალაქ საბა-ნეტამი. ჩავესი მორწმუნე კათოლიკეა, მაგრამ თავის ნარმატებებს ას წელზე მეტი ხნის ავგაროზს მიაწერს, რომელსაც ბავშვობიდან ატარებს. ეს ავგაროზი მისი ერთ-ერთი მფარველი გმირის, დედის მხრიდან ბაბუის-გან, პოლკოვნიკ პედრო პერეს დელგადოსაგან ერგო მემ-კვიდრობით.

ჩავესის მშობლებს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის ჯამაგირით ძლიერდილივობით გაჟქონდათ თავი. იგი ცხრა წლის ასაკიდან იძულებული იყო დახმარებოდა მათ: ტკბილეულსა და ხილს ჰყიდდა ურიიდან. ხანდახან, დედის მხრიდან ბებიის სანახავად მეზობელ სოფელ ლოს რასტრობოსში ვირზე შეგვდარი მიემგზავრებოდა. ბებიის სოფელი მას ქალაქად ეჩვენებოდა, იმიტომ, რომ იქ იყო პატარა ელექტროკვესადგური, რომელიც მხოლოდ შებინდებისა თრი საათი მუშაობდა და ბებიაქალი, რომელიც მისი და მისი ოთხი და-მის დაბადებას ესწრებოდა. დედამისს უნდოდა, რომ ჩავესი მდვდელი გამოსულიყო, მაგრამ იგი მხოლოდ მორჩილობას დასჯერდა. ზარებს ისეთი მონდომებით რეკავდა, რომ სოფლელები ხმაზე ცნობდნენ. „აგე, უგო რეკავს“, – ამბობდნენ ხოლმე. ერთხელ, დედამისის წიგნებში „ლვთაებრივი“ ენციკლოპედია აღმოაჩინა, რომლის პირველმა თავმა: „როგორ გავიმარჯვოთ ცხოვრებაში“ მაშინვე მოაჯაფოვა. სინამდვილეში, ეს სხვადასხვა რჩევათა კრებული იყო. მან ისინი თითქმის ყველა მოსინჯა. როგორც მზატვარმა, მიქელანჯელოსა და დავითის ესტამპებით გაოცებულმა, თავისი პირველი პრემია თორმეტი წლისამ, რეგიონალურ გამოიფენაზე მოიპოვა. ჩავესს კარგი ხმა ჰქონდა, და როგორც მუსიკოსი შეუცვლელი იყო დაბადების დღეებზე და სერენადების შემსრულებელ კვარტეტებში. როგორც ბეისბოლისტი – პირველი კლასის კეტჩური გახდა. სამხედრო სპეციალობა სიაში არ იყო, ეს არც თავად მოუვიდოდა აზრად. მაგრამ, ერთხელაც, უამბეს, რომ საუკეთესო გზა მწვერვალისაკენ ბარინასის სამხედრო აკადემია არისო. ეს, ალბათ, ავგაროზის კიდევ ერთი სასწაული იყო, იმიტომ, რომ სწორედ მაშინ ინყებოდა ბროექტი „ანდრეს ბელიო“, რომელიც სამხედრო სასწაულებლების ბაკალავრებს სამუალებას აძლევდა მიეღნიათ უმაღლესი აკადემიური დონისათვის.

სასწავლებელში ჩავესი ეუფლებოდა პოლიტიკურ
მეცნიერებებს, ისტორიას, მარქსიზმ-ლენინიზმს. გატა-
ცებით სწავლობდა ზოდიაქოთი უფროსი ლომის, პოლი-
ვარის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომლის მონოგრა-
ფიც ზეპირად იცოდა. მისი პირველი გაცნობიერებული
კონფლიქტი რეალურ პოლიტიკასთან 1973 წელს, აღინ-
დეს სიკვდილი იყო. ჩავესს ვერაფრით გაეგო თუ ჩილე-
ლებმა აღინდე აირჩიეს, მაშინ სამხედროებს რატომ უნ-
და მოეწყოთ გადატრიალება? მოგვიანებით, მისი როტის
კაპიტანმა დაავალა ეთვალთვალა ხოსე ვისენტე რანხე-
ლის შვილისათვის, რომელსაც კომუნისტად თვლიდნენ. „წარმოგიდგენია, რა ჩახდლართულია ეს ცხოვრება“, მით-
ხრა ჩავესმა ლიმილით. „ეხლა მამამისი ჩემი პრემიერ-მი-
ნისტრია“. კიდევ უფრო ირონიული ის არის, რომ როდე-
საც სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, ხმალი სწო-
რედ იმ პრეზიდენტისაგან მიიღო, რომლის ჩამოგდებასაც
ოცი წლის შემდეგ შეეცდება: კარლოს ანდრეს პერესისა-
ჯან.

„გარდა ამისა, თქვენ ის კინალამ მოკალით“, – შევნიშნე მე. „არავითარ შემთხვევაში“, გაცხარდა ჩავესი. „ჩვენ უნდა დაგვეცუძნებინა კონსტიტუციური ასამბლეა და დაგრძელებულიყოთ აუზამობში“.

მე პირველივე წუთებიდან მივხვდი, რომ პრეზიდენტი, ვენესუელური ხალხური კულტურის უძალო პროდუქტი, ნამდვილი მთხოვნელი იყო: შემოქმედებითი და ხმაურიანი. მას გააჩინა დროის მართვის საოცარი უნარი და რაღაც ზეპუნებრივი მეჩსიერება: შეუძლია ზეპირად ნაიკითხოს ნერუდასა და უიტმენის პოემები, რომელიც გალიეგოსის მთელი გვერდები.

ერთხელაც, ხეტიალისას, არაუკას ხიდზე გადავიდა
და უნებლიერ საზღვარიც გადაკვეთა. კოლუმბიელმა კა-
პიტანმა მისი ზურგჩანთა შეამოწმა და შეგ ჩავესის ჯაშუ-
შობის დამადასტურებელი უცყვუარი სამხილი იპოვა: ფო-
ტოაპარატი, ჩამწერი, საიდუმლო საბუთები, რეგიონის
ფოტოები, ილუსტრირებული სამხედრო რუკა და ორი სა-
ტაბელო პისტოლეტი. პირადობის დამადასტურებელი
საბუთი, კაპიტნის ვარაუდით, ყალბი იყო, როგორც ჯა-
შუშებს შეეფერებათ. კამათი ორ ოჯიცერს შორის რამ-
დენიმე საათს გაგრძელდა პატარა ოთახში, სადაც მხო-
ლოდ ერთი სურათი ეკიდა: ცხენზე ამხედრებული ბოლი-
ვარის პორტრეტი. „მე უკვე თითქმის დავწებდა, – ჰყენბა
ჩავესი, – რადგან რაც უფრო მეტს ვუხსნიდი, ნაკლებად
ესმოდა ჩემი!“ იგი ალალბედზე ნათქვამა ფრაზამ იხსნა:
„ხედავთ კაპიტანო, რა არის ეს ცხოვრება: ერთი საუკუ-
ნეც კი არ გასულა მას შემდეგ რაც ერთი არმია ვიყავით,
და აი ის, სურათიდან რომ გვიცერს, ჩენი ორივეს მეთა-
ური იყო. როგორ შეიძლება მე ჯაშუში ვიყო?“ გულაჩუ-
ყებულმა კაპიტანმა დაინყო ლაპარაკი დიად კოლუმბია-
ზე და ის საღამო მათ არაუკას ერთ-ერთ ღუბაში, კო-
ლუმბიური და ვენესუელური ლუდის სმით დაასრულდეს.
მეორე დილით ორივეს თავი სტკიოდა. კაპიტანმა დაუბ-
რუნა ჩავესს ისტორიოსის აღჭურვილობა და როდესაც
საერთაშორისო ხიდის ცენტრში ემშვიდობებოდა, გული-
თადად გადაეხვია.

„იმხანად, — განაგრძობს თხრობას ჩავესი, — ერთი კონკრეტული აზრი ამეცვიატა: რაღაც ვერ იყო რიგზე ვე-ნესუელაში“. იგი აღმოსავლეთის რეგიონში ცამეტკაციანი რაზმისა და კავშირგაბმულობის ჯგუფის უფროსად დანიშნება. მას პარტიზანთა დარჩენილი კერები უნდა გაე-ნადგურებინა. ერთხელ, ბანაკში, წვიმიან ლამეს თავშესა-ფარი სთხოვა დაზვერვის პოლკოვნიკმა. მას ჯარისკაცთა პატრიული და მთლად გაძვალტყაყვებული და გალურჯე-ბული ტყვე პარტიზანები ახლდნენ. დაახლოებით დამისათ საათზე, როდესაც ჩავესი უკვე წებოდა, მეზობელოთაში სულისშემგვრელი ყვირილი გაისმა. „ჯარისკაცები

ბი ტყვეებს ბეისბოლის ბითებით სცემდნენ. ბითებზე კი ჩვერები შემოხევიათ, კვალი რომ არ დაეტოვებინათ”, – თქვა ჩავესმა. აღმფოთებულმა ჩავესმა მოსთხოვა პოლკოვნიქს ან გადაეცა მისთვის ტყვეები, ან დაეტოვებინა ბანაკი. იგი ვერ დაუშვებდა, რომ მის ტერიტორიაზე ვინ-მე ენამებინათ. „მეორე დღეს, – გააგრძელა ჩავესმა, – და-უმორჩილებლობისათვის სამხედრო ტრიბუნალით დამე-მუქრნენ, მაგრამ შემოიფარგლენ იმით, რომ გარკვეული დროის განმავლობაში მაკვირდებოდნენ“. რამ-დენიმე დღის შემდეგ კი-დევ ერთი გაკვეთილი მი-იღო, რომელმაც ყველა დანარჩენი გადაფარა: ჯარის კაცებისათვის ხორცს ყიდულობდა, რო-დესაც ყაზარმის ეზოში პარტიზანების მიერ მძი-მედ დაჭრილი ჯარისკა-ცებით სავსე ვერტმფრე-ნი დაეშვა. ერთ-ერთ ჯა-რისკაცს, რომელსაც რამდენიმე ტყვია ჰქონ-და მოხვედრილი, ჩავესმა ხელი შეაშველა. „მიშვე-ლეთ, ლეიტენანტო...“, – გაიძახოდა შეშინებული. ჩავესმა მისი მანქნაში გადაყვანა მოახერხა. და-ნარჩენი შეიდი დაიდუბა. იმ ღამეს, ჰამაკში, რული არ გაკარება. საკუთარ თავს ეკითხებოდა: „რა-ტომ ვარ აქ? ერთი მხრივ, სამხედროებად გადაც-მული გლეხები აწვალებენ პარტიზან გლეხებს, ხოლო, მე-ორე მხრივ, პარტიზანი გლეხები კლავენ ხაკისფერ მუნ-დირიან გლეხებს. ომი უკვე დამთავრებულია და არავითა-რი აზრი არ აქვს ესროლო ვინძეს“. თვითმფრინავში, რო-მელსაც ჩვენ კარაკასში მივყავდით, პრეზიდენტმა დაა-კვნა: „სწორედ მაშინ განვიცადე ჩემი პირველი ეგზისტენ-ციალური კრიზისი“. მეორე დილით, როდესაც გაიღვიძა, დარწმუნებული იყო, რომ მხისი მისია მოძრაობის დაარსება იყო. მან ეს გა-აკეთა ოცდასამი წლისამ. მოძრაობას ამბიციური სახელ-წოდება ჰქონდა: „ვენესუელელი ხალხის ბოლივარიანული არმია“. დამფუძნებლები იყვნენ ხუთიოდე ჯარისკაცი და თავად ჩავესი პოდპოლკოვნიქის რანგში. „რა მიზნებს ისახავდით?“ – ვკითხე. „მიზანი მარტივი იყო: მოვმზადე-ბულიყვით, ყოველი შემთხვევისათვის“, – მიპასუხა ჩა-ვესმა. ხოლო ერთი წლის შემდეგ, უკვე მარაკას საბლიუ-დაჟო ბატალიონის ოფიცერ-პარაშუტისტმა ჩავესმა სე-რიოზული შეთქმულების მზადება დაიწყო. ჩავესმა იქვე განმიმარტა, რომ სიტყვას „კონსპირაცია“ გადატანითი მნიშვნელობით ხმარობდა: მას უნდა მოეზიდა მოხალისე-ები საერთო საქმისათვის.

ასეთი იყო სიტუაცია 1982 წლის 17 დეკემბრისათვის, როდესაც გაუთვალისწინებელი რამ მოხდა და რასაც ჩა-ვესი თავისი ცხოვრების გადამწყვეტ მოვლენად მიიჩნევს. იგი უკვე პარაშუტისტთა მეორე პოლკის კაპიტანი და დაზვერვის ოფიცრის თანაშემწერა. სრულიად მოულოდნე-ლად, პოლკის მეთაურმა ანხელ მანრიკემ გააგზავნა იგი ათას ორასი ჯარისკაცისა და ოფიცრის წინაშე სიტყვის წარმოსათქმელად. დღის პირველ საათზე ფეხბურთის მოედანზე შეკრებილ ბა-ტალიონს ცერემონიმე-ისტერმა მისი სახელი გა-მოუცხადა. „დანერილი სიტყვა სად გაქვთ?“ – ჰკითხა მას პოლკის მე-თაურმა როდესაც დაინა-ხა, რომ იგი ტრიბუნაზე ქალალდების გარეშე ადიოდა. „მე არა მაქვს დანერილი სიტყვა“, – უპასუხა მას ჩავესმა და ლაპარაკი დაიწყო.

ჩავესის ეს მოკლე სიტყვა, შთავონებული ბოლივარისა და ხოსე მარტის იდეებით, გაჯე-რებული იყო მისი საკუ-თარი მოსაზრებებით იმ უსამართლობასა და წნებზე, რომელიც სუ-ფევდა ლათინურ ამერი-კაში დამოუკიდებლობის ორასი წლის განმავლო-ბაში. ოფიცრებმა, მისია-ნებაც და გარეშეებმაც, მას მშვიდად მოუსმინეს.

მათ შორის იყვნენ კაპიტნები ფელიპე აკოსტა კარლე და ხესუს ურდანეტა ერნანდესი, რომლებიც თანაურძნობ-დნენ ჩავესის მოძრაობას. გარნიზონის მეთაურმა, ძალ-ზედ უკაყაფილომ, ყველას გასაგონად უსაყვედურა ჩა-ვეს:

– „ჩავეს, ვგონებ თქვენ პოლიტიკოსი ბრძანდებით“. – „გასაგება“, – უპასუხა ჩავესმა.

მაშინ, ორმეტრიანი ფელიპე აკოსტა, რომელსაც ათი კაციც კი ვერ მოერეოდა, გაიჭირა მეთაურის წინაშე და უთხრა: „ცდებით მეთაურო. ჩავესი არავითარი პოლი-ტიკოსი არ არის. უბრალოდ, ის ახალი ყაიდის ოფიცე-რია და როდესაც თქვენ ისმენთ მის სიტყვას, ქვეშ იფ-სამთ“.

ამის შემდეგ პოლკოვნიკმა მანრიკემ სწორებაზე და-ყენა ჯარი და მიმართა: „მინდა იცოდეთ, რომ ყველაფერი, რაც აქ ჩავესმა თქვა, ჩემ მიერ იყო ნებადართული. მარ-თალია, სიტყვა დანერილი არ ჰქონდა, მაგრამ სათქმელი გუშინ ზეპირად მომიყვა. ასე რომ, ეს მე ვუბრძანე მას გა-მოსულიყო თქვენს წინაშე“. ეფექტური პაუზის შემდეგ მან მკაცრი ბრძანებით დაუსვა წერტილი ინციდენტს: „ეს ამბავი აქაურობას არ გასცდეს“.



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

ცერემონიის დასრულების შემდეგ ჩავესი და კაპიტნები ფელიქე აკოსტა და ხესუს ურდანეტა ჭენებით გაემურნენ სამან დელ გერესკენ, რომელიც ათიოდ კილომეტრში მდგრადი და ავტომატიზირებული მთის ძირას გაიმეორეს სიმონ ბოლივარის საზემო ფიცი. „დაბოლოება ცოტათი შევცვალეთ“, – თქვა ჩავესმა. იმის მაგივრად, რომ ეთ-კვათ: „როდესაც დავამსხვრევთ ჯაჭვს, რომელიც გვთრგუნავს ესპანელთა ძალაუფლების ნებით“, მათ წარმოთქვეს: „ვიდრე არ დავამსხვრევთ ჯაჭვს, რომელიც გვთრგუნავს ჩვენც და ხალხსაც ძალაუფლათა ნებით“.

ამის შემდეგ, ყველა ოფიციერს, რომელიც საიდუმლო მოძრაობას უერთდებოდა, უნდა დაედო ეს ფიცი. ბოლოს ეს მოხდა საარჩევნო კამპანიის დროს, ასი ათასი ადამიანის წინაშე. დროთა განმავლობაში იატაკებებშა ყრილობები სულ უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა. სამხედროები მთელი ქვეყნიდან იკრიბებოდნენ. „ყოველი ფარული შეკრება ორ დღეს გრძელდებოდა“. ვსწავლობდით და ვანალზებდით სიტუაციას ქვეყანაში, ვამჟარებდით კონტაქტებს სამოქალაქო პირებთან, მეგობრებთან“. „ხუთი წლის განმავლობაში ყრილობებს ისე ვატარებდით, რომ ვერავინ აღმოგვაჩინა“ – ჰყება ჩავესი.

ამას რომ მიამბობდა, პრეზიდენტმა ეშმაკურად გადა-იხარხარა. მერე კი ეშმაკური ლიმილით მითხრა: „ჩვენ კი ვამბობდით, რომ თავდაპირველად სამწი ვიყავით, მაგრამ სინამდვილეში მეოთხეც იყო, ახლა უკვე შეიძლება ამის თქმა. მის ვინაობას ყოველთვის ვმაღლავდით, რათა დაგვეცვა იგი. და მართლაც, 4 თებერვლის მოვლენებს იგი გადაურჩა, კარგად მსახურობდა ჯარში და პოლკოვნიკის ჩინიც დაიშავახურა. ახლა 1999 წელია და უკვე შეგვიძლია გავამჟღავნოთ მისი ვინაობა. ეს კაცი ეხლა ჩვენთან ერთად მოფრინავს“. პრეზიდენტმა საჩვენებელი თითო გაიშვირა განცალკევებით მჯდარ ადამიანზე, სწორედ იმ მეოთხეზე და თქვა: – „პოლკოვნიკი ბეჭედი!“

კომანდანტები ჩავესის აზრით მისი ცხოვრების კულმინაციური მოვლენა სახალხო აჯანყება „ელ კარაკას“ იყო. ამ აჯანყებამ კარაკასი გააცადმულერა. ჩავესი ხშირად იმეორებდა: „ნაპოლეონმა თქვა, რომ პრიმოლის ბედი სტრატეგის აღმაფრენის წამს წყდებაო“. ამ დებულებიდან გამომდინარე, მან სამპუნქტიანი კონცეპცია ჩამოაყალიბა: პირველი – ისტორიული ძრო, მეორე – სტრატეგიული წუთი და ბოლოს – ტაქტიკურ წაში. „ვნერვიულობით, ჯარიდან წასვლა არ გვინდოდა“, – განავრიძობს თხრობას ჩავესი. „ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მოძრაობა, მაგრამ რისთვის, ზუსტად არც კი ვიცოდით“. „ანუ – დაასკვნა მან, – სტრატეგიული წუთი მოულოდნელად დაგვაცხრა თავს!“.

ის, რა თქმა უნდა, 1989 წლის 27 თებერვლის სახალხო აჯანყებას, „ელ კარაკასოს“ გულისხმობდა. ეს ყველაზე მოულოდნელი რამ იყო მისთვის. კარლოს ანდრეს პერესი, ხმათა უმრავლესობით ახალი გაპრეზიდენტებულია და წარმოუდგენელი იყო, რომ სულ რაღაც ოცი დღის შემდეგ მსგავსი რამ მომზღვდარიყო: „27 თებერვლის საღამოს უნიკერსიტეტში, ასპირანტურის ლექციებზე მივდობა. გზად ფორტ ტიტუნაში შევიარე, მეგობარი უნდა მენახა, სახლში დასაბრუნებელი ბენზინი მინდოდა მეთხვოვა“, – მიყენდა და ჩავესი თვითმფრინავის კარაკასში დამვებამდე რამდენიმე წუთით ადრე. „სწორედ იქ დავინახე, რომ ჯარისკა-

ცეპი იარაღს ეზიდებოდნენ და ვეკითხები ერთ პალკოვ-ნიკეს: „სად მიდიან ეს ჯარიკაცები?“ იმიტომ ვიკითხე, რომ იარაღს ლოჯისტიკის ხალხი ეზიდებოდა, რომელებიც ბრძოლისათვის არ არიან განვრთნილნი, მთიუმეტეს და-სახლებულ პუნქტში ბრძოლისათვის. ესენი იყვნენ ახალ-წეულები, რომელებსაც იარაღის ხელში დაჭრისაც კი ეშინოდათ. ამიტომ ვეკითხე პოლკოვნიკეს: „სად მიდის ამ-დენი ხალხი?“ პოლკოვნიკი კი მაპასუხობს: „ქუჩაში, ქუჩა-ში. ნაბრძანებია ნებისმიერი ხერხით აღიკვეთოს წინააღ-მდეგობა. ჰოდა ჩვენც მივდივართ“. „ღმერთო ჩემო, ასეთი რა გიბრძანეს?“ „კარგი რა, ჩავვს – მიპასუხა პოლკოვნიკ-მა, – ნაბრძანებია ნებისმიერი ხერხით აღიკვეთოს არეუ-ლობა“. მაშინ მე ვუთხარი: „კი მაგრამ, პოლკოვნიკი, თუ ნარმოგიდგენიათ რა შეიძლება მოხდეს?“ მან კი მომიგო: „ჩავვს, ეს ბრძანება და მორჩა, ყველაფერი ლეთის ნებაა“.

ჩავესიც გააფორმებული ჩაეპა სსხსლიან ბრძოლაში. როდესაც მან თავისი მანქანა დაქოქა, ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი დაინახა: საცოდავა სირბილისას ჩატექანი უკან გადავარდნოდა, ავტომატი გვერდზე ეკიდა, აღჭურვილობა გაფანტვოდა. „გავჩერდი და დავუძახე“ – ჰყვება ჩავესი, – ის შეჩერდა, გაოფლილიყო და კანკალებდა. თვრა-მეტიოდე წლის თუ იქნებოდა. შევვეკითხე: „ეი, შენ, სად გარისხარ?“ არ გავრბივარ, – მიპასუხა მან, – ჩემმა რაზმება დამტოვა. აგე, იმ სატვირთო მანქანაში ზის ჩემი უფროსი. წამიყვანეთ მაიორო, წამიყვანეთ“. მე დავენიე იმ სატვირთო მანქანას და ვეკითხები იქ მყოფთ: „სად მიდი-ხართ?“ პასუხი: „მე არაფერი არ ვიცი. ან ვინ რა იცის?“ ჩავესმა, იმ საშინელი დამის გასსენებაზე, თითქოს იხ-რჩობაო, ჰაერი ჩაყლაპა და დაიხრიალა“. „შენ იცი, ეს შენ ერეკები ჯარისკაცებს ქუჩაში, შეშინებულებს და ავტო-მატიანებს. თან ხუთას-ხუთას ტყვიასაც ურიგებ. ჰოდა, ისინიც ისვრიან, ბოლო ვაზნამდე. ტყვიები თითქოს ხვეტ-დენო ქუჩებს, გორაკებს, ღარიბთა უბნებს. ეს კატასტრო-ფა იყო! კატასტროფა! ათასობით ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ფელიბე აკოსტა. ინტუიცია მკარნახობს, რომ ის სხვების მოსაკლავად გაუშვესა“, – თქვა ჩავესმა. „ეს ის წუ-თი იყო, რომელსაც ველოდით, რათა გვემოქმედა“. საქმე-მაც არ დაყოყნა: იმ დღიდან მოყოლებული ინწრობოდა გადატრიალება, რომელიც სამი წლის შემდეგ მარცხით დასრულდებოდა.

თვითმფრინავი დილის საბ საათზე კარაკასის აერო-პორტში დაეჭევა. ილუმინატორიდან დავინახე ღამის მო-ციმციმე ნათებაში ჩაფლული დაუკინგარი ქალაქი, რო-მელშიც ვენესუელის ისტორიისა, და აგრეთვე ჩემი ცხოვ-რების სამი გადამწყვეტი წელი გავატარე. პრეზიდენტი კარიბულად გადამეხვია და მითხა მინიშნებით: „შევ-ხვდებით აქ 2 თებერვალს“. იგი უახლოესი მეგობრებისა და ბრჭყალიალა ეპოლეტებიანი სამხედროების თანხლე-ბით წავიდა. მე კი, შემძრა აზრმა, რომ ვიმზავრე და დი-დი სიამოვნებითაც ვესაუბრე იორ საპირისის ადამიანს. ერთს უმოწყალო ბედი აძლევდა შანსს გადაერჩინა თავი-სი ქვეყანა. მეორე კი, – მეოცნებე, – შესაძლოა შევიდეს ისტორიაში, როგორც კიდევ ერთი დესპოტი.

ესპანურიდან თარგმნა ელეონორა კუჩავამ

როდესაც გამოჩენილი პოეტი ჭავშმარიტ ნიჭის შეამჩნევს დამწყები პოეტის შემოქმედებაში, ალბათ, არ უნდა გაგვიკავირდეს. მაგრამ როდესაც იგივე პირვენება დიდებულ მომავალს უწინასწარმეტყველებს, ვთქვათ, ნორჩ მომღერალსა თუ მოცეკვავეს, პროგნოზის გამართლება უფრო მოულოდნელი და სასიხარულო იქნება.

1925 წელს იოსებ გრიშაშვილმა გამოაქვეყნა ერთი მოკლე და მოკრძალებული წერილი ასეთი სათაურით: „თბილისის საბალეტო სტუდია“.

იმხანად ძალზე პოპულარული ქართველი პოეტი წერდა: „პერინის სტუდია უკვე ცნობილია, როგორც საბალეტო ხელოვნების ტაძარი. მ. პერინი დიდი ენერგიისა და სათუთა გემოვნების პატრონია. აუარებელი ხალხი ესწრება მისი მონაცემების კონცერტს ყოველთვის, უკანსკენელ წლებში. სახელმწიფო ოპერის საუკეთესო ახალგაზრდა ძალები თითქმის ყველა პერინის მონაცემებია“.

როგორც ქართველი საბჭოთა ენციკლოპედია გვამცნობს, ბალერინა და პედაგოგი მარია პერინი (1873-1939) წარმოშობით იტალიელი ყოფილა. სწავლობდა ტურინში, მერე იქვე – ოპერის სამეფო თაეტრში სოლისტი-მოცეკვავე იყო. თავის დროზე თბილისიც ჩამოსულა გასტროლებზე. ჩანს, ჩვენი ქალაქი მოსწონებია, ქართველი ხალხიც შეჰქვარებია და 1897-1907 წლებში თბილისის ოპერის თეატრის წამყვანი ბალერინად გვევლინება. 1916 წელს თბილისშივე დაუარსებია პირველი საბალეტო სტუდია, სადაც 1933 წლამდე შეშაობდა დირექტორად, მერე კი – პედაგოგად.

გრიშაშვილი, როგორც ქართველ ჯენტლმენს ეკადრება, ჯერ ქალბატონებს მიაპყრობს თავის ყურადღებას და საკონცერტო დილის თაიგულად მოიხსენებს „ლამაზ ოთხეულს“: ლ. ჩიკვაიძეს, ლ. ბეგთაძეგიშვილს, მ. ბაუერს და ლ. გვარამაძეს.

პოეტი მერე აღნიშნავს: „ვაჟთა შორის იშვიათი ტექნიკით, ცეცხლით და ტემპერამენტით ცეკვავდა ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელსაც უსათუოდ დიდი მომავალი აქვს. ამ ნიჭიერ ბავშვს საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ამთავითვე მიექცეს სა-თანადო ყურადღება“.

ვახტანგ ჭაბუკიანი მაშინ თხუთმეტი წლისა იყო!

ვისგანაც ჯერ არს, ეტყობა, მიექცა სათანადო ყურადღება...

გამოხდა ხანი და აი, 1957 წელს, ზაქარია ფალაშვილის სახელმწიფის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში იოსებ გრიშაშვილი ესწრება „ოტელოს“ გახმაურებულ სპექტაკლს და დაუყოვნებლივ აქვეყნებს წერილს „ჭა-“

პროგნოზი – ზუსტი და უფუძლი

ბუკი ჭაბუკიანი“. გამოხატავს თავის აღტაცებას შექსპირის სახელგანთქმული ტრაგედიის ამეტყველებით ბალეტში და დასძენს: „ვუყურებდი ჩემს თვალწინ გაზრდილ ამ დიდ ხელოვანს და გული სიამით მევ-სებოდა“.

უნდა ვიფიქროთ, რომ გული ევსებოდა არა მარტო სიამით, არამედ – სიამაყითაც, რადგან მისი ოდინდელი პროგნოზი ასე ლამაზად გამართლდა.

გრიშაშვილი გატაცებული თეატრალი იყო (კარგა ხანს სუფლიორადაც უმუშავია თეატრში), მაგრამ ბალეტის სპეციალისტი ხომ არ ყოფილა, რომ თხუთმეტი წლის შემაწილში ასე უცდომლად დაენახა მომავალი ცეკვის ჯადოქარი. ბარაქალა პოეტის მახვილ თვალს!

კიდევ ერთი ქართველი ჯადოქარი ინინასწარმეტყველეს. ვინ ინინასწარმეტყველა? ვინა და ელგუჯა ამაშუკელმა. სახელოვანი მოქანდაკე ფეხბურთის თავგადადებული ტრფიალიც გახლდათ.

ნახვარი საუკუნის წინათ „დინამოს“ სტადიონზე ერთხანს ასეთი ტრადიცია დამკიდრდა: საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე იმ დღეს მოასპარებებ გუნდების სათადარიგო შემადგენლობანი (დუბლიორები) ერკინებოდნენ ერთმანეთს. ჰოდა, თბილისში (მხოლოდ თბილისში!) დუბლიორთა თამაშის სანახავად მაყურებელი საგანგებოდ მოდიოდა და მთავარი მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე სტადიონი თითქმის გავეხბული იყო ხოლმე. საქმე ისაა, რომ დუბლიორთა რიგებში მართლაც რომ ბრწყინავდა თექვსმეტ-ჩვიდეტეტი წლის მიშვა მესნი.

ქალაქური გადმოცემის თანაბეჭდ, ყოფილ კიროვის ბალში თაგმოყრილი გულშემატკიცივრებს თანდასწრებით ელგუჯა ამბშუკელმა ქალალდის ფურცელზე, შავით თეთრზე დაწერა, რომ დუბლიორი მიხეილ მესხი გახდებოდა ფეხბურთის დიდოსტატი და ალიან მალე ჩარიცხავდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში. ბარათ მოათავს წყალგაუმტარ კოლოფში და ჩამარხეს მინაში.

პროგნოზი მართლაც ძალიან მალე გამართლდა და აი, მოსკოვში, „ლუშნიკის“ გადაჭედილ სტადიონზე ასი ათასი კაცი აღტაცებით გაჰკიოდა: მესხი, მესხი! (ეთამაშებოდნენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს).

ტაშს უკრავდნენ მესხს და მაშასადამე – საქართველოს!

არც იოსებ გრიშაშვილი ყოფილა ბალეტმასტერი და არც ელგუჯა ამბშუკელი – ფეხბურთის მნვრთნელი, მაგრამ ორივეს ფართო თვალსაწირი და ნიჭიერი შემოქმედის გუმანი ჰერნდათ.

კონონ მოლლოდის სახელი, ალბათ, არა გსმენიათ. ამ ცნობილი მზეერავის ოპერატული ფსევდონიმიც (გორდონ ლონ-სდეილი), ცხადია, არ გექნებათ გაგონილი. ფილმი „მევდარი სეზონი“ მაინც არ გინახავთ? მთავარი გმირის როლს საქართველოს მეგობარი, ლიტველი მსახიობი დონატას ბანიონისი ასრულებდა. და სწორედ ამ პერსონაჟის პროტოტიპი გახდათ კაცი, რომელსაც რუსეთში იცნობდნენ, როგორც მოლლოდის და ბრიტანეთში – როგორც ლონდეილს.

პროგნოზი – თხუთმეტი

1970 წელს მოსკოვში ზაფხულის ერთ ცხელ დღეს კონონ მოლლოდი ქალაქებარეტ გამართულ პერიოდზე უზომოდ მიექცე სასმელს, რასაც მისმა გულმა ველარ გაუქმლო. დაია, ათასგარ ფათერავებში იყო გამონრთობილი მზეერავის გული, მაგრამ ამჯერად ულალატა პატრონს და 48 წლისას სიცოცხლე მოუსწრავა.

მისი ცხედარი დაასვენეს ძერუინსკის სახ. კლუბის ფოიერი თვით ამხ. ანდროპოვი, „კაგებეს“ თავმჯდომარე, მივიდა

იქ, რათა უკანასკნელი პატივი მიეგო ღვაწლმოსილი მზვერა-
ვისათვის.

მაგრამ მოლოდის პოპულარობამ მისი ზოგიერთი კოლეგის გულში, თქვენ ნარმოიდგინეთ, მხოლოდ შური გამოინვია. ერთმა ვაჟაბატონმა, რომელიც თხუთმეტი წელინადი იღვნოდა მზვერავად დასვლეთ გერმანიაში, თავისი გულისტკივილი მეგობარს გაუზიარა: „მოლოდი ხელმოცარული კაცი იყო. სამარცვებინოდ ჩავარდა და მისი გამოხსნა – ო, რა ძვირი დაგვიჯდა! თხუთმეტი წელინადი ვირჯებოდა და ეჭვიც არ გასჩენიათ. მაგრამ ჩემს შესახებ არავინ არაფერი იცის“.

ამ ვაუბატონს, როგორც ჩანს, არასოდეს სმენოდა ისრაელის დაზვერვის შეფის ისექ ხრელის აფორისტული სიტყვები, თემული თავისი თანამშრომლებზე: „თუკი მათ ბედი გაულიმებთ, მსოფლიო კრისის შეიტყობს მათ სახელებს“.

დიახ, მზევრავებს დევიზად არ გამოადგებათ „სჯობს სახელისა მოხვეჭა“, ვინაიდან სახელის მოხვეჭა მოჰყვება გამოუსწორებელ მარცხს და ნიშანას მათი კარიერის დასასრულა.

მოლოდიი-ლონსდეილმაც ასე მოიხვეჭა სახელ

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სახელის მოხვე-
ჭაც ერთ რამედ ლირს.

XX საცუკუნეში ყველაზე მეტად გაითქვეს სახელი საბჭო-თა დაზვერვის ბრიტანელმა, აგრძელებმა, „ეკემბრიჯის ხუთეული“ ანუ „ბრწყინვალე ხუთეული“ რომ შეარქვეს.

მათი გვარებიც ცნობილია და ოპერატორული ფსევდონმებიც. მაგრამ არიან აგრძელები, იმავე ბრიტანეთში რომ ემსახურებოდნენ საბჭოოთს, და სახელი არ მოუხვეჭიათ. მათი ვინაობა დღემდე უცნობია.

ინგლისელი მყავლევარის ჯონ კოსტელოსა და რუსეთის საგარეო დაზვერვის ოფიცირის ოლეგ ცარიოვის ერთობლივი შრომით შექმნილ წიგნში „საბჭოდასწერო ილუზიები“ ვკითხულობთ, რომ მოსკოვის საიდუმლო არქივებში შეგხვდებათ ძრიტანელ აგენტთა დღემდე გაუშიფრავი ფსევდონიმები: სკოტი, ატილა, ბერ, ნახვოლგერი, პროფესორი...

რუსეთის სადაზვერვო სამსახური არ ამხელს მათ ვინაობას, რადგანაც ისინი არ გაუმუდლავნებიათ ბრიტანეთში (ან-ლოგიურ შემთხვევებში ასევე იქცევიან „სი-აი-ეი“ და „ეფ-ბი-აი“, ჩვინებულად – (კერძულ და ფეხბერი).

ჯონ კოსტელის რუს თანავაკორთან ერთად დანერილი წიგნისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი პერსონალური ბოლოოქმა დაურთავს.

ინგლისელი მკვლევარის სიტყვით, კველაზე დამანძი-
ტრიგებელი გარემოება, რაც ბოლო ხანებში გახდა ცნობი-
ლი, არის სახელგანთქმული კემბრიჯის ჯგუფის პარალე-
ლურად აქამდე უცნობი ოქსფორდის ქსელის არსებობა. ვინ
იყვნენ მისი წევრები? გადასცემდნენ თუ არა ისნი ასევე
არსებით და ძვირფას ინფორმაციას, როგორც კიმ ფილბი
და მისი მეგობრები? ეს კითხვები ჯერჯერობით უპასუხოდ
რჩება.

კოსტელო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერთი მხრივ მათი საქმიანობა უფრო იღბლიანი აღმოჩნდა, ვიდრე კემპრიჯელი კოლეგებისა. არც ერთი მათგანი არ ჩავარდნილა. მათი გვა-რები და გადაბირების თარიღები მოიპოვება საძროთა დაზ-ვერვის ლონდონის არალეგალური რეზიდენტურის ისტორი-აში და მკლევართათვის ხელმიურყდომელია.

კოსტელონ წერს: „სტალინის ოქსფორდელმა თხუნელებმა, ეტყობა, ისეთივე ხვრელები გათხარეს ბრიტანეთის მთავრობაში, როგორც კემბრიჯელებმა. მაგრამ ჩვენს ამოცანას არ შეადგენდა ნადირობა თხუნელებზე და ოქსფორდის უნივერსიტეტის დავთრებიდან მოკლე ამონანერიც კი არ გამიკეთებია, რათა მეცადა „სკოტისა“ და მისი ამხანაგების ვინაობის გამოთვლა. მათ სამარეში ჩაიტანეს თავიანთი იატაკ-ქვეშა მუშაობის საიდუმლო“.

Հառն շուսტըլլո միջեմ ար զարցաց, րոմ մորա գրո դա
րույսետու սացարյո ֆաճվերցու սամսաշյոր ցածենու տացու
արյուցեմ դա ոյթագորդելու ցոնառծապ ցարկացըցա. ողոնճ
ամ լոռնիսծոյցնու միծանու ու կո ար օյնեած, րոմ Շեմցուտունք
ցարճացալուն ենթու սամշունքու ձալագու ծրալուցու,
արամեց ու, րոմ դաներու գոյսմենքուր մոտերուն միմ-
նչե, ույ րոցառ Շեսնցաց եցու ամ օյթագորդելուն ինքըլլէ-
լույալցեմա, զեմծորոյցըլլէթան երտագ, ցալուցեմա մեռց-
լուն ուժուորուն մեցլունքուն աթուն մանճունի սած-
քուա դաճվերցա րոմ ցագասցմբնեն ինցորմացու ալ գուց-
ծրութանցուս դա Շեյրուեծուն միցագու սաումլու առլու-
թուանի.

* „თხუნელა“ – სპეციასმასახურთა ჟარგონზე (როგორც რუსულში, ასევე ინგლისურში) ეწოდება დაზევრვის აგენტს, რომელსაც საკმაოდ მაღალ პოსტი უჭირავს მონინაღმდეგე ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურასა ან შეარაღებულ ძალებში და ძალუძს იქიდან გადმოსცეს უაღრესად ფასეული ინფორმაცია.

ପ୍ରକାଶକ

20 ივნისს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა პოეტისა და მთარგმნელთან გიორგი ლობჟანიძესთან.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ირმა რატიანმა, რომელმაც სიამოვნებით აღნიშნა, რომ წარმატებით გრძელდება ლიტერატურულ თავყრილობათა ის ტრადიცია, რაც კარგა ხანია დამტკიცირდა ამ ინსტიტუტის კედლებში.

შეხვედრას პქნონდა ერთგვარი „მცირე კონფერენციის“ ხას-
ათი. პროფესიული რეცენზიებით გამოვიდნენ ფილოლოგიურ
მცნიერებათა დოქტორი პროფესორი თამარ ბარაქაძე და ივა-
ნე ჯავახიშვილის სახელისის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის პუბლიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნების
მიმართულების პროფესორები დარეჯან გარდახაძე და თეა შურ-
ლაია, რომელთაც წარმოაჩინეს გიორგი ლობაგანიძის შემოქმედე-

ბის სამი ასპექტი: როგორც პოეტისა და როგორც არაბული და სპარსული ენაზეიდან მთარგმნელისა.

მოხსენებები გამოირჩეოდა ღრმა და მახვილეონივრული დაკვირვებებით, ლაკონიზმითა და ცოცხალი მუხტით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული სალიტერატურო კრიტიკის მაღალ დონეს. დასასრულ სიტყვა წარმოიქვა მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ, ვინც აღნიშნა ისიც, რომ გოორგი ლობჟანიძის მეორე თარგმნილი ყურანი, გემელიყვა ეს-ესას გახდა მიკითხველის-თვის სელმისანვდომი, განსაკურთხული მოვლენას საზოგადო დოკომინაციისა და კულტურულ ცხოვრებაში და მოსალონელია, რომ მუსლიმმა და ევროპელმა ისლამითლოებებმა და ყურანილო-გებმა საგანგებოდ შეისანავლონ ქართული ენა, რათა გათვალისწინონ ეს თარგმანი და თანაბრულობი პრაგმატიკული.

დასასრულ, გიორგი ლობჟავანიძემ დაშვინეულ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და ახალი ლექსიტი და თარგმანი გირზ წაიკითხა.